ვინდიკ ეროსაძვილი

# ეპრალიული დღესასწაული

ხელოვნება · თბილისი 1982

78.3:(ფ41)
75.578(2 1)
796.33(47.922)
ბ 861

მწერალი და ჟურნალისტი მინდია ილოს ძე მოსაშვილი (1928 წ. 7 იანვარი — 1982 წ. 17 ოქტომბერვალი) ორ ათეულ წელზე მეტხანს ნაყოფიერად მუშაობდა სპორტული ნარკვევის ჟანრში. 32 ხის მასალაზე მას შეკმნა, გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში და გამოსცა ცალკე წიგნებად მრავალი საინტერესო, მაღალმხატვრული ნაწარმოები ქართული ფეხბურთის სახელგანთქმულ ოსტატებზე.

...რარიგ ესწრაფოდა სპორტული ნარკვევების ერთ კრებულად გამოცემას. მოამზადა კიდევაც. ლაშაზი. პოეტური სახელწოდებაც შეურჩია — „მარადიული დღესასწაული"—და პირველი კორექტურაც ჩაიკითხა. რომ მოულოდნელად ბედმა უმუხთლა. სწორედ შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, როდესაც მისგან კვლავ, ახალ-ახალ წარმატებებს ველოდით.

სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთის ოტეუარი მხატვრული „მეტიანი" ვერ ეღირ ეროსწრო თავისი ნარკვევების ერთიან კრებულს. რომელსაც გამომცემლობა „ხელოვნება" პირველად სთავაზობს მკითხველს.

М 0,00

70303

———————— © გამომცემლობა „ხელოვნება", 1982 г.

№ 51, 87 ადგ.

# ეზოდან — დიდ ფეხბურთის მოედნებზე

ცხრაას ორმოცდაათი წელი. თბილისის ულამაზესი სტადიონის ტრიბუნებზე ნემსი ეერსად ჩავარდება. ქართველ დინამოელთა მეტოქენი ამჯერად რიგის „დაუგავას“ ფეხბურთელები არიან.

თამაში თავიდანვე შარიანად დაიწყო. ჯერ ისევ მატჩის დასაწყისში რიგელებმა „ალალბედა“ ბურთი გაიტანეს. შემდეგ მონასტერი აირია და... მალე ჩვენს კარში მეორე გოლიც გავიდა.

დაიწყო მეორე ტაიმი — 2:0 მოგებულ სტუმრებს. ტრიბუნებზე გამაყრუებელი გუგუნია. ხალხი ქოთქოთებს, ღელავს. წყენასა და უკმაყოფილებას, როგორც ყოველთვის, სტვენითა და შეძახილებით გამოხატავს.

ღელავს ცამეტი წლის ქერათმიანი კოხტა ბიჭუნაც, მეორე ბარუსის პირველ რიგში რომ ზის. იგი ოდაყვებით დაყრდნობია რკინის მოაჯირს, თავი მხრებში ჩაურგავს და ბრძოლის ველს ფერდაკარგული გასცქერის.

„ნუთუ წაეაგებთ?.. ნუთუ ჩემი ბორიაც ვერაფერს გააწყობს და თავშერცხვენილი დატოვებს მინდორს?.. არა, ეს არ მოხდება... ეს როგორ შეიძლება?.. არა, ჩემი ბორია დღესაც მასახელებს... ბორია... ბორია“... — ფიქრობს პატარა გულშემატკივარი და მოუსვენარი თვალებით დაეძებს საყვარელ ფეხბურთელს.

აი, ისიც, დაინახა: მოხდენილი ტანის ნაცნობი მოძრაობა.

დაინახა და ნაღვლიანი სახე იმედის შუქმა გაუნათა.

— სად არის კანონი! სად არის სამართალი! „სპარტაკს“ მოეუგეთ და ამ ბულკებთან ვაგებთ?! — ბობოქრობს შუახნის ჩასუქებული გულშემატკივარი მეზობლად და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ჰკრავს მუჯლუგუნს ბიჭუნას.

— რა ნაღდ ორ ქულას ეკარგავთ, ბიჭო?! — ეღარ ისვენებს იგი და სიმწრის ოფლი გადასდის სახეზე.

ბიჭუნამ მორიდებით შეხედა მეზობელს, მიხვდა, რა ცეცხლთაც იწვოდა გულშემატკივარი და მთელი ამ ნავსიანი მატჩის მანძილზე პირველად გაეღიმა.

— ნუ გეშინია, ძია, — გაამხნევა ბიჭუნამ. — ახლა პაიჭაძე აიწყვეტს. გარღვევაზე წავა.

— რა იცი, ბიძია, მაი შენ, ეფრემვერდში წერია თუ? — უიმედოდ გადმოხედა მეზობელმა.

ქერათმიანი ბიჭუნა წინასწარმეტყველი გამოდგა. პაიჭაძემ მართლა „აიწყვიტა", რიგელთა გაძლიერებული დაცვის ხაზები გაარღვია და მინდორზე ქარიშხალი დაატრიალა.

სურათი ერთიანად შეიცვალა — ახლა თბილისელები დასახლდნენ „დაუგავას" საჯარიმო მოედანზე. მოხდა ის, რასაც ვრავინ ელოდა — 5:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სტადიონიდან დაძრული ხალხის ადიდებული მდინარე ქუჩებს მოეფინა. თბილისელები კმაყოფილნი ბრუნდებიან შინისაკენ. სახლისაკენ მიიჩქარის ქერათმიანი ბიჭუნაც.

ჩქარა მივიდეს შინ, რომ დიდი სიხარული ეზოს ბიჭებს გაუზიაროს. დაუმტკიცოს ზოგიერთებს, რომ პაიჭაძის ბადალი ცენტრფორვარდი ჯერ არ დაბადებულა ამ ქვეყნად.

„ბორია... ბორია... უჰ, რა დრიბლინგი აქვს, რა ფინტები, რა დარტყმები... არა, ამის შემდეგ ეზოში რომ ვითამაშებ, ყველაფერში მას მივბაძავ"... — უტრიალებს გონებაში და განელილი მატჩის მომენტები აგონდება.

აი, მათი სახლიც.

ბიჭუნამ ეზოში შეირბინა.

— ჩვენებმა მოიგეს!.. პაიჭაძემ ორი ბურთი გლიჯა! — მოესმათ მეზობლებს ბიჭუნას ნაცნობი წკრიალა ხმა.

— შვილო, მიშა, სად ხარ ამდენ ხანს! — მიეგება დედა.

... საღამო ხანია.

მოკენჭილ ეზოში ჩვეულებრივი სურათია:

სკოლიდან ახალდაბრუნებულ ბავშვებს ფეხბურთი გაუჩაღებიათ.

აი, „ნამდვილი ფეხბურთელის" ფორმაში გამოწყობილმა ქერათმიანმა ბიჭუნამ ბურთი გაიტაცა, მეტოქეთა „საჯარიმო მოედანზე" შეიჭრა და წამით მიყუჩებული ეზო ისევ ალმოდგა.

— მიდი, მიშა, მიდი შენებურად! — იძახიან ფანჯრებში გადმომდგარი მეზობლები.

მიშაც მიდის, მიაქვს ბურთი, ზედიზედ ატყუებს თანატოლებს.

— ამოდი, შვილო, გეყოფა თამაში! — ეძახის დედა.

— დეიდა თამარ, ცოტა ხანიც, რااا!.. ითამაშოს, رااا! — ეხვეწებიან მიშას დედას ბავშვები.

„დეიდა თამარი“ ილიმება — რაკი კოლექტივი თხოულობს, რა გაეწყობა.

მიშაც ისევ თავის სტიქიაშია — მიაქვს, ატყუებს, ურტყამს და... ეზოში დაბინდებამდე გაისმის ბურთის ხმა, ბავშვების ყიჟინა, გაუთავებელი დავა-კამათი:

— იყო!

— არ იყო!

— პასი!

— პასი!

— გეყოფა, ბიჭო, მატაობა!

ეს ამბავი ყოველ საღამოს მეორდებოდა...

— ნეტავ როდის დაკვიანდება ჩემი მიშა, რომ ბურთის თამაშს თავი გაანებოს, — იტყოდა ხოლმე დედა.

ერთ მშვენიერ დღეს დედას ნატვრა აუსრულდა — მიშა „დაკვიანდა“.

— ეზოში აღარ ვითამაშებ ბურთს, — მტკიცედ განუცხადა შვილმა.

დედას გაუხარდა.

ეზოს ბიჭებს გაუკვირდათ — რა მოხდა, რამ აიძულა მიშა, საყვარელი თამაშისათვის ზურგი შეექცია.

მაგრამ ბურთისათვის თავის განებება აზრადაც არ მოსვლია მომავალ სპორტსმენს. პირიქით, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად იტაცებდა ეს ათლეტური, ვაჟკაცური სპორტი. გატაცება დღითიდღე იზრდებოდა. იზრდებოდა მისი ოსტატობაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დიახ, მიშას დაოსტატება სწორედ ეზოს „სტადიონზე“ მოხდა. როცა აქ თანატოლებში თამაშობდა, ნამდვილი, დასრულებული ოსტატი ეგონებოდა კაცს. მაგრამ ახლა პატარა ფეხბურთელი ეზოს ვიწრო ჩარჩოებში ვეღარ ეტეოდა, დიდი ბოედნისაკენ მიუწევდა გული. მთელი არსებით დიდი ფეხბურთის მინდვრებისაკენ მიისწრაფოდა.

— ნეტავ ერთხელ მაინც მათამაშა ნამდვილ სტადიონზე, — ნატრობდა ცამეტი წლის ბიჭუნა.

ნატვრა სინამდვილედ ექცა. ფეხბურთისადმი მისი სიყვარული სკოლაშიც შენიშნეს. სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეს სკოლის სპორტულ მოედანზე თამაშის დროს უცნაური, უეცარი ფინტებით არაერთხელ მოუხიბლავს მასწავლებლები.

— მიშა მესხი ჩვენი სკოლის პაიჭაძეა, — ამბობდნენ უფროსები.

სკოლის ადმინისტრაციის თაოსნობით, იგი მალე ოცდამეთხუთმეტე საშუალო საფეხბურთო სკოლაში გადაიყვანეს. რათა ბრწყინვალე მონაცემების მქონე მოსწავლეს მეტი გასაქანი მისცემოდა დიდი სპორტული ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად.

1951—1954 წლებში მიხეილ მესხი მწვრთნელების, ჯერ საკავშირო კატეგორიის, მსაჯის ვარლამ შავდიას, ხოლო შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატის არჩილ კიკნაძის, ხელმძღვანელობით ვარჯიშობს საფეხბურთო სკოლაში, გამოდის მის ნაკრებ გუნდებში ქუთაისის რესპუბლიკურ და საკავშირო ჩემპიონატებზე. იმ პირველ ბრძოლებში ყალიბდებოდა ნიჭიერი მარცხენა გარემარბის თამაშის აგრესიული სტილი, ბურთის ფლობის ფილიგრანული ოსტატობა.

1955 წლის გაზაფხულმა მიხეილ მესხს დიდი სიხარული მოუტანა — იგი თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გახდა.

ამიერიდან მიხეილ მესხი მონაწილეობს საკავშირო პირველობათა კალენდარულ მატჩებსა და საერთაშორისო ასპარეზობებში.

და მუდამ და ყველგან ერთი და იგივე სურათია:

მიქრის ტანმორჩილი მარცხენა გარემარბი, გრიალებენ ტრიბუნები:

— მესხ-! .

— მესხი!..

— მესხი!..

მიქრის მესხი, ბურთთან ერთად ჩიკორივით ტრიალებს, ხოლო მისი ელვისებური ფინტებით თავგზააბნეული, წონასწორობადაკარგული მეტოქეთა მცველები ყირაზე გადადიან.

1959 წელმა ახალი დიდი სიხარული მოუტანა მიხეილს — მას სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

გუნდის ახალმა უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ანდრო ჟორდანიამ მიულოცა პირველმა:

— აბა, შენ იცი, მომავალში უკეთ უნდა ითამაშო.

ანდრო ჟორდანია გამოცდილი მწვრთნელია. ამჩნევს, ახალგაზრდა გარემარბის თამაში უნაკლო არ არის — მხოლოდ თავის ფრთაზე მოქმედებს, იშვიათად თუ იცვლის ადგილს.

— ცენტრიდანაც უნდა შეუტიო.—არიგებს მწვრთნელი.- მაშინ შენს თამაშს მეტი ელფერი მიეცემა, გუნდსაც მეტ სარგებლობას მოუტანს.

მიხეილი ყურადღებით ისმენს დარიგებას, ვარჯიშობს დაუღალავად, ახალ გზებს ეძებს მეტოქეთა კარის ასაღებად.

ჰო, შეუტევს ცენტრიდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან, ყველა მხრიდან, ყოველივეს იღონებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის დიდების აღსადგენად, რომ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე კვლავ გაისმოდეს:

— ფრთხილად, მოედანზე თბილისელები არიან!

1959 წ.

# რეპორტაჟი კიევიდან

საკავშირო პირველობის კალენდარული მატჩის წინადღეა. მზეთუნახავი დნეპრის ნაპირებზე გაშლილი მთელი ეს ვეებერთელა ხმაურიანი ქალაქი დიდი ფეხბურთის ციებ-ცხელებას მოუცავს. ქუჩებზე, პროსპექტებზე, მოედნებზე, ცენტრსა და განაპირა უბნებში, ტრამვაებში, ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში. მაღაზიებსა და დაწესებულებებში, დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი, ყველა, — გააფთრებული გულშემატკივრები, ზომიერი გულშემატკივრები, ფეხბურთის გულციცი მოყვარულები. სტადიონზე მოდას აყოლილი მოსიარულეები და, ბოლოს, ამ მშვენიერი ქალაქის ფეხბურთისადმი ნეიტრალურად განწყობილი მცხოვრებლებიც კი, — მომავალ მატჩზე ლაპარაკობენ. ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი ფეხბურთით სუნთქავს. ფეხბურთით აზროვნებს, გააფთრებული გულშემატკივრების ენით რომ ვთქვათ, „ჰაერში ფეხბურთის სუნი ტრიალებს", და ქალაქის ყოველ მკვიდრს სტადიონისაკენ მაგნიტური მიზიდულობისა და ბურთის ტრფიალის განუკურნავი სენით წამლავს.

ყოველი მხრიდან გაისმის:

— თბილისელები ფორმაში არიან!

— მესხი შეუდარებელია!

— იამანიძის თამაში არ გინახავთ?! ოო, ეს ხომ ღოლობერიძეა ახალგაზრდობაში!

— კოტრიკაძე პრიმა მეკარეა, ვაშლებივით წყვეტს ბურთებს!

— დაგვამარცხებენ ქართველები! — უიმედოდ იქნევენ ხელს სკეპტიკოსები.

— ვინ იცის, ბურთი მრგვალია, — გულს არ იტეხენ ოპტიმისტები.

ოსმალური ხმალივით მოშვილდული კრეშჩატიკი, ამ ულამაზესი ქალაქის მთავარი მაგისტრალი, ამ მზიან, ნათელ დღეს განსაკუთრებით ხალხმრავალი და ხმაურიანია. გადასასვლელებთან, კინოთეატრების, მაღაზია-გასტრონომების წინ ცხარედ მოკამათე

ახალგაზრდები დგანან ჯგუფ-ჯგუფად. ისინი ხელებს იქნევენ, ქართველ-უკრაინელ ფეხბურთელთა ნაცნობ გვარებს გაიძახიან წამდაუწუმ. მილიციელთა სასტვენები ამაოდ უბმობენ წესრიგისაკენ ტყავის ბურთის ოსტატთა თავდავიწყებულ თაყვანისმცემლებს.

— ბრაზილიის „ვასკო დე გამას“ ჩამოსვლის შემდეგ არც ერთ გუნდს არ გამოუწვევია ესოდენი აჟიოტაჟი,—ამბობენ „სტადიანი“ კიეველი გულშემატკივრები.

მწვანეში ჩაფლულ განიერ პროსპექტებსა და ვრცელ მოედნებზე აღმართულ სპეციალურ ფარებზე გაკრულ ფერად აფიშებზე ერთმანეთთან შერკინებული ორი ფეხბურთელია გამოსახული. იქვე წერია „30 აგვისტო. სსრკ პირველობა ფეხბურთში. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). დასაწყისი 7 საათზე. ბილეთების წინასწარი გაყიდვა სტადიონის სალაროებში“.

სტადიონზე კი...

„ყველა ბილეთი გაყიდულია“ — უსიამოვნოდ იუწყებიან კედლებზე დაკიდებული აბრები.

მთავარ შესასვლელთან, დიდ ალაყაფთან, აუარებელ ხალხს მოუყრია თავი, მაგრამ ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმის. პირდაპირ საოცარია, ამდენი ხალხი და ასეთი იდეალური სიჩუმე. თითქოს მუნჯები არიანო, კაციშვილი არ იღებს ხმას.

ეს უბილეთოდ დარჩენილი გულშემატკივრები არიან.

ამ ცხოვრებაში ასე ყოფილა. ყველას თავისი საზრუნავი და საფიქრალი აწუხებს. ფეხბურთის გულშემატკივარსაც აქვს პირადული „ვაი“ და „ვუი“. ერთიც და მეორეც მისი მოუსვენარი, მღელვარე ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია—„ვაი“, თუ „მისი“ გუნდი მარცხდება; „ვუი“, როცა უბილეთოდ რჩება.

ალაყაფთან კიდევ დიდხანს იდგნენ მდუმარედ ბედისაგან უსამართლოდ განწირული გულშემატკივრები, ამაოდ ელოდნენ დამატებითი ბილეთების გაყიდვას.

სწრაფად მიიწურა დღე. შეუმჩნეველად მოვიდა საღამო. უნაყოფო ლოდინით დაღლილ-დაქანცული გულშემატკივრები ბედს შეურიგდნენ და დაიშალნენ. მათ ერთი გამოსავალი რჩებოდათ — ამ დიდ სპორტულ დღეს სახლებში ჩაკეტილიყვნენ, ტელევიზორებს მისხდომოდნენ და ქართველ-უკრაინელ დინამოელთა ორთაბრძოლის ეშხი და ლაზათი ცისფერ ეკრანებზე ეხილათ.

... დნეპრის ნაპირებზე ბინდი ჩამოწვა. უკრაინის დედაქალაქი ელნათურების უნაპირო ზღვაში ჩაიძირა.

* * *

კრეშჩატიკზე ჩირაღდნები ანთია. ბრიალა ლამპიონები უხვად აფრქვევენ შუქს, ხოლო მაღალ შენობებზე ძვირფასი სამკაულებიკით დაკიდებული, ნაირფერად მოციმციმე შუქრეკლამები ზღაპრული მშვენებით მოსავენ ღამეში ჩაძირულ ქალაქს.

მ. ნქანების ულეველი მდინარე უწყვეტ ნაკადად მოედინება და ხმაურით ავსებს ქუჩას. ტროტუარზე ზღვა ხალხი ირევა.

ცენტრალური კინოთეატრის ერთ-ერთ ვიტრინასთან განსაკუთრებული ხალხმრავლობაა.

რა მოხდა? რას უცქერიან?

ჰო. ალბათ, რომელიმე ახალი კინოფილმის კადრებს ათვალიერებენ.

მეც დავინტერესდი და, აი, ვიტრინისაკენ ძლივს მიეიკვლევ გზას.

ჩემს ეკერდით ერთი მოქალაქე მეორეს ეუბნება:

— მოდი, ჩვენც ვნახოთ. აქ, მგონი, თბილისელი ფეხბურთელების ფოტოსურათებია გამოფენილი.

რაო?! ფეხბურთელებისაო?! — მით უფრო საინტერესოა.

ახლა კი მკლავებიც ავამუშავე და ცოტა ხნის შემდეგ გაჩიოალდნებული ვიტრინის წინ ვიდექი.

ვიტრინაში სპორტული სტენდი მოუწყვიათ. სტენდის თავში წარწერაა — „ტყავის ბურთის ქართველი ოსტატები“. შემდეგ მოდის ფოტოსურათები. გულშემატკივრის სიხარბით შევცქერი საყვარელ ფეხბურთელთა სურათებს. აი, ისინიც: „ა. ღოღობერიძე სპარტაკელ ი. ნეტოსთან ორთაბრძოლაში“, „ზ. კალოევს თავური დარტყმით გააქვს გოლი“, „შ. იამანიძის რეიდი“, „მ. მესხის გარღვევა“, „ს. კოტრიკაძე მუშტით იგერიებს მაღალ ბურთს“ და სხვა.

ვიტრინას ვეღარ ეცილდები. ამ ჯადოსნურ ადგილზე, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიჭნებოდი მიჯაჭვული, რომ უცებ...

— პროგრამა!.. ხვალინდელი მატჩის პროგრამა!.. თამაშობს თბილისის „დინამო“!.. თამაშობს მესხი, ქართველი გარინჩა!.. იყიდეთ. შეიძინეთ ფეხბურთის პროგრამა! — სადღაც, შორიახლო, გაისმა გამყივანი ხმა.

ვიტრინასთან უმალ დაიშალა ხალხი. ყველამ იქით მიაშურა, საიდანაც ძახილი ისმოდა. პროგრამები რამდენიმე წუთში დაიტაცეს. ღამის ხელჩართული ბრძოლისა და დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ერთი პროგრამა მეც მერგო.

პროგრამა გავშალე და ხვალინდელ მატჩში მონაწილე ფეხბურთელთა გვარებს მოვავლე თვალი: კოტრიკაძე, ჩოხელი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოლობერიძე, მესხი.

დავმშვიდდი — ხვალ თბილისელები სრული, საბრძოლო შემადგენლობით გამოვლენ მოედანზე.

ნეტავ რას იზამენ ჩვენი ბიჭები? მოიგებენ? წააგებენ? თუ...

— ჩვენები წააგებენ. — ავტორიტეტულად აცხადებენ საქმეში ჩახედული კი

ლიური თბილისის სპორტის მოყვარულებმა დაგვაკისრეს კიევში გამგზავრების წინ.

ნაბიჯი ავაჩქარე, ჩემი და თბილისელი დინამოელების ადგილსამყოფელის სასტუმრო „კიევის“ მიმართულებით გავეშურე მთელი სისწრაფით.

დაცარიელებულ კრეშჩატიკზე ორი კაცი მიაბიჯებს ჩემს წინ. მათ რომ გავუსწორდი, ყური მოვკარი:

— ხვალ ლამაზ, ტემპიან თამაშს ვნახავთ.

— ჰო, ქართველები ძველთაგანვე ტექნიკური, ტემპერამენტიანი ფეხბურთელებით იყვნენ ქებულნი.

— პაიჭაძე, შავგულიძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი... გახსოვს დოროხოვი?

— ოჰ, რა დამავიწყებს, კარის ნამდვილი გუშაგიც ის იყო და მეკარის ჭუდიც იმას ეხურა.

— არც ახლა ჰყავთ ურიგო მეკარე.

— რა გვარია?

— კოტრიკაძე.

სერგო კოტრიკაძე...

ცხრაას ორმოცდაცამეტი წლიდან ჩვიდმეტი წლისა ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლასთან არსებულ „მეკარეთა კურსებზე“ სწავლობს. წარსულში სახელგანთქმული მეკარის ალექსანდრე დოროხოვის ხელმძღვანელობით ექვსი თვის მანძილზე მონდომებით ეუფლებოდა საფეხბურთო კარის გუშაგის რთული ხელოვნების პირველ საფეხურებს.

... ცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის მაისის მზიანი დღე იყო. ლენინის სახელობის სტადიონზე ვარჯიშობდნენ. ვარჯიშზე სკოლის სხვა მწვრთნელებთან ერთად სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძეც იმყოფებოდა. ძველმა ფეხბურთელმა და ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოცდილმა აღმზრდელმა მაღალი შეფასება მისცა სერგო კოტრიკაძის თამაშს.

— ყოჩაღ ბიჭი ჩანს, — თქვა კიკნაძემ, მერე თვალი ჩაუკრა დოროხოვს და დაუმატა. — სხვა გზა არ არის, შურა, უნდა წაგართვა კოტრიკაძე, ხვალვე სკოლის ნაკრებში ჩავრიცხავ.

ოცდამეთხუთმეტე სკოლის ნაკრებ გუნდში ერთხანს სათადა-

რიგო მეკარეად იყო. იმავე ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის ზაფხულის მიწურულს კი ძირითად შემადგენლობაში მოხვდა.

ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის გაზაფხული მისთვის მაინადსახსოვარი გახდა. დრო-ეამი ვერ ამოშლის - მისი მეხსიერებიდან აპრილის იმ მზიან დილას, სიყრმის ოცნება რომ გაუმართლა და ენით უთქმელი სიხარულით აავსო.

რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები ახალი ნამოსული იყო ალმა-ატიდან. სადაც საკავშირო პირველობა ჩატარდა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ მსუბუქი ვარჯიში ჰქონდათ „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე. ბევრი მაყურებელი ჰყავდათ. მათს შორის თბილისს „დინამოს“ ოსტატი ფეხბურთელებიც იყვნენ.

— ის ჭაბუკი, შვენი, ჩვენი ალიოშა კოტრიკაძის ძმა არის, არა? — ჰკითხა კიკნაძეს „დინამოს“ ელფოსმა მწვრთნელმა ჟორღანიამ და მისკენ გამოიშვირა ხელი.

— ძმა გახლავთ, — მიუგო კიკნაძემ.

— მაგას დიდი მომავალი აქვს. მაგრამ თუ ახლავე არ ვუპატრონეთ, შერე გვიან იქნება. — დაასკვნა ჟორ დანიამ.

ორი დღის შემდეგ ახალგაზრდა მეკარე დინამოელთა რიგებში მიიღეს, სადაც მისი უფროსი ძმა ალიოშა კოტრიკაძე უკვე ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა და წარმატებით ასრულებდა როგორც ნახევარმცველის. ისე თავდამსხმელის ფუნქციებს.

ამ დიდი ტრადიციების გუნდში დაუახლოვდა შესანიშნავ სპორტსმენებს. წინათ მხოლოდ ტრიბუნებიდან რომ იცნობდა:

ავთანდილ ღოლობერიძეს — მან შეაცნობინა ფეხბურთის ისეთი საიდუმლოებანი, რომლებიც არამცთუ თვალმოკრული, გაგონილიც არ ჰქონდა. მან ასწავლა ბრძოლის ველზე თანაგუნდელის სიყვარული და გატანა. ურომლისოდაც მარტოკაცი ფონს ვერ გა-ვა ამ მძიმე, ათლეტურ თამაშში.

ვლადიმერ მარღანიას. — რომელმაც ყოველივე იღონა. რათა მისი სახით ღირსეული მემკვიდრე დატოვებინა.

ვლადიმერ ელოშვილს — მისგან შეითვისა ბრძოლაში შეუპოვრობა და გაუტეხელობა.

და კიდევ სხვებს. უბრალო. გულითად ადამიანებს.

ამ დიდ ოჯახში მოხვდა მისი. როგორც ფეხბურთელის. დავაჟკაცება. „ა“ კლასის პირველხარისხოვან მეკარედ ჩამოყალიბება.

ფეხბურთის დიდოსტატთა ამ მეგობრულ კოლექტივში დაედო სათავე მის მღელვარე, მრავალფეროვან სპორტულ ცხოვრებას.

* * *

საკავშირო კატეგორიის მსაჯის მოსკოველი ლუკიანოვის სასტვენის ხმა და თამაში დაიწყო.

მე ბლოკნოტი და ავტოკალამი მოვიმარჯვე და მატჩის მსვლელობის სტენოგრაფიული ჩაწერისათვის მოვემზადე. მაგრამ თამაშის პირველივე წუთებმა თვალნათლივ დამარწმუნეს, უხეირო სტენოგრაფისტი დადგებოდა ჩემგან. ორთაბრძოლამ ისე გამიტაცა. ბლოკნოტი და ავტოკალამი სულ გადამავიწყა. მათ ხან ჯიბეში ვაყრიდი (როცა ჩვენებს გაჰქონდათ ბურთი), ხანაც მიწაზე ვანარცხებდი გამწარებული (როცა ბურთი ჩვენების ბადეს ესტუმრებოდა). ასე რომ, ყველაფრის თანმიმდევრული ჩაწერა, რაღა თქმა უნდა, ვერ მოვახერხე. მრავალი საინტერესო. დაძაბული ვ�იზოდის აღნიშვნა გამომრჩა (მაშინ, ალბათ, თავშეუკავებლად ვღრიალებდი). და ჩემს ბლოკნოტში ამ დიდი მატჩის მხოლოდ ზოგიერთი მომენტის შეტანით დავკმაყოფილდი.

მაშ, ასე. მომაქვს ჩანაწერები ჩემი ბლოკნოტიდან:

ჩვენს საჯარიმოზე იმრავლეს კიეველთა ლურჯმა ფერებმა...

ავად დატრიალდა ბურთი თბილისელთა კართან...

სამჯერ დაარტყა კარში ტანმაღალმა ლობანოვსკიმ...

ორჯერ თავური დააძგერა ბეჭებგანიერმა ბიბამ...

ორჯერ დაუსხლტა მცველებს სწრაფი გრამატიკოპულო...

შვიდჯერ შეკრა კამარა სერგო კოტრიკაძემ...

შვიდჯერ მოექცა ბურთი მეკარის რკინის მარწუხებში...

შვიდჯერ იქუხეს ტრიბუნებმა...

შვიდჯერ ყიჟინით წამოდგა სამოცი ათასი კიეველი, სამუდამოდ მოჯადოებული ქართველ ფეხბურთელთა ფრთებშესხმული მეკარის სწორუპოვარი ოსტატობით...

და სადღაც, ჩემს შორიახლო, სპორტულმა კომენტატორმა ეროსი მანჯგალაძემ, რომელიც ახლა მატჩის რეპორტაჟს აწარმოებს საქართველოს გულშემატკივრებისათვის, შვიდჯერ ჩასძახა მიკროფონს: „ძვირფასო მეგობრებო, დღეს კოტრიკაძე გადარევს ხალხს!“

კიეველთა შტურმი გრძელდება. ბურთი კვლავ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე ტრიალებს. აქ გოლოდეცი და ხოჭოლავა შეიბნენ და უეცრად... ორივე მიწაზე აღმოჩნდა.

სასტვენის ხმამ თამაში შეაჩერა.

რა მოხდა?

ესაჯი დიხაკად უახლოვდება „პენალტის“ ნიშნულს—თერთმეტ-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა თბილისის „დინამოს“ კარში!

და მაშინ ყველანი განზე გადგნენ და უკრაინელთა თავდამსხმელი გოლოდეცი და ქართველთა მეკარე კოტრიკაძე ერთმანეთის პირისპირ დატოვეს.

და როცა მძიმე ლოდივით ჩამოწოლილი სიჩუმე მსაჯის სახტეენმა გაკვეთა, ქართველთა მეკარემ კამარა შეკრა და დაბლა კუთხეში მიმავალი ბურთი რიღაც სასწაულებრივად აიღო.

მსაჯი სახტად ფარჩა.

კოვეელები დარბნენ.

თბილისელები ყირაზე გადადიან სიხარულით, ეხვევიან, კოცნიან თავიანთ მეკარეს, წარმატებას ულოცავენ.

ტრიბუნები კი გრგვინავენ. ჩამონგრევას ლამობენ:

— კოტ...რი...კა...ძე!.. კოტ...რი...კა...ძე!.. კოტ...რი...კა...ძე.. — სამოცი ათასი კაცის ხმაშეწყობილი ძახილი სტადიონის კედლებს სცილდება და სადღაც, შორს, ღამის ბინდში იკარგება.

თამაში გრძელდება. მეკარის გმირობით გამხნევებულმა ქართველმა ბიჭებმა ბურთი გაახურეს და კიეველთა საჯარიმო მოედანს გრიგალმა გადაუარა.

მალე თენგიზ მელაშვილმა შელეწა კიეველთა დაცვის ზღუდენი, მერე კი ისევ მასპინძლებმა თმძლავრეს და ანგარიშიც ერთიორად გვისწორეს.

და როცა ჩვენები ასპარეზობას 1:2-ზე აგებდნენ, კიეველთა ერთ-ერთი მწვავე იერიშის დროს მსაჯი ლუკიანოვი შეორედ ნიშნავს თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას.

თავი კელარ გამოყო შერცხვენილმა გოლოდეცმა. სერგო კოტრიკაძესთან ორთაბრძოლა ამჯერად გრამატიკოპულმა იკისრა.

და მაშინ ყველანი განზე გადგნენ და უკრაინელთა გარემარბი და ქართველთა მეკარე ერთმანეთის პირისპირ დატოვეს.

და როცა მძიმე ლოდივით ჩამოწოლილი სიჩუმე მსაჯის სასტვენმა გაკვეთა, გრამატიკოპულის ნაფეხარი ბურთი ტყვიასავით გაფრინდა მარცხენა დაბლა კუთხეში.

სერგო კოტრიკაძემ კვლავ მოაჩდინა სასწაული — ეს „პენალტიც“ აიღო.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდება ახლა ტრიბუნებზე.

ჩემს გვერდით მჯდარ კიეველ სპორტულ ჟურნალისტს აღტაცებით აღმოხდა:

— ტრუსევიჩის გამოსვლების შემდეგ ჩვენი სტადიონის ტრიბუნებს ასეთი აღფრთოვანება არ ახსოვთ!

და კიდევ (ესეც მისი სიტყვებია):

— სერგო კოტრიკაძემ დღეს კიევის სტადიონზე ნამდვილი გადატრიალება მოახდინა, ეს, მართლაც, განსაცვიფრებელი სპორტსმენია, ჭეშმარიტი ვირტუოზია!

— განსაცვიფრებელი სპორტსმენია, ჭეშმარიტი ვირტუოზია! — თითქოს ეს სამოცი ათასი კიეველიც იმეორებს ამ სიტყვებს და თბილისის „დინამოს" მეკარეს სასოებით მისჩერებია ტრიბუნებიდან.

70—90-ე წუთები — თბილისელთა ნახევარმცველი შოთა იამანიძე გულდაგულ შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და რისხვა დაატეხა კიეველ მცველებს. ანგარიში გათანაბრდა — 2:2. ამ უკანასკნელი ოცი წუთის მანძილზე ჩვენები განუწყვეტლივ უტევენ. მასპინძლები „ურუ" დაცვაზე გადადიან. დრო ამოიწურა. საბრძოლო ფრე.

* * *

დაკარიელდნენ ტრიბუნები.

პროექტორებმა ბრიალა თვალები დახუჭეს.

სარბიელი, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ გააფთრებული ბრძოლა იყო გაჩაღებული, სიბნელემ მოიცვა.

გულშემატკივართა დიდ ჯგუფთან ერთად მოგვიანებით ვტოვებ სტადიონს.

ჩემს გვერდით ხანშიშესული, დარბაისელი მოქალაქე მოაბიჯებს. ყურადღებით მათვალიერებს, მერე უცებ მეკითხება:

— თბილისელი ხართ?

— დიახ, სპეციალურად მატჩის სანახავად ჩამოვედი.

კიეველმა მოქალაქემ ძველი ნაცნობ-მეგობარივით მომხვია ხელი, თან დაცარიელებულ, ბნელში გახვეულ ტრიბუნებს გადახედა და თქვა:

— დღეს თქვენმა შესანიშნავმა მეკარემ ფრთები შეისხა და თავისი ელვარე თამაშით კიევის სტადიონის ნახევრად ჩაბნელებული ტრიბუნები გაანათა.

კიევი. 30. VIII. 1959 წ.

# ფეხბურთის მესაიდუმლე

მაგიდას ორნი უსხედან.
ერთი — შუახნის თმადათოვლილი კაცი,
მეორე...
მე,
ამ სტრიქონების ავტორი.

მაგიდაზე სუფრაა გაშლილი. მალიმალ წკარუნობენ ჭიქები, სადღეგრძელოები ქართული თადარიგით ცვლიან ერთმანეთს.

დრომ და კახურმა თავისი გაიტანეს — გულთბილი, მაგრამ მაინც ოფიციალური ლაპარაკი თანდათან მეგობრულმა საუბარმა შეცვალა. ხელგაშლილი მასპინძელი ენატკბილი მოუბარიც გამოდგა. სასიამოვნო ქართულით მეტყველებს. ალაგ-ალაგ თითოოროლა რუსულ სიტყვასაც გაურევს წმინდა რუსული აქცენტით. დინჯად მომითხრობს ახალგაზრდობის იმ შორეულ მზიან დღეებზე, როცა გულში ცეცხლი ენთო და მუხლებში ქარი ედგა. მე მთელი ჩემი გულისყურით მასთან ვარ და ასე მგონია, ანდრო ჟორდანიას ცხოვრების წიგნის უხილავი ფურცლების შრიალსაც ვისმენ ამ საოცრად გულითადი მასპინძლობით გამთბარ ოთახში.

თბილისი,
ივანოვო,
მოსკოვი,
ლენინგრადი...

სადაც არ უნდა ყოფილიყო, ჩვენი ქვეყნის რომელი ქალაქის სპორტული ღირსებაც არ უნდა დაეცვა, საკავშირო პირველობისა თუ საერთაშორისო შეხვედრებში, — ანდრო ჟორდანია საბჭოთა სპორტსმენის მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

საქართველოში ფეხბურთის ერთ-ერთი ფუძემდებლის, თბილისის „დინამოს“ გუნდის ერთ-ერთი დამაარსებლის, წარსულში

მაღალტექნიკური მცკელის ანდრო ჟორდანიას სახელი ვანუყოფელია სამამულო ფეხბურთის თვალსაჩინო წარმატებებისაგან 1925—1935 წლებში.

1938 წლიდან ანდრო ჟორდანია სამწვრთნელო სამუშაოზე გადავიდა, ოცია წლების მანძილზე შეძენილი მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის გადაეცა.

ნიჭიერ, შრომისმოყვარე კაცს არც ამ საქმეში უძტყუნა ბედმა.

თხუთმეტი წელიწადია ანდრო ჟორდანია საქართველოს ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდებს წვრთნის. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა კოლექტივებმა თბილისის „დინამომ" და „სპარტაკმა", ქუთაისის „ტორპედომ" არაერთგზის მიიღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს როგორც საკავშირო პირველობაზე, ისე საერთაშორისო შეხვედრებში.

ფეხბურთის სამყაროში ხშირად ამბობენ: ანდრომ მოთამაშეთა პოკნა იცისო.

ასეც არის.

თხუთმეტი წლის განმავლობაში ანდრო ჟორდანიამ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებული მრავალი ჭაბუკი აღმოაჩინა და ქართულ ფეხბურთს არა ერთი და ორი ოსტატი თუ დიდოსტატი აღუზარდა.

ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი ანთაძე.. ანდრო ზაზიოევი, სპარტაკ ჯეჯელავა, ნიაზ ძიაშვილი, ვალერი სანაია, ვლადიმერ შარლანია, რევაზ მახარაძე, მიხეილ პირველი, კარლო გაგნიძე, ავთანდილ პაიჭაძე, ალექსანდრე კოტრიკაძე, ანატოლ ნორაკიძე, ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე და კიდევ მრავალი სხვა — ანდრო ჟორდანიას გამჭრიახი თვალით ნაპოვნნი და მისივე მადლიანი ხელით დაზრდილ-დავაკაცებულნი არიან.

და, ბოლოს, ქართველ სპორტის მოყვარულთათვის დაუვიწყარი 1959 წელი, — ქართული ფეხბურთის მეორედ დაბადების წელი, თბილისის „დინამოს" „მკვდრეთით აღდგომის" წელი, — შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ ანდრო ჟორდანიას სახელის გარეშე.

... თითქოს ღრუბლებიდან გამომაფხიზლა ჭიქების წკარუნმა. ბაკვირკებით ვათვალიერებ ოთახს.

მასპინძელს ღვინით სავსე ჭიქა უჭირავს ხელში და ღიმილით შემომცქერის.

— სიტყვა გამიგრძელდა. ალბათ, თავი შეგაბეზრეთ, — მეუბნება და ცარიელ ჭიქას ქინძმარაულით მივსებს.

ამ ენატკბილ კაცს, მზად კარ, დილამდე ვუსმენო, მაგრამ...

მაჯის საათს დავხედე:

ისრები გაერთიანებულან და ღამის თორმეტზე დამსხდარან.

უჰ, რა დრო გასულა!

აი, რას ნიშნავს ფეხბურთზე საუბარი და ისიც ძვირფას, საყვარელ ადამიანთან.

მასპინძელმა ჭიქა ჭიქაზე მომიფარეხა და მორიგი სადღეგრძელო დაიწყო.

აღარ ვაცალე — სიტყვა ვთხოვე.

არ დამითმო.

გავჯიუტდი:

არავითარ შემთხვევაში, დრომ მოიტანა და ახლა სიტყვა შე მეკუთვნის-მეთქი.

— რა გაეწყობა, — აღარ გამიტეხა ხათრი მასპინძელმა.

— თქვენი და თქვენი ბიჭების გამარჯვებისა იყოს, ბატონო ანდრო.

— იცოცხლეთ, — თავისებური სიდინჯით მიპასუხა, — ვეცდებით, არც მომავალში გიმტყუნოთ გულშემატკივრებს.

გულითადად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

კიბის საფეხურები ბოლომდე არ მქონდა ჩავლილი, რომ ჩემი მასპინძლის ხმა მომესმა ზევიდან:

— დღიური... დღიური რომ დაგავიწყდათ?!

მართლა, დღიური! მწვრთნელის დღიური, სადაც სისტემატური დაკვირვების შედეგად გამოთქმულია მოსაზრებანი გუნდის ამა თუ იმ წევრზე, მათს ტექნიკურ-ტაქტიკურ თავისებურებათა განვითარებაზე, კოლექტივის საერთო პერსპექტივებსა და ბევრ სხვა ისეთ „წვრილმანზე", რომლებსაც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ძალზე იშვიათად შეხვდება გულშემატკივარი.

ძველი ფეხბურთელი ამას წინათ შემპირდა, გაჩვენებო.

საოცარია, დღეს მთელი საღამო მასთან საუბარში გავატარე, რაღაზე არ ვილაპარაკეთ, — დღიური კი არც გაგვხსენებია.

მოებრუნდი.

მასპინძელმა წიგნებით სავსე კარადიდან ტყავისყდიანი რვეული გადმოიღო..

სულმოუთქმელად გადავიკითხე.

რამდენი რამ გავიგე დინამოელ ბიჭებზე, რამდენი რამ გახდა ნათელი და გასაგები ჩემთვის. დავრწმუნდი, ჩვენ. გულშემატკივრები, ხშირად არაობიექტური, ხოლო ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრი მსაჯულები ვართ ცალკეული მოთამაშის მიმართ — ვერ ვამჩნევთ ზოგიერთი ფეხბურთელის ფარულ ნიჭს, ან. პირიქით. ალტაცებაში მოვყავართ შედარებით მდარე მოთამაშის იაფფასიან ილეთებს. ფეხბურთელის ობიექტური, ზუსტი შეფასების, მასში თვალით უხილავი მონაცემების დანახვის უნარით თვით მწვრთნელების მხოლოდ მცირე ნაწილი დაუჯილდოებია ბუნებას და ჩვენს წინაშე მდებარე დღიურის ფურცლები კიდევ ერთხელ მარწმუნებენ, რომ მათს რიცხვს ანდრო ჟორდანიაც ეკუთვნის.

დღიურის ზოგიერთი სტრიქონი ერთგვარი წინასწარმეტყველებითაც სუნთქავს, რაც მწვრთნელის ღრმა ანალიზიდან გამომდინარეობს და რეალურ საფუძველს მოკლებული როდია. აქ, მაგალითად, თქმულია იმის შესახებ, თუ ოსტატობის რა დონეს მიაღწევენ სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი და სხვები. რამდენიმე წლის შემდეგ, ლაპარაკია თვითეული მათგანის პერსპექტივაზე.

ჯობს, თავად ავტორს დავუგდოთ ყური. მწვრთნელი წერს:

„ჩოხელი, იამანიძე და მესხი თანამედროვე ფეხბურთში“...

მაგრამ...

მაგრამ მაპატიეთ...

მეტს ვერაფერს მოგახსენებთ...

საქმე ის არის, რომ ბატონმა ანდრომ ჩოხოვა, რასაც მის დღიურში წავიკითხავდი, საქვეყნოდ არ გამეხმაურებინა. საღამოლოდ შემენახა. მეც სიტყვა მივეცი. გულშემატკივრის პატიოსანი სიტყვა. ახლა კი, პირველი შემოხვევისთანავე, კინაღამ არ დავარღვიე პირობა.

მწვრთნელი არ ცდება. ახლა დუმილი ჯობს. ტოლთა დოლში ვინ ვის გაასწრებს, დრო გვიჩვენებს. როცა თვითეული ფეხბურთელი თავისი სპორტული ცხოვრების გრძელი მარაგის უკანასკნელ სწორზე გავა, მაშინ გამოჩნდება მჯობის მჯობი, ვინ უფრო

მეტი დიდებით შემოსავს ქართული სპორტის დროშებს, ვინ იქ-ნებიან ჩვენი ფეხბურთის პაიჭაძეები და ღოლობერიძეები. გამო-ჩენილი ქართველი პოეტის თქმისა არ იყოს, „მწვერვალზე გამო-ჩნდება დადაფნული თავები“.

ახალი თაობის დინამოელებზე. ანდრო ჟორდანიას ამ შესანიშ-ნავ მოწაფეებზე, ყველაზე მართალ, პირუთვნელ სიტყვას ქართუ-ლი ფეხბურთის მომავალი მეისტორიენი იტყვიან.

1980 წ.

# დაუფარავი წერილი

პირადად არ ვიცნობ.

მაგრამ...

ვიცი, — სახელგანთქმული სპორტსმენია.

ვიცი, — ჩემი საყვარელი გუნდის უდრეკი მცველია.

ვიცი, — ეს გულქართლი ვაჟკაცი თავდავიწყებით უყვართ გუნდის ბიჭებს.

ვიცი, — ეს ტანადი, მხრებგაშლილი ფეხბურთელი გასაქანს არ აძლევს, ყრუდ „კეტავს“ ყველაზე მრისხანე ცენტრფორვარდებსა და ფეხმალ გარემარბებს.

ისიც ვიცი, — გუნდისათვის უიმედო წუთებში „ღალატობს“ ხოლმე თავის უშუალო „სამსახურებრივ“ მოვალეობას, იჭრება შემტევ თანაგუნდელთა რიგებში და მძლავრი თავურით მოულოდნელი სიხარული მოაქვს გულშემატკივრებისათვის.

ვიცი, — ამ მობურთავედ დაბადებული ბიჭის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თამაშის სტაჟი, სიმაღლე, წონა.

ვიცი ის, რაც ბევრმა იცის.

მაგრამ...

არ ვიცი, — სად დაიბადა, ვინ არიან მისი მშობლები, სად ისწავლა დედაენა.

არ ვიცი, — სად ან როდის აიტანა ბურთის ტრფიალმა.

ისიც არ ვიცი, — მოზარდთა რომელ გუნდში აიდგა ფეხი, ვინ შენიშნა მასში დიდოსტატის ფარული ნიჭი, ვინ მისცა სანუკვარი „საგზური“ დიდი ფეხბურთის მოედნებისაკენ.

არ ვიცი კიდევ ბევრი რამ სხვა, რაც საშუალებას მომცემდა, დალაგებით მეთქვა მასზე ორიოდე სიტყვა.

ჰოდა, არ ვიცი, როგორ დავწერო... საიდან დავიწყო... რით დავამთავრო...

საქმემ მოიტანა და მასთან შეხვედრა გადავწყვიტე.

სახლის კარი დაკეტილი დამხვდა — ქალაქიდან წასულიყო.

შინ ხელცარიელი დავბრუნდი.

დიდხანს ვუჯექი საწერ მაგიდას და უაზროდ დავცქეროდი დაუწერელ ქაღალდს.

ეთერში დაღვრილი ხმა შეუმჩნევლად შემოიჭრა ფიქრში.

სმენად ვიქეცი.

დიქტორი ამბობდა:

— დღეს მოსკოვიდან საფრანგეთში ევროპის პირველობის დასკვნითს ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ჩვიდმეტი კაცის შემადგენლობით“...

დიქტორმა ნაცნობი გვარები ჩამოთვალა. ახსენა მისი გვარიც.

მეორე დღეს იმავე დიქტორმა რადიომსმენელებს აცნობა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები მარსელს ჩაკიდნენ და მატჩის წინ უკანასკნელი ვარჯიში გამართეს.

დიქტორმა აგრეთვე თქვა:

— ნახევარფინალურ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელებთან საბჭოთა ნაკრები ითამაშებს ასეთი შემადგენლობით: მეკარე...

თერთმეტი ნაცნობი გვარი. მათს შორის მისი გვარიც.

რამდენიმე დღის შემდეგ, შუაღამისას, ჩემი ბინის მყუდროება ფეხბურთის მარშის ცეცხლოვანმა ჰანგებმა დაარღვია. სულგანაბული ვიჯექი რადიომიმღებთან და სპორტული კომენტატორის ნიკოლოზ ოზეროვის მღელვარე ხმას ვისმენდი. მიხაროდა, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს სპორტულ ღირსებას სხვა გამოჩენილ ოსტატებთან ერთად ჩემი ორი ახალგაზრდა თანამემამულე იცავდა. ისინი მინდვრის ორ სრულიად საწინააღმდეგო მხარეს თამაშობდნენ. ორივე იბრძოდა ისე, როგორც საქართველოს შვილებს შეეფერით. ერთი, ელვასავით თვალშეუვლები, — გააფთრებით უტევდა და დაუღალავად ირღვევდა დაცვის რგოლებს. მეორე — იდგა კლდესავით უდრეკი, ზღაპრულ ციხესავით შეუვალი. ოვი ბედგრად იცავდა ყარის მისასულელებს და მეტოქეებს ურყევი სიმტკიცით ერგუნავდა.

მძიმე, დამქანცველი თამაში დამთავრდა. წინ იყო ახალი გადა-

მწყვეტი გამოცდა, — ფინალური მატჩი სწრაფ და ტექნიკურ იუგოსლავიელებთან.

ხოლო როცა ეს დღეც მოვიდა და ინგლისელი მსაჯის ელისის სასტვენმა დაძაბულ ასოცწუთიან ფინალურ ორთაბრძოლას წერტილი დაუსვა, ეთერში საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული მელოდია გაისმა. გუგუნებდა თავისუფლების დიდი ქვეყნის ფრთიანი სიმღერა. დაფდაფებისა და საყვირთა გრგვინვა-ქუხილში ისმოდა ძახილი გამარჯვებისა.

და ამ საზეიმო ხმაურში უეცრად ვხედავ:

დიდების კვარცხლბეკზე თერთმეტი საბჭოთა ვაჟკაცი დგას. მათს შორის ისიც, — ქართველი გოლიათი.

იგი თავის რუს ძმებთან ერთად ჰედავდა ამ გამარჯვებას.

პირადად არ ვიცნობ.

მისი სახელია — გივი,

გვარი — ჩოხელი...

კაცი, რომელზეც წერილი დაუწერელი დამრჩა.

1981 წ.

# „დიდი ერეკვეველები"

## ფოთელი „ვარსკვლავები"

ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში „ზიი", „ტსპო", „ლოკომოტივი", „დინამო", — ეს ოთხი სახელი. ერთთავად პირზე ეკერათ ოთხ „მტრულ" ბანაკად გათიშულ თბილისელ გულშემატკივრებს.

გაზაფხულობითა და შემოდგომობით ქალაქის ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის გამართულ ფიცხელ ტურნირებში უმთავრესად ეს ოთხი გუნდი ეპაექრებოდა ერთმანეთს. ხან ერთი ბანაკი ზეიმობდა, ხან მეორე. მინდვრებზე ფეხბურთელები იბრძოდნენ, ტრიბუნებზე გულშემატკივრები ომობდნენ. ოთხი ერთმანეთის მჯობი გუნდი. ოთხი „შეურიგებელი" ბანაკი — ასეთი იყო თბილისის საფეხბურთო სამყარო მაშინ, როცა, ცხრაას ოცდათხუთმეტი წლის ზაფხულის მიწურულს, დედაქალაქს სწავლის გასაგრძელებლად ეწვევნენ უკვე სახელგანთქმული ფოთელი ფეხბურთელები ბორია პაიჭაძე, ვალოდია ბერძენიშვილი, გრიშა გაგუა, გვაჩი ჯორბენაძე და ინდუსტრიული ინსტიტუტის „ზიის" კარი შეაღეს.

ინსტიტუტის ფეხბურთის მოყვარული დირექცია ხელგაშლილი შეხვდა თავისი სასწავლებლისა და, რაც მთავარია, გუნდის ახალ შევსებას. ფოთელი „ვარსკვლავები" უგამოცდოდ მიიღეს და საერთო-ტექნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ნახევარმა ქალაქმა უზომო სიხარულით შეიტყო, რომ მათს საყვარელ გუნდს პერიფერიიდან სასწავლებლად ჩამოსული ძლიერი ფეხბურთელები შეემატნენ. ჰო, უზომო სიხარულმა შეიპყრო ლამის ნახევარი ქალაქი. ლამის ნახე-

ვარი ქალაქი. რადგან ყველაზე მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი „ზიის“ ჰყავდა:

„ზიი“ და ეს ამდენი სტუდენტობა.

„ზიი“ და მთელი თბილისის ახალგაზრდობა.

„ზიი“ თბილისელების ყველაზე საყვარელი გუნდი იყო.

როცა „ზიი“ იმარჯვებდა, სტადიონზე მტრედებს აფრენდნენ და გაგიჟების წუთები დგებოდა.

„ზიის“ ფეხბურთელები: „ლასტოჩკა“ იური კასრაძე, „სვეჩკა“ მიშა მინაევი, „პარავოზა“ მიშა ბალოტინი, „დუხავიკა“ გერმან კირილოვი, „კრასავიჩკა“ ვალია კოტისი — ქუხდნენ მთელს ქალაქში.

ახლა კი „ზიის“ გულშემატკივრები როგორლაც განსაკუთრებულ, ციებცხელებიან მღელვარებას შეეპყრო, ისინი დღეს დღეზე ითვლიდნენ ქალაქის საშემოდგომო პირველობის დაწყებამდე. როცა მათი საყვარელი გუნდი ახალი „ვარსკვლავებით“ დამშვენებული გამოვიდოდა მოედანზე.

და, ი, დადგა ნანატრი დღე. პირველ ოქტომბერს გაჩაღდა ტრადიციული ტურნირი და „ზიი“ ნახევარდაცვა-თავდასხმის განახლებული ხაზებით მოევლინა მეტოქეებს. გრიშა გაგუასა და გვაჩი ჯორბენაძეს ნახევარდაცვა არგუნეს, ვალოდია ბერძენიშვილი შუამარბად დააყენეს, ბორია პაიჭაძეს ცენტრფორვარდობა მიანდვეს და ოცი წლის ბიჭს თავდასხმის გაძღოლა დააკისრეს.

„ზიიმ“ წაუბორძიკებლად გათელა მინდვრები, ფარ-ხმალი დააყრევინა მეტოქეებს და უძლიერესის სახელი დაიჩემა ქალაქში.

ფოთელი „ვარსკვლავები“ გულშემატკივართა კერპებად იქცნენ:

ბორია ლამის ხელში აყვანილს დაატარებდნენ.

გრიშა, გვაჩი და ვალოდია კი — ლამაზი, ვირტუოზული თამაშისათვის — სამუდამოდ შეიყვარა მომთხოვნმა და ჭირვეულმა თბილისელმა მაყურებელმა.

## მეორედ დაბადება

ცხრაას ოცდათექვსმეტი წლის თებერვლის ერთ ქარბუქიან, გათოშილ დღეს შორეული მოსკოვიდან მოსულმა უეცარმა ცნობამ გამოაღვიძა, ააფორიაქა, დიდებულიანად აშალა „ზამთრის ძილს“ მიცემული თბილისელი გულშემატკივრები.

საღამოს გაზეთებში „მუშასა“ და „ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული იყო მოსკოვიდან ინფორმაცია სათაურით „სიახლე ფეხბურთში“, სადაც ეწერა:

„მიმდინარე საკავშირო შეჯიბრებას საფუძველად დაედება არა ქალაქთა ნაკრები გუნდების შეხვედრები, როგორც ეს წლევანდლამდე ხდებოდა, არამედ სპორტულ საზოგადოებათა კოლექტივების ჩემპიონატი, რაც წრიული სისტემით გაიმართება. პირველობაზე მონაწილე გუნდები, თავიანთი ოსტატობის დონის მიხედვით, დაყოფილ იქნებიან „ა“, „ბ“, „ვ“, „გ“ ჯგუფებად“. დასასრულს გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ამ დიდი მასშტაბის ასპარეზობაზე ქართული ფეხბურთი წარმოდგენილი იქნებოდა „ბ“ ჯგუფის ერთი გუნდით.

რომელი იქნებოდა ეს გუნდი? — ახლა ამაზე ატეხეს დავა-კამათი გულშემატკივრებმა და „ზამთრის ძილი“ საბოლოოდ დაიფრთხეს გაუთავებელი მარჩიელობით, — „ზიი“? „ტსპო“? „ლოკომოტივი?“ „დინამო?“

„დინამო“ — დასასკვნეს საქართველოს ფეხბურთის მესვეურებმა და გულშემატკივართა წილადობილას წერტილი დაუსვეს.

მარტი პირველ დღეებს ითვლიდა, როცა „ზიის“, „ტსპოს“, „ლოკომოტივს“ „ნაღები მოხადეს“ და ვინც იყვნენ იქ მჯობის მჯობნი, „დინამოში“ გადაიყვანეს.

1925 წელს დაარსებული, 1928 წლიდან აღზევებული, 1934 წლიდან დაქვეითებული თბილისის „დინამო“ — ისევ გასწორდა ნელში და 1936 წლის იმ დაუვიწყარ გაზაფხულზე მეორედ დაიბადა.

## „თერთმეტი უცნობი“

როცა გაზეთმა „კრასნი სპორტმა“ „ბ“ ჯგუფის შეჯიბრების დაწყების წინ გამოაცხადა მკითხველთა კონკურსი, — ვინ გადავაო „ა“ ჯგუფში, — თბილისის დინამოელებს, ანუ, როგორც მაშინ მათ უწოდებდნენ, „თერთმეტ უცნობს“, მხოლოდ ორიოდე კაცმა შეაწია ხმა.

„წინასწარმეტყველნი“ სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. „თერთმეტმა უცნობმა“ სეზონის № 1 სიურპრიზი. მიართეა გულ-

შემატკივრებს — დაუმარცხებლად იბრძოლეს, ყველას აჯობეს, ცხოამბეტი ბურთი გაიტანეს, ოთხი გოლი მიიღეს, ნაცადი ლენინგრადელები კარგა უკან მოიტოვეს, ნაქებ მოსკოველებს ოთხი ქულით გაუსწრეს, „ა“ ჯგუფში გადასვლის საოცნებო საგზური მოიპოვეს და თბილისის „დინამომ“ ერთბაშად დაიქუხა მთელს კავშირში.

როცა გაზეთმა „კრასნი სპორტმა“ იმავე წლის ზაფხულში, საბჭოთა კავშირის თასისათვის ასპარეზობის დაწყების წინ, გამოაცხადა მკითხველთა კონკურსი, — რომელი გუნდები გავლენო ფინალში, — ჩვენი „დინამოს“ წარმატება „საგაზაფხულო გაუგებრობად“ მიიჩნიეს, თბილისელები აინუნშიც არ ჩააგდეს და ერთი ხმა რა იყო, იმათთვის ისიც არავინ გაიმეტა სამადლოდ.

„წინასწარმეტყველნი“ მეორედ მოტყუვდნენ ანგარიშში. „თერთმეტმა უცნობმა“ სეზონის № 2 სიურპრიზი მიართვა გულშემატკივრებს — უსახელონი სახელოვანთ შეუდრეკლად შეებნენ, ფინალური სარბიელისაკენ მიმავალი მოლიპული გზა გაბედულად გაიკვალეს, „გამოვარდნის“ ულმობელ წესს გაუძლეს, მათთვის დაგებულ მახეში სხვა გააბეს, ძნელად სავალ საცალფეხოზე გავიდნენ და მეოთხედფინალის საბედისწერო გზაჯვარედინზე საშიშ მეტოქეს შეეყარნენ.

თბილისის „დინამოს“ წინაშე მთელი თავისი მრისხანებით იდგა დიდ ბრძოლებში ნაწრთობი „სპარტაკი“.

მოსკოვის „სპარტაკი!“

თბილისელებს წირვას გამოუყვანსო „სპარტაკი“, — იცინოდნენ გამარჯვებებით განებივრებული მოსკოველი გულშემატკივრები და სეირის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ.

«Это будет не матч достойных, а просто напросто «избиение младенцев», — დარწმუნებული იყო მთელი მოსკოვი.

და „წინასწარმეტყველნი“ მესამედ მოტყუვდნენ ანგარიშში.

## „საუკუნის მატჩი“

ამ მატჩზე ბევრი თქმულა, ბევრი იწერება და, ალბათ, მომავალშიც ბევრს იტყვიან. არც არის გასაკვირი. ეს იყო დაუვიწყარი ორთაბრძოლა.

უჯიათი შეუპოვრობით იბრძოლეს. ახალბედა დინამოელებმა, ოლად არ დათმეს თავი გამოცდილმა სპარტაკელებმაც. შერკინებაში ორი დღე დაელოდეს, ეს ოთხმოცი წუთი დალიეს, მაგრამ ქვრაც ვერ უყვეს ერთმანეთს.

პირველ დღეს — ჯერ „სპარტაკს“ მიჰყავდა 3:1, მერე თბილისელებმა ივარგეს, გახდა 3:3. და ბინდმა ბოლოს მოსპარეზენი.

მეორე დღეს — ყველაფერი განმეორდა. ბოლოდ ჯერ ჩვენებს მიჰყავდათ 3:1. მერე სპარტაკელებმა იღონეს, ისევ გახდა 3:3, და ბოლოს სასტვენმა „გაიშველა მოჩხუბარნი“.

ორჯერ იყო 3:1, ორჯერვე გახდა 3:3, ხან ერთი გავიდა წინ, ხან მეორე დაწინაურდა, არც ერთი გატყდა და არც მეორე.

ეს იყო დაუვიწყარი ორთაბრძოლა.

და როცა სათასო ასპარეზობის ულმობელმა ოლიმპიურმა კანონმა დამატებითი ოცდაათი წუთი მოითხოვა. სათამაშოდ და ნაბრძოლ-ნაიმარი ფეხბურთელები კელავ მოიხმო მინდორზე, — „თერთმეტმა უცნობმა“ სასწაული მოახდინა და სპარტაკელთა კარის ბადე სამჯერ ზედიზედ შეარხია.

6 : 3! — ამ ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ეს იყო გაუტეხელ მეტოქეთა დაუვიწყარი ორთაბრძოლა, ადამიანის მოურეველი სიმძლავრის, ტოლდაუდები მხნეობის, დაულეველი სიჩაუქისა და გონებამახვილური ილათიანობის გასაოცარი სანახაობა.

## „საუკუნის მატჩის“ ეკო

თბილისის „დინამომ“, მართალია, თასის მოპოვება ვერ შეძლო, მაგრამ ამ ახალგაზრდული გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებამ მოსკოვის „სპარტაკის“ უკვე სახელმოხვეჭილ კოლექტივზე და შემდგომ ფინალში გასვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

თვალი გადავავლოთ იმ დღეების ჟურნალ-გაზეთებს:

„ყოფილი „ზიელების“ ბორის პაიჭაძის, გრიგოლ გაგუას, ვლადიმერ ჯორბენაძის, ვლადიმერ ბერძენიშვილისა და სხვათა გადასვლამ „დინამოში“, საქართველოს დედაქალაქის ეს უძველესი ფეხბურთელთა გუნდი აღორძინა და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კოლექტივთა რიგებში ჩააყენა“, — წერდა ქართული პრესა.

„თბილისის „დინამოს“ სახით საბჭოთა ფეხბურთმა საიმედო ძალა შეიძინა“, — წერდნენ ლენინგრადელი ჟურნალისტები.

„210-წუთიანი მეოთხედფინალური მატჩი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ეს იყო რაღაც განუმეორებელი, განსაცვიფრებელი, ფენომენური ფეხბურთი, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს მოსკოვს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ იხილავს“, — წერდა ჟურნალი „ოგონიოკი“.

„როცა ქართველი ფეხბურთელები მოედანზე გამოდიოდნენ, ისინი მოსკოველი მაყურებლებისათვის წარმოადგენდნენ „თერთმეტ უცნობს“. როცა ქართველი ფეხბურთელები ტოვებდნენ მოედანს, ისინი 80 ათასი კაცისათვის წარმოადგენდნენ „თერთმეტ საოცრებას“, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოუდგენლად ძნელია“, — წერდა „კრასნი სპორტი“.

აღნიშნავდნენ ცალკეულ მოთამაშეებსაც: მეკარეებს ალექსანდრე დოროხოვსა და ნიკოლოზ სალონინს, მცველებს შოთა შავგულიძესა და ედუარდ ნიკოლაიშვილს, ნახევარმცველებს ვლადიმერ ჯორბენაძესა და ნიკოლოზ ანიკინს, თავდამსხმელებს მიხეილ ბერძენიშვილსა და მიხეილ ასლამაზოვს. აღნიშნავდნენ მათს კარგ ფიზიკურ მომზადებასა და ტექნიკას.

განსაკუთრებული ქება-დიდება წილად ხვდა თბილისის „დინამოს“ ცენტრფორვარდს:

„თბილისელთა თავდასხმას ხელმძღვანელობს დაუღალავი და საშიში პაიჭაძე. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ფორვარდებს შორის არც ერთს არ შეუძლია, ისე მოხერხებულად და სწრაფად დაამუშაოს ბურთი, როგორც პაიჭაძეს. ისე იოლად მოატყუოს თავისი დარაჯი. ბურთი ისე „მოქრილად“ დაარტყას. კარში, როგორც ეს შეუძლია პაიჭაძეს. ამაზე მეტყველებენ ის ბურთები, რომლებიც ყუმბარებივით გაგზავნა მოსკოველთა. კარის ბადეში პაიჭაძემ“.

## დიდი ნათლობა

გაზაფხულზე დანთებული და შუა ზაფხულში აგიზგიზებული ცეცხლი ქართველმა ფეხბურთელებმა არც შემოდგომაზე გაანელეს. თასის ყიბმათმა რომ უმტყუნათ, მოსვენება დაკარგეს, ახლა ჩემპიონობა აიჩემეს და პირველობას დაუმიზნეს.

თითო-ორორლ: ურწმუნომ მაინც გამოყო ფეხი, მაგათ თასი ხომ არ ეგონიათ პირველობა, ჩაფლავდებიანო.

მაგრამ კვეხნით არ მოსდიოდათ დინამოელებს და ნაცარქექაობით — გულიც ჰქონდათ საგულეში, მუხლიც ჰქონდათ სამუხლეში, თავიც ჰქონდათ ქედილისა. „აწყვეტაზე" იყო გუნდი:

შურკა დოროხოვს თვალი ჰქონდა ელვაზე უმალესი,

შოთა შავგულიძე კაცს ძვირად გაეშვანებდა საჯარიმოზე,

გრიშა გაგუა და გვაჩი ჯორბენაძე ძნელად დათმობდნენ შუა მოედანს,

წინ ჰაიჰაძე ირეოდა თავდაცვა.

ახლა კიდევ სომოვი,

ახლა კიდევ ჰანინი,

ახლა კიდევ ბერძენიშვილი,

ახლა კიდევ...

რა ვიცი, სულ ერთიმეორეზე უკეთესი ბიჭები იყვნენ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო, ისევ წინ ეშმაკიც ვეღარ დაუდგებოდა.

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, თეთრი კბილი და შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდა:

დაჩაგრეს მოსკოველები,

დაიბრიყვეს კიეველები,

გააცურეს ფალავანთა ფალაენები,

წაახდინეს მჯობთა მჯობნი

და როცა საჩემპიონო კვარცხლბეკზე ცალი ფეხი უკვე შედგეს, ეეცრად...

აუტკივარი თავი აიტკივეს. ლენინგრადის მაჩანჩალა „კრასნაია ზარიასთან" წაავეს (!), პირველობის მაძიებლებმა მესამე ადგილი იკმარეს და თითქოს განაღდებულ ჩემპიონის ტიტულს ჩაილურის წყალი დაალევინეს.

ორც ოცდაჩვიდმეტში შეირცხვინეს პირი:

თასის ფინალი მეორედ დალაშქრეს და წამყვან ხუთეულში მოიკიდეს ფეხი.

ოო, ძაან დრო იყო!

„თბილისის „დინამო!"

„დოროხოვი!"

„შავგულიძე!"

„გაგუა!“
„ჯორბენაძე!“
და
„პაიჭაძე!“
„პაიჭაძე!“
„პაიჭაძე!“
-ლა ისმოდა სტადიონებზე.

იმათი შნო და ლაზათი ურწმუნოებმაც ირწმუნეს. იმათი ძალა-ილათი საქვეყნოდ აღიარეს. ქართველი ფეხბურთელები მსოფლიო „ვარსკვლავებს“ ადარეს. სამხრეთ-ამერიკელ „ჯადოქრებს“ ამსგავსეს და „დიდ ურუგვაელებად“ მონათლეს.

## გაიოზ ჯეჯელავა

თუ ოცდათექვსმეტში ის დაუვიწყარი პირველი გამარჯვებანი შავგულიძეებისა და პაიჭაძეების წყებამ გაჭედა. ოცდაჩვიდმეტში მოპოვებულ წარმატებებში ახალმოსულთა ბედნიერი ფეხიც ერია.

ძველებს ახლები შეეწივნენ და „დინამომ“ მხრები გაშალა, ჯანში იმატა.

მთიანი სვანეთიდან მოფრინდა თვალიკით სწრაფი თენგიზ გავაშელი,

ზღვისპირეთიდან შეკრა ქამარა ალიოშა ტყებუჩავამ,

„ლოკომოტივიდან“ „გადმობარგდა“ გაიოზ ჯეჯელავა.

გაიოზ ჯეჯელავა...

საფეხბურთო მინდვრების ამოუცნობი საიდუმლოება და ქართველი კაცის ილათიანობის ლაშაზი ლეგენდა...

გაიოზმა გარემარბობა დაიჩემა. ბარჯვენა ფრთა აირჩია, ჯერ გაუბედავი ნაბიჯები გადადგა. მერე უცებ თავი აიწყვიტა. ბურთი დაიყოლია, ხალხი აიყოლია. ტრიბუნები დასაბმელი გახადა და ბორის პაიჭაძეს ძმასავით ამოუდგა მხარში.

არა, არ არის შემთხვევითი:

პაიჭაძეს გავიხსენებთ და ჯეჯელავაც მოგვაგონდება...

ბორის პაიჭაძესთან ერთად გაიოზ ჯეჯელავამ ქართული სიკისკასისა და სიჩაუქის ყველაზე წარმტაცი სიმღერა თქვა.

ძველი წყობა დაიწუნეს, ინგლისური შეითვისეს, თავიანთიც დაუმატეს, საბრძოლო გაშლა შეცვალეს და ფეხბურთში გადატრიალება მოახდინეს.

ცენტრალური ნახევარმცველი დაცვაში გადაისროლეს, შუა მინდორზე ორი ნახევარმცველი იკმარეს, შუამარბები ოდნავ უკან დასწიეს, რიგები შეამჭიდროვეს, რგოლები შეადულაბეს. დაცვა გააძლიერეს, შეტევა გაიიოლეს, თავისი კარი საიმედოდ ჩაკეტეს, სხვისი იოლად ასაღები გახადეს. მოთამაშეთა განლაგება ორ „ვ"-ს დაამგვანეს, გუნდის ბედი თერთმეტ ჯადოქარს მიანდვეს და ძველ ფეხბურთს ომი გამოუცხადეს.

ახალი „იარაღი" ჯერ შინაურებთან სცადეს. შეერკინნენ კასტილიელებსა და კატალონიელებს, ასტურიელებსა და ვალენსიელებს. ნავარელებსა და არაგონიელებს, მადრიდელებსა და ბარსელონელებს და მთელს ესპანეთში ტოლი ვერ იპოვეს.

რაკი ახალმა „იარაღმა" არ უმტყუნათ. ახლა გარეთ გაიხედეს, ევროპა მოიარეს, ყველა დააჩოქეს, ფეხბურთის სამყარო ფეხბურთის უნახავი გახადეს და ამოდენა ქვეყანაზე მეხივით გავარდა:

— ბასკები!

ოცდაჩვიდმეტის შუა ზაფხულში, როცა ზარბაზნები აღვიძებდნენ ანდალუზიის ღამეებს, როცა ცეცხლი წვავდა მურსიის ჰორიზონტს, როცა ზეცა დასტიროდა გრენადის მთა-გორებს, როცა სანგრები ღობავდნენ ველს ესტრემადურის, როცა ყუმბარებს უშენდნენ მადრიდის კარიბჭეს, როცა ინვრეოდა ვალიადოლიდი, როცა სახრჩობელებს დგამდნენ ბადახოსში, როცა ბორკილებს ჭედავდნენ სარაგოსში, როცა სიმღერით კვდებოდნენ მონსორესში, როცა ბარიკადებზე დაჭროდა დოლორესი და ბრძოლაში უხმობდა ესპანეთს, — ქორბუდა ბასკეთის არწივები ჩვენს ქვეყანაშიც მოფრინდნენ, გამარჯვებებით მოიარეს საბჭოეთი, მერე თბილისსაც ესტუმრნენ და შეზრიალდა საქართველო:

— ბასკები!

ოცდაოთხ ივლისს მთელი თბილისი შესახლდა სტადიონზე. რამდენიც იჯდა, ერთი იმდენი ფეხზე იდგა. ბასკების ეშხით ისეთებიც მოვიდნენ თამაშზე, — ფეხი რომ არ შემოედგათ სტადიონზე თავის სიცოცხლეში, ფეხბურთი კოჭის გაგორება ეგონათ

და, რაღა ჭმა უნდა, „ინსაიდი“ ვერ გაერჩიათ „ოფსაიდისაგან“.

ოცდათი ათასი მაყურებელი სტუმრების უბადლო ოსტატობის მოწმე გახდა.

ბლასკომ „ცხრიანები“ ჩამოხსნა,

ლანგარამ მოედანი მოქარგა,

სილაურენმა და გოროსტიცამ, თავურების კონცერტი გამართეს

და

ავ-კარგის მცოდნე თბილისელმა გულშემატკივრებმა სიმუდამოდ ალიბეჭდეს მეხსიერებაში ბასკების ცეცხლოვანი თამაში.

მართალია, „მშრალზე“ დამარცხდნენ (0:2), დინამოელები ბასკების ღირსეული მეტოქენი იყვნენ მატჩის უკანასკნელ წამამდე.

მეორე დღეს გაზეთი „ფიზკულტურელი“ წერდა:

„ნამდვილი ოსტატური თამაში გვიჩვენეს — მეკარე ბ. დოროხოვმა, მცველმა შ. შავგულიძემ, ნახევარმცველმა გ. ჯორბენაძემ, თავდამსხმელებმა თ. გავაშელმა და ბ. პაიჭაძემ. ამ მატჩში უკანასკნელის განსაკუთრებით კარგი თამაში იმის მაჩვენებელია, რომ ის ყალიბდება ბრწყინვალე მოთამაშედ“.

ბასკების ცენტრალურმა მცველმა ეჩიბარიამ განაცხადა:

„მრავალი ქვეყანა მომივლია, ევროპისა და სამხრეთ-ამერიკის უძლიერეს გუნდებთან მითამაშია, ერთმანეთის უმჯობეს ცენტრ-ფორვარდებს შევრკინებივარ, მაგრამ პაიჭაძის მსგავსი არაფერი მინახავს. ეს არის ფიზიკურად ძლიერი, გასაოცარი სისწრაფით, არაჩვეულებრივი ტექნიკური ილეთებით და, რაც მთავარია, მეტად ორიგინალური დრიბლინგით აღჭურვილი ფეხბურთელი. და თუ პაიჭაძის მრავალრიცხოვანი გარღვევები გოლით არ დაგვირგვინდა, ამაში „დანაშაული“ მხოლოდ მეკარე ბლასკოს მიუძღვის“.

მატჩის შემდეგ გამარჯვებული ბასკები ქალაქის თავზე აიყვანეს და ცაში დაკიდებულ სასახლეში დიდი ნადიმი გაუმართეს ძვირფას სტუმრებს.

პირველი სადღეგრძელო — ქვეყნად ხალხთა ძმობისა თქვა.

მეორე სადღეგრძელო — ესპანეთში რესპუბლიკელთა მალე გამარჯვებისა შეისვა.

მესამე სადღეგრძელო — სტუმრებმა მოითხოვეს. ფეხზე წამოდგნენ, თასები მაღლა შემართეს ბასკებმა და თავიანთი გულისნადები გუნდის თავკაცს ეჩიბარიას ათქმევინეს:

„ჩვენ გვინდა, დღეგრძელობა ვუსურვოთ დიდი საბჭოეთის ამ

პატარა კუთხეს. ამ მზით სავსე ქვეყანას. მიწით მცირე, მაკრამ დიდი წარსულის მქონე მშვენიერ საქართველოს, მამაც და ნიჭიერ ქართველ ხალხს, რომელმაც თავისი გმირი შვილების წყალობით საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო და რომელიც დღესაც ზრდის და კვლავაც გაზრდის ისეთ ჩაუქ ვაჟკაცებს, როგორიც არის თუნდაც ჩვენი დღევანდელი მეტოქე მწვანე მოედანზე, ხოლო ჯულითადი მეგობარი აქ. ამ შესანიშნავ ქართულ სუფრაზე, ბორის პაიჭაძე".

## „მოხეტიალე" ცენტრფორვარდი

ოცდათერამეტში ორ „ვ"-ზე გადავიდნენ, ბასკურ ყაიდაზე დაეწყვნენ, დაცვა გაასამკაცეს, ნახევარდაცვა გაორკეცეს. თავდასხმა მისწი-მოსწიეს. მაგრამ უცხო წყობას ალღო ერთბაშად ვერ აუღეს, თითქოს ხელ-ფეხი შეიკრეს. თავისებურად ვერ ინაკარდეს, მუხლი ვერ გაილაღეს, ძველი წყობა დაივიწყეს, ახალი ვერ შეითვისეს და იმ ზაფხულს მაინცადამაინც ვერ იყოჩაღეს ქართველმა ფეხბურთელებმა. და თუმცა ოცდათერამეტშიც კარგა ბევრი გამარჯვება იზეიმეს, დოროხოვი მეკარეთა სამეულში შეიყვანეს, შავგულიძე პირველ მცველად აღიარეს, ბერძენიშვილი „პენალტის" ჯადოქრად მიიჩნიეს, გაგუა და ჯორბენაძე „ვარსკვლავთა" ჩამკეტებად გამოაცხადეს, გავაშელის, ბერეჟნოის, პაიჭაძის სურათებმა გაზეთები ააჭრელეს, — მეექვსე ადგილი მაინც დიდი ვერაფერი შვილი იყო მთელს კავშირში განთქმული „დიდი ურუგვაელებისათვის". ის ზაფხული ხინჯად დარჩათ თბილისელებს: გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს.

ქართული ფეხბურთის მესვეურებს კი საფიქრალი გამოუჩნდათ. საქმე მიხედვას მოითხოვდა, ბრადა, საათივით აწყობილი გუნდი თვალსა და ხელს შუა წაუვიდოდათ.

ძველისაკენ დაბრუნება ხელს არ აძლევდათ, ახლის ათვისებაში ახლის მცოდნე სჭირდებოდათ. დასხდნენ. ითათბირეს. აქეთური თქვეს, იქეთური თქვეს, ახალი მწვრთნელი გადაწყვიტეს, ყოვლისმცოდნე მოიკითხეს, ათი ერთად ურჩიეს, ათივე დაიწუნეს, ბოლოს, ერთი აირჩიეს და რუსეთიდან ბუტუსოვი მოიწვიეს.

ყოჩაღი კაცი გამოდგა ბუტუსოვი — ზამთარი არ იუქმეს, დღე

და ღამე ივარჯიშეს, ორი „ვ“ ხუთი თითივით ისწავლეს, ბასკურ „ოინს“ თბილისურიც დაუმატეს, „ადგილის ცელა“ გამოიგონეს, მეტოქეებს თავსატეხი მოუმზადეს და ახალ სეზონს დიდი გულით შეეგებნენ ქართველი ფეხბურთელები.

გამარჯვებებით დაიწყეს, მოსკოვის გუნდებს თავგზა აუბნიეს, კიეველებს დავთრები აურიეს, დონბასელები ბრინჯივით დააბნიეს, ლენინგრადელები უთაებოლოდ ჯრბენინეს, საფეხბურთო ოლიმპისაკენ ტრიუმფით გასწიეს, მერე უცებ ძველი „ავადმყოფობა“ გაიხსენეს, დაუდევრობა გამოიჩინეს, „სუსტებთან“ ხელჩაქნევით ითამაშეს, აუტკივარი თავი აიტკივეს, ერთი-ორჯერ წაიბორძიკეს, პირველობა ხელიდან გაუშვეს, მერე წელი ისევ გაიმაგრეს, „ცდკას“ წაგებული თამაში მოუგეს და მეორე ადგილი დაისაკუთრეს.

ისე მიიწურა ზაფხული და გახუნდნენ საფეხბურთო მინდვრები, „ადგილის ცელის“ საიდუმლოს ვერავინ მოურგო ჯადოსნური გასაღები. პაიჭაძე, ჯეჯელავა და ხარბედია „ქალათბურთული“ სისწრაფით უცვლიდნენ ადგილებს ერთმანეთს და ფეხბურთის ყველაზე გამჭრიახი სპეციალისტიც ვერ გაიგებდა, ვინ საიდან შეიჭრებოდა გრიგალივით მეტოქეთა გაოგნებულ მცველთა შორის.

რა დიდებული სანახავი იყო მაშინ თბილისელთა ცენტრფორვარდი! ხან ცენტრიდან უტევდა, ხან მარჯვნიდან იწყებდა იერიშს, ხან მარცხნიდან აცხრებოდა არაქათგამოცლილ მეურვეებს და იდგა მინდვრებზე მწვრთნელთა, მცველთა, მეკარეთა შიშნარევი ძახილი:

— ფრთხილად, პაიჭაძე!

„კრასნი სპორტმა“ აღტაცებით სავსე სტრიქონები უძღვნა ქართველ ცენტრფორვარდს:

„საბჭოთა კავშირში არ ყოფილა და არც არის ისეთი „მოხეტიალე“ თავდამსხმელი, როგორიც პაიჭაძეა. მასში თანაბრად არის შერწყმული: მოედნის გასაოცარი ხედვა, პარტნიორის არაჩვეულებრივი შეგრძნება, იშვიათი გამძლეობა, დიდი სისწრაფე, ბრწყინვალე დრიბლინგი და ზუსტი, ძლიერი დარტყმები კარში. და, რაც მთავარია, თავმდაბლობა, კორექტულობა, სპორტსმენის მაღალი კულტურა. ბორის პაიჭაძეს არასდროს მიუღია მსაჯის ნებართვა გაფრთხილება, რომ აღარაფერი ვთქვათ მოედნიდან გა-

ძევებაზე. რაც არცთუ ისე იშვიათია ზოგიერთი ჩვენი „ვარსკვლავისათვის“.

კიდევ ერთი ნიშანი ჰქონდა მებრძოლისა პაიჭაძეს — ბურთს რომ დაეუფლებოდა, მეურვეებთან პირისპირ შებმას კი არ გაურბოდა, არამედ იქით მიისწრაფოდა, საითკენაც მცველთა ყველაზე დიდი თავშეყრა ეგულებოდა და ჯიქური შეტევით ენით აუწერელი არეულობა შეაქონდა ხოლმე მათს რიგებში.

## უგვირგვინო ჩემპიონები

ოცდაცხრამეტი — ორმოცი წლების საფეხბურთო სეზონები ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

ჰო, ოცდაცხრამეტის ამბები ორმოცშიც გაიმეორეს ქართველმა დიდოსტატებმა — გაზაფხულზე „აიწყვიტეს“, ჩემპიონატს უთავეს, მთელ ზაფხულს ილიდერეს, შემოდგომაზე ნაბიჯი აირიეს, ჯერ ვოლგოგრადში იძლივნენ. მერე მოსკოვში დამარცხდნენ. პირველობა მოსკოველებს დაანებეს. გამარჯვებულებს ორი ქულით ჩამორჩნენ და ისევ მეორე ადგილზე გავიდნენ.

ჩემპიონატმა გადაიქუხა, მაგრამ გარდასულ ბრძოლათა ექო კიდევ დიდხანს იდგა დაყრუებულ ტრიბუნებზე. ფერგაცლილ მინდვრებზე, მთელს ჩვენს ქვეყანაში. აღარ ცხრებოდნენ ჟურნალ-გაზეთები, აღარ ელეოდათ საწერი ჟურნალისტებს. ახალ ფალავნებს მოსკოვის დინამოელებს გულდრეკს უკმევდნენ, „მუდმივ პრიზიორებს“ თბილისის დინამოელებს დითირამბებს უმღეროდნენ.

„ორჯერ ზედიზედ მეორე ადგილის დაკავება — ჩემპიონობას უტოლდება. ამიერიდან ქართველი ფეხბურთელები უგვირგვინო ჩემპიონები არიან“, — აცხადებდა „ოგონიოკი“.

— ვის აძლევთ თქვენს ხმას? — მიმართავდა „კრასნი სპორტი“ თავის მკითხველებს სეზონის უძლიერესი ფეხბურთელის გამოსაცალინებლად საგანგებოდ გამოცხადებულ კონკურსში, — ვინ მიგაჩნიათ სეზონის № 1 ფეხბურთელად?

— პაიჭაძე, — ამბობდნენ მოსკოველები, — „დიდი ურუგვაველების“ ყველგან მყოფი, „მოხეტიალე“ ცენტრფორვარდი.

— პაიჭაძე. — აცხადებდნენ ლენინგრადელები.—საბჭოთა ფეხბურთის პირველი სიდიადის ვარსკვლავი.

— პაიჭაძე, — პასუხობდნენ კიეველები, — ცეცხლოვანი ქართული ფეხბურთის მშვენება და სიამაყე.

„პაიჭაძე, — იწერებოდა ზეინკალი ვიქტორ სოლომატინი შორეული ელადიოსტოკიდან, — მართალია, მე იგი არ მინახავს. არც საფეხბურთო სარბიელზე, არც ცხოვრებაში, და მხოლოდ რადიოგადაცემებით ვიცნობ, როცა ტრიბუნების გრიალში მის გვარს ახსენებენ, ასე მგონია, მთის არწივი დასტრიალებს მინდორს, და ვკრძნობ, როგორ მიელის ტანში ჟრუანტელი“.

თბილისში ხომ ალარ იყენენ სიხარულით. კომპოზიტორები სიმღერებს უთხზავდნენ პაიჭაძეს. პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ პაიჭაძეს, მხატვრები ტილოებს ქმნიდნენ პაიჭაძეზე. კარიკატურისტები ცხრაკაცწამოკიდებულს ხატავდნენ გარლვევაზე გასულ პაიჭაძეს.

## დაკარგული წლები

ორმოცდაერთი წლის სპორტული ზაფხული თავის სტიქიაში: იყო:

კანდელაკი ბეჭებზე დებდა მეტოქეებს,
გოგლიძე ამხობდა საჭადრაკო მეფეებს,
ჯაფარიძენი იპყრობდნენ მწვერვალებს,
გორგასლიძე ნოკაუტით იგებდა რაუნდებს,
გოკიელი ჯეირანივით ეცლებოდა ბარიერებს.
დუმბაძის ბადრო ქორივით დასტრიალებდა მოედნებს,
პაიჭაძე და ჯეჯელავა აზანზარებდნენ სტადიონებს, რომ უეცრად...

საბჭოეთის ლაჟვარდოვან ზეცას საავდრო ღრუბლებმა შეეხბედეს.

ომის ხანძარმა ოთხ წელიწადს იმძვინვარა და კანდელაკების, გოგლიძეების, ჯაფარიძეების, გორგასლიძეების, გოკიელების, დუმბაძეების, პაიჭაძეებისა და ჯეჯელავების ჩაუქი თაობის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ოთხი ოქროს წელიწადი შეეწირა.

ერის, რომ სიკეთეს წაგვართვა. მეორეს ახალგაზრდობა ვაუხუნა...

მხოლოდ ორმოცდათხუთმეტში, როცა მამულის მცველებმა სრულად გაწმინდეს მიხაკისფერი ჭირისაგან საშშობლოს მიწა-წყალი და ოთხფეხა მაჯლაჯუნა თავისსავე ბუნაგში შეეშვეს, — ისევ გაიღვიძა საბჭოთა საფეხბურთო სამყარომ, განახლდა ნაომარი ქვეყნის სპორტული ცხოვრების მაჯისცემა.

## ჰაი, გიდი, გიორგი საკაძეს!

ნავთლუღის მხრიდან იკამარა, ცას გაეკრა და ქუდა ღრუბლებს დაეკიდა.

ფოლადის ქორმა ერთხანს მეტეხის თავზე იტორტმანა, მერე ფრთებში ქარი ჩაიდგა, მტაცვრის ხეობა გაზომა, სახურავებს გუგუნი დაატეხა, ქალაქს ზანზარი მოჰგვარა, გარე კახეთის შიშველი გორაკები დაიგო, აზერბაიჯანის ხორშაკიან ველებს გადაეელო, მთიანი ყარაბაღის ქვის შუბებს შეაჯდა და თბილისის დინამოელნი ირანის გზაზე დააყენა.

იძრა ირანი, როცა ქართველი ფეხბურთელების ჩამოსვლის ამბავი გაიგონა.

დიდი ყურამანყანთელები არ არიან ირანელნი ფეხბურთში, მაგრამ მაინც ერთ ტრაბახში იყვნენ, — დაუმარცხებლად ვერ წაგვიყვანონ გურჯისტანის ბიჭები.

აბა, ჩვენს ბიჭებს რაღა ეთქმოდათ, მოთმინებით ლოდინობენ მოლოდინს და ეღიმებოდათ ულვაშებში, — ალილო და ხვალეო.

ჰოდა, ვისაც რისი თავი ჰქონდა, მოედანზე გამოჩნდა — „გურჯისტანის ბიჭებმა“ ჩაუქრობელი ცეცხლი დაანთეს, მასპინძლები სირბილით ბიპზე გახეთქეს, ბურთები სულ პანტაპუნტით ყარეს, ირანელთა ტრაბახი შირაზის ქარს გაატანეს და თეირანელი მობურთავენი მუხლებზე დააჩოქეს.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ირანელებს ქართველებთან შესარკინებლად კიდევ ერთი გუნდი ჰყოლოდათ შემონახული თადარიგში. შაჰის „საკუთარი“ გუნდი იყო. დამარცხების სიმწარე თავის დღეში არ ეგემა და ეძლეველის სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს ირანში.

ქართველები არ შეშინდნენ და იმ უძლეველ გუნდსაც გაუსინჯეს უუათი. კაცმა რომ სიმართლე თქვას, გუნდი არ იყო იმდენად ხიფათიანი, რამდენადაც „ამაყდიეს“ სტადიონი. ზომაზე გრძელი იყო მინდორი — კარგა დიდხანს უნდა გერბინა, ერთი ბოლოდან მეორემდე ჩაგელწია.

მაგრამ ის მინდორიც მოითარეშეს, ის გუნდიც მოთოკეს, პაიჭაძემ, ჯეჯელავამ, ახალბედა ლოლობერიძემ ირანელები საკუთარ თავს არ დააჯერეს და შაჰის გუნდს ისეთი დღე დააყარეს, — ჰაი, გიდი. სად იყავი მაშინ, გიორგი საკაძეე! — შაჰმა კაცი მიუგზავნა მინდორზე პაიჭაძეს:

გუნდის თავო და კაპიტანო, ეგ სამი გოლი გვაკმარე, ყელს ნუ გამოგვჭრი, ხალხად გაგვიშვიო ამ ქვეყანაზე.

აბა, რას იზამდნენ. სტუმრები იყვნენ და ხათრი შეუნახეს მასპინძლებს.

მაგრამ ღმერთი გაუწყრა თამაშის ბოლოს პაიჭაძეს — ორმოცდაათიოდე მეტრიდან ბრმად დაარტყა და... ის ოხერი ბურთი ირანელთა კარის ბადეში არ გაეხვია?!

მის კვივდნენ ჩვენი ბიჭები პაიჭაძეს:

ეგ რა ნამუსია, შენ გოლები გაგაქვს, ჩვენ კი თამაშს გვიშლიო.

იფიცა პაიჭაძემ:

ღმერთი, რჯული, ალალბედზე დავარტყი, ეს ერთი მივქარე. მეტს აღარ ვიზამო.

სამარცხვინოდ დამარცხდა ირანის შაჰის უძლეველი გუნდი. რომელსაც. წარმოიდგინეთ, თურმე ბადალი არ ჰყავდა მთელს იმოდენა სახელმწიფოში. სწორად ამბობს ერთი ძველი ქართული ანდაზა: თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.

ჰაბირაბადის მხრიდან იკამარა, ცას გაეკრა და ქუდა ღრუბლებს დაეკიდა.

ფოლადის ქორმა ერთხანს შარუხს თავზე იტორტმანა, მერე ფრთებში ქარი ჩაიდგა, ხრიოკი ტაფობით გაზომა, მეჩეთთა ნაირფერ გუმბათებს გუგუნი დაატეხა, თეირანს ზანზარი მოჰგვარა, ფერეიდანის შიშველი გორაკები დაიგო. ადარბადაგანის უმადლო ველებს გადაეველო და გამარჯვებული ქართველები სამშობლოს გზაზე დააყენა.

## „ფეხბურთის კარუზო“

გუნდი მთელ ზაფხულს „ოძელაშვილობდა“ — მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა, ლიდერებს უგებდა და მაჩანჩალებთან აგებდა. დაცვა თუ მზნეობდა, თავდასხმა კოჭლობდა. ჯეჯელავა ფეხს იტკივებდა და ბრძოლის ველზე ახალ მთვარესავით გამოჩნდებოდა, ხარბედიას ყავლი გასვლოდა და მუხლი ღალატობდა, ბერეჟნოი ხანში შესულიყო და „შტანგას ვეღარ ეკიდებოდა“, პანიუკოვს თვალი ატყუებდა და „შუტები“ არ უმართლებდა, ოლობერიძე ჯერ არ დამწიფებულიყო და ვერ ბასობდა, პაიჭაძეც არ იყო ფორმაში და ვეღარ პაიჭაძეობდა.

პირველმა ომისშემდგომმა საფეხბურთო სეზონმა იმ ორმოცდახუთში დიდი გამარჯვებებით ვერ დაფერა ქართული ფეხბურთის დროშები და წყენა არ დააკლო თბილისის „დინამოს“ ქომაგებს. სამართლიანი იყო მათი გულისწყრომა — ჩვენი დინამოელები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ და თასს მეოთხედფინალშივე შეეშვნენ.

რეაბილიტირების საშუალება მალე მიეცათ ქართველ ფეხბურთელებს. როცა ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო მინდვრებს თოვლის თეთრი საბურველი გადაეფარა და რვა თვის ნაბრძოლი გულშემატკივრები ზამთრის გრძელ ძილს მიეცნენ, — საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

მოსკოვის დინამოელებმა ინგლისი შეაზანზარეს,

ცედეკელებმა იუგოსლავია შეაჯერეს,

ტორპედოელებმა ბულგარეთი მოხიბლეს,

ჩვენი ბიჭები კი რუმინეთს ესტუმრნენ...

„თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. შუდრა, კიკნაძე, ფროლოვი, ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, პანიუკოვი, პაიჭაძე საერთაშორისო კლასის მოთამაშეები არიან. ქართველი ფეხბურთელების ჩამოსვლა დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში“, — აცხადებდა რუმინული პრესა.

იმ გათოშილ დეკემბერში, თოვლქუხასა და ქარბუქში, სამჯერ შეერკინნენ რუმინელებს ქართველი ფეხბურთელები — „ჩეფერეს“ შეუპოვარ ბრძოლაში აჯობეს, „იუვენტიუსს“ საკალათბურთო ანგარიშით მოუგეს, „ტომიშოარა“ მშრალი ანგარიშით გაანადგურეს, სულ. ჩვიდმეტი ბურთი გაიტანეს, მხოლოდ ექვსი გაუშ-

ფეხ. რუმინელებს მუხლი მოაწონეს, ქართული სიჩაუქე ეჩვენეს და ბასკეტისა არ იყოს, თავი სამუდამოდ დაახსომეს.

პაიჭაძემ, ჯეჯელავამ, პანიუკოვმა ფრთები ძველებურად გაშალეს და თავიანთი ბიჭობა სრულად უჩვენეს რუმინელებს.

„დაუღალავი პანიუკოვი შორსმსროლელი ქვემეხია და შეუმცდარი სნაიპერი. თვალშეუვლები ჯეჯელავა ზღაპარია საკვირველებისა. ხოლო გრიგალივით მოთარეშე პაიჭაძე სასწაულმოქმედია, ჯადოქარი და ფეხბურთის კარუზო“, — აღნიშნავდა „გაზეთა სპორტერილორი“.

## ბერმუხის მეორედ ყვავილობა

ორმოცდახუთის ჩემპიონატში ბორის პაიჭაძის უჩვეულო დუმილი ზოგმა ოცდაათ წელს მიღწეული დიდოსტატის სპორტულ სიბერეს მიაწერა, ზოგმა მომავალი, უფრო დიდი გრგვინვის მომასწავებლად მიიჩნია.

მეორეთა ვარაუდი გამართლდა — მოვიდა ორმოცდაექვსი და დადგა ჟამი ქართული ფეხბურთის ბერმუხის მეორედ ყვავილობისა.

და, მართლაც, მეორე ახალგაზრდობა დაუდგა ულმობელ სპორტულ ხნოვანებაში შესულ ბორის პაიჭაძეს.

„ბორის პაიჭაძის სამი დარტყმიდან ერთი ყოველთვის ვოლით მთავრდება, — წერდა „ოგონიოკი“ 1946 წელს, — მაგრამ იგი არამარტო ზუსტი დარტყმის ოსტატია.. არავის არ შეუძლია, ბურთთან ერთად ისე გაიაროს მთელი მინდორი და გაარღვიოს თავდაცვის ყველა ხაზი, როგორც პაიჭაძეს. რაც არ უნდა ჩქარა გარბოდეს პაიჭაძე, ბურთი მას ყოველთვის წინ აქვს ნახევარი მეტრით, თითქოს ბურთი მის ნაბიჯებს უწყობს ფეხს. პაიჭაძისათვის პატარა ადგილია საკმარისი: 1—2 მეტრის ფართობზე მას შეუძლია. რამდენიმე მოთამაშე მოატყუოს“.

ასეთი იყო ბორის პაიჭაძე ორმოცდაექვსში, — როცა ინგლისის სტადიონებზე „ვეფხვად“ მონათლული ხომიჩი მის მიერ დარტყმული ბურთების გამოლებას ვერ აუდიოდა საკუთარი კარის ბადიდან, როცა მის ერთ დანახვაზე კანკალებდნენ მეკარეები, როცა მის „დაკეტვაზე“ ოცნებობდნენ მცველები, როცა მისი „დარდით“

ალარ იყენენ მწვრთნელები. როცა მასზე ფიქრში ათენებდნენ გულშემატკივრები.

ასეთი იყო ბორის პაიჭაძე ორმოცდაექვსში, — როცა ქართველმა ფეხბურთელებმა სხვადასხვა მანქანებით პირველი ადგილი დაკარგეს, მესამე ადგილი იყაბულეს და თასის ფინალს მიაღწიეს.

ასეთი იყო ქართული ფეხბურთის ბერმუხა, ჟამი რომ ედგა მეორედ ყვავილობისა.

## გედის სიმღერა

დიდი იყო და სახელოვანი ორმოცდამეოთხეც თბილისელი ფეხბურთელებისათვის. სტადიონების მწვანე მინდვრები გამარჯვებებით ჰქონდათ მოფენილი ტყავის ბურთის ქართველ ოსტატებს. კვლავ ვირტუოზული იყო ოცდაათ წელს გადაბიჯებული ცენტრფორვარდის ბორის პაიჭაძის ხელოვნება. მიუხედავად წლების სიმძიმისა და ფეხბურთელისათვის საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა, საფეხბურთო მინდვრების ეს რაინდი, მაინც ჭაბუკურად გულანთებული, ტანაჯღერილი და შემმართებელი. კვლავაც ამოუცნობ სიიდუმლოებად რჩებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მცველებისა და მეკარეებისათვის. მწვრთნელთა სადარდელი, ვადაუწყვეტელი ამოცანა, № 1 პრობლემა — ისევ ამ უწინდებურად ყველგან მყოფი, „მოხეტიალე“ № 9-ის ნეიტრალიზება იყო.

მაგრამ წლები მაინც წლებად რჩებოდნენ და ეს ყველაზე მეტად თბილისელი დინამოელებისა და მათი თავკაცის გულშემატკივრებს ალონებდათ.

იმ ხანებში ხშირად გაიგონებდით ტრიბუნებზე:

— ბერდება ჩვენი ბორია.

— კიდევ ორიოდე ზაფხული და ბორია, ალბათ, ჩვეული ელვარებით ვეღარ ითამაშებს.

— ბორია რომ წავა, „დინამოს“ რაღა ეშველება.

რა იცოდნენ, — ამ მგლისმუხლება კაცს სიბერე არ ეწერა მოედანზე!

სხვაგვარად არც იქნებოდა — პაიჭაძე და სიბერე ერთი ვზით ვერ ივლიდნენ.

პაიჭაძე — სიჩაუქე, შემართება, იმედი. პაიჭაძე — ცეცხლოვა-

ნი, ქარიშხლიანი შეტევა. პაიჭაძე — ხალხის გულში იმთავითვე ჩასახლებული ლეგენდა.

ლეგენდის სიბერე კი სად თქმულა, ვის გაუგონია!

მაგრამ რაც დრო-ქამმა ვერ დააკლო, — ვერც ფეხი გაუცვითა, ვერც გული დაუცხრო, — ერთმა ბრმა შემთხვევამ შეუესო, ერთბაშად გაუსწორა ანგარიში:

მუხლი მოუცარა და ბავშვობის წლებიდან დაჩემებული ბურთი და მოედანი უდროოდ დაატოვებინა.

ორმოცდაშვიდის ზაფხულში ქართულ ფეხბურთს შავი დღე გაუთენდა:

მოსკოვში ცხარე სათასო ასპარეზობის დროს პაიჭაძეს ფეხი მოსტეხეს და... გამარჯვებათა ესტაფეტა, ქართული ფეხბურთის ლაშის დაბადების დღიდან რომ ატარა, დიდოსტატს ხელიდან გავარდა.

## ავთანდილ ღოღობერიძე

ქართველთა გუნდი უმეთაუროდ არ დარჩენილა. ბრძოლაში დაჭრილი არწივი მისივე საბუდარიდან წამოფრენილმა მართვემ შეცვალა — შუა გზაზე დაგდებული ესტაფეტა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ავთანდილ ღოღობერიძემ აიტაცა და გუნდის თავკაცობაც თავად იკისრა.

ქართული ფეხბურთის პაიჭაძისეული ესტაფეტა ავთანდილ ღოღობერიძემ თოთხმეტ წელიწადს ნამუსიანად ატარა და დღევანდლამდე სახელიანად მოიტანა.

თოთხმეტი წელიწადია ავთანდილ ღოღობერიძე ჩვენი გუნდის პაიჭაძეც არის და ჯეჯელავაც, დაცვაც, ნახევარდაცვაც და თავდასხმაც, გუნდის სუნთქვა და მაჯისცემა, სული და გული.

ავთანდილ ღოღობერიძე ქართული ფეხბურთის შშვენებაა და ცოცხალი მატიანე. მან თავის თავში გააერთიანა ქართული ფეხბურთის მთელი სილამაზე, ეშხი და ლაზათი, ყველა თავისი სახელოვანი წინამორბედის საუკეთესო ნიშან-თვისება.

ავთანდილ ღოღობერიძის მეთაურობით ჩვენმა გუნდმა არაერთი წარმტაცი სტრიქონი შემატა სამამულო სპორტის მრავალფურცლოვან მატიანეს.

ავთანდილ ღოლობერიძის მეთაურობით ჩვენმა გუნდმა დაქვეითების უმძიმესი წლები გადაიტანა და შარშანწინ კვლავ იპოვა დაკარგული დიდება — დაისაკუთრა საპრიზო ადგილი, საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის სტადიონებზე დაუვიწყარი გამარჯვებები მოიპოვა.

ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი ფეხბურთელი, ვისაც თავისი გუნდისათვის იმდენი ამაგი დაედოს, რამდენიც ავთანდილ ღოლობერიძემ დასდო თბილისის „დინამოს“.

## ესტაფეტა გადაცემულია

დიდი იყო და სახელოვანი ორმოცდაცხრამეტი-სამოცი წლები თბილისელი ფეხბურთელებისათვის. სტადიონების მწვანე მინდვრები გამარჯვებებით ჰქონდათ მოფენილი ტყავის ბურთის ქართველ ოსტატებს. კვლავ ვირტუოზული იყო ორმოც წელს მიღწეული მარცხენა შუამარბის ავთანდილ ღოლობერიძის ხელოვნება. მიუხედავად წლების სიმძიმისა და ფეხბურთელისათვის საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა, საფეხბურთო მინდვრების ეს რაინდი, მაინც ჭაბუკურად გულანთებული. ტანაღლერილი და შემმართებელი, კვლავაც ამოუცნობ საიდუმლოებად რჩებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მცველებისა და მეკარეებისათვის. მწვრთნელთა სადარდელი, გადაუწყვეტელი ამოცანა, № 1 პრობლემა — ისევ ამ უწინდებურად ყველგან მყოფი № 10-ის ნეიტრალიზება იყო.

მაგრამ წლები მაინც წლებად რჩებიან და ეს ყველაზე მეტად თბილისელი დინამოელებისა და მათი თავკაცის გულშემატკივრებს აღონებთ.

ჩვენს დღეებში ხშირად გაიგონებთ ტრიბუნებზე:

— დაბერდა ჩვენი ბასა.

— კიდევ ორიოდე ზაფხული და ბასა, ალბათ, ვეღარ ითამაშებს.

— ბასა რომ წავა, ვინ იქნება „დინამოს“ მეთაური.

აღარავინ ამბობს, რაღა ეშველებაო „დინამოს“.

რადგან...

არის საიმედო ცვლა!

„დიდი ურუგვაელების“ ღირსეული ცვლა!

სერგო კოტრიკაძის,

გივი ჩიხელის,
შოთა იამანიძის,
მიხეილ მესხის
ცვლა!
მაგრამ...
მეთაური ხომ მაინც საჭიროა?
ვინ იქნება გუნდის მეთაური?
ვინ გაუძღვება გუნდის ქარიშხლიან შეტევას?
ვინ წაიღებს ქართული ფეხბურთის დიდების ესტაფეტას?

ავთანდილ ღოლობერიძე არ აპირებს სარბიელის დატოვებას. კიდევ ერჩის ძალა. მაგრამ დაიღალა ბებერი არწივი, გრიგალსა და ქარიშხალში დიდხანს ყოფნამ რკინის ფრთები შემოულეწა. ესტაფეტის წაღებას კი ახალგაზრდული ჯანი უნდა. ეს თავადაც უწყის. მემკვიდრეც, ალბათ, ახლავე ამიტომ აირჩია.

ბებერმა არწივმა პაიჭაძისეული ესტაფეტა ფრთებცეცხლოვან ორბს, თავისსავით დაუდეგარ და დაუცხრომელ შოთა იამანიძეს გადასცა.

კარგი არჩევანია!
ესტაფეტა საიმედო ხელშია!
ესტაფეტა გადაცემულია!

1961 წ.

# ქართველი დინამოელები—1978 წლის საბჭოთა ჭაბურის ჩემპიონები

## ნოდარ ახალკაცი

წარსულში ტექნიკური, ფართო ტაქტიკური დიაპაზონის ფეხბურთელი. თამაშობდა პირველ ლიგაში, თბილისის სხვადასხვა გუნდში, იყო თავდამსხმელი და თავისებური, ორიგინალური დრიბლინგითა თუ ძლიერი, ზუსტი დარტყმით დიდ ხიფათს უქმნიდა ხოლმე მეტოქეთა კარს.

ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელია. მისი გამჭრიახი, გონივრული ხელმძღვანელობით ქართველმა ფეხბურთელებმა ზედიზედ მოიპოვეს ორჯერ ბრინჯაოს და ერთხელ ვერცხლის მეღლები, სსრკ თასი. შარშან კი, სამამულო ფეხბურთის ისტორიაში მეორედ, სსრკ ჩემპიონის საპატიო წოდება და ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

## კახი ახალთიანი

წლების მანძილზე იყო ჩვენი სასიქადულო გუნდის უძლიერესი ნახევარმცველი, წარმატებით გამოდიოდა სსრკ ნაკრებშიც. გამოირჩეოდა თამაშის მაღალი კულტურითა და ელეგანტური მანერით.

დინამოელთა წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, როგორც გუნდის უფროსს. დღეს რომ „დინამოში“ მტკიცე დისციპლინაა და ფეხბურთელთა შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობა სუფევს, ამაში მისი მადლიანი ხელიც ურევია.

## სერგო კუტივაძე

თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი, დიდად შრომატევად სამუშაოებს ასრულებდა მოედნის ცენტრალურ ნაწილში, ჰქონდა ძლიერი ზუსტი დარტყმა.

ამჟამად ნოდარ ახალაიის ღირსეული თანაშემწე და მარჯვენა ხელია ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდისა და დაოსტატების საქმეში. სწორად, მიზანსწრაფულად დაგეგმილი სამწვრთნელო მუშაობით ბევრი რამ გააკეთა დინამოელთა სათადარიგო შემადგენლობის გამარჯვებისათვის.

## დავით გოგია

დინამოელთა კარის საიმედო გუშაგი. სწრაფი რეაქცია. კრიტიკულ სიტუაციაში სწორი, ხელსაყრელი პოზიციის შერჩევის უნარი — ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეკარეთა შორის უმკვიდრებს საპატიო ადგილს. მტკიცე, გაბედული და უშიშარი, ხშირად ებმება მეტოქეთა თავდამსხმელებთან ორთაბრძოლაში და უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული რჩება.

## თამაზ კოსტავა

მარჯვენა განაპირა მცველი. დახვეწილი ტექნიკის, მოედნის შესანიშნავი ხედვის წყალობით არა მარტო თავის ძირითად, დაცვითს ფუნქციებს ასრულებს მაღალ პროფესიულ დონეზე, არამედ შეტევითს ოპერაციებშიც მონაწილეობს დიდი წარმატებით.

## ფირუზ კანთელაძე

ცენტრალური მცველი. შესაშურმა ფიზიკურმა მომზადებამ საშუალება მისცა, მთელი „ოქროს“ სეზონი თანაბარი ოსტატობით ჩაეტარებინა. მისმა სოლიდურმა, ზედმეტი იაფფასიანი ეფექტებისაგან დაზღვეულმა, თითქმის უშეცდომო თამაშმა სიმტკიცე და მონოლითურობა შესძინა „დინამოს“ დაცვითს ხაზებს.

## შოთა ხინჩაგაშვილი

ხშირმა ტრავმებმა საშუალება არ მისცა ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრალურ მცველს, მთელი თავისი მდიდარი ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობანი გამოევლინებინა გასულ წელს.

## ალექსანდრე ჩიკვაძე

. ეს უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი „ოქროს“ სეზონში ახალ ამპლუაში მოგვევლინა — ნახევარდაცვიდან დაცვაში გადაინაცვლა და მაღალი პროფესიული ოსტატობით შეასრულა ცენტრალური მცველის რთული, საპასუხისმგებლო ფუნქციები.

## გოჩა მაჩაიძე

ცხრაას სამოცდათვრამეტი წელი განსაკუთრებით მისთვის იქნება დაუვიწყარი. დინამოელოთვის ამ მღელვარე ჩემპიონატში იგი მეორედ დაიბადა, მეორედ დაიბადა, როგორც ფეხბურთელი, ამჯერად როგორც მაღალი კლასის ფეხბურთელი. ტექნიკამ, სისწრაფემ, მონდომებამ და, რაც მთავარია, უფროსი მწვრთნელის ნაცადმა თვალმა — გუშინ ერთფეროვანი ნახევარმცველი დღეს შესანიშნავ მარცხენა განაპირა მცველად აქცია.

## დავით მუჯირი

სანიმუშო ფიზიკური წრთობითა და დიდი სისწრაფით გამორჩეული ჩვენ ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდთა მცველებს შორის. ხშირად გარკვეული წარმატებით ცვლიდა ძირითად მარცხენა განაპირა მცველს.

## ნოდარ ხიზანიშვილი

რამდენიმე წელია წარმატებით გაძღოდის ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს გუნდში. ფიზიკურად ძლიერი და გაბედული, ძნელად გაერღვეველი მცველია ყველაზე სახიფათო თავდამსხმელებისთვისაც კი.

## ვიტალი დარახელია

უალრესად ტექნიკური ნახევარმცველია. მშვენივრად ერკვევა ურთულეს ტაქტიკურ სიტუაციებში. ამას წინათ სსრკ ნაკრებ გუნდშიც მიიწვიეს, რომლის შემადგენლობაშიც წარმატებით ჩაატარა რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.

## მანუჩარ მაჩაიძე

გუნდის კაპიტანი, გუნდის სული და გული, ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ოოლობერიძის, შოთა იამანიძის, მურთაზ ხურცილავას, მიხეილ მესხისა და სხვა სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა დიდებული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი და მათი არანაკლებ სახელოვანი მემკვიდრე, ტყავის ბურთის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე დიდოსტატი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

უნივერსალური ტექნიკის, მოქმედების საოცრად ფართო რადიუსის, სანიმუშო ფიზიკური მომზადების ამ შესანიშნავმა ნახევარმცველმა განსაკუთრებული ელვარებით ჩაატარა „ოქროს" სეზონი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველ დინამოელთა დუღეიწყარ გამარჯვებაში.

## ვახტანგ ქორიძე

მისი ვირტუოზული, შემმართებლური თამაში დიდი ხანია შეიყვარეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა. ეს ტექნიკური და დაულა-

ლავი ნახეკარ?ცველ. დიდად სასარგებლო სამუშაოს ასრულებს ეროგორც დაკვითსა და ნახეკარდაკვითს ხაზებზე, ასევე თავდასხმაშიც. მაგრამ „ყუმბარისებურმა" დარტყმებმა არაერთხელ მოგვიტანეა გოლის აიხარული გასულ წელსაც.

## ვლადიმერ გუცაევი

სპრინტერულმა სისწრაფემ, ნატიფმა ტექნიკამ, გონებამახვილურმა ფინტებმა — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი გარეშარბის სახელი დაუმკვიდრა ქართული საფეხბურთო სკოლის ამ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

## დავით ყიფიანი

ჩვენი ქვეყნის უპოპულარულესი ფეხბურთელი. იგი თავდაკიწყებით უყვარს მილიონობით გულშემატკივარს. თბილისელი თავდამსხმელის ინტელექტითა და ელეგანტურობით აღბეჭდილი თამაშის სტილი, ბურთის ფლობის მაღალი დონე და რთული ტაქტიკური აზროვნება — ღრმად იმპონირებს ყველა ასაკისა და გემოვნების მაყურებელს.

## რამაზ შენგელია

„სწრაფი აზროვნება, მოძრაობა, დარტყმა და.... შეძლებისდაგვარად... გოლი!" — ასე გამოხატა ერთ ცნობილ სპორტულ ჟურნალისტთან სუბარში თანამედროვე თავდამსხმელისადმი თავისი მოთხოვნილება ამ უკვე ფართოდ აღიარებულმა, დიდად პოპულარულმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა.

თანამედროვე თავდამსხმელისათვის სასურველი ეს ძვირფასი თვისებები თავადაც ჭარბად გამოაელინა თბილისის „დინამოს" უნიჰიერესმა ცენტრფორვარდმა გასული წლის ჩემპიონატში და ერთ-ერთი უპირველესი ბომბარდირი გახდა.

თამაშის მაღალი კულტურის. შესანიშნავი ტექნიკისა და ორიგინალური ტაქტიკური აზროვნებისათვის — წამყვანმა საბჭოთა სპორტულმა ჟურნალისტებმა — ჩვენი ქვეყნის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

## რევაზ ჩელებაძე

გაბედული თავდამსხმელი. შეტევის მოულოდნელ გაგრძელებათა ოსტატი. გასულ სეზონში არა ერთი და ორი მატჩი ჩაატარა გარკვეული წარმატებით. ტრავმებმა, თითქმის განუწყვეტლივ თან რომ სდევდა ამ თავისებურ, საინტერესო ფეხბურთელს, საშუალება არ მისცა, სრული ძალით ჩაეტარებინა გასული სეზონი.

1978 წ. დეკემბერი.

# № 1 ფეხბურთელი

## რეკორდი, — არნახული და. ალბათ, დიდხანს დაუმხოგელიც!

1974 წელს 17 წლის რამაზ შენგელია ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის დუბლიორთა წამყვანი მოთამაშეა.

1975 წელს 18 წლის რამაზ შენგელია ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაშია და 1 ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია.

1976 წელს 19 წლის რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი ცენტრფორვარდია და ლამის ყოველ საერთაშორისო მატჩში წყვილ-წყვილი გოლიც კი გააქვს.

1977 წელს 20 წლის რამაზ შენგელია თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაშია, თანაგუნდელებთან ერთად ევროპის ბედლის კავალერი გახდა და ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს.

1978 წელს 21 წლის რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და № 1 ფეხბურთელად აღიარეს.

1978 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა:

„21 წლის რამაზ შენგელია ისევე ოსტატურად თამაშობს, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ ენით რომ ვთქვათ, ისევე გამოირჩევა „მართლად ცემით და მარჯვედ ქნევით“, როგორც თავის დროზე ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე, რომელიც ახლა მას ბაბუად ეკუთვნის“.

იგივე „სოვეტსკი სპორტი“ იმავე დღეებში აღნიშნავდა:

„დღითიდღე იზრდება თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა თავდამსხმელის შენგელიას ოსტატობა. იგი ერთთავად მოძრაობს,

ეძებს და პოულობს შეტევათა უმწვავეს გაგრძელებას. ყოველგვარი მდგომარეობიდან ურტყამს კარში. გაიხსენეთ, რა დიდებული გოლი გაიტანა „ნაპოლთან“ პირველ შეხვედრაში, როცა შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი იტალიელთა კარის მარცხენა მაღლა კუთხეში! ან კიდევ „ჰერტას“ კარში გატანილი გოლი რად ღირს! გერმანელთა კარისაკენ ზურგით მდგარმა, მშვენიერი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მცველი და შემოტრიალებით დაარტყა მეკარე ნიგბურის მიმართულებით, რაც ამ უკანასკნელისათვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ თბილისელი ფორვარდი ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ბომბარდირი გახდა“.

წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი, ამჟამად კი ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტი მიხეილ იაკუშინი ამბობს:

„იმ საბჭოთა ფორვარდებრდან, ვინც იცის საგოლე სიტუაციების რეალიზება, უპირველეს ყოელისა, გამოვყოფ შენგელიას. იგი მუდამ ცდილობს თამაშის გამწვავებას, მას აქვს სწორი, ხელსაყრელი პოზიციის დროულად შერჩევის არაჩვეულებრივად გამახვილებული გუმანი, ამიტომ ყოველთვის იქ ტრიალებს, სადაც გოლი მწიფდება, სადაც ქართველი ბიჭების ქარიშხლიანი შეტევა უახლოვდება კულმინაციურ წერტილს“.

ერთი დასავლეთგერმანული ჟურნალი აცხადებდა:

„ევროპაში ამჟამად ყველაზე სწრაფი ფორვარდი — თბილისელი შენგელიაა“.

თბილისის „დინამოს“ ნიჭიერი ნახევარმცველი ვიტალი დარასელია ამბობს:

„რამაზ შენგელია ყველაზე სასიამოვნო პარტნიორია ჩემთვის. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ სპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩში ჩემი სამი გადაცემიდან რამაზმა სამივე მაქსიმალურად გამოიყენა და ჰეთთრიქი შეასრულა.“

თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა, ჩვენმა სასიქადულო მანუჩარ მაჩაიძემ თქვა:

„რამაზ შენგელიას დიდი მომავალი აქვს ფეხბურთში. რადგან ჭეშმარიტი სპორტსმენის უმთავრესი მონაცემებით არის მომადლებული. ეს მონაცემებია: თავმდაბლობა და მოკრძალება, დიდი

შრომისმოყვარეობა და ფანატიკური სიყვარული ფეხბურთისადმი".

და როდესაც რამაზ შენგელიას სპორტული ცხოვრების ამ ოცდაათ, საოცრად ეფექტურ დასაწყისს გადავხედავ ხოლმე გონების თვალით, უნებურად მეუფლება ფიქრი:

რამაზ შენგელიას რეკორდი ჯეშმარიტად ბრწყინულია და, ალბათ, დიდხანს. ძალიან დიდხანს დაუმხობელიც, რამდენადაც ესოდენ წარმატებისა და აღიარებისათვის ჯერ არავის მიუღწევია ქართული ფეხბურთის ისტორიაში ამ ასაკში და მას ძვირად თუ გაიმეორებს ვინმე.

## კიდევ ერთი რეკორდი, — არანაკლებ ბრწყინული და ისიც დიდხანს დაუმხობელი!

21 წლის ასაკისათვის რამაზ შენგელიამ 70 გოლი გაიტანა! აქედან:

1 ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში თამაშის ორი სეზონის მანძილზე — 30 გოლი,

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში — 15 გოლი.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის თასზე გამართულ მატჩებში — 1 გოლი,

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში უეფას თასზე ჩატარებულ საერთაშორისო მატჩებში — 4 გოლი,

უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში თამაშის ორი სეზონის მანძილზე — 20 გოლი.

21 წლის ასაკში — 70 გოლი!

აქედან:

24 გოლი (20 — საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 4 — უეფას თასზე) „ჩასათვლელია", ანუ ბომბარდირთა „100-გოლიანთა" კლუბის საპატიო წევრად გახდომისათვის საჭირო ქულებია.

21 წლის ასაკში — 70 გოლი!

აქედან — 24 „ჩასათვლელი!"

ამ ასაკში:

ასეთი უხვმოსავლიანი გოლეადორი ქართული ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს!

## შამა, რომელიც არ ჰგავს სხვა მამებს

ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტმა წელმა და რამაზ შენგელიამ ერთად შემოაბიჯეს ქუთათურთა იმ სავარდო და სამაისო მიწაზე.

ალექსანდრე და გულიკო შენგელიების კოხტა ბიჭი ახალწლის ღამის სამ საათზე დაბადებულა.

— ასე რომ, ჩვენს ოჯახში ორმაგი ზეიმი ყოფილა, — მეუბნება იმ თავიანი განუმეორებლად თბილი, ბავშვური ღიმილით რამაზი, — საახალწლო და საძეო.

— და ვიდრე გაზაფხული არ გაიშალა ქუთაისში და თეთრად არ იფეთქეს ნუშებმა, — იგონებს ალექსანდრე შენგელია, — იმ დაუვიწყარი, ქუდბედიანი ახალწლის ზეიმი არ ჩამქრალა, ვაჟის დაბადებით გამოწვეული ის პირველი სიხარული არ განელებულა და ერთი დღითაც არ დალეულა მომლოცავ-დამლოცავი სტუმარი ჩემს ოჯახში.

— სხვათა შორის, ის ახალწლის ღამე, — უმატებს ქალბატონი გულიკო, პროფესიით ფიზიკოსი, რომელიც წლების მანძილზე პედაგოგად მუშაობდა, — ქუთაისელმა რკინიგზელებმა თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულად გამოაცხადეს და მას შემდეგ ყოველ პირველ იანვარს ჩვენთან იკრიბებიან ხოლმე.

— რატომ მაინცადამაინც რკინიგზელებმა? — დავინტერესდი მე.

— ჩემი მეუღლე ხომ რკინიგზელია, — განმიმარტავს რამაზის დედა, თან თავისი ვაჟის ბავშვობისდროინდელი ფოტოსურათებით სავსე საოჯახო ალბომს მაწვდის.

ფოტოსურათებიდან საოცრად ლამაზი, ბუნჩულა და მოელილი, ქერათმიანი ბიჭუნა მიცქერის, ხან გაღიმებული და თვალებგაბრწყინებული, ხანაც მოღუშული, ლოყებდაბერილი და ტუჩებდაპრუწული, თითქოს ვიღაცას ებუტებაო.

განსაკუთრებით ის ერთი ფოტოსურათი დამახსომდა: პატარა რამაზს მკერდზე ორივე ხელით მიუხუტებია ვეება ჭრელი ბურთი

და შეშინებული. ლამის ცრემლიანი თვალებით იცქირება. თითქოს ვილაცა ბურთის წართმევას უპირებს და არ ანებებსო.

და კიდევ ერთი ფოტოსურათი: ასე შვიდი-რვა წლის რამაზი ტყიან გორაკზე დგას მამასთან ერთად და ფართოდ გახელილი შთამბეჭდავი თვალებით გასცქერის რიონის ველზე გაშლილ მშობლიურ ქალაქს — თავიანთ სახლს თუ დაეძებს იქ, იმ უამრავ შენობებს შორის.

— მე ახლაც თვალწინ მიდგას,—ნაღვლიანი ღიმილით მეუბნება ფიქრში წასული რამაზი, — ჯერ ისევ ბალღის ის პირველი ბუნდოვანი ხილვანი. ანუ, როგორც ერთი ცნობილი მწერალი ამბობს, „ნისლის ჩარჩოში ჩასმული ფერგაცლილი სურათები“.

კარგად არის ნათქვამი: „ნისლის ჩარჩოში ჩასმული ფერგაცლილი სურათები“.

მისთვის ახლა, ალბათ, სწორედ ამგვარი სურათებია:

თენებაშეპარული დილა ოდნავ შემაღლებულ საფიჩხიაზე...

საღორიას ტყეზე დაღვრილი საღამოს პირველი ბინდი...

მდინარის ცარცისფერი კლდოვანი ფსკერი თეთრ ხიდთან...

ნაირფერი, მზის თვალით მოხატული ლოდებით გარემოცული რიონი ჯაჭვის ხიდთან...

მობანავე, მოცურავე ტანკენარი ბიჭები იქ, სადაც ყველაზე ღრმა და წყალუხვია მდინარე, წითელ ხიდთან...

ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად ფერნაკრავი ბაგრატის ტაძრის ხავსმოდებული ნანგრევები...

დარიან ამინდში შორს, მოწმენდილი ლურჯი ცის ფონზე; ზვიადად აზიდული ნაქერალა...

მცირეტყიანი, მაღალბუჩქნარიანი, ერთთავად მწვანე უქიმერიონი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ეს გასაოცარი ქალაქი...

და გულიდან ამოტანილი სიმღერა შეზარხოშებული ბიჭებისა, გვიან ღამით რომ გაისმოდა ხოლმე მათს ქუჩაზე:

ქუთაისო, ქუთაისო,
სავარდო და სამაისო...

ან ის, ოდნავ ნაღვლიანი და სევდიანი, ასე ძალიან რომ უყვარდა მისი მოსმენა რამაზს:

რერო!
ქუთაისი გადამწვარა,
რერო!
თავის ქუჩებიანადო,
რერო!
აბა, რერო,
ოვ რვრია,
რერო...

რამაზს ის თავისი განუმეორებლად თბილი, ბავშვური ღიმილი დასთამაშებს სახეზე:

— ეს რამდენიმე წელია, ფეხბურთის წყალობით, არაერთი ქვეყანა ვინახულე... გერმანია, იტალია, დანია, ირანი... რა ვიცი, სადღა არ ვიყავი, მაგრამ...

ყუჩდება, რატომღაც თვალს მარიდებს, თითქოს სათქმელის რცხვენიაო.

— რაღაცის თქმა გინდოდა, რამაზ, — ვეშველები მე.

რამაზი მორცხვად იღიმება, დუმს.

— თქვი, ნუ გრცხვენია, — არ ვეხსნები მე.

— რა ვიცი... — ძლივს ამოღერღა რამაზმა, — სხვანაირად არ გამიგოს-მეთქი.

— ისეთი რა უნდა გეთქვა?

— რა და... — გაბედა, როგორც იყო, — ლამის მთელი ქვეყანა მოვიარე, ქუთაისის ფასი კი ვერსად ვერაფერი ვნახე, ვერსად ვიხილე უქიმერიონი.

— რამაზს ერთი ჩვეულება აქვს, — მეუბნებიან მისი თანაგუნდელები, — ისვენებს თუ საქმეშია, უცებ ფიქრში წავა, თითქოს გამოეთიშება გარესამყაროს, მერე ჩუმად ამოიოხრებს და წაიმღერებს: „ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის გული ჩემი“... ამ დროს, მისი თანატოლი ქუთაისელი თამაზ კოსტავა, თუ ისიც იქ არის, აუცილებლად მიაძახებს, გულაჩუყებული და თვალცრემლმორეული: „ქუთაისო, შენ დაიწვი, ქუთაისო!“

მაგრამ „ქუთაისური მოგონებებიდან“ ის ერთი მოგონება, ანუ „ნისლის ჩარჩოში ჩასმული“ ის ერთი სურათი, ყველაზე ხშირად ესტუმრება ხოლმე რამაზს:

ეზო...

მათი სახლის დიდი ეზო...

მათი სახლის დიდი ეზო ჭავჭავაძის ქუჩაზე...

და ამ ეზოში სისხამ დილიდან კარგა დაბინდებამდე გახურებული ფეხბურთი...

და ამ ეზოში სისხამ დილიდან კარგა დაბინდებამდე გაბმული ძახილი:

— პასი, პეყოია, პასი!

— უბუცე ჰიშკარში, გოჭოია!

— დეიჭი, ბიჭო, რუბენია, აი ბურთი მაი ხელჩი!

ამ ეზოს ფეხბურთის თავისი დიდი ტრადიციები ჰქონდა...

ჰყავდა თავისი თბილისის „დინამო“, თავისი ქუთაისის „ტორპედო“...

ჰყავდა თავისი „პაიჭაძე“, „ლოლობერიძე“, „იამანიძე“, „მესხი“... ცოტა მოგვიანებით ჰყავდა თავისი „მანუჩარ მაჩაიძე“...

— მაშინ რას ვიფიქრებდი, — ამბობს რამაზი. — რომ ოდესმე ნამდვილი მანუჩარ მაჩაიძის, ამ დიდი ფეხბურთელის, გვერდით ვითამაშებდი, ნამდვილ სტადიონზე, ნამდვილ თბილისის „დინამოში“.

რამაზი სულ პატარაობიდანვე გაეჩვია თავიანთ ეზოს და უკვე ათიოდე წლისა იქაურ მობურთაველებში, ბევრად უფროს ბიჭებში, თამამად გაერია.

მისი უფროსი ძმა, რაული, იგონებს:

— თავიდან, როგორც ყველა პატარას, მასაც მეკარედ ათამაშებდნენ მხოლოდ. უნდა გენახათ, რა დღეში იყო ხოლმე რამაზი, ხან ერთის ძლიერად დარტყმული ბურთი დაარეტიანებდა და გაკრავდა მიწას, ხან მეორის წიხლი ჩაუზელდა ტან-ფეხს. თუმცა ეს ოდნავადაც არ აშინებდა და იგი, ერთიანად დაჩეჩქვილი, ზოგჯერ დასისხლიანებულიც კი, ჯიუტად განაგრძობდა კარში დგომას. საოცრად გაბედული ბავშვი იყო, არც მძლავრად დარტყმულ ბურთს უფრთხოდა, არც მთელი ძალით მოქნეულ ფეხს, როცა მის პირისპირ გასულ მეტოქეთა თავდამსხმელს თავგანწირვით გადაეღობავდა ხოლმე გზას კარისაკენ.

— მერე, ცოტა რომ წამოიზარდა, თერთმეტ-თორმეტი წლისა, — განაგრძობს რაული, — ეზოს დიდმა ბიჭებმა წინ მიეშვეს სათამაშოდ და, აი, სწორედ მაშინ მოხდა ნამდვილი, უეცარი, ყველასთვის მოულოდნელი სასწაული. რამაზი საოცრად დაბეწილი, ლამაზი დრიბლინგით ზედიზედ უვლიდა ხოლმე გვერდს რამდე-

ნიმი თავისზე ბევრად უფროს მეტოქეს და ბურთი.ნად შედიოდა კარში. მალე ისე გაითქვა სახელი, მისი ეფექტური ილეთების სანახავად მეზობელი ეზოებიდანაც კი მოდიოდნენ დიდებიც და პატარებიც.

— გამიგონია, წამიკითხავს კიდეც. — მეუბნება რამაზი, — რომ სახელგანთქმულ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს ბავშვობაში და სიჭაბუკეშიც ლამის კეტით დასდევდა მამამისი, სოლომონი, უკრძალავდა ფეხბურთის თამაშს.

— თუ არ ვცდები, უკეთეს დღეში არც ჩვენი მეორე სახელოვანი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა ყოფილა თავის ბავშვობა-სიჭაბუკეში, — შევეპასუხე მე.

— ჰო, მურთაზის მამაც თურმე ალმაცერად უცქერდა ვაჟიშვილის ფეხბურთით გატაცებას, იგივე ითქმის ბევრი სხვა ფეხბურთელის მშობლებზეც. ამის მსგავსი სხვების შესახებაც გამიგონია.

— შენ? შენ თუ წარმოადგენ, ამ მხრივ, მცირე გამონაკლისს, რამაზ? — ვკითხე მე.

— თუ შეიძლება, ასე ითქვას, — იცინის რამაზი.

დიახ, რამაზ შენგელიას მამას, ალექსანდრეს. — ბორის პაიჭაძის, მურთაზ ხურცილავასა და მრავალთა სხვათა სახელოვანთა მობურთალთა მამათაგან სრულიად განსხვავებული, საწინააღმდეგო პოზიცია დაუჭერია ბურთის თამაშით უზომოდ გატაცებული ვაჟიშვილის მიმართ:

ერთ მშვენიერ დღეს წაუვლია ხელი ბიჭისათვის და პირდაპირ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე მიუყვანია — იმ მთელს ქუთაისში განთქმულ კარლო ხურციძესთან, ქუთათური ფეხბურთის „პატრიარქთან“, თან ასე უთქვამს:

აი, ეს ჩემი ვაჟკაცი შენთვის ჩამობარებია და, აბა, შენ იცი, როგორც დამიღვინებ ამ მაჭარსო.

## კარლო ხურციძის ყოჩაღი შეგირდი

ფეხბურთის ქუთაისელი „პატრიარქის“ უტყუარმა ალღომ, — ჯერ ისევ ბალღში მომავალი ნაღდი ფეხბურთელის ამოცნობის საოცარმა ნიჭმა, — ამჯერადაც გაიტანა ლელო:

ცამეტი წლის რამაზ შენგელია მშობლიური ქალაქის თანატოლ და ცოტა უფროს ბურთის ბიჭებში მჯობის მჯობი გახდა.

იგი ამ დროისათვის უკვე მშვენივრად იყო მომზადებული ფიზიკურად, თამაშობდა სწრაფად, ტექნიკურად, გამოირჩეოდა ტაქტიკური მრავალფეროვნებით.

იმ გულთმისანმა კაცმა, — კარლო ხურციძემ, — სხვაც ბევრი რამ ასწავლა ბიჭს ისეთი, ბოლომდე ამოუცნობ საიდუმლოებად რომ დარჩენილა მრავალ სხვათათვის, თუმცა დიდი ნიჭითაც ყოფილან მომადლებულნი და კაი ათი-თხუთმეტი წელიწადიც გაუტარებიათ მწვანე მინდორზე.

მრავალ „ჯადოსნურ გასაღებთაგან", რომლებსაც ფეხბურთის ჯერ ისევ უცნობ სამყაროში შეჰყავთ ხოლმე ახალბედები და რაც ამ ხელმადლიანმა ოსტატმა ასე იღბლიანად გადასცა. თავის ყოჩაღ შეგირდს, — ის ერთი „გასაღები" ყველაზე მორგებული, შესაფერისი გამოდგა მისთვის მომავალში. ამ „გასაღებმა" გოლის გატანის საიდუმლოებას ახადა ის გაუხედავი შავი ფარდა.

აქ, უმჯობესია, ისევ რამაზს მოვესმინოთ:

— უნდა ვაღიარო, რომ ბედი მქონია, იმთავითვე ჩინებული მწვრთნელები დამეკვება. ჯერ იყო და კარლო ხურციძე, მერე ანატოლ ნორაკიძე და, ბოლოს, ნოდარ ახალკაცი. მაგრამ ამ ორ უკანასკნელზე შემდეგ, ახლა კი ჩემს დიდ მოამაგე პირველ აღმზრდელსა და დამრიგებელზე მოგახსენებთ. დიახ, სწორედ მან, კარლო ხურციძემ, ჩამინერგა გოლის გატანის უძლეველი სურვილი და დიდი სიყვარული. მან შთამაგონა, რომ ჩემი ნამდვილი ადგილი ფეტოქეთა კარის მისადგომები იყო, ხოლო უპირველესი მოწოდება ბურთის გატანა, ის, რასაც დღეს ჩემს უმთავრეს ნიშანთვისებად თვლიან.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთხანს საუბრის თემა შევაცვლევინე რამაზს:

— ჩემი მომავალი ნარკვევისათვის საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელზე, იცი, თავდაპირველად რა სათაური ჰქონდა მოფიქრებული?

— არ ვიცი, — იღიმება რამაზი.

— საკმაოდ უცნაური სათაური კი იქნებოდა.

— თუ ავტორის საიდუმლოება არ არის, ალბათ, მეტყვით.

— არავითარი საიდუმლოება, ინებე, — ეუბნები მე და ჩემი

მომავალი ნარკვევის იმ თავდაპირველ, ხოლო შემდეგ უარყოფილ სათაურს ვანდობ, — „ზეალმართული ხელებით მაღლა შემხტარი ფეხბურთელი“.

რამაზი იცინის.

— საკმაოდ უცნაური სათაურია, ხომ?

— რა ვიცი... როგორ გითხრათ... — მორიდებით მიპასუხებს რამაზი, — ისე კი... მიგიხვდით, რასაც იგულისხმებდით ამ სათაურით.

— ჰოდა, თუ მიმიხვდი, ამასთან დაკავშირებით, ერთი შეკითხვა მაქვს შენთან.

— ბრძანეთ.

შეკითხვა რომ მივეცი, რამაზმა ღიმილით გააქნია თავი და მისუხა:

— სწორედ ასეთი შეკითხვით მომმართა ერთმა სპორტულმა ჟურნალისტმა, გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტმა, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ოდნავ განსხვავებული ფორმულირებით.

— მაინც როგორ გკითხა?

— ამ სიტყვებით, — ამბობს რამაზი, — „რა არის ეს, ჩვეულებრივი ხარკი ახალი საფეხბურთო მოდისადმი, თუ შინაგანი „ვულკანის“ თავისებური ამოხეთქვა?“

და დასძენს:

— მას მხედველობაში ჰქონდა გოლის გატანით გამოწვეული ის უზომო სიხარული, რასაც მე, როგორც წესი, მაღლა შეხტომითა და ხელების ზეალმართვით გამოვხატავ ხოლმე.

— იცი, რამაზ, ერთმა ძველმა გულშემატკივარმა ერთხელ რა მითხრა? შენგელიას მიერ გატანილ ბრწყინვალე გოლებზე მეტად მის მიერვე ამავე გოლების გატანის შემდეგ შესრულებული ეს ულამაზესი თეატრალური რიტუალი მიყვარსო, ისე არავის უხდება ეს, როგორც შენგელიასო.

რამაზი თავს აქნევს, იცინის:

— ჩემი ეს საქციელი, ყოველი გოლის გატანას რომ თან სდევს, არც რაიმე „ხარკია ახალი საფეხბურთო მოდისადმი“, როგორც „ლელოს“ კორესპონდენტმა გამოთქვა, არც რაიმე „თეატრალური რიტუალი“, როგორც თქვენს ნაცნობ გულშემატკივარს უთქვამს, ამას მე ბავშვობიდანვე, ჩემი პირველი გოლებიდან მოყოლებული, ვაკეთებ. დღესაც წარმოუდგენლად მახარებს ბურთის გატანა და

ამით გამოწვეულ ლოტაციებს, თუმცა ძალიანაც ვცდილობ, მაინც ვერ ვეფარავ ხოლმე.

შემდეგ ჩვენი საუბრის მდინარება კვლავ ძველ ქალაქოტში ჩადგა:

კარლო ხურციძეს მოზარდ ფეხბურთელთა დაოსტატების საუკეთესო სკოლად ქუჩების გუნდების ჩემპიონატები მიაჩნდა და ამიტომ ამგვარ ღონისძიებათა ჩატარების დიდი მოთავე იყო.

იმ ქუჩის გუნდს, რომელშიც რამაზს მოუწია თამაში და რომელიც პირადად ქუთაისელმა „პატრიარქმა" ჩამოაყალიბა ყველაზე ნიჭიერი, . . იმედის მომცემი ბავშვებისაგან, „კოლხეთი" ერქვა.

რამაზი „კოლხეთში" ერთხანს გარემარბის ფუნქციას ასრულებდა. შემდეგ კი, ქუჩების გუნდების ჩემპიონატის დაწყების წინ, მწვრთნელმა იგი ცენტრფორვარდად დააყენა და ეს ამპლუა მერე აღარასოდეს შეუცვლია მისთვის.

ჩემპიონატი ძალზე დაძაბული, შეუპოვარი გამოდგა. მიუხედავად ამისა, „კოლხეთმა" საგრძნობი უპირატესობით ჩაატარა მთელი ტურნირი და დაუმარცხებლად მოიპოვა გამარჯვებულის საპატიო ტიტული. „კოლხეთის" წარმატებაში ყველაზე თვალსაჩინო წვლილი მისმა თოთხმეტი წლის ცენტრფორვარდმა რამაზ შენგელიამ შეიტანა, რომელმაც თერთმეტ შეხვედრაში ოცჯერ გაახვია ბურთი მეტოქეთა კარის ბადეში.

/იმავე წელს დონეცკში მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაზე „ტყავის ბურთის" პრიზისათვის, ქუთაისის ქუჩების ჩემპიონი „კოლხეთიც" მონაწილეობდა. ქუთაითურებმა დიდი აღმავლობით წარმართეს ასპარეზობა და ამ ძნელ, საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეთრეს.

საკავშირო პრესამ დიდი შეფასება მისცა ჭართველ მოზარდ ფეხბურთელთა თამაშს, განსაკუთრებით კი მათი ცენტრალური თავდამსხმელის რამაზ შენგელიას მაღალი ოსტატობა აღნიშნა.

— მე დონეცკის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი თორმეტი გატანილი ბურთით, — იგონებს რამაზი, — ხოლო წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ვიქტორ პონედელნიკმა პირადად გადმომცა ჩემი პირველი ოფიციალური პრიზი, რამაც, ცხადია, უზომოდ გამახარა.

ეს იყო ცხრაას სამოცდათერთმეტ წელს, რასაც მოჰყვა კიდევ

ორი სპორტული ზაფხული ქუთაისის ქუჩების უცვლელი ფალავნის „კოლხეთის“ გუნდში.

ამ წლების მანძილზე რამაზს არც ერთი დღით არ ტოვებდა თავისი გონიერი მწვრთნელის კარლო ხურციძის შეგონება:

— მუდამ ფხიზლად გეჭიროს თვალი მეტოქის კარზე და პირველი შესაძლებლობისთანავე დაარტყი.

— ამიტომ დღესაც, — მოკრძალებით ამბობს რამაზი, — მე იმ ყაიდის მოთამაშე ვარ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამთავრებს თანაგუნდელთა მიერ ჩაფიქრებულ, წამოწყებულ შეტევას და ისიც არცთუ ისე იშვიათი წარუმატებლობით.

— ეს კი იმის შედეგია, — განაგრძობს საკუთარი თავის დაუზოგავ კრიტიკას რამაზი, — რომ ხშირად ზედმეტად ვმოძრაობ, ზედმეტად ვიცვლი ადგილებს და ამით ფუჭად ვხარჯავ ენერგიას, რომელიც შემდეგ. კარის ალებისათვის გამართულ ბრძოლაში, ასე საჭიროა და აუცილებელი.

ეს სანაქებო მოკრძალება, საკუთარი თავისადმი ერთთავად კრიტიკული დამოკიდებულება კარლო ხურციძის ჯერ ისევ გუშინდელი ყოჩაღი შეგირდის დიდი მომავლის ყველაზე ნაღდი, უტყუარი, საიმედო საწინდარია.

## ავტოკარხნელთა დიდ ოჯახში

ცხრაას სამოცდათოთხმეტ წელს ჩვიდმეტი წლის რამაზ შენგელიას მოზარდ ფეხბურთელობას წერტილი დაესვა, რაც იმით გამოიხატა, რომ საბჭოთა კავშირის პირველი ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში — ქუთაისის „ტორპედოში“ მიიწვიეს და მის სათადარიგო შემადგენლობაში ჩარიცხეს.

რამაზმა ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში თქვა:

— კარლო ხურციძეზე ბევრჯერ მითქვამს, რომ მან მასწავლა ტყავის ბურთის ენა, გოლის გატანის ეშხი. გინდა მუხლით გაიტანე ბურთი. გინდა ქუსლით. გინდა ცხვირით. ოღონდ აუცილებლად გაიტანო. მეტყოდა ხოლმე. რაც შეეხება ჩემს შემდგომ ალმზრდელს ანატოლ ნორაკიძეს. ქუთაისის „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელს, იგი საუცხოოდ გვამზადებდა ფიზიკურად და ტაქტი-

კურად, შინაარსიან თამაშს გვინერგავდა, პირადად მე ანატოლ ნორაკიძე ისე შემხვდა, როგორც შვილს, და დიდი ამაგი დამდო. ნაკლზე კი მიმითითებდა, მაგრამ არ მტუქსავდა. ამ მწვრთნელს თავისებური პრინციპი აქვს. რაკი ფეხბურთელში მონაცემებს აღმოაჩენს, მას აღარ შეეშვება, გამოცდისათვის საკმაო დროს მისცემს. ამიტომ ჩემს შეცდომებს უფრო თვალნათლივ ვხედავდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ მეთამაშა. ასე ვუმატებდი ნელ-ნელა.

ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან რამაზ შენგელია „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაშია, სადაც მთელი სეზონის მანძილზე წარმატებით ასრულებდა ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებს. პირადად მან ათზე მეტი გოლი გაიტანა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

ამავე წელს რამაზი ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს, რომლის შემადგენლობაშიც არა ერთი და ორი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა, როგორც ცენტრფორვარდმა.

— ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში, — მითხრა მან, — ენერგიული, შრომისმოყვარე ევგენი ლიადინი მავარჯიშებდა, მისგანაც ბევრი რამ სასარგებლო შევითვისე.

შემდგომ სეზონში რამაზ შენგელია „ტორპედოს" თავდასხმის უკვე ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. იგი პირველი ლიგის გუნდების ხანგრძლივი, მარათონული ტურნირის მანძილზე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და მატჩების დიდი უმრავლესობა მაღალი პროფესიული ოსტატობით ჩაატარა. ამაზე თვალნათლივ მეტყველებდა როგორც მის მიერ გატანილი, ერთმანეთზე ლამაზი ოცამდე გოლი, ისე ის ათი გოლიც, თანაგუნდელებს რომ გაატანინა ზუსტი მოკლე თუ გრძელი გადაცემებით.

სეზონის დასასრულს გაზეთი „ფუტბოლ-ხოკეი" აღნიშნავდა:

„რამაზ შენგელიას სახით ქუთაისელ ფეხბურთელებს საიმედო ძალა გააჩნიათ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა პირველ ლიგაში, თავისი ამპლუის მოთამაშეთა შორის".

წინათ, ძველ დროში, „7“ რიცხვი ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა, ერთად აღებული ორი „7“-იანი კი — ორმაგად ბედნიერად.

და ის შარშანწინდელი ერთად აღებული ორი „7“-იანიც, ცხრაას 77 წელიც, — ორმაგად ბედნიერი, ორმაგად დიდი სიხარულის მომტანი გამოდგა ჩემი ნარკვევის გმირისთვის.

— ის წელი, 77, მარად სახსოვარი იქნება ჩემთვის, — ამბობს რამაზი, — მან, იმ ორმა „7“-იანმა, ორი, მართლაც, დიდი სიხარული მომანიჭა.

მისი პირველი დიდი სიხარული ის იყო, რომ თავის სათაყვანებელ თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს, იმ ,,ეუნდში, რომელსაც მანამდე მხოლოდ შორით ეტრფოდა.

მისი მეორე დიდი სიხარული ის იყო, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს, და იქაც ბაეშვობიდან შეთვისებული ადგილი დაუმკვიდრეს — ცენტრალური თავდამსხმელისა.

მაგრამ ჯერ იმ პირველ დიდ სიხარულს მივუბრუნდეთ:

— და, აი, მე თბილისის „დინამოს“ კოლექტივის წევრი გავხდი და ჩემი სპორტული ცხოვრების გზაზე შევხვდი მესამე მწვრთნელს, ნოდარ ახალკაცს, — განაგრძობდა რამაზმა ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში, — იგი ყველასგან დიდად განსხვავებული, ჩვენი დროის გამოჩენილი სპეციალისტია ფეხბურთისა. მე რომ მკითხონ, მას მწვრთნელ-განმანათლებელს ვუწოდებდი, ერთი კი, ძალზე მკაცრია. თავიდან ერთ-ორ შეცდომას გაპატიებს, მაგრამ თუ ასე ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა, ძირითად შემადგენლობაში მოსვლიდრაზე ფიქრი გარკვეული დროით უნდა გადადო. ჩემი საბედნიეროდ, მივხვდი, რომ ეგი მართალია. თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა ის ლაბორატორია როდია, ნებისმიერ ექსპერიმენტს რომ აიტანს. ამისთვის მას სათადარიგო შემადგენლობა ჰყავს, სხვაგვარად არც შეიძლება, შეცდომების პატიებაში ქულებს დაკარგავ, გამარჯვებულებს კი შემოდგომით სწორეთ ქულათა რაოდენობით ავლენენ.

— ქუთაისის „ტორპედოში“, — განაგრძობდა კორესპონდენტებთან საუბარში რამაზი, — მეც და თითქმის ჩემს თანატოლ თა-

მაზ კოსტავასაც პერსპექტიულ ბიჭებად გვთვლიდნენ. მაგრამ იქ უფრო რომანტიზმისა და ენთუზიაზმის ხარჯზე ვიგებდით მატჩებს: თბილისის „დინამოში" მოსვლისთანავე მეც და თამაზ კოსტავაც დავრწმუნდით, არათუ დიდ ქალაქში, დიდ გუნდშიც ვიყავით მოხვედრილნი. პირველსავე ვარჯიშებზე დავინახე, რომ „დინამოს" მცველები სხვაგვარად, უფრო აზრიანად, შინაარსიანად თამაშობდნენ, ხოლო თავდამსხმელები გაცილებით ტექნიკურები იყვნენ. ერთი სიტყვით, ჩემი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ქუთაისური მარაგი, აშკარად არ კმაროდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, აკლიმატიზაცია შედარებით იოლად გადავიტანე, რაშიც თვით გუნდის წევრები დიდად დამეხმარნენ. დინამოელები ძალზე შინაურულად, გულთბილად, და მე ვიტყოდი, ზედმეტი მზრუნველობითაც კი, შემხვდნენ. განსაკუთრებით ვეშადლიერები გუნდის კაპიტანს, გულითად ადამიანს მანუჩარ მაჩაიძეს, აგრეთვე თავდამსხმელებს, რაინდული ბუნების დათო ყიფიანს, ვაჟკაცურ ვლადიმერ გუცაევს, მომხიბლავად გულწრფელ რეზო ჩელებაძეს. მე თუ მალე შევისწავლე დინამოელთა ენა, ეს, პირველ რიგში, მათი დამსახურებაა. გოლს რომ გავიტანდი, მილოცავდნენ, ხოლო როცა შეეცდებოდი, მამხნევებდნენ. მაგრამ ამ გულთბილ დამოკიდებულებას რომ თავი გავანებოთ, მათგან მალალი ოსტატობისათვის საჭირო მრავალი თვისების შეძენის საშუალებაც უხვად მეძლეოდა.

ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი წლის ის სეზონი თბილისის „დინამომ" დიდი წარმატებით ჩაატარა და ოცდაოთხი წლის შემდეგ კვლავ დაისაკუთრა მეორე საპრიზო ადგილი.

თბილისელთა ახალგაზრდა ფეხბურთელმა რამაზ შენგელიამ რევაზ ჩელებაძესთან მონაცვლეობით საკმაოდ უნარიანად გაართვა თავი ცენტრფორვარდის ერთობ საპასუხისმგებლო ამპლუას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „არათუ დიდ ქალაქში, დიდ გუნდშიც".

ახლა კი რამაზის იმ მეორე დიდ სიხარულს მივუბრუნდეთ.

— საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, — მეუბნება რამაზი, — ვალენტინ ნიკოლაევი მავარჯიშებდა, ლეგენდარული ცდკას სახელგანთქმული მარჯვენა შუაშარბი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშე, ორივეჯერ საფრანგეთის ნაკრებ-

თან. ხოლო მოსკოვში ჰოლანდიელებთან ნახევარფინალური შეხვედრის დროს დავშაკდი და კოლექტივს გამოვეთიშე.

იმავე წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრების გუნდების ტურნირში, რომელიც ირანის ქალაქ შირაზში გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის, ჰოლანდიის, უნგრეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

საბჭოთა გუნდში გამოდიოდა ორი ქართველი ფეხბურთელი: ნახევარმცველი ვიტალი დარახელია და თავდამსხმელი რამაზ შენგელია. ჩვენმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად წარმართეს ასპარეზობა და პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთა მიერ სულ გატანილი რვა გოლიდან ორი ბურთი ვიტალი დარახელიამ გაახვია მეტოქეთა კარის ბადეში, ხუთი ბურთი კი რამაზ შენგელიამ, რომელიც ტურნირის პირველი ბომბარდირი გახდა და მის საუკეთესო ფეხბურთელად განაცხადეს.

ირანის პრესამ, ფართოდ რომ აშუქებდა ტურნირს, აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა საბჭოთა ნაკრების თამაშს. ცხადია, ყველაზე მეტი ქება-დიდება წილად ხვდა ამ დიდი საერთაშორისო ტურნირის პირველ ბომბარდირსა და საუკეთესოდ მიჩნეულ ფეხბურთელს.

ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი წერდა:

„გამარჯვებულთა გუნდიდან ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება დატოვა რამაზ შენგელიამ. იგი ძალზე სწრაფი, ტაქტიკურად ლრმად მოაზროვნე და ტექნიკურად სრულყოფილი ცენტრალური თავდამსხმელია“.

სხვა გაზეთში ნათქვამი იყო:

„ირანელმა მაყურებელმა შეიყვარა ხალისიანი და ტემპერამენტიანი ქართველი ცენტრფორვარდის ცეცხლოვანი თამაში. როცა მას ის თავისი ულამაზესი გოლები გაჰქონდა, ტრიბუნებზე დიდხანს არ წყდებოდა ხმაშეწყობილი გუგუნი:

— შენ... გე... ლია!..

— შენ... გე... ლია!..

— შენ... გე... ლია!..“

იმ დაუვიწყარ ცხრაას სამოცდათვრამეტში. ამდენი ლოდინის შემდეგ. როგორც იყო. განმეორდა ის დაუვიწყარი ცხრაას სამოცდათხუთ. მაგრამ უფრო თვალისმომჭრელი ელვარებითა და ბრწყინვალებით:

საჩემპიონო ფინიშის ხაზთან ქართველმა დინამოელებმა ამჯერად მთელი ხუთი ქულით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეებს. უკრაინელ დინამოელებს. მაშინ. როცა თოთხმეტი წლის წინათ. მოსკოველ ავტოქარხნელებთან ერთად ქულათა თანაბარი მარაგით მიაღწიეს საფეხბურთო ოლიმპს და მხოლოდ დამატებითს. სათუო ორთაბრძოლაში იზეიმეს გამარჯვება. თუმცა საოცრად ლამაზად კი გააკრეს ორივე ბეჭთ ის მრისხანე მოპაექრე იქ. ტაშკენტის იმ უკვე შემოდგომურად ფერგაცლილ. ფერგახენებულ მინდორმოედნზე.

ასეთი მტკიცე. თავდაჯერებული. სტაბილური ნაბიჯებით ჩვენს „დინამოს“ ჯერ არასოდეს ფეხია საფეხბურთო მარათონის გრძელ და ძნელ გზაზე — პირველი წარმატებიდან საბოლოო გამარჯვებამდე.

და ამაში უპირველესი ღვაწლი ფეხბურთის დიდ მესაიდუმლეს, ჭკვიან კაცს, ალბათ, მხოლოდ გამარჯვებისათვის დაბადებულ სოდარ ახალკაცს მიუძღვის. რომელმაც თითქოს მთელი თავისი ბუნება, — ხასიათის მთლიანობა და სიმტკიცე, — ჩაქსოვა გუნდს. მანუჩარ მაჩაიძიდან, დავით ყიფიანიდან, ვლადიმერ გუცაევიდან. დაწყებული, ყველაზე ახალგაზრდებით თამაზ კოსტავათი, ვიტალი დარასელიათი. რამაზ შენგელიათი დამთავრებული.

რამაზ შენგელიათი...

მან, თანაგუნდელებისაგან განსხვავებით. კიდევ ერთი ისეთი. ოქროს მედალზე არანაკლები საპირველაცო ჯილდო მოიპოვა. ფალავანთა ფალავნობას, ანუ აბსოლუტურ ჩემპიონობას. რომ ჰგავს ასე ძალიან — ქართული ფეხბურთის ამ „ოქროს“ სეზონში საბჭოეთის № 1 ფეხბურთელად ალიარეს.

და მერე, როგორი არნახული უპირატესობით!

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსაელინებლად ეარსებული რეფერენდუმის შედეგად. რომელშიც. როგორც წესი. ქვეყ-

ნის ყველაზე თვალსაჩინო სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. —

რამაზ შენგელიამ დააგროვა 235 ქულა,

კიეველმა ოლეგ ბლოხინმა — 156 ქულა,

მოსკოველმა გიორგი იარცევმა — 135 ქულა.

ამრიგად, თბილისელმა თავდამსხმელმა უახლოეს ორ მეტოქეს, მათ შორის სახელგანთქმულ ოლეგ ბლოხინს, შესაბამისად 79 და 100 ქულით გაუსწრო.

და ჯერ ისევ გუშინ კარლო ხურციძის ყოჩაღი შევირდი, ქუთაისიდან ჯერ ისევ გუშინ ჩამოსული ბიჭი...

ჩემპიონიც გახდა, № 1 ფეხბურთელიც!

ყოველკვირეული გაზეთი „ნედელია“ საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონის თბილისის „დინამოსადმი“ მიძღვნილ ვრცელ წერილში ალნიშნავდა:

„ჟურნალისტებმა 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს თბილისელი შენგელია. იგი 21 წლისაა. ვფიქრობთ, ჟურნალისტებმა მასში დაინახეს ის ფეხბურთელი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს შერწყმული ერთმანეთთან გუნდის აწმყო და მომავალი“.

რამაზ შენგელია—ჩემპიონიც, № 1 ფეხბურთელიც!

რამაზ შენგელია — გუნდის აწმყო და მომავალი!

ესოდენ დიდი შეფასება და აღიარება, ისიც ოცდაერთი წლის ასაკში?!

ჰოდა, მეც რაღა დამრჩენოდა — ავდექი და იანვრის იმ მზიან, მაგრამ მაინც სუსხიან დილას დილმისაკენ გავეშურე, რათა დინამოელთა საბრძოლო შტაბში მივსულიყავი; სანამ წერას შევუდგებოდი, კიდევ ერთხელ მენახა ის ჩემი საყვარელი ფეხბურთელი, ის ჩემი მომავალი ნარკვევის გმირი, ასე რომ მასახელა და გამახარა, და მთელი გულით, მთელი ჩემი არსებით მიმელოცა მისთვის ჩემპიონობაც, პირველი ფეხბურთელობაც და, საერთოდ, ესოდენ დიდი შეფასება და აღიარება.

და, აი, მე და რამაზი მიწაში ჩადგმულ ხის გრძელ სკამზე ვსხედვართ და ვსაუბრობთ ფეხბურთზე, როგორც არაერთგზის გვისაუბრია, გულწრფელად, დაუფარავად, ყოველგვარი დიპლომატიური კითხვა-პასუხის გარეშე.

იქვე, ჩვენს პირდაპირ, საფეხბურთო მინდორზე, „დინამო“ ვარ-

ჯიშობს: ალერ, დათო, მანუჩარი, გოჩა, ერთი ვახტანგი, მეორე ვახტანგი, ფარუზი, შოთა...

ეს პირველი წყებაა, ასე ერთი საათის შემდეგ კი მეორე წყება დაიწყებს ეარჯიშს და მათ შორის რამაზიც.

— წლეულს ადრე დავიწყოთ ეარჯიში, — მეუბნება რამაზი და ნახევრად ხუმრობის ტონით დასძენს, — როგორც ნამდვილ ჩემპიონებს, შეიფერით, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ თავიანთ უმაღლეს ტიტულთან გამოთხოვება.

— და როგორც შეიფერის იმ გუნდს, — ვუმატებ მე, — რომლის წევრები, აი, უკვე ზედიზედ მეორე წელია პირველი ფეხბურთელის წოდებას ისაკუთრებენ. შარშან დათო, წლეულ: რამაზი.

— შარშან დავით ყიფიანმა, ამ ბრწყინვალე ოსტატმა, მაროლაც, რომ ყველას აშკარად აჯობა და ღირსეულად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება.

— დათო შარშან შეუდარებელი იყო, — ვეთანხმები მე.

— ჩემი პირველი ფეხბურთელობისა კი რა მოგახსენოთ, — გაგრძელებს რამაზი, — წლეულს ეს წოდება მხოლოდ და მხოლოდ მანუჩარ მაჩაიძეს ეკუთვნოდა. ჩვენი დროის ამ სწორუპოვარ დიდოსტატს. ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ მას დავასახელებდი საუკეთესო ფეხბურთელად. მანუჩარმა მთელი ჩემპიონატი ძალზე ძლიერად, სტაბილურად, უმაღლეს პროფესიულ დონეზე ჩაატარა და ჭეშმარიტად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გუნდის ამ დიდ გამარჯვებაში, რამაც ზღვა სიხარული მოუტანა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს.

ჩვენს შორიახლო, პირდაპირ, საფეხბურთო მინდვრის აქეთა მხარეს, მანუჩარ მაჩაიძე ეარჯიშობს. ჯერ მარჯვენა ფეხით, მერე მარცხენა ფეხით, მერე წინ გაზნექილი მკერდით, მერე თავით, მერე ისევ ფეხებით და ასე შემდეგ გაუთავებლად კენწლავს. კენწლავს, კენწლავს ბურთს გაუთავებლად, მგონი, უკვე ასჯერ აკენწლა, მეტჯერ თუ არა...

რამაზი დაუფარავი აღტაცებით შესცქერის თავის კაპიტანს.

— ეეჰ, მისი ნახევარი ტექნიკა და ჯანი რომ მოეცა, — ნატრობს იგი, — ან მე, ან ჩვენი გუნდის, რომელიც განებავთ, წევრს...

— ვეებერთელა ფეხბურთელია, — ვერ ეფარავ აღტაკებას მეც. — ზღაპრული ტექნიკა აქვს და ხარის გული.

მერე უსიტყვოდ, ჯადოშეკრულებივით ვადევნებთ თვალს დი-

ნამოელთა კაპიტნის ვარჯიშს, რომელიც ყამიდანყამ ბურთის დიდოსტატური ფლობის საზღვრებსაც სცილდება და ნამდვილ ეონგლიორობაშიც გადადის.

კიდევ ერთხანს ტრიალებს დუმილი და ამ დუმილს მხოლოდ წარმოუდგენლად მოთვინიერებულ, დამორჩილებულ ბურთზე ფეხის, მკერდის, თავის შეხებათა ოდნავ ყრუ, მონოტონური ხმა ავსებს — „დინამოს“ კაპიტანი განაგრძობს. ალარ ამთავრებს კენწელას, მგონი, უკვე ორასზე ავიდა...

და უცებ ბურთზე ფეხის, მკერდის, თავის შეხებათა ოდნავ ყრუ, მონოტონურ ხმას რამაზის დაბალი ხმაც უერთდება, ჩურჩულს უფრო რომ ჰგავს, თითქოს საკუთარ თავს ეხმიანებოდეს:

— არა, მანუჩარი ფეხბურთელს არ ჰგავს.

ვაკვირვებით შევხედე — ვერ გავიგე, რისი თქმა სურდა ამით.

— როგორ... მაშ... მაშ, ვის ჰგავს? — ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ვეკითხები მე.

რამაზი ერთბაშად არ მიპასუხებს. მცირე ხანს ისევ დუმს, მერე ისევ ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ ამბობს:

— არწივს.

— არწივს?

— ჰო, არწივს. — ახლა უკვე ხმამაღლა, როგორღაც დაბეჯითებით, დარწმუნებით ამბობს რამაზი, — ჩვენ კი, ყველანი, ძველი გუნდი, მის მართვეებს ვგავართ, თითქოს თავის მძლავრ ფრთებს ორომ გადაგვაფარებს ხოლმე, როცა განსაცდელის ჟამი დაჭირავს.

— შესანიშნავი შედარებაა, — ვეთანხმები მე. — სხვათა შორის, ჩვენშიც არწივის ასოციაციებს იწვევს მანუჩარ მაჩაიძის სილუეტი, ბრისი განუმეორებლად ვაჟკაცური თამაში. კასაოცარი სპორტული მზნეობა და შემართება. დაუვიწყარი სანახავია, როცა იგი, ყელნოლერებული და მხრებაზიდული, მართლა არწივივით დაფრინავს მწვანე მოედანზე.

რამაზს, თავის საყვარელ კაპიტანთან დაკავშირებით, უყვარს ერთი ეპიზოდის გახსენება:

მოსკოვში თამაშობდნენ, დედაქალაქის ერთ-ერთ გუნდს ხვდებოდნენ. მსაჯი აშკარად სცოდავდა თბილისელთა მიმართ. ბოლოს, ბისი არაობიექტურობა ყოველგვარ საზღვარს რომ გადასცდა, მოფრინდა მანუჩარი, ქორივით დააცხრა მსაჯს და გამყივანი ხმით დაჰკივლა, კმარა, გონს მოდიო. მსაჯი ამას არ ელოდა, შეცბა,

შემინდა და ამის შემდეგ, მართლაც, ბონს მოვიდა, უფრო პატიოსნად იქცეოდა.

ამიტომ იგი არა მარტო დიდი ფეხბურთელია, — ასკენის რამაზი, — არამედ ნამდვილი კაპიტანიც არის, გუნდის ნამდვილი მეთაური და წინამძღოლი.

მანუჩარი კენწეულს მორჩა. შუა მინდვრისაკენ დაიძრა და ბზიალ-ბზიალ ჩვეული დრიბლინგით აუარა გვერდი თანაგუნდელებს, რომელნიც ამაოდ ეცადნენ მისთვის ბურთის წართმევას.

დუმილს კვლავ რამაზი არღვევს:

— იცით, კიდევ ვის მაგონებს მანუჩარი?

— მანუჩარი, თუ მისი თამაში?

— ორივე ერთად.

— ვის? — ისევ ვეკითხები მე.

რამაზი პასუხის ნაცვლად მოულოდნელ შეკითხვას მაძლევს:

— კასპში ყოფილხართ?

— კასპში?

— დიახ.

— ვყოფილვარ... როგორ არ ვყოფილვარ... — ცოტა არ იყოს, დაბნეული ვუპასუხებ მე, — თანაც არა ერთხელ და ორჯერ, მაგრამ...

— იქ, ალბათ, გიორგი საკაძის დიდებული ქანდაკებაც გინახავთ.

— რა თქმა უნდა, — ვერაფრით ვერ ვხვდები. საით უმიზნებს ეს ბიჭი. თან იმ თავისი განუმეორებლად თბილი, ბავშვური ღიმილით შორიდან რომ ესიყვარულება გუნდის კაპიტანს.

— ჰოდა, მანუჩარი რამაზს ამხელრებულ სწორედ იმ საკაძეს მაგონებს, — გატაცებით აბმობს რამაზი. — ქარქაშ-საკადეზე ელი რომ გაუვლია. საცაა მახვილს ამოიწვდის. ბეერს მქუხარე ხმით დაჰკივლებს და უკანასკნელ, გადამწყვეტ იერიშზე გაუძღვება ქართველთა ლაშქარს.

საფეხბურთო მინდვრიდან მწვრთნელის სასტვენის გაბმული ხმა მოისმის. ეს იმის ნიშანია, რომ პირველმა წყებამ ვარჯიში დაამთავრა და ახლა, სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ, მეორე წყება გამოვა მინდორზე.

რამაზი წამოდგა, ჩქარობს — სასწრაფოდ უნდა გამოეწყოს

სპორტულ ფორმაში. და მინდორზე გავიდეს სავარჯიშოდ მეორე წყვილის თანაგუნდელებთან ერთად.

და. აი. მე და რამაზი უკვე გაბახდელისაკენ მივიჩქარით.

გაბახდელის შესასვლელში გამოკვნეტილი გაფორმებული, ფოტოსურათებით საკუთ სტენდი იპყრობს ჩემს ყურადღებას. სტენდზე კეთხულობ: „თბილისის „დინამო" — 1964 წლის ჩემპიონი". აგერ, მესხი, იაბანიძე, მეტრეველი... აგერ, კაჩალინიც, ვისი ხელმძღვანელობითაც პირველად გადავლახეთ ის დიდხანს, ძალიან დიდხანს გადაულახავი ფსიქოლოგიური ბარიერი.

აქ უნებურ დ მახსენდება ერთი შეკითხვა, გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტმა რომ მიმართა რამაზ შენგელიას:

— ეგებ გაიხსენოთ თქვენი თავი 1964 წლის 18 ნოემბერს, როცა ოპილისის დინამოელებმა ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს პირველად?

და ფეხბურთელის ის პასუხიც მკვიდრად ალმებეჭდა მეხსიერებაში:

— მაშინ სულ შვიდი წლისა ვიყავი. ფეხბურთისა. ცხადია, ბევრი არაფერი გამეგებოდა. მაგრამ როცა ვნახე, ქუჩებში ანთებული ჩირაღდნებით დადიოდა ხალხი, ადამიანები სიხარულით რაღაცას ყვიროდნენ. მღეროდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს. მეც ალარ დავაყოვნე და სულ ცეკვა-ცეკვითა და „დინამო"-„დინამოს" ძახილით დავუარე ჩვენს ეზოს.

რამაზი სპორტულ ფორმას იცვამს. თან სიცილით მეუბნება:

— მაშინ, აბა, რას ვიფიქრებდი, რომ თოთხმეტი წლის შემდეგ ეს ენით აუწერელი ზარ-ზეიმი განმეორდებოდა. ხოლო ამ ზარ-ზეიმის განმეორებაში ჩემი მცირეოდენი წვლილიც იქნებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი საფეხბურთო მინდვრის განაპირას ვდგავართ, გულითადად ვეამბვიდობებით ერთმანეთს.

— აბა. შენ იცი, არ შემარცხვინო, რამაზ!

ის კი პასუხად იმ თავისი ვანუმეორებლად თბილი, ბავშვური ღიმილით მიღიმის, თან იანვრის სუსხს ხტომა-ხტომით იკერიებს და. აბა, გაქცევაზეა.

ბერე მინდვრის შეაგულისაკენ გარბის, უკვე შორიდან მიქნევს ხელს და მის მაისურზე გამოსახული ვეება ნომერი თეთრმტიც სულ უფრო მოკცრო, შორეული ხდება.

მერე მინდვრის შუაგულში თავმოყრილ თანაგუნდელებს შეერევა, თვალს მიეფარება.

მე ნელა მივყვები ხეივანს, თანდათან უკან მრჩება დინამოელთა საბრძოლო შტაბი.

შორიდან, საფეხბურთო მინდვრიდან, რომელსაც უკვე შენობები და ხეთა მწკრივები ეფარება და სადაც, ალბათ, ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები ირევიან ახლა, — სასტვენის გაბმული ხმა მოისმის.

ეს იმის ნიშანია, რომ მეორე წყებამ ვარჯიში დაიწყო.

მე კი; სანამ ჩემი ფალავანი უკიდეგანო სპორტული სამყაროს უფრო შორეულ ვარსკვლავებს მისწვდება და ახალ გამარჯვებებს მოუტანს თავის საყვარელ, მშობლიურ გუნდს, — ამ ნარკვევს დროებით აქ დავუსვამ წერტილს.

ჰო, მხოლოდ დროებით...

მანამდე კი...

შენ იცი და შენმა ბიჭობამ, რამაზ!

1979 წ. თებერვალი.

**მ ი ნ ა წ ე რ ი:**

როცა ეს ჩემი ნარკვევი უკვე სტამბაში იყო ასაწყობად და ლითონის სტრიქონებად ისხმებოდა, ერთმა ამბავმა გამიხარა გული უზომოდ — რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებ გუნდში მიიწვიეს.

# დიდი მანუჩარი

## მანუჩარის სილუეტი

გავაკეთე თუ არა ქაღალდზე ამ ნარკვევის პირველი სტრიქონი. უნებურად გამახსენდა ერთი ნაწყვეტი ამას წინათ გამოკვეთილი ჩვენივე წიგნიდან „№ 1 ფეხბურთელი", რომელიც ჩვენი სასიქადულო „დინამოს" უნიკალურეს ცენტრფორვარდს რამაზ შენგელიას მიეძღვნა.

მინდა, ეს ნაწყვეტი მკითხველსაც გავახსენო:

„და, აი, მე და რამაზი მიწაში ჩადგმულ ხის გრძელ სკამზე ვსხედვართ და ვსაუბრობთ ფეხბურთზე, როგორც არაერთგზის გვისაუბრია, გულწრფელად, დაუფარავად, ყოველგვარი დიპლომატიური კითხვა-პასუხის გარეშე.

იქვე, ჩვენს პირდაპირ, საფეხბურთო მინდორზე, „დინამო" ვარჯიშობს. აგერ, დათო, მანუჩარი, გოჩა, ერთი ვახტანგი, მეორე ვახტანგი, ფირუზი, შოთა...

ეს პირველი წყებაა. ასე ერთი საათის შემდეგ კი მეორე წყება დაიწყებს ვარჯიშს და მათ შორის რამაზიც.

— წლეულს ადრე დავიწყეთ ვარჯიში, — მეუბნება რამაზი და ნასვრად ხუმრობის ტონით დასძენს, — როგორც ნამდვილ ჩემპიონებს შეეფერით. რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ თავიანთ ღირებულ ტიტულთან გამოთხოვება.

— და როგორც შეეფერის იმ გუნდს, — ვუმატებ მე, — რომლის წევრები, აი, უკვე ზედიზედ მეორე წელია პირველი ფეხბურთელის წოდებას ისაკუთრებენ, შარშან დათო, წლეულს რამაზი.

— შარშან დავით ყიფიანმა, ამ ბრწყინვალე ოსტატმა, მართლაც, რომ ყველას აშკარად აჯობა და ღირსეულად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება.

— დათო შარშან შეუდარებელი იყო, — ვეთანხმები მე.

— ჩემი პირველი ფეხბურთელობისა კი რა მოგახსენოთ, — კანაგრძობს რამაზი. — წლეულს ეს წოდება მხოლოდ და მხოლოდ მანუჩარ მაჩაიძეს ეკუთვნოდა. ჩვენი დროის ამ სწორეპოვარ დიდოსტატს. ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ მას დავასახელებდი საუკეთესო ფეხბურთელად. მანუჩარმა მთელი ჩემპიონატი ძალზე ძლიერად, სტაბილურად, უმაღლეს პროფესიულ დონეზე ჩაატარა და ქეშმარიტად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გუნდის ამ დიდ გამარჯვებაში, რამაც ზღვა სიხარული მოუტანა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს.

ჩვენს შორიახლო, პირდაპირ, საფეხბურთო მინდვრის აქეთა მხარეს, მანუჩარ მაჩაიძე ვარჯიშობს. ჯერ მარჯვენა ფეხით, მერე მარცხენა ფეხით. მერე წინ გაზნექილი მკერდით, მერე თავით, მერე ისევ ფეხებით და ასე შემდეგ გაუთავებლად კენწლავს, კენწლავს, კენწლავს ბურთს გაუთავებლად. მგონი უკვე ასჯერ აკენწლა, მეტჯერ თუ არა...

რამაზი დაუფარავი აღტაცებით შესცქერის თავის კაპიტანს.

— ეეჰ, მისი ნახევარი ტექნიკა და ჯანი რომ მოგვცა, — ნატრობს იგი. — ან მე, ან ჩვენი გუნდის, რომელიც გნებავთ, წევრს...

— ვეებერთელა ფეხბურთელია, — ვერ ეფარავ აღტაცებას მეც, — ზღაპრული ტექნიკა აქვს და ხარის გული.

მერე უსიტყვოდ, ჯადოშეკრულებივით ვადევნებთ თვალს დინამოელთა კაპიტნის ვარჯიშს, რომელიც ყამიდანყამ ბურთის დიდოსტატური ფლობის საზღვრებსაც სცილდება და ნამდვილ ყონგლიორობაშიც გადადის.

კიდევ ერთხანს ტრიალებს დუმილი და ამ დუმილს მხოლოდ წარმოუდგენლად მოთვინიერებულ, დამორჩილებულ ბურთზე ფეხის, მკერდის, თავის შეხებათა ოდნავ ყრუ, მონოტონური ხმა ავსებს — „დინამოს“ კაპიტანი განაგრძობს, ღარ მთავრებს კენწვლას, მგონი, უკვე ორასზე ავიდა...

და უცებ ბურთზე ფეხის, მკერდის, თავის შეხებათა ოდნავ ყრუ, მონოტონურ ხმას რამაზის დაბალი ხმაც უერთდება, ჩურჩულს უფრო რომ ჰგავს, თითქოს საკუთარ თავს ეხმიანებაო:

— არა, მანუჩარი ფეხბურთელს არ ჰგავს.

გაკვირვებით შევხედე — ვერ გაიგე, რაზე თქმა სურდა ამით.

— როგორ... მაშ.. მაშ, ვის ჰგავს? — ცოტა არ იყოს. დაბნეულმა ვეკითხები მე.

რამაზი ერთბაშად არ მიპასუხებს, მცირე ხახს ისევ დუმს, მერე ისევ ხმადაბლა. მაგრამ მკაფიოდ ამბობს:

— არწივს.

— არწივს?

— ჰო, არწივს, — ახლა უკვე ხმამაღლა, როგორღაც დაბეჯითებით, დარწმუნებით ამბობს რამაზი, — ჩვენ კი, ყველანი, მთელი გუნდი, მის მართვეებს ვგავართ. თითქოს თავის მძლავრ ფრთებს რომ გადაგვაფარებს ხოლმე, როცა ვანსაცდელის ქარი დაჰკრავს.

— შესანიშნავი შედარებაა, — ვეთანხმები მე. — სხვათა შორის, ჩემშიც არწივის ასოციაციებს იწვევს მანუჩარ მაჩაიძის სილუეტი. მისი განუმეორებლად ვაჟკაცური თამაში, გასაოცარი სპორტული მხნეობა და შემართება. დაუვიწყარი სანახავია, როცა იგი, ყელმოღერებული და მხრებაზიდული, მართლა არწივივით დაფრინავს მწვანე მოედანზე.

რამაზს, თავის საყვარელ კაპიტანთან დაკავშირებით, უყვარს ერთი ეპიზოდის გახსენება:

მოსკოვში თამაშობდნენ, დედაქალაქის ერთ-ერთ გუნდს ხვდებოდნენ. მსაჯი აშკარად სცოდავდა თბილისელთა მიმართ. ბოლოს, მისი არაობიექტურობა ყოველგვარ საზღვარს რომ გადასცდა, მოფრინდა მანუჩარი, ქორივით დააცხრა მსაჯს და გამყივანი ხმით დაჰკივლა, კმარა, გონს მოდიო. მსაჯი ამას არ ელოდა, შეცბა, შეშინდა და ამის შემდეგ, მართლაც, გონს მოვიდა, უფრო პატიოსნად იქცეოდა.

— ამიტომ იგი არა მარტო დიდი ფეხბურთელია, — ასკვნის რამაზი, — არამედ ნამდვილი კაპიტანიც არის, გუნდის ნამდვილი მეთაური და წინამძღოლი.

მანუჩარი კენწვლას მორჩა, შუა მინდვრისაკენ დაიძრა და გზადაგზა ჩვეული დრიბლინგით აუარა გვეორდი თანაგუნდელებს, რომელნიც ამაოდ ეცადნენ მისთვის ბურთის წართმევას.

დუმილს კვლავ რამაზი არღვევს:

— იცით, კიდევ ვის მაგონებს მანუჩარი?

— მანუჩარი, თუ მისი თამაში?

— ორივე ერთად.

— ვის? — ისევ ვეკითხები მე.

რამაზი პასუხად ნაცვლად მოულოდნელი შეკითხვის მაძლევს:

— კასპში ყოფილხართ?

— კასპში?

— დიახ.

— ვყოფილვარ... როგორ არ ვყოფილვარ... — ცოტა არ იყოს, დაბნეულად ეუპასუხებს შე.— თანაც ორჯერ ერთხელ და ორჯერ. მაგრამ...

— იქ, ალბათ, ბორბალი საკაძის დიდებული ქანდაკებაც გინახავთ.

— რა თქმა უნდა. — კეთილშობილურ ვერ ეხედები. საით ეცინებოდა ეს ბიჭი. თან ის თავისი განუმეორებლად თბილი, ბავშვური ღიმილით შორიდან რომ ესოყვარულება გუნდის კაპიტანი.

— ალბ... ბანფარი რაზეზე ამხედრებულ სწორედ იქ საკაძეს ძაგრეხებს,— გაუცინებია ამბობს რამაზი. — ქარქაბ... ... ...

მაინც მთავარია, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება იგი თავის მოვალეობას.

მარტო მანუჩარ მაჩაიძე, ბოლო წლებში „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი, იკმარებდა ამის მაგალითად. თავაზიანი, გულთბილი ვაუკაცი, პოეზიის დიდი მოყვარული... მოედანზე კი მკაცრი და შეუპოვარი, პატიოსანი ბრძოლისათვის მოწოდებული რაინდი.

ლეგენდარულ მოკრივეს როკი მარჩიანოს აწერენ ასზრს, რომ რა ვინდა რა მონაცემებიც ჰქონდეს, ჭეშმარიტ სპორტსმენად ვერ ჩაითვლება, ვინც ასპარეზობის ჟამს ენერგიას ზოგავს. ეს ისეთი შეჰპარავი ბანგია, რომელიც მასვე გააწბილებს ყველაზე გადამწყვეტ შერკინებაში.

მანუჩარ მაჩაიძემ ზღვა ენერგია შეალია ქართული ფეხბურთის ბოლო წლების დიდ გამარჯვებებს. უშურველად გაღებული ენერგია კი, როგორც იტყვიან, ამაოდ არასოდეს იხარჯება. რამდენ თითქმის წაგებულ თამაშში იჩინა თავი მანუჩარის ასეთმა თავდადებამ“...

დიახ, დინამოელთა კაპიტანს ქება-დიდება არასოდეს მოჰკლებია:

მანუჩარი — არწივი...

მანუჩარი — გიორგი საკაძე...

მანუჩარი — შეუპოვარი, პატიოსანი ბრძოლისათვის მოწოდებული რაინდი...

არასოდეს მოჰკლებია ქება-დიდება დინამოელთა კაპიტანს.

და მაინც ამ ქება-დიდების ზღვაში მურმანის ეკალივით ამოყოფს ხოლმე თავს თითო-ოროლა სკეპტიკოსი, ანუ, უფრო სწორად, ურწმუნო თომა, რომელიც გესლით გადმოანთხევს:

— კი მაგრამ, თუ ეს ყველაფერი მართლა ასეა, ანუ მანუჩარ მაჩაიძე გიგანტი დიდოსტატია და ლამის გიორგი საკაძეა ფეხბურთის თამაშში, რატომ არ შეჰყავთ იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში?

ამ ყბადაღებულ შეკითხვას არაერთხელ გასცემია მარტივი, ნათელი, დამაჯერებელი პასუხი, — რა თქმა უნდა, სახელგანთქმული კაპიტნის სასარგებლოდ.

მაგრამ ფეხბურთის არამცოდნეთ, ანუ სხვადასხვა ჯურის სკეპტიკოსთ და ურწმუნო თომათ, ყველაზე მარტივი, ნათელი, დამაჯერებელი პასუხი მაინც გაზეთმა „ლელომ“ გასცა ერთი ნამდვილად

ნიჭიერი სპორტული ჟურნალისტის მშვენიერი წერილის საშუალებით.

იყო იმ წერილში ერთი ასეთი აზრტევადი სტრიქონი, რომელიც მუდამ მახსენდება, როცა კი დიდ ქართველ ფეხბურთელზე ვფიქრობ:

„მანუჩარ მაჩაიძე ის უნიკალური ხე-მცენარეა, მხოლოდ მშობლიურ ნიადაგზე რომ ხარობს“.

ამ უნიკალურ ხე-მცენარეს შორს გაუდგამს ფესვები მშობლიურ ნიადაგში, ორმა დიდმა სტაიერმა-მობურთალმა რომ გააპოხიერა თავის დროზე,—ბასაბ და შოთამ, რომელთა გარეშეც დღეს, ალბათ, ვერც ეს უნიკალური ხე-მცენარე აიყრიდა ტანს და გაშლიდა ტოტებს ლაღად.

ამ უნიკალურ ხე-მცენარეს აქვს ერთი სისხლკარბი, ძარღვმრავალი ტოტი, ყველაზე ახლომდგომი, მშობლიური ხეცა თავის ათ ტოტს შორის, — გოჩა, ფეხმალი, დაუქანცავი, ილათიანი მობურთალი (ან კი როგორ მოხდებოდა, ეილათო, დაუქანცავი, ფეხმალი არ ყოფილიყო ალალი ძმა, სისხლი და ხორცი მანუჩარ მაჩაიძისა).

მას, გოჩას, ერთი წლით უმცროს მაჩაიძეს, გულშემატკივრებმა სიყვარულითა და ალერსით — „პატარა მანუჩარი“ შეარქვეს.

ხოლო მას, ნამდვილ მანუჩარს, ერთი წლით უფროს მაჩაიძეს, დიდი ხანია —

„დიდი“

უწოდეს.

„დიდი მანუჩარი“, — ასე ამბობენ ტრიბუნებზე, როცა ქართველ დინამოელთა კაპიტანს, ყელმოღერებულსა და მხრებაზიდულს, თითქოს არწივივით ასაფრენად გამზადებულს, ბრძოლის ველზე გამოაყავს თავისი დიდებული კოჰორტა.

„დიდი მანუჩარი“, — ასე ეძახის მას ხალხი, ფეხბურთის, ამ გასაოცარი თამაშის, მილიონობით თაყვანისმცემელი.

## კიდევ ერთი სილუეტი მანუჩარისა

და კიდევ ერთი მურმანის ეკალი, ამოსული ამდენი ქება-დიდების ზღვაში.

— თუმცა მანუჩარი ყველა სიკეთით შემკული ოსტატია თავი-

სი საქმისა, ერთი დიდი ნაკლი მაინც აქვს. ზედმეტად ატარებს ბურთს, დროზე არ იძლევა პასს.

ყამიდანყამ შემოგესმებოდათ ორმოცდაათიმე წლის ხნის ეა თუკი ოდნავ მაინც გაგეგებოდათ რაიმე ამ დიდებული თამაშისა, არ შეიძლებოდა, გულიანად არ გაგცინებოდათ, ან ხმამაღლა, ან გუნებაში, ამის გაგონებაზე.

გაგეცინებოდათ და უნებურად გაგახსენდებოდათ ამგვარივე „შეეონება“ თბილისის „დინამოს“ ზოგ-ზოგი „საგასტროლოდ“ ჩამოსული თუ აქაური ყოფილი ეაი-მწვრთნელისა, რომელნიც წლეპის მანძილზე უჩიჩინებდნენ ამას დიდ ფეხბურთელს და იმ თავის ლაე თამაშს უზღუდავდნენ.

— ზედმეტად ატარებს ბურთს, დროზე არ იძლევა პასს, — ჩიოდნენ ისინი, ყოველნაირად ცდილობდნენ ამ „ნაკლის“ აღმოფხვრას და ამით დიდ ზიანს აყენებდნენ არა მარტო თვით მანუჩარს, არამედ მის საყვარელ, სათაყვანებელ ეუნდსაც, მათი წყალობით წაბყვან ხუთეულს ბიდმა რომ იმყოფებოდა ერთთავად.

ათიოდე წლით ადრე თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი მეორე დიდი ფეხბურთელი მიხეილ მესხი.

— მიშა მცირე ყალიბის ფეხბურთელია, ხალხის თავშესაქცევად, სალაღობოდ თამაშობს მხოლოდ, ძალზე დაბალი აქვს მარგი მოქმედების კოეფიციენტი, — ამბობდნენ იმდროინდელი ეაი-მწვრთნელები, „სოლომონ ბრძენი“ სპეციალისტები და ჩვენს სახელგანთქმულ გარემარბს იმ თავისი ვანუმეორებლად ორიგინალური თამაშის ხელწერას უზღუდავდნენ.

ერთი ეაი-მწვრთნელი, წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი, იმასაც კი იძახდა მაშინ:

მიშა მესხი მოჭიდაეედ არის დაბადებული, თავი უნდ გაანებოსო ფეხბურთს.

მაგრამ დრომ დაამტკიცა, დრომ, ამ ყველაზე ჭეშმეეულმა, უტყუარმა შემფასებელმა, რომ მიხეილ მესხიც და მანუჩარ მაჩაიძეც ბევრად უფრო დიდი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ, ვიდრე მათს იმ ეაი და ეული შემფასებლებს ეგონათ.

ამავე დროს როგორ გაგიხარებს გულს ისეთი საუბრის მოსმენა, როგორიც ამას წინათ მოვისმინე ამ ჩვენს „დინამოს“ სტადიონზე ორ საკმაოდ „სტაჟიან“ ვულშემატკივარს შორის. მათს საუბარში ფეხბურთისადმი სიყვარულთან ერთად დიდი ქართველი

ფეხბურთელის თავისებურად საინტერესო, ობიექტური შეფასებაც ჩანდა.

ვეცდები, რაც შეიძლება ზუსტად გადმოგცეთ ეს საუბარი:

პირველი გულშემატკივარი: მას შემდეგ, რაც ნოდარ ახალკაცი მოვიდა გუნდში, მთელი თავისი სილაღით გაშალა ფრთები მანუჩარ მაჩაიძის დიდმა ნიჭმა.

მეორე გულშემატკივარი: ეს იმიტომ მოხდა, რომ ალარავინ უჩიჩინებს, იმ შენს თამაშს ნე ითამაშებო.

პირველი გულშემატკივარი: რას არ იძახდნენ, რას არ სწამებდნენ. ზედმეტად ატარებსო ბურთს, დროზე არ იძლევაო პასს, არღვევსო თამაშის რიტმს.

მეორე გულშემატკივარი: მაშინ, როცა მანუჩარის ოსტატობის ეს თავისებურებანი ასე საჭიროა ხოლმე გუნდისათვის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სათამაშო სიტუაციაში.

პირველი გულშემატკივარი: საჭიროა, რა თქმა უნდა, საჭიროა, და ეს. სამწუხაროდ, ზოგიერთს დღესაც არ ესმის.

მეორე გულშემატკივარი: როცა ტემპის შენელებაა აუცილებელი, მანუჩარი ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს „დაიჭიროს“. დიდხანს ატარებს ბურთი, რათა თამაში თავისი გუნდისათვის ხელსაყრელ რიტმში გადაიყვანოს და თან მინდვრის შუაგულს დაეპატრონოს. თანაგუნდელების კონტროლს დაემორჩილოს. მაგრამ, როცა მოედანზე შექმნილი ვითარება ტემპის გადატებას თხოულობს, უმალ გარდაიქმნება ხოლმე ჩვენი კაპიტანი, არც ერთი წამით ალარ აყოვნებს ბურთს, გრძელი და მოკლე გადაცემებით იწყებს მოქმედებას.

პირველი გულშემატკივარი: როგორც ნამდვილი მოტორი, რომელსაც ძალუძს, სხვადასხვა სიმძლავრით იმუშაოს, იმისდა მიხედვით, რომლით ჩართავს, რომლით აამოქმედებს, რომლით გამოიყენებს ადამიანი.

მეორე გულშემატკივარი: ჰოდა, ამაშიც მართალი გამოდგა ახალკაცი, ნებაზე მიუშვა მანუჩარი, როგორც გიჩვენებს საქმე, ისე მოიქეცით, და გუნდმაც მხოლოდ მოიგო ამით.

პირველი გულშემატკივარი: და მე ძაინც მინდა, იმ ჩვენს წელანდელ საუბარს დავუბრუნდე.

მ ე ო რ ე  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: ესე იგი შენ მაინც იძახი, ნახევარმცველი არ არისო მანუჩარი.

პ ი რ ვ ე ლ ი  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: არა, ნახევარმცველია, და ამავე დროს დიდებული ხახეკარმცველიც, მაგრამ მე ამის თქმა მინდა, მხოლოდ ნახევარმცველი არ ეთქმის-მეთქი მანუჩარს.

მ ე ო რ ე  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: სიმართლე რომ თქვას კაცმა, სადღაც სწორი ხარ. მართლაც, ცოდვაა, დიდი ცოდვაა, მხოლოდ ნახევარმცველი ერქვას მანუჩარს.

პ ი რ ვ ე ლ ი  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: რა თქმა უნდა. აბა, დაფიქრდი. რომელია ჩვენს ქვეყანაში მეორე ისეთი ფეხბურთელი, მოედნის ყველა უბანზე შეეძლოს თანაბარი ძალით თამაში. ისე, როგორც ეს მანუჩარს ძალუძს. სხვა ოსტატებისაგან განსხვავებით, მას არა აქვს თავისი ამპლუა, მოქმედების შემოფარგლული არე, შემოფარგლული ფუნქციები, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ვიწრო სპეციალობა". დიახ, იგი უამპლუო ფეხბურთელია, ანუ მას ათვისებული აქვს თითქმის ყველა საფეხბურთო „პროფესია", „პროფესია" მცველისა, ნახევარმცველისა, თავდამსხმელისა. აქედან გამომდინარე, ალბათ, კარის გუშაგობასაც დიდებულად შეძლებდა. თუკი ამასაც დაისახავდა მიზნად. ნახევარმცველი ჰქვია და არა მცველი, მაგრამ თავიანთ საჯარიმო მოედანზე შექმნილი თითქმის ყველა კრიტიკული სიტუაციის მთელი სიმძიმე საკუთარ ზურგზე გადააქვს. ნახევარმცველი ჰქვია და არა თავდამსხმელი, მაგრამ მუდამ წინ უძღვის იერიშს და მის მიერ დარტყმული „ყუმბარა-ბურთები" არცთუ ისე იშვიათი სტუმრები არიან მეტოქეთა კარის ბადისა.

მ ე ო რ ე  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: მართალი ხარ. გულშემატკივრებმაც ხომ ამიტომ დაარქვეს „ჩვენი ყველგან მყოფი მანუჩარი".

პ ი რ ვ ე ლ ი  გ უ ლ შ ე მ ა ტ კ ი ვ ა რ ი: ეს სიტყვა, „ყველგან მყოფი", ზედგამოჭრილია მანუჩარისათვის, რადგან იგი მთელი მოედნის მოთამაშეა, მთელს მოედანს უწევს კონტროლს. მინდორს არწივივით დასტრიალებს, გუნდის თვითეულ წევრს ჯაჭვის უწყვეტ რგოლებად აკავშირებს ერთმანეთთან. მის ასპარეზს იქ ესმება წერტილი, სადაც მინდორი მთავრდება და მძლეოსანთა სარბენი ბილიკები იწყება.

— ფეხბურთის თამაში, ბიჭი ანაბანა, — ბიაბბობ', მანუჩარი, — მე და გოჩამ. ჩემმა ერთი წლით უმცროსმა ძმამ, ჩვენი სახლის ეზოში ვისწავლეთ, ნაძალადევში. გუდამაყრის ქუჩაზე, სადაც ფეხი და ენა ავიდგით და ბავშვობა-სიყრმე-სიჭაბუკეც ვავატარეთ.

ამ ეზოში, არ შეიძლებოდა, თავდავიწყებით არ შეგყვარებოდა ფეხბურთი. საკმაოდ ღრმად არ ჩასწვდომოდი ტყავის ბურთის დამორჩილების საიდუმლოებასაც — აქ ხომ ამ ანდამატური ძალით მიმზიდველი თამაშის ტროფიალი იყო ყველა. დიდი და პატარა.

ჰო. დიდი და პატარა, ყველა... მაგრამ... მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთი გამონაკლისის გარდა.

და ეს გამონაკლისი — ელექტროინჟინერი დომენტი მაჩაიძე გახლდათ. თავისი საქმის საკუთარი ხუთი თითიანით მცოდნე კაცი, მამა იმთავითვე ფეხბურთს გადაყოლილი პატარა ბიჭებისა, მანუჩარისა და გოჩასი.

იგი შეუვალი ცხელსიმაგრე გამოდგა ფეხბურთისათვის. კარა და არა. გულთან ახლოსაც არ გაეკარა ეს ანდამატური ძალით მიმზიდველი თამაში, ყველას, დიდსა თუ პატარას. თავის მონამორჩილად რომ აქცევდა ხოლმე ემალ.

ბურთს არ გაეკაროთ. თორემ... — მუქარით დაუქნევდა თითს ვაჟებს დომენტი და ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მის „შეგონებას“ დიდი ზემოქმედებითი ძალა ჰქონდა, დამშვიდებით წავიდოდა სამუშაოზე.

მაგრამ როგორც კი გაუჩინარდებოდა გუდამაყრის ქუჩის მეზობელ შესახვევში, მისი „შეგონება“ უმალ კარგავდა ყოველგვარი ზემოქმედების ძალას — უკვე ეზოში იყვნენ ძმები და ერთი თუ ბურთს დააგორებდა, მეორე ფეხდაფეხ მისდევდა, იმ ბურთის დაპატრონებას ლამობდა.

საღამოობით, როცა შინ იყო ხოლმე მამა, ხოლო ეზოში, ჩვეულებისამებრ, ფეხბურთს გაახურებდნენ მათი თანატოლები. — მოუსხდებოდნენ ფანჯარას მანუჩარი და გოჩა, შურით სავსე თვალებით გასცქეროდნენ ოფლში გავლებულ ამხანაგებს. იცოცხლე, იმათ მაშინ თამაში უნდოდათ, მაგრამ მამის რიდით, აბა, როგორ გაბედავდნენ მობურთაკეებში გარევას.

მერე, როცა ერთი-ორი წელი გავიდა და ძმები ცხრა-ათი წლისანი გახდნენ, დომენტი მაჩაიძემ როგორღაც შედარებით მიაჩვია თვალი და ყური იმათ ფეხბურთელობას.

საქმე ის იყო, რომ ძმებმა მაჩაიძეებმა ამ დროისათვის უკვე დაიქუხეს ეზოსა და უბნის თანატოლ ბიჭებს შორის, როგორც „მატაობის“ პირველმა ფალავნებმა, და მათი თამაშის სანახავად არამარტო პატარები, დიდებიც კი იყრიდნენ ხოლმე თავს.

ამას ისიც დაემატა, რომ მანუჩარმა და გოჩამ ვუდამაყრინ ქუჩის ნაკრები გუნდი ჩამოაყალიბეს და ზედიზედ დაამარცხეს მეზობელი ქუჩის ნაქები ბიჭები.

უბანში წარამარა გაიგონებდით უფროსებისაგან:

— ნახეთ, ერთი რას თამაშობენ დომენტის ბიჭები! ის უფროსი ხომ ზედგამოჭრილი პაიჭაძეა, მაგრამ არც უმცროსი: ნაკლები, ნაღდი ჯეჯელავაა!

ეს ყველაფერი, ჩანს, სადღაც მიესალბუნა დომენტი მაჩაიძის მამაკაცურ თავმოყვარეობას. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ცოტა თვალი მოუხუჭა და ცოტა ყური მოუყრუა ვაჟების უზომოდ გატაცებას ბურთით.

„გუდამაყრელთა“ გამარჯვებებს კი ბოლო არ უჩანდა. მალე მათ შესახებ სხვა უბნების ბიჭებმაც შეიტყვეს.

— ცხრა-ათი წლის ასაკის ბავშვებისაგან შემდგარი ჩვენი გუნდი მართლა კარგა თამაშობდა, — ღიმილით იგონებს გოჩა, — გვყავდა აუღებელი მეკარე როინ შარაშენიძე, გაურღვეველი მცველი ვაჟა ნემსაძე, მუხლმოუღლელი თავდამსხმელი ჯონი აბაიშვილი. მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად მაინც ჩვენი უცვლელი კაპიტანი მანუჩარი გამოირჩეოდა. ჩემი უფროსი სახლიკაცი. მას უკვე მაშინ ჰქონდა საოცარი უნარი, ზედიზედ მოეტყუებინა ლამის ნახევარი გუნდი. ხანდახან კი ისე „გათავხედდებოდა“, ჩვენი გუნდის კარიდან რომ დაიწყებდა თამაშს, მთელს მინდორს გაივლიდა. ყველას მოატყუებდა, მეკარესაც, და ბურთიანად შეეიდოდა მეტოქეთა კარში.

„გუდამაყრელთა“ გაუგონარი წარმატების, მათი კაპიტნის არნახული „მატაობის“ ამბავმა — მანუჩარისა და გოჩას მშობლიური ა.-მეთოთხმეტე საშუალო სკოლის კედლებამდე მიაღწია.

# ასპარეზი შართოვლება

ცხრაას სამოცი წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ფიზკულტურის მასწავლებელმა მიხეილ ნინოშვილმა თერთმეტი წლის მოსწავლე მანუჩარ მაჩაიძე თავის სამუშაო ოთახში იხმო და უთხრა:

„გედამაყრელთ" მუხლს უქებენ, შენი ქებაც გაეგონე, მინდა, ერთი გაგსინჯო, ხარ თუ არაო ამდენი ქება-დიდების ღირსი.

იმავე დღეს, საღამოს, მიხეილ ნინოშვილმა სკოლის ეზოში ბურთი აგდო და საგულდაგულოდ „გასინჯა" „გუდამაყრელთა" კაპიტანი.

მასწავლებელი ძალზე კმაყოფილი დარჩა.

ბიჭოს, შენ თურმე არ ხუმრობო, — ჩაილაპარაკა მან და საბოლოებით ჩაიწერა მისი გკარ-სახელი უბის წიგნში.

ერთი თვის შემდეგ ფიზკულტურის მასწავლებელმა ასმეთოთხმეტე სკოლის მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეადგინა, ცენტრალური თავდასხმელობა მანუჩარ მაჩაიძეს მიანდო, მისთვის არც კაპიტნის სამკლაური დაიშურა და თავისი ბიჭებით ლენინის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირველობაზე წარსდგა.

მიხეილ ნინოშვილის გუნდმა დამაჯერებელი ანგარიშით იზეიმა რამდენიმე გამარჯვება და ფინალში გავიდა, სადაც მეათე საშუალო სკოლის ძლიერ ფეხბურთელებს უნდა შერკინებოდა.

— ფინალური თამაშის წინა დღეს ისეთი მღელვარება დამეუფლა, — იგონებს მანუჩარი. — რომ მთელი ღამე თეთრად გავათენე. ჩემი ნერვიულობა მშობლებსაც გადაედოთ. დედაჩემი ჯაროობდა, ეს რა ჭირს გადამკიდეს, გამიგიჟესო ბავშვი, ხოლო მამაჩემმა, რომელსაც ფეხბურთი არასოდეს ეხატებოდა გულზე, გაცეცხლებულმა დამკიცლა, იცოდე, ეს შენი უკანასკნელი თამაში იქნება, ამიერიდან აღარ ვნახო, ბურთი გეთამაშოსო. მერე ისევ გოჩამ დამამშვიდა, ჩემზე არანაკლებ რომ ღელავდა. ნუ გეშინია, თქვენ იმათზე მაგრები ხართ, აუცილებლად მოიგებთო, და განთიადისას, როგორც იყო, ორიოდე საათით ჩამთვლიმა.

თამაში, რომელიც შამპანური ღვინის კომბინატის სტადიონზე გაიმართა, ძალზე დაძაბული, უშეღავათო გამოდგა.

ძირითადი დრო იწურებოდა, ანგარიში კი საყაიმო იყო — 1:1. და როცა მსაჯის საჟღერალო სასტვენამდე ბუთიოდე წუთიღა

რჩებოდა, ასმეთოთხმეტე სკოლის გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა მანუჩარ მაჩაიძემ მორიგი ბრწყინვალე რეიდის შემდეგ გამარჯვების გოლი გაიტანა.

გამარჯვებულმა გუნდმა ხელში აიყვანა თავისი კაპიტანი და ასე შემოუარა სტადიონს საპატიო წრე.

— თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისა და ორჯერ ბროლის თასის დაუფლებას ისე არ გავუხარებივარ, — მეუბნება მანუჩარი, — როგორც მაშინ იმ საარაონო პირველობამ გამახარა. მახსოვს. მთელი თვე უზომო სიხარულით ვიყავი გაბრუებული და ჩემი თავი ხან ის ბრაზილიელი ჯადოქარი პელე მეგონა, ხანაც ჩვენი ლეგენდარული პაიჭაია.

## საფეხბურთო სამეჯლოში

შამპანური ღვინის კომბინატის სტადიონზე გამართულ იმ ფინალურ მატჩს საგანგებოდ დაესწრო ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი-პედაგოგი ვანო შუდრა. ორმოციანი წლების თბილისის „დინამოს“ ცნობილი მეკარის სერგო შუდრას უმცროსი ძმა. თავად ვანო წარსულში თბილისელი გულშემატკივრების საყვარელი გუნდის „სპარტაკის“ ცენტრალურ მცველად თამაშობდა წლების მანძილზე და საკმაოდ პოპულარული ფეხბურთელიც იყო თავის დროზე. შემდეგ იგი სამწვრთნელო სამუშაოზე გადავიდა ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლაში. სადაც არა ერთი და ორი საიმედო ოსტატი აღუზარდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს გუნდს.

ფეხბურთელთა გამოცდილი აღმზრდელის დაკვირვებულ თვალს. რა თქმა უნდა, არ გამოპარვია ასმეთოთხმეტე სკოლის გუნდის კაპიტნისა და ცენტრფორვარდის საოცრად ლამაზი, ეფექტური თამაში. იმავე დღეს, მატჩის დამთავრების შემდეგ, ვანო შუდრა გამარჯვებული გუნდის ხელმძღვანელს მიხეილ ნინოშვილს შეხვდა და სთხოვა. „გასასინჯავად“ გამოეგზავნა მასთან, ოცდამეთხუთმეტე სკოლაში, მანუჩარ მაჩაიძე.

— მისი უმცროსი ძმაც კარგად თამაშობს ფეხბურთს, — უთხრა მიხეილმა ვანოს, — კარგი იქნებოდა. ისიც გაგესინჯათ.

— ძალიან პატარაა? — იკითხა ვანომ.

— არა. — უპასუხა ფიზკულტურის მასწავლებელმა. — მხოლოდ ერთი წლით უმცროსია მანუჩარზე.

— კეთილი, მასაც გავსინჯავ, — დაინტერესდა ვანო, — ერთად მოვიდნენ.

შემდეგ მანუჩარსაც გაესაუბრა. თამაში შეუქო. იმ კვირაში შენს ძმასთან ერთად უნდა მოხვიდეო ჩემთან, საფეხბურთო სკოლაში, უთხრა, და წავიდა.

ის დღე. იყო, ის წუთი და ის საათი, რომ მანუჩარმა და გოჩამ მოსვენება დაკარგეს — ორივეს დილიდან საღამომდე ის სანეტარო და საოცნებო ოცდამეთხუთმეტე სკოლა ეკერათ პირზე, ხოლო ღამით ნაირფერ ბურთებს ხედავდნენ სიზმრად.

დომენტი მაჩაიძე თავისი ვაჟების „გასასინჯავად" ვამოძახებას მოულოდნელი ლოიალურობით შეხვდა. მისი აქგვარი მეტამორფოზა იმით იყო გამოწვეული, რომ მანუჩარიც და გოჩაც, მიუხედავად იმისა, ორივეს საკმაოდ დიდ დროს ართმევდა ფეხბურთი, — წარჩინებით, მხოლოდ „ხუთიანებზე" სწავლობდნენ, საუკეთესო მოსწავლეებად ითვლებოდნენ მთელს სკოლაში.

„თუკი ასე ყოჩაღად ისწავლიან, ჯანდაბას მაგათი თავი, ითამაშონ ფეხბურთი"... — ფიქრობდა მამა.

დედა, ქალბატონი ცაცა, უფრო თანმიმდევრული. პრინციპული მოწინააღმდეგე გამოდგა შვილების მოსალოდნელი „გაფეხბურთელებისა" და ახლა მხოლოდ იმის ფიქრში იყო, როგორ ჩაეშალა ეს საქმე.

„იმ დასაღუპავ სკოლაში რომ ჩაირიცხონ, ალბათ, სულ აიღებენ ბელს სწავლაზე"... — ფიქრობდა დედა.

ბოლოს, როგორც იყო, დაიწყო ახალი კვირა, გათენდა ორშაბათი, და მანუჩარი და ვოჩა სკოლიდან დაბრუნებისთანავე „ძია ვანო შუდრასთან" წასასვლელად მოემზადნენ.

ქალბატონმა ცაცამ მარტო არ გაუშვა შვილები:

ჯერ პატარები ხართ, მე წაგიყვანთო.

დედა ვარაუდობდა. მივალ. ვნახავ იმ ვანო შუდრას, ცალკე მოველაპარაკები და ვთხოვ, ნუ დამღუპავს, შეეშვასო ჩემს ბიჭებს.

იმ „დასაღუპავ" სკოლაში რომ მივიდნენ, ბიჭები დერეფანში დატოვა. აქ მოიცადეთო ცოტა ხანს, და მარტო შეეიდა მწვრთნელ-პედაგოგის სამუშაო ოთახში.

ვანო შუდრა უმალ ფეხზე წამოდგა, თავაზიანად შეეგება უცნობ მანდილოსანს.

— ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ, ქალბატონო?

— მე დედა გასლავართ იმ ძმები მაჩაიძეებისა. თქვენ რომ დაგიბარებიათ გასასინჯავად. ისინიც აქ არიან. დერეფანში იცდიან.

— კი მაგრამ, თქვენ რატომ შეწუხდით, — გაეცინა ვანოს, — მარტო ვერ მოვიდოდნენ? არც ისეთი პატარები არიან.

— არა, — თქვა ქალბატონმა ცაცამ, — მე სულ სხვა საქმეზე გეახელით.

და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დასძინა:

— მხოლოდ. რასაც ახლა გეტყვით...

თან ოთახს მიმოაელო თვალი, თითქოს შიშობს, ხომ არ მისმენსო ვინმე:

— იმათ... ჩემმა ბიჭებმა... არ უნდა იცოდნენ.

— ბრძანეთ, — ყურადღებად იქცა ვანო.

მანუჩარისა და გოჩას დედა, თითქოს დაივიწყაო ყოველგვარი სიფრთხილე. უცებ ხმამაღლა, აღელვებით ალაპარაკდა:

მამა არ ხართო?..

შვილები არ გყავთო?..

შედითო ჩემს მდგომარეობაში...

ნუ დამილუპავთო ამ ბიჭებს...

ჩვენი, ჩემი და ჩემი მეუღლის, საერთო სურვილია, მანუჩარმა და გოჩამ არამცთუ არ ითამაშონ ფეხბურთი, სამუდამოდ დაივიწყონო მისი სახსენებელიც...

და ამაში თქვენ უნდა შეგვიწყოთ ხელი, თქვენ უნდა დაგვეხმაროთო...

და ასე შემდეგ...

და ასე შემდეგ...

ვანო შუდრამ ეს ყველაფერი დიდი ყურადღებითა და, რაც მთავარია, დიდი სიმშვიდით მოისმინა. ეტყობა, კარგა ხანია ათვისებული და მონელებული ჰქონდა ამისმაგვარი ტირადების მოსმენა საფეხბურთო სკოლაში მისაღებ ბავშვთა მშობელთაგან.

მერე, როცა ქალბატონმა ცაცამ მოათავა თავისი სათქმელი, მწვრთნელმა-პედაგოგმა ასეთივე სიმშვიდით თქვა:

— დაწყნარდით, ქალბატონო. დამერწმუნეთ, თქვენც და თქვენი მეუღლეც სულ ტყუილად ღელავთ, და რომ იცოდეთ...

— მე გთხოვთ, — როგორღაც ძალზე კატეგორიული. ოფიციალური ტონით გააწყვეტინა მანუჩარისა და გოჩას დედამ და დაუმატა, — მე გთხოვთ. როგორც იტყვიან, დაიწუნოთ ჩემი ბიჭები.

ვანო შუდრას წყენისა თუ შეცბუნების ძლივს შესამჩნევი ჩრდილი მოეფინა სახეზე.

ერთხანს თავჩაღუნული დუმდა.

მერე, ისე, რომ თვალი არ გაუსწორებია სტუმრისათვის, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— კეთილი... ვეცდები.

მერე მანუჩარისა და გოჩას დედა დერეფანში იცდიდა, ხოლო მწვრთნელი-პედაგოგი იქ, სკოლის ვრცელ ეზოში, „სინჯავდა" ბიჭებს.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელ საათს.

ქალბატონ ცაცას უკვე მოთმინების ძაფი უწყდებოდა, რომ დერეფნის ბოლოში მწვრთნელი-პედაგოგი და მისი ახალი შეგირდები გამოჩნდნენ. ვანო შუდრას ნათელი გადასდიოდა სახეზე, მანუჩარსა და გოჩას კი ლოყები დასწითლებოდათ, უჩვეულოდ უბრწყინავდათ თვალები.

ქალბატონ ცაცას მათს დანახვაზე უსიამოვნოდ შეუქანდა გული. „სამივენი გახარებულნი ჩანან... აქ რაღაც სხვა ამბავია"... — გაიფიქრა მან და ცუდი ამბის გაგონების მოლოდინში გაიწაბა.

— ქალბატონო ცაცა, — როგორღაც საზეიმო ტონით წარმოთქვა ვანო შუდრამ, ნათელი რომ გადასდიოდა სახეზე, — პირდაპირ უნდა გითხრათ, დიდებული ბიჭები გყოლიათ. თუ აქაც ისევე ბეჯითად გაირჯებიან, როგორც სწავლაში, გარწმუნებთ. მომავალში სასახელო ფეხბურთელები იქნებიან.

მანუჩარსა და გოჩას, თუმცა, ალბათ, მსგავსი შეფასება „გასინჯვის" დროსაც ექნებოდათ მოსმენილი, რაღაც წამოკიცლებისმაგვარი აღმოხდათ სიხარულით.

რაც შეეხება ქალბატონ ცაცას, იგი ერთხანს თავზარდაცემულივით იდგა უსიტყვოდ. მერე კი, თითქოს მოეგოო გონს, ძლივს ამოილუღლუღა:

— კი მაგრამ... თქვენ ხომ შემპირდით... თქვენ ხომ შემპირდით...

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო ცაცა, — ნათელი გადასდიოდა სა-

ხეზე შეკერთნელ-პედაგოგს. — ესენი ისეთი ყოჩაღი, ჭკვიანი ბიჭები ჩანან. არც წიგნს უღალატებენ. არც ბურთს, არც ერთს. არც მეორეს არ დააჩაგვრინებენ ერთმანეთს.

ცხრა

ვის ერთთავად დაძაბულ საფეხბურთო ცხოვრებაში უთუოდ ღირსშესანიშნავი ამბები მოხდა.

ძმები მაჩაიძეებისა და მათი უძლეველი გუნდის „გუდამაყრელების“ ჰეგემონია უეცრად დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — ნაძალადევის საფეხბურთო ცის კაბადონზე გამოჩნდა ახალი ამომავალი „ვარსკვლავი“, რომელსაც გასაოცარი სისწრაფისა და წარმოუდგენელი ფიზიკური გამძლეობისათვის — „ფაიტონა“ შეარქვეს.

სულ მალე „ფაიტონამ“ სისწრაფისა და ფიზიკური გამძლეობის გარდა ერთი სხვა თვისებაც გამოავლინა, — პატივმოყვარეობა. ეს იმით გამოიხატა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავი მოუყარა თავიანთი მეთხუთმეტე საშუალო სკოლის ფეხბურთელ ბიჭებს და განაცხადა:

ბევრი კიფიქრე და გადავწყვიტე, ძმები მაჩაიძეები უნდა წავახდინოთ; ხე შაგათ ვასწავლი, როგორც უნდა ბურთის ტარება, მატაობა და პას მასიო.

ბიჭებმა თავი გააქნიეს, ორპოფულად გაიღიმეს:

ვერა, ჩვენ მაგათ საკუთარი, ჩვენი სკოლის ძალებით ვერ დავჯაბნითო.

მაშ, რას მირჩევთო? — ჭირვეულად იკითხა „ფაიტონამ“ და ის თავისი შავ-შავი თვალები მრისხანედ დაბრიალა.

იმათაც აიღეს და ურჩიეს:

ჩვენი სკოლის გუნდი სხვადასხვა უბნის ბიჭებით გავაძლიეროთ, მხოლოდ მაშინ შევძლებთო მაჩაიძეების დამარცხებას.

„ფაიტონას“ ჭკუაში დაუჯდა რჩევა:

დატრიალდა,

თავისი ბიჭებიც დაატრიალა,

ნაძალადევის საუკეთესო მობურთაველები ერთად შეყარა

და

მეთხუთმეტე სკოლის ნაკრები კი არა

მთელი ნაძალადევის კოალიცია შეადგინა —

ძმები მაჩაიძეებისა და მათი „გუდამაყრელების“ წინააღმდეგ.

კოალიციაში შეიდნენ ისეთი ძლიერი ბურთის ბიჭები, როგორიც იყვნენ:

„კურკა“,

„ბალასა“,

„აბესა“,

„თემურა“,
„შაქრო“.
„გლეხი გოგია“,
ძმები ჯიაძეები
და
სხვანი.

მათ, ყველას, ერთი უძლეველი სურვილი აერთიანებდათ და ასულდგმულებდათ:

სასტიკად დაემარცხებინათ ის უძლეველი „გუდამაყრელები“ და მათი სახელგანთქმული კაპიტანი იმ თავის სახლიკაცთან ერთად — მინდვრიდან დამარცხებული, თავლაფდასხმული გაეშვათ.

მალე მანუჩარ მაჩაიძეს გამოწვევა მოუვიდა „ფაიტონასაგან“:

აი, ჩემი გუნდიო. თუ ბიჭი ხარ და მუხლი გერჩის, მობრძანდი მაგ შენი „გუდამაყრელებით“ და შეთამაშეო. რასაც წაიღებ იმასაც ვნახავო.

„გუდამაყრელების“ კაპიტანმა, რა თქმა უნდა, მაშინვე მიიღო ეს თავხედური გამოწვევა:

მოვდივარ ჩემი ბიჭებით და დამიხვდიო.

მეთხუთმეტე საშუალო სკოლას დიდებული საკუთარი სტადიონი ჰქონდა და ეს „საუკუნის მატჩიც“, ბუნებრივია, იქ დაინიშნა.

მაშ, ასე:

ერთი მხრივ, — მანუჩარ მაჩაიძე და ნაძალადევის „უგვირგვინო მეფენი“ „გუდამაყრელები“,

მეორე მხრივ, — „ფაიტონა“ და მეთხუთმეტე სკოლის ნაკრები გუნდი, რომელიც სინამდვილეში ნაძალადევის ნაკრებ გუნდს წარმოადგენდა.

მე იმ მატჩის აღწერას არ შევუდგები.

უფრო სწორად:

ვერ შევუდგები.

რადგან ვერავითარ კალამს ვერ ბალუძს მისი აღწერა.

ვიტყვი მხოლოდ ამას:

იფ, იფ, იფ!

თამაში იყო, მაგრამ რა თამაში!

„გუდამაყრელებმა“ გაიმარჯვეს — 3:2.

გაიმარჯვეს მაშინ, როცა მსაჯის საფინალო სასტვენამდე სამოოდე წუთით ადრე — 1:2-ზე აგებდნენ.

და, აი, ამ სამ წუთში ნამდვილი სასწაული მოახდინა მანუჩარ მაჩაიძემ მეთხუთმეტე სკოლის დიდებულად მობიბინე, მუქ მწვანედ მოხატულ მინდორზე.

ორი განუმეორებელი რეიდი და ორი გოლი, — ჯერ მარცხენა დაბლა კუთხეში, მერე მარჯვენა მაღლა კუთხეში.

ხოლო ამ განუმეორებელი რეიდების დროს — ბაისურზე თუ „კურაკ" ჰყავდა ჩაძოკიდებული, ტრიბუნაზე თავად „ფაიტონა" ებღაუჭებოდა ორივე ხელით ლამის ნახევარი მოედნის მანძილზე.

მერე თითქოს მიწამ ჩაყლაპა დამარცხებულები — როდის გაიპარა, სად გაიპარა „ფაიტონა" და მისი ამქარი, ვერავინ ვერაფერი გაიგო.

და დღესაც არავინ არაფერი იცის — იმ დიდოსტატური გაპარვის თაობაზე.

## ოცნების აღსრულება

ნაძალადევის იმ გაუთავებელმა საფეხბურთო ბატალიებმა, განსაკუთრებით კი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში მიღებულმა გეგმაზომიერმა ფიზიკურმა, ტექნიკურმა, ტაქტიკურმა წრთობამ — ცხრაას სამოცდაშვიდი წლისათვის ტყავის ბურთის საკმაოდ მომწიფებულ ოსტატად აქცია თვრამეტი წლის მანუჩარ მაჩაიძე.

და როცა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნიჭიერმა აღმზრდელმა, თბილისის „დინამოს" ერთ-ერთმა ბრწყინვალე მარჯვენა განაპირა მცველმა ელადიმერ ელოშვილმა კალინინგრადში ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო პირველობაზე წაიყვანა თავისი საუკეთესო აღსაზრდელები, მათ შორის მანუჩარ მაჩაიძეც იყო.

ქართველმა ბიჭებმა ზედიზედ სძლიეს ცსკას, ვოროშილოვგრადის „ზარიას", უკრაინის საფეხბურთო სკოლის ახალგაზრდულ გუნდებს და მხოლოდ ფინალში დათმეს ბატჩი მოსკოვის სპარტაკელებთან — 0:1.

ამ ტურნირში მანუჩარ მაჩაიძემ მოიპოვა თავისი პირველი პრიზი — საუკეთესო ნახევარმცველისა.

იმავე წლის ზაფხულში თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა გუნდის სათადარიგო შემად-

გენლობაში ჩარიცხა პერსპექტიული ნახევარმცველი და მას დინამოელის მაისური ჩააცვა.

ეს იყო მანუჩარის ყველაზე სანუკვარი, ყველაზე დიდი ოცნების აღსრულება!

მანუჩარი იგონებს:

— დინამოელის სპორტულ ფორმაზე, ალბათ, ისევე ვოცნებობდი მთელ ჩემს სიყრმე-სიჭაბუკეში, როგორც ერთ დროს ის მამაცი გასკონელი ჭაბუკი დ'არტანიანი ოცნებობდა სამეფო მუშკეტერთა რაზმში ჩარიცხვაზე. ამიტომ ვიაჩესლავ სოლოვიოვის გადაწყვეტილება, თბილისის „დინამოში", ამ დიდ გუნდში, ყოფნის პირველი დღეები წარმტაცი სიზმარი მეგონა. მახსოვს, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს, აი, საცაა გამომეღვიძებოდა და ეს ყველაფერი, მთელი ეს ლამაზი მოჩვენება, ერთბაშად გაუჩინარდებოდა. ამ განცდამ მხოლოდ მაშინ მიმატოვა და მომასვენა, როცა, „დინამოში" მიღების ორიოდე კვირის შემდეგ, თბილისში ჩამოსულ ლენინგრადის „ზენიტთან" სათამაშოდ გამომიყვანეს სათადარიგო შემადგენლობათა მორიგ კალენდარულ მატჩში და ორივე გამარჯვების ბურთი ჩემი დროული, ზუსტი გადაცემის შემდეგ აღმოჩნდა სტუმრების კარის ბადეში.

## თბილისის „დინამოში"

ცხრაას სამოცდაშვიდი წლის ზაფხულის მისთვის იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა პირველად ითამაშა საქართველოს უძლიერესი გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში, თორმეტი წელიწადი გავიდა. თორმეტი წელიწადია, რაც ჩვენი „დინამოს" სრულუფლებიანი წევრი გახდა, რადგან მალე, იმავე ცხრაას სამოცდაშვიდი წლის შემოდგომაზე ძირითად შემადგენლობაშიც ჩარიცხეს და ნაცად, ძლიერ ოსტატებთან ერთად ფეხბურთის თამაშის უძნელესი, ურთულესი ღებნის — მინდვრის შუაგულის მოვლა-პატრონობა მიანდვეს.

დიახ, უკვე თორმეტი წელიწადია ნახევარმცველი მანუჩარ მაჩაძე თავისი მშობლიური, საყვარელი კოლექტივის სპორტულ ღირსებას იცავს.

ხოლო მის ღირსებას იცავს ისეთი სიმაღლის ოსტატობით, ისეთი სიმაღლის მოქალაქეობრიობით, რა სიმაღლითაც, შესაძლოა,

ვერც ვერავინ იტვირთა ეს ძნელი, საჭოჭმანო საქმე ამ სახელოვანი ტრადიციების გუნდის არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ამ თორმეტ წელიწადში გუნდს წარმატებებიც სდევდა თან და ჩავარდნებიც, ერთიც იყო და მეორეც. მაგრამ წარმატებები უფრო მეტად დაებედა მანუჩარ მაჩაიძის თაობას, ვიდრე ჩავარდნები, განსაკუთრებით კი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, როცა თავად კაპიტნის სამკლაური შემოირტყა, ხოლო მათ, ყველას, საფეხბურთო საქმეთა ის ბრძენკაცი ნოდარ ახალკაცი მოუელინა სათავეში ბედნიერმა შემთხვევამ.

ამ თორმეტ წელიწადში ჩვენი „დინამო“ — ხუთჯერ მესამე ადგილზე გავიდა — და მანუჩარ მაჩაიძემ ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ამ თორმეტ წელიწადში ჩვენი „დინამო“ — ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა — და მანუჩარ მაჩაიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამ თორმეტ წელიწადში ჩვენი „დინამო“ — ერთხელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა — და მანუჩარ მაჩაიძემ ოქროს მედალი მოიპოვა.

ამ თორმეტ წელიწადში ჩვენი „დინამო“ — ორჯერ საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გახდა — და მანუჩარ მაჩაიძემ ორჯერ მოიპოვა თასის მფლობელის პირველი ხარისხის დიპლომი, ბროლის თასით ხელში ორჯერ შეკრა საპატიო წრე თავის თანაგუნდელებთან ერთად „ლუჟნიკის“ საფეხბურთო სარბიელის ირგვლივ.

ამ თორმეტ წელიწადში ჩვენი „დინამო“ — ორჯერ იყო ფინალისტი, ერთხელ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისა, მეორედ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირისა — და მანუჩარ მაჩაიძემ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალისტის მეორე ხარისხის დიპლომი და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადის ტურნირის ფინალისტის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამრიგად, ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძე დაეუფლა:

ერთ მეორე ხარისხის დიპლომს,

ხუთ ბრინჯაოს მედალს,

ორ ვერცხლის მედალს,

ერთ ოქროს მედალს,

ორჯერ იპყრა ხელო ბრ-ოლის თასი.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძე თითქმის ათჯერ დასახელდა „33 საუკეთესოს“ შორის, როგორც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ნახევარმცველი.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 300-მდე მატჩში მიიღო მონაწილეობა და 40-მდე გოლი გაიტანა.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძემ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების 50-ზე მეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 10-მდე გოლი გაიტანა.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძემ 70-ზე მეტ ოფიციალურ თუ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მიიღო მონაწილეობა და 10-ზე მეტი გოლი გაიტანა.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძემ სულ 400-ზე მეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 60 გოლი გაიტანა.

400-ზე მეტი მატჩი — ეს ძალიან ბევრია.

60 გოლი — ნახევარმცველისათვის ცოტა როდია.

ამ თორმეტ წელიწადში მანუჩარ მაჩაიძემ თავისი სწორუპოვარი ოსტატობით, ფენომენური ენერგიით, ფეხბურთისადმი ფანატიკური ერთგულებით მთელს ჩვენს ქვეყანაში მოიხვეჭა მქუხარე სახელი.

ამ სტრიქონების ავტორი საბჭოთა კავშირის ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ კოლექტივი-სადმი მიძღვნილ ბუკლეტში მანუჩარ მაჩაიძის შესახებ წერდა:

„გუნდის კაპიტანი, გუნდის სული და გული, ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ღოღობერიძის, შოთა იამანიძის, მურთაზ ხურცილავას, მიხეილ მესხისა და სხვა სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა დიდებული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი და მათი არანაკლებ სახელოვანი მემკვიდრე, ტყავის ბურთის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე დიდოსტატი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში“.

ყოველკვირეულ გაზეთ „სპორტულიაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, რომელიც ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას მიეძღვნა, ვკითხულობთ:

„თანამედროვე თბილისის „დინამოს“ უმთავრეს ძალას წარმოადგენს მისი გაუტეხავი, გაუბზარავი, მოტორიანი მომუშავე ნახევარდაცვა, რომელსაც და აგრეთვე მოელს გუნდსაც წარმართავს ტყავის ბურთის დიდი ოსტატი მანუჩარ მაჩაიძე“.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი სერგეი სალნიკოვი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ წერდა:

„ნახევარმცველ მ. მაჩაიძეს გუნდის „მოტორს“ უწოდებენ. მას აქვს უნივერსალური ტექნიკა და „ყუმბარისებური“ დარტყმები კარში. გარდა ამისა. ქართველ ფეხბურთელთა კაპიტანი ტაქტიკურად მრავალფეროვნად და საოცრად ლამაზად თამაშობს“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის „ჰამბურგისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის შემდეგ წარსულში სახელგანთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა უვე ზეელერმა განაცხადა:

„შთაბეჭდილება მოახდინა ყიფიანისა და განსაკუთრებით მაჩაიძის თამაშმა, რომელიც უნაკლოდ მუშაობს ბურთით და ოსტატურად არეგულირებს მატჩის ტემპს“.

„ჰამბურგის“ უფროსმა მწვრთნელმა ზებეცმა კი თქვა:

„მე ვიცოდი, რომ ყიფიანი და მაჩაიძე ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, ითამაშონ საკუთარი სურვილის მიხედვით, მაშინაც კი. როცა მათ პერსონალური მეურვეები ჰყავთ. მაგრამ თუ მათ თავისუფლებას მისცემ, — უბედურება არ აგცდება“.

თბილისის „დინამოს“ მიერ ინგლისის უძლიერესი პროფესიული კლუბის „ლივერპულის“ დიდი ანგარიშით დამარცხებასთან დაკავშირებით, გაზეთმა „ნედელიამ“ ასეთი სტრიქონები უძღვნა მანუჩარ მაჩაიძეს:

„იგი მფრინავი მოტორია და გუნდის მართვის უშეცდომო პულტი“.

„ლივერპულის“ მწვრთნელები, რომლებმაც რამდენიმეჯერ იხილეს ქართველი ნახევარმცველის თამაში, აღნიშნავდნენ:

„რა ყოფილა ეს მანუჩარ მაჩაიძე! იგი არა მარტო ბრიტანეთის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ უძლიერეს გუნდს დააშვენებდა“.

## ორი რეკორდი

### ყველაზე ხელოვანი კაპიტანი

მანუჩარ მაჩაიძეს ერთი მეტად ყურადსაღები რეკორდი აქვს დამყარებული ქართული ფეხბურთის ისტორიაში. იგი ყველაზე ხელოვანი თავკაცი აღმოჩნდა თბილისის „დინამოს“ ყველა დრო-

ის კაპიტნებს შორის. ამას ქვემოთ მოტანილი ცხრილი ადასტურებს:

შ ო თ ა შ ა ვ გ უ ლ ი ძ ი ს თავკაცობით თბილისის „დინამო“ იყო:

ორჯერ მეორე ადგილზე — 1939 წ., 1940 წ.

ერთხელ მესამე ადგილზე — 1936 წ. (შემოდგომა).

ორჯერ თასის გათამაშების ფინალში — 1936 წ., 1937 წ.

ბ ო რ ი ს პ ა ი ჭ ა ძ ი ს თავკაცობით:

ორჯერ მესამე ადგილზე — 1946 წ., 1947 წ.

ერთხელ თასის გათამაშების ფინალში — 1946 წ.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ი ს თავკაცობით:

ორჯერ მეორე ადგილზე — 1951 წ., 1953 წ.

ორჯერ მესამე ადგილზე — 1950 წ., 1959 წ.

ერთხელ თასის გათამაშების ფინალში — 1960 წ.

შ ო თ ა ი ა მ ა ნ ი ძ ი ს თავკაცობით:

ერთხელ პირველ ადგილზე — 1964 წ.

ორჯერ მესამე ადგილზე — 1962 წ., 1967 წ.

მ ა ნ უ ჩ ა რ მ ა ჩ ა ი ძ ი ს თავკაცობით:

ერთხელ პირველ ადგილზე — 1978 წ.

ორჯერ თასის მფლობელი — 1976 წ., 1979 წ.

ერთხელ მეორე ადგილზე — 1977 წ.

ორჯერ მესამე ადგილზე — 1976 წ. (გაზაფხული), 1976 წ. (შემოდგომა).

თბილისის „დინამოს“ დანარჩენი „ხანმოკლე“ კაპიტნების მაჩვენებლები ზემოაღნიშნულზე ბევრად დაბალია და ამიტომ ისინი აქ არ მოვიხსენიეთ.

## უტრავმოდ, გაცდენის გარეშე

და კიდევ ერთი ყურადსაღები რეკორდი მანუჩარ მაჩაიძისა:

ქართველ დინამოელთა კაპიტანმა 150 მატჩი (სსრკ პირველობაზე, სსრკ თასზე, ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში) ჩაატარა უტრავმოდ, გაცდენის გარეშე.

მერე, თამაშიც არის და თამაშიც:

მანუჩარი ხომ მთელ თავის სულსა და გულს აქსოვს ყოველ მატჩში!

მანუჩარი ხომ იმდენ ენერგიას ხარჯავს ყოველ მატჩში, რასაც, ალბათ, სამი, ოთხი და კიდევ მეტი საკმაოდ ენერგიული მოთამაშე ხარჯავს ერთად აღებული — ერთი რომ „დაიქოქება“ თამაშის დასაწყისში, მერე აღარ განელდება, აღარ გაჩერდება ხოლმე გუნდის ეს სასწაულებრივი მოტორი მსაჯის საფინალო სასტვენამდე!

და თუ გავითვალისწინებთ, რად უჯდება ერთი თამაში მანუჩარ მაჩაიძეს, დამეთანხმებით:

მართლაც, ფენომენური მიღწევაა, ითამაშო უტრავმოდ, გაცდენის გარეშე, მანუჩარისებურად — 150 მატჩი!

ქართველი ნახევარმცველის სწორედ ეს ფანტასტიკური ენერგია და შრომისმოყვარეობა, შერწყმული ბურთის ფლობის უნივერსალურ ტექნიკასთან, ჰქონდა მხედველობაში კიევის „დინამოს“ ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელს ანატოლ კონკოვს, როცა მან, ერთი ცნობილი სპორტული ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ ვინ არის მისი „კერპი“ ფეხბურთში, ვინ არის ყველაზე სრულყოფილი დიდოსტატი, ვისაც კი ოდესმე შეხვედრია მწვანე მოედანზე, დაუფიქრებლად თქვა:

— მანუჩარი, მანუჩარი, კიდევ და კიდევ მანუჩარი!

• • •

ერთხელ, როცა მის ორ რეკორდზე ჩამოვუგდე სიტყვა, მანუჩარმა ჩაიცინა და მითხრა:

—ეგ კი ეგრეა, მაგრამ წარმატებები, რასაც თქვენ ხელხვავიანობა უწოდეთ, მხოლოდ ჩემი დამსახურება როდია.

— უბრალოდ, როგორც იტყვიან, გამიმარჯვა, — განაგრძო შემდეგ „დინამოს“ კაპიტანმა, — რაც იმით გამოიხატება, რომ საკუთარი ხელწერის მქონე, ტექნიკურად და ტაქტიკურად ძლიერ ფეხბურთელებთან მომიწია თამაში. მე მხედველობაში მაქვს მთელი ორი თაობა, რომლებიც მძლავრ, ჯანსაღ ნაკადებად მოვიდა „დინამოში“. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დავასახელებ დავით გოგიას, ოთარ გაბელიას, თამაზ კოსტავას, შოთა ხინჩაგაშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს, ფირუზ კანთელაძეს, ვახტანგ ქორიძეს, ვიტალი დარასელიას, თენგიზ სულაქველიძეს, დავით ყიფიანს, ვლადიმერ გუცაევს, რამაზ შენგელიას, რევაზ ჩელებაძეს. ისინი, ყველანი, შესანიშნავი

ოსტატები არიან და თუ ჩემი კაპიტნობის პერიოდში ამდენი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა გუნდმა, ეს მათი დამსახურებაა და არა ჩემი, ერთი კაცისა.

— მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, — დასძინა მანუჩარმა, — არაფერი მეთქვა ჩვენი დიდებული მწვრთნელის ნოდარ ახალაცის შესახებ, რომელმაც ზემოხსენებული ფეხბურთელებისაგან მშვენივრად შეთამაშებული, მტკიცე, მონოლითური კოლექტივი შექმნა.

რაც შეეხება მეორე რეკორდს, მანუჩარის პასუხი მოკლე, ლაკონიური იყო:

— იმთავითვე, ბავშვობიდან მოყოლებული, მიზნად ვისახავდი, ბურთიც სრულად დამემორჩილებინა და ფიზიკურადაც ძალზე ძლიერი ვავმხდარიყავი, რისთვისაც ათასგვარ ვარჯიშს მივმართავდი.

## ის, რასაც ვერ თმობს მეხხიერება

### «СЕМЕРКУ ДЕРЖИТЕ, СЕМЕРКУ!»

ცხრაას სამოცდაათი წლის რვა აგვისტოს თბილისის „დინამოს" სამამულო ფეხბურთის ისტორიაში მეხუთედ ითამაშა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში. ამჯერად მისი მეტოქე მოსკოვის „დინამო" იყო.

პირველ ტაიმში „ლუჟნიკის" სტადიონის ასი ათასი კაცით გაჭედილი ტრიბუნები მოწმენი გახდნენ მოსკოველთა სრული უპირატესობისა, რაც სამხრეთელთა კარში ორი გატანილი ბურთით გამოიხატა — 2:0.

მეორე ტაიმში სურათი ერთიანად შეიცვალა — ქართველი ფეხბურთელები მთელი ორმოცდახუთი წუთის მანძილზე განუწყვეტლივ უტევდნენ მოსკოველთა კარს, რომელსაც სახელგანთქმული ლევ იაშინი იცავდა.

თბილისელთა ამ გაუთავებელ იერიშში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოცდაერთი წლის მანუჩარ მაჩაიძე, რომლის სწრაფმა გარღვევებმა, ბრწყინვალე რეიდებმა თავიანთ კარზე მიაჯაჭვეს მოსკოველთა თითქმის მთელი გუნდი.

მაღალ მასპინძელთა კარში გოლიც გავიდა — შორი მანძილიდან ზუსტად, ძლიერად დაარტყა ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა

დასახმარებლად შერეულში ჩართულმა მცველმა შოთა ხინჩაგაშვილმა — 1:2.

ამ გოლის შემდეგ მოსკოვის „დინამოს" კარის ნამდვილი შტურმი დაიწყო — თამაში ცალგოლობანას დაემგვანა.

და, აი, მაშინ კი სულ აიწყვიტა მანუჩარ მაჩაიძემ.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, და მეკარის მოედანზეც, თბილისელთა ახალგაზრდა ნახევარმცველი. ეხით აუწერელი არეულობა რომ შეჰქონდა ხოლმე მეტოქეთა რიგებში.

მაგრამ მე მაინც ის სამი ეპიზოდი დამახსომდა, სადაც მანუჩარმა ბურთის ჭეშმარიტად ჯადოქრული ფლობის ნიმუშების დემონსტრირება მოახდინა ასი ათასი მაყურებლის თვალწინ.

ვეცდები, ის სამივე ეპიზოდი ოდნავ მაინც გავაცოცხლო გულშემატკივართა მეხსიერებაში.

მაშ, ასე. პირველი ეპიზოდი:

მანუჩარმა კუთხური დარტყმის ალამთან მიიღო ბურთი და უშიალ გაიჭრა წინ. აქ, მინდვრის მცირე მონაკვეთზე, სადაც მოთამაშეებს, ჩვეულებრივ, უჭირთ ხოლმე ფართო მოქმედება, მან ზედიზედ მოატყუა სამი მოსკოველი, მოცელილი ბალახივით რომ წაწვნენ აქეთიქით, შეეიდა კიდეც საჯარიმოზე. მაგრამ წეროებივით ჩამწკრივებულმა მცველებმა გადაუღობეს გზა. მანუჩარი ბურთიანად უკუიქცა, კვლავ აუარა გვერდი იმ სამ მოსკოველს, რომელთაც უკვე მოესწროთ ფეხზე წამოდგომა, შემოუარა საჯარიმო მოედნის კუთხეს, შეეიდა ცენტრში, გაიჭრა „პენალტის" ნიშნულისაკენ, მოთამაშეთა დიდ თავშეყრაში სასწაულებრივად გაიკვალა გზა, გაეიდა მეკარის პირისპირ და... უძლიერესმა დარტყმამ შეაზანზარა მასპინძელთა კარის ზედა ძელი. იაშინმა მაღლა აღაპყრო ხელები და ცას ახედა — მადლობა შესწირა განგებას.

მეორე ეპიზოდი:

მანუჩარი მინდვრის შუაგულიდან დაიძრა, ორ მოთამაშეს შუა გავიდა, მერე კიდევ ერთი მოთამაშე მოატყუა, საჯარიმოსთან ახლოს მშვენივრად გაითამაშა „კედელი" გიგი ნოდიასთან და დაუბრუნდა თუ არა ბურთი, ძლიერად გაგზავნა იგი კარისაკენ. თბილისელთა განუწყვეტელი იერიშისაგან გაოგნებულმა მცველებმა სუსტად, უმისამართოდ მოიგერიეს. რის შემდეგ ისევ მანუჩარს დაუბრუნდა ბურთი. ისევ „კედელი" გიგი ნოდიასთან. შეიჭრა საჯარიმოზე, ბრწყინვალე ცრუ მოძრაობით მიწაზე დასვა სტოპერი, შეეიდა შე-

კარის მოედანზეც და აქ მხოლოდ წამით დაასწრო იაშინმა — ააცალა ბურთი დასარტყმელად მოქნეული ფეხიდან.

მესამე ეპიზოდი:

თბილისელთა კიდევ ერთი იერიში. და, აი, საჯარიმო მოედნის მისადგომებთან გივი ნოდია წააქციეს. ინიშნება საჯარიმო დარტყმა. მოსკოველებმა „კედელი" აღმართეს. ბურთს დინჯად უახლოვდებიან სერგო კუტივაძე და მანუჩარი. ვინ დაარტყამს? — იქმნება შთაბეჭდილება, რომ სერგო ურტყამს, მაგრამ მან მხოლოდ დაუგრრა ბურთი მანუჩარს. დარტყმა! — ეს იყო საშინელი ძალის დარტყმა! მოსკოველთა „კედელი" შეირხა, შეირყა, დაიშალა და ამ დაშლილ კედელში გრიგალივით შეიჭრა მანუჩარი. ბურთი ისევ მას აქვს, იგი უკვე „პენალტის" ნიშნულთან არის. დარტყმა! — კვლავ საშინელი ძალის დარტყმა! მაგრამ იაშინი ნამდვილ სასწაულს ახდენს — კუთხურზე იგერიებს ბურთს.

ათი წელიწადი გვაშორებს იმ ფინალურ მატჩს. 1:2-ზე რომ წავაგეთ, მაგრამ მის ეპიზოდებს არა და არ ეკარება დავიწყების ნისლი და ბურუსი.

არც არასოდეს დამავიწყდება მანუჩარ მაჩაიძის ის საოცრებანი, რაც მან იქ, „ლუჟნიკის" სტადიონის ტრიბუნებზე, თავშეყრილ ასი ათას კაცს უჩვენა, იმ ასი ათას კაცს, ჯერ ხეირიანად რომ არ იცოდნენ ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველის გვარ-სახელი და ცივი ხმით გაჰკიოდნენ მთელი მეორე ტაიმის მანძილზე:

— Семерку держите, семерку!

## ქართველი ნახევარმცველის შორეული დარტყმები

ცხრაას სამოცდათერთმეტ წელს მოსკოვში გაიმართა დიდი საერთაშორისო მატჩი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც სახელგანთქმული საბჭოთა ფეხბურთელის, ლეგენდარული მეკარის ლევ იაშინის საფეხბურთო სარბიელიდან გაცილებას მიეძღვნა.

მატჩში მონაწილეობდნენ ტყავის ბურთის მსოფლიო „ვარსკვლავები": ინგლისელი ბობი ჩარლტონი, გერმანელები მიულერი და შულცი, იტალიელი ფაკეტი, იუგოსლავიელი ჯაჩი, ჰოლონელი ლიუბანსკი და სხვები.

მსოფლიოს ნაკრების კარს იცავდა ურუგვაელი მაზურკევიჩი.

შეუპოვარი თამაში დამთავრდა ფრედ.

მეორე ტაიმში საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ითამაშა თბილისელმა ნახევარმცველმა მანუჩარ მაჩაიძემ, რომელმაც ამჯერად შორეული დარტყმებით გამოიჩინა თავი.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ორი ეპიზოდი:

ერთხელ, როცა მანუჩარმა ოცდახუთი მეტრიდან დაარტყა კარში,

მეორედ, როცა მანუჩარმა ოცდაათი მეტრიდან განახორციელა საჯარიმო დარტყმა.

მატჩის დამთავრების შემდეგ მეკარე მაზურკევიჩმა განაცხადა:

— თუმცა მანუჩარ მაჩაიძის მიერ დარტყმული ორივე ბურთი მოვიგერიე, არასოდეს დამავიწყდება მათი ძალა და შესრულების მაღალი ოსტატობა.

## ბოლი

### „რაზდანის" სტადიონზე

ცხრაას სამოცდათერთმეტი წლის საკავშირო ჩემპიონატში ერევნის „არარატი" ძლიერად, სტაბილურად, აღმავლობით თამაშობდა. სომეხმა ფეხბურთელებმა მოელი რიგი მატჩები მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარეს და საერთო აღიარება დაიმსახურეს.

პირველი წრის მატჩი თბილისში ჩვენს „დინამოსთან" „არარატმა" მოიგო სენსაციური ანგარიშით — 4:0.

თბილისის დინამოელები ერევანში საპასუხო ვიზიტით შემოდგომაზე ჩავიდნენ. მეორე წრის შეხვედრა ამ გუნდებს შორის ახალი სტადიონის „რაზდანის" საზეიმო გახსნას დაემთხვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესი მატჩისადმი.

აჟიოტაჟი დიდი იყო — იმ დღეს სომხეთის დედაქალაქში ლამის მხოლოდ მომავალ მატჩზე ლაპარაკობდნენ. ადგილობრივი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა გამარჯვებას, თანაც იოლ გამარჯვებას დიდი ანგარიშით, „არარატს" უწინასწარმეტყველებდა.

თბილისელები წააგებენო უთუოდ. — ამბობდნენ ადგილობრივი სპორტული მიმომხილველები და დარწმუნებით დასძენდნენ, — არ არსებობსო მეორე ახრი ამაზე.

ბევრი მათგანი მატჩის ანგარიშის გამოცნობასაც კი ცდილობდა. ასაბუნებლებლენ ასეთ ასგაოიშებს:

4:0,

5:1,

6:2,

6:1,

ზოგიერთი — 7:0-საც კი ამბობდა.

და, რა თქმა უნდა, ყველა ეს ანგარიში „არარატის" სასარგებლოდ იყო ნაწინასწარმეტყველები.

ასე რომ, იმ დღეს მთელი ერევანი ტრადიციულ მეტოქეთა მომავალი მატჩის მოლოდინით ცხოვრობდა.

ბილოს, რიგორც იყო, დადგა ნანატრი ქაში და ათიათასობით მაყურებლის თანდასწრებით თამაში დაიწყო. ტრიბუნების გამაძნეველი ყვავილით გულანთებული „არარატის" თავდამსხმელები პირველივე წამებიდან შეუპოვრად ეკვეთნენ „დინამოს" კარს. თბილისელთა მცველები მურთაზ ხურციელავას თავკაცობით ყველასთვის ცოელოდნელად ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდნენ ერევნელთა სწრაფ იერიშებს, უვნებელყვეს ისინი და ნახევარმცველთა აქტიური დახმარებით თანდათან მინდვრის იქითა ნახევარზე გადაიტანეს თამაში.

თამაშის დაწყებიდან შვიდი-რვა წუთი იქნებოდა გასული. როცა თბილისელთა სწრაფმა. ენერგიულმა მცველმა გურამ პეტრიაშვილმა ეფექტური რეიდი განახორციელა, მინდვრის შუაგული გადაკვეთა და უმალ მანუჩარ მაჩაიძეს გადასცა ბურთი. მანუჩარმა დაუყოვნებლივ განავითარა დიდი სისწრაფე. გზადაგზა გვერდი აუარა ორ ნახევარმცველს და როცა უკვე საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა, კიდევ ორი არარატელი. ამჯერად ორიეე მცველი. აღიმართა მის წინ. ისე, რომ ის დიდი სისწრაფე არ შეუნელებია, ქართველმა ნახევარმცველმა რაღაც ამოუცნობი, განუმეორებელი ცრუ მოძრაობით ორივე მეტოქე აქეთ-იქით უკუაქცია, მათ შორის სლალომისტის. მსგავსად გავიდა და საჯარიმო მოედნის კუთხიდან, მარჯვენა შუამარბის ზონიდან, ძლიერად დაარტყა მიპირდაპირე კარის შორეული მაღლა კუთხისაკენ.

— გელი. სიხარულით ამოიძგერდა, როცა შევნიშნე, ბურთი როგორ ეხეოდა შიგ „ცხრიანში". ერევნელთა კარის ბადეში, — ფიქრში ჩაძირული, ღიმილით აგონებს მანუჩარი.

„ეს ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, სოლო რეიდი და მისი კულმინაციური წერტილი — გოლი, ნამდვილი საოცრება იყო, ვირტუოზულად შესრულებული დიდებული ქართველი ნახევარმცველის მიერ“, — წერდა ერევნის სპორტული გაზეთი.

„ეს იყო ულამაზესი გოლი იმ გოლებს შორის, რომლებიც კი ოდესმე გაუტანიათ ჩვენი ქალაქის სტადიონზე“, — აღნიშნავდა ადგილობრივი საღამოს გაზეთი.

მანუჩარ მაჩაიძის მიერ გატანილი ეს დაუვიწყარი გოლი ერთადერთი. გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა ამ მატჩში.

## გ ო ლ ი

### „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე

ცხრაას სამოცდათორმეტი წლის გაზაფხული. პარიზი. „პარკ დე პრენსის“ სტადიონი. ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები.

თბილისის „დინამოდან“ ჩვენს გუნდში თამაშობდა მანუჩარ მაჩაიძე. იგი, როგორც ყოველთვის, ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, ისინი დიდხანს ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ ანგარიში არა და არ გაიხსნა

პირველი ტაიმის მიწურულს მანუჩარმა თავიანთ საჯარიმო ზოლანზე ფრანგების მორიგი შეტევა ჩაშალა და ბურთს დაეეფლა. უმალ მოედნის ცენტრისაკენ გაჭრილმა ქართველმა ნახევარმცველმა ძალზე ლამაზად მოატყუა რამდენიმე მოთამაშე და როგორც კი ცენტრალურ რკალში შედგა ფეხი, მთელი ძალით დაარტყა კარში.

ეს უძლიერესი, „ყუმბარისებური“ დარტყმა განხორციელდა დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი მეტრიდან.

მასპინძელთა მეკარის თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა— ბურთი კარის მაღლა კუთხეში, „ცხრიანში“ გაეიდა.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე გადავიდა. რომელნიც თამაშის ბოლომდე უტევდნენ ბეტოქეს და გაიმარჯვეს კიდეც — ანგარიშით 3:1.

„საბჭოთა გუნდის ნახევარმცველის მანუჩარ მაჩაიძის მიერ მინდვრის ცენტრის კიდევ ცოტა იქიდან გატანილი ბურთი — ფანტასტიკური გოლების რიცხვს განეკუთვნება“, — წერდა ერთი ცნობილი ფრანგი სპორტული მიმომხილველი.

თვით მანუჩარმა პარიზში გატანილი ამ გოლის შესახებ ერთხელ მითხრა:

— მართალია, ძალზე ძლიერად დავარტყი, მაგრამ ეს იმდენად შორი მანძილიდან მოხდა, რომ სანამ ბურთი კარისაკენ მიქროდა, მოვასწარი გაფიქრება, ისე კოხტად მომაჯდა ტერფზე, ისე გემრიელად დავარტყი, დიდი უსამართლობა იქნება, არ გავიდეს-მეთქი კარში.

## რა გოლი იყო, რა გოლი!

ცხრაას სამოცდათექვსმეტი წლის საგაზაფხულო საკავშირო ჩემპიონატი, როცა ჩვენი ქუდბედიანი ნოდარ ახალკაცის მეთაურობით მესამე ადგილზე გავედით — რამდენიმე წლის წარუმატებლობისა და ჩავარდნის შემდეგ.

აი, სწორედ ის ჩემპიონატია და ვეთამაშებით დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ აქ, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე.

თამაში დამთავრდა ქართველი ფეხბურთელების დიდი გამარჯვებით.

მატჩში სულ ექვსი გოლი გავიდა, ხუთი — „დნეპრის“ კარში, ერთი — „დინამოს“ კარში.

მაგრამ იმ ექვსი გოლიდან ის ერთი სულ სხვა იყო, სულ სხვა, ისეთთაგანი, რომელიც რაც დრო გადის, დავიწყებას კი არ მიეცემა, პირიქით, ახალი ელფერით შეიმოსება და მერე ასე გგონია, გუშინ ვნახეო.

ვახტანგ ქორიძემ მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში შორი მანძილიდან. „დნეპრის“ ერთ-ერთმა მცველმა დიდი გაჭირვებით მოიგერია ეს ტყვიასავით ბურთი, რომელსაც საჯარიმო მოედნის შორიახლო მანუჩარი დაეუფლა. სტუმართა მცველებმა წამითაც არ დააყოვნეს, უმალ მასპინძელთა კაპიტანს მიაშურეს და, აი, სწორედ მაშინ მოხდა სასწაული.

მთელი სისწრაფით ამოქმედებულმა მანუჩარმა ჯერ ერთ

მცველს გადაუგდო თავს ზემოთ ბურთი, მერე ისე, რომ იგი მიწაზე არ დაუშვია, მეორე მცველთან გაიმეორა ყველაფერი, მერე მესამესთან, მერე მეოთხესთან, კარიდან მის შესახვედრად გამოსულ მეკარესთანაც გაიმეორა იგივე და... ბურთიც ბადეში ჩაეშვა. ჰო, ბურთი ისე ჩაეშვა ბადეში, მთელი ამ ეპიზოდის მანძილზე ერთხელაც არ შეხებია მიწას.

ამ გოლის შემდეგ დიდხანს, ძალიან დიდხანს ქუხდნენ და გრგვინავდნენ მანუჩარ მაჩაიძის დიდებული ოსტატობით აღფრთოვანებული ტრიბუნები.

## აქა ამბავი ტარიელისა

როცა კი ამ ეპიზოდს გავიხსენებ, უნებურად დამიდგება ხოლმე თვალწინ ის ერთი ნახელავი ჩვენი შესანიშნავი მხატვრის სერგო ქობულაძისა — მის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ შექმნილი ილუსტრაციების სერიიდან:

მახვილშემართული ტარიელი კენტად შეებმია ქაჯთა ურიცხვ ლაშქარს და მუსრს ავლებს მათ.

რომელი ეპიზოდი მაქვს მხედველობაში?

რომელი მატჩიდან?

ვისაც აღარ გახსოვთ, — გაგახსენებთ.

ვისაც არ გინახავთ, — გიამბობთ.

მაშ, ასე. ეს მოხდა ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი წლის ჩემპიონატში, ივლისის დასაწყისში, აქ, თბილისში, როცა ჩვენი ბიჭები მოსკოვის „ტორპედოს“ ხვდებოდნენ.

„დინამოს“ ჰაერივით სჭირდებოდა ორი ქულა, არანაკლებ სჭირდებოდა იგი „ტორპედოსაც“. ამიტომ მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა.

აი, მეორე ტაიმის მეორე ნახევარიც დაიწყო, მაგრამ ანგარიში არ გაიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს აქამდე გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ.

აქედან მოყოლებული კი, დინამოელებმა, თითქოს გამარჯვების რწმენა დაკარგესო, როგორღაც ხელჩაქნევით, დაუდევრად დაიწყეს თამაში. ისინი მოდუნდნენ, მოეშვნენ, თანდათან სტუმრებს გადაულოცეს ინიციატივა.

ერთხანს სახიფათოდ გვიტევენ ტორპედოელები, ჩვენს საჯარიმო მოედანს არ სცილდებიან. რასაც თბილისის „დინამოს“ მიმართ ტრიბუნების პროტესტული განწყობილება, — გაბმული სტვენა და გუგუნი, — ერთვის.

და, აი, ამ დროს, ამ კრიტიკულ წუთებში, როცა თამაშის სადაკვები მეტოქეს ეპყრა ხელთ და თბილისელთა კარი განუწყვეტელ საფრთხეში იყო, — კვლავ იჩინა თავი მათი კაპიტნის მხნეობამ და შემართებამ, ბრძოლისაკენ, შეტევისაკენ მოწოდებას რომ ჰვავდა.

მანუჩარი — მოსკოველთა ერთ-ერთი ჰწვაკე შეტევის დროს — თავიანთ საჯარიმო მოედანზე. ზედ „პენალტის“ ნიშნულზე, დაეუფლა ბურთს, უმალ წინ გაიკრა და მინდვრის შუაგულს ისე ძიალწია, სამი-ოთხი ტორპედოელი მოატყუა.

მაგრამ მანუჩარს ბრძოლის ჟინი და ცეცხლი ამით არ განელებია. მან გზა განაგრძო და სანამ სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრებოდა და თავისუფალ პარტნიორს გადასცემდა ბურთს, თავისი სწორუპოვარი თამაშით იმ მწვანე მინდორზე კიდევ ერთი ისეთი სურათი დახატა, ტარიელისა და ქაჯთა ლაშქრის უთანასწორო შერკინების ქობულაძისეულ ნაფუნჯარს რომ მაგონებს ხოლმე მუდამ.

აი, ეს სურათი:

მანუჩარის ფეხით, ირგვლივ, მის მიერ მოტყუებული ტორპედოელები წვანან გროვად, თავად მანუჩარი კი ფრთხილად მიიკვლევს გზას წაქცეულთა თავ-ტან-ფეხს შორის.

ამ შეტევას გოლი მოჰყვა, ხოლო იმ გოლს კიდევ გოლი.

მანუჩარ მაჩაიძის მხნეობამ და შემართებამ ასე მოუტანა გამარჯვება თბილისელებს — იმ მათთვის უკვე იმედგადაწურულ მატჩში.

## ფეხბურთის ბილმა

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მანუჩარ მაჩაიძე.

დიახ, კიდევ ერთი.

მანუჩარ მაჩაიძე ფეხბურთის ბილმა.

მანუჩარ მაჩაიძე, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ამეთოთხმეტე საშუალო სკოლა.

მანუჩარ მაჩაიძე, — რომელიც საეკეთესო, თითით საჩვენებელი მოსწავლე იყო პირველი კლასიდან ჰეათე კლასამდე ამ სკოლაში.

მანუჩარ მაჩაიძე, — ინჟინერ-მშენებელი, ასევე დიდი წარმატებით რომ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მანუჩარ მაჩაიძე, — რომლის მდიდარ კოლექციას მუსიკალური ნაწარმოებებისას კარგა გამოჩენილი სპეციალისტიც კი შურის თვალით შეხედავდა.

მანუჩარ მაჩაიძე, — ფერმწერი, უდავოდ ნიჭიერი მოყვარული მხატვარი, რომლის ფუნჯს არა ერთი და ორი პორტრეტი თუ პეიზაჟი შეუქმნია.

მანუჩარ მაჩაიძე. — პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს თბილისისა თუ ჩვენი დიდებული საჭადრაკო სასახლის პირველობაზე და დიდი ხანია „მილებულ", „მინაურ" კაცად ითელება საქართველოს მოჭადრაკეთა ფართო წრეში.

მანუჩარ მაჩაიძე, — პოეზიის დიდი მოყვარული, ზეპირად რომ იცის ქართული კლასიკური პოეზია და თანამედროკე, საბჭოთა პოეტური კულტურის საეკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებები.

— ჩემი საყვარელი პოეტები არიან გალაკტიონი და ტერენტი გრიანელი, — ამბობს „დინამოს" კაპიტანი და ყოველ წამს მზად არის, ზეპირად მოგახსენოთ ამ ორი შესანიშნავი პოეტის, რომელიც კნებავთ, ნაწარმოები, ლექსი იქნება იგი თუ, თქკენ წარმოიდგინეთ, მთელი პოემაც კი.

მანუჩარ მაჩაიძე, — რომლის მდიდარი ბიბლიოთეკა სავსეა მსოფლიო პოეზიის ხელთუქმნელი მარგალიტებით.

და, ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ როცა მანუჩარს, ყელმოღერებულსა და მბრეგალაზიდულს, არწივივით ასაფრენად გამზადებულს, მწვანე ძოედანზე საბრძოლველად გამოქაჯეს ის თავისი დიდებული კოპორტა, მის აცაბაცებულ ბაგეთაგან, როგორც წესი, ლოცვასაით იღვრება ხოლმე ჩემი ჩურჩულით გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები:

„ყველა ქართველში
ომის ტრფობა
ძველისძველია,
შეც ასეთი ვარ და
ეერავასთვის კამამხელია"...

აი, ასეთია ფეხბურთის მიღმა — ის კიდევ ერთი მანუჩარ მაჩაიძე...

ჩვენთვის, ყველასთვის, უსაზღვროდ საყვარელი „დიდი მანუჩარი".

## ხალხის სიყვარული

მანუჩარ მაჩაიძემ თბილისის „დინამოში" თამაშის თორმეტი წლის მანძილზე (1967—1979) არა მარტო ფეხბურთის გულშემატკივართა, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საერთო-სახალხო სიყვარული დაიმსახურა. იგი თანაბრად უყვართ როგორც გულშემატკივართ, ისე, ასე ეთქვათ, არაგულშემატკივართ, იმათ, რომელნიც ერთგვარად ნეიტრალურად არიან განწყობილნი ამ გასაოცარი თამაშის მიმართ, ჯერაც არ მსხდარან ულამაზესი „დინამოს" სტადიონის რკინა-ბეტონის გოლიათ ტრიბუნებზე და მხოლოდ ტელეეკრანებზე თუ ადევნებენ ხოლმე თვალს ქართველ დინამოელთა შერკინებას ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის უძლიერეს გუნდებთან. იგი თანაბრად უყვართ ჩვენს მუშებსა და კოლმეურნე გლეხებს, ინტელიგენციას, სტუდენტობასა და მოსწავლეებს.

მანუჩარ მაჩაიძემ ეს საერთო-სახალხო სიყვარული თავისი ხანგრძლივი, დაუღალავი, თავდადებული, მაღალოსტატური, მაღალმოქალაქეობრივი სპორტული მოღვაწეობით დიდი ხანია ღირსეულად დაიმკვიდრა მშობლიური ქვეყნის გულში.

ერთხელ, საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩის დამთავრების შემდეგ, რომელიც მანუჩარ მაჩაიძემ ჩვეული ელვარებითა და ბრწყინვალებით წარმართა, — ჩვენი განახლებული სტადიონის ერთ-ერთ ტრიბუნაზე ქართველი მწერლების ჯგუფს შევეყარე. ისინი ჯერ ისევ ახლახან დამთავრებული მატჩის, თბილისელთა გამარჯვებისა და მათი კაპიტნის დიდებული თამაშის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ და აღფრთოვანებულები, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— კარგი იქნებოდა, — ამბობდა ერთი კრიტიკოსი, რომელსაც ძნელად თუ მოაწონებ რაიმეს, — არასპორტულ წოდებებსაც ანიჭებდნენ ფეხბურთელებს. ასე რომ ყოფილიყო, მანუჩარს უყოყმანოდ მივანიჭებდი „საფეხბურთო რაინდის" ტიტულს.

— მე კი, — თქვა ერთმა ცნობილმა პოეტმა, — ფაფარაყრილ ლომს მაგონებს მანუჩარი. რა დაუეიწყარი სანახაია, როცა იგი, ეს ჭეშმარიტად ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცი, მშვილდივით მოზიდული და თმაშლილი, გაოფორებით გადაკვეთს თითქმის მთელს მოედანს და თან გზადაგზა მეტოქეთა ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ხანდახან კი მეტ მოთამაშესაც აუვლის გვერდს ისე იოლად, თითქოს ეარჯიშზეა და ახლად დასწავლილი ილეთების საიმედობა-სიმყარეს ამოწმებსო.

და კიდევ ერთი შემთხვევა. რაც მუდამ მაგონდება, როცა კი ჩვენს სასიქადულო მანუჩარ მაჩაიძეზე მეუფლება ხოლმე ფიქრი.

ზამთრის მიწურული იყო. ხეებში კარგა ხანია წყალი ჩამდგარიყო და კიროვის პარკის მარადმწვანე ხეივნებში უკვე იგრძნობოდა კარზე მომდგარი გაზაფხულის დამათრობელი სუნთქვა-სურნელება.

იმ დღეებში თბილისის საჭადრაკო სასახლეში განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო საღამოობით. გარდა იმისა, რომ აქ, მის ნათელ დარბაზებში, როგორც წესი. ფეხბურთის გულშემატკივრები იკრიბებოდნენ სასაუბროდ. ამჯერად ქალაქის პირველობა მომდინარეობდა ჭადრაკში და მათთან ერთად ჭადრაკის უამრავი მოყვარული იყრიდა თავს.

ჩემპიონატის მონაწილეთა შორის იყო პირველთანრიგოსანი მანუჩარ მაჩაიძეც. იგი თავისთვის ჩვეული შესაშური პუნქტუალობით ზუსტად ექვს საათზე მოდიოდა ხოლმე სასახლეში, შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე.

ყოველ საღამოს, სანამ ტური დაიწყებოდა, მე და მანუჩარი დავსეირნობდით სასახლის ვრცელ, ღია აივანზე, თან სუფთა ჰაერს ვისუთქავდით ხარბად, თან მოახლოებული საფეხბურთო სეზონის შესახებ ვსაუბრობდით გატაცებით.

იმ საღამოსაც კიროვის პარკისაკენ გავეშურე და ამჯერად ჩემი თორმეტი წლის ვაჟიც წავიყვანე თავისი ველოსიპედით. აქვე გეტყვით, რომ იგი ფეხბურთის თავდავიწყებული გულშემატკივარი და მანუჩარ მაჩაიძის ფანატიკური თაყვანისმცემელი გახლავთ მამამისივით.

ვიდრე მე, ჩვეულებისამებრ, მანუჩართან ვსაუბრობდი სასახლის აივანზე. ჩემი ბიჭი ველოსიპედით სეირნობდა პარკის მარადმწვანე ხეივნებში.

შინ რომ ვბრუნდებოდით, ვაჟიშვილმა მკითხა:

მაძავ, ვინ იყო ის მაღალი კაცი, შენ რომ გესაუბრებოდაო საჭადრაკო სასახლის აივანზე.

ის, შვილო, მანუჩარ მაჩაიძე იყო-მეთქი, ჩვენი „დინამოს“ კაპიტანი. — როგორღაც დაუფიქრებლად ვუპასუხე, უფრო სწორად, წამომცდა, და იმ წამსვე ვინანე, მაგრამ უკვე გვიან იყო თითსა და ენაზე კბენანი.

მერე, არ გრცხვენიაო? — მომახალა ბავშვმა და გაბუტვით შემაქცია ზურგი.

რატომ უნდა მრცხვენოდეს-მეთქი, შვილო? — ისეთი ტონით წარმოვთქვი, თითქოს ვერ მივუხვდი წყენის მიზეზს, მსურდა, როგორმე მიმეჩქმალა ჩემი დანაშაული.

ამისთანა შემთხვევაა გქონდა, რატომ არ გამაცანიო. — უკვე ატირებულმა დაუმატა ჩემმა ვაჟკაცმა და თითი დამიქნია, ამას არასოდეს კაპატიებო.

შინ რომ მივედით, ჩემდამი თავისი სამდურავი ღედასაც ეთხრა და ახლა ჩემმა მეუღლემ ამავსო საყვედურით:

ეს რა ჩაგიდენია, ბავშვი გაგიმწარებია, ხომ იცი, რა გაგიქებით უყვარსო მანუჩარი.

მეუღლემ საყვედური არ მაკმარა. კატეგორიული ტონით მომთხოვა, ხვალვე უსიტყვოდ გამომესყიდა ჩემი დიდი დანაშაული, ბავშვისათვის გამეცხო ის მისი სათაყვანებელი ფეხბურთელი.

ბავშვი კი კვირან ღამეშდე სლუკუნებდა, ჩვენს ოჯახში დანთებულ ცეცხლს ნავთს ასხამდა:

თუ ხვალ მამაჩემი არ გამაცხობს მანუჩარს, არ ვივლიო სკოლაში.

მეორე ღღეს, საღამოს, თითქოს ჯიბრით, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა, მაგრამ ბავშვისა და მეუღლის გაკერპებულ, გაავებულ სახეებს რომ წავაწყდი, ის გადაუდებელი საქმე გადავდე და კიროვის პარკისაკენ გავწიეთ მე და ჩემმა ბიჭმა.

მანუჩარი, როგორც ყოველთვის, ზუსტად ექვს საათზე მოვიდა. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ:

დიდი ფეხბურთელი

და

პატარა გელ-შემატკივარი.

აი, შვილო, შენი მანუჩარ მაჩაიძე, ასე ძალიან რომ გიყვარს-მეთქი.

ჩემს ვაჟს უჩვეულოდ უბრწყინავდა თვალები, უზომო აღტაცებისა და სიხარულის შუქი ეფინა სახეზე.

ეს რა კარგი ბიჭი ყოფილხარ: გამარჯობაო შენი, — უთხრა „დინამოს“ კაპიტანმა და ალერსიანი ღიმილით გაუწოდა ხელი.

ვაქკაცის გამოწვდილ მკლავს მორიდებით შეეგება ბავშვის პატარა ხელი და კიდევ რამდენიმე სიტყვა, მღელვარებისაგან დაგუბებულმა ხმამ ძლივს რომ წარმოთქვა:

— ჩვენი ეზოს ბიჭებს... თქვენ... თქვენ... ყველაზე მეტად... ყველაზე მეტად უყვარხართ... ბიძია მანუჩარ.

მერე მე და „ბიძია მანუჩარი“ ვსაუბრობდით, ხოლო ჩემი ბიჭი თავისი ველოსიპედით სადღაც გაუჩინარდა.

მერე, შინ რომ მივედი, ჩემმა მეუღლემ მიამბო ეს ამბავი:

ჩვენი სახლის ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ ბავშვები და ერთი ღრიანცელი იდგა.

უცებ ჩემი ბიჭი შემოგრიალებულა თავისი ველოსიპედით და მთელი ხმით შეუძახია თურმე:

სმენა იყოსო და გაგონება!

ღრიანცელი ერთბაშად შემწყდარა — ბავშვები უმალ შეშვებიან ბურთს. ახლად მოსულისაკენ შეტრიალებულან. რაღაც უჩვეულო ამბის გაგონების მოლოდინში მზერად და სმენად ქცეულან.

ჩემს ბიჭს უთქვამს:

გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, სულ ახლახან მანუჩარ მაჩაიძე გამაცნო მამაჩემმა და, აი, ეს ხელი ჩამოვართვიო ჩვენი „დინამოს“ კაპიტანს. მოდით, შეეხეთ, სანამ ჭისი ხელის სითბო არ განელებიაო.

და მაღლა შეუმართავს მარჯვენა.

აბა, დაიფიცეო, — თურმე ეკვის თვალი დაადგეს ბავშვებმა.

და როცა დაუფიცავს ყველა დასაფიცარი, — შემოხვეულან ველოსიპედზე ამხედრებულ ამბანაგს და სათითაოდ, ზოგს დაუფარავი შურით, ზოგსაც ასევე დაუფარავი აღტაცებით, დიდი გულისყურით გაუსინჯავს იმ ჩემი ვაჟის ის მაღლა შემართული „ნამანუჩარალი“ მარჯვენის ხელისგული...

მოუსვენარი, შფოთიანი ძილი დაუფლებოდა იმ ღამით ჩემს ვაჟს:

ბრუნავდა ერთთავად,
ტრიალებდა გვეოდიდან გვერდზე.
ბორგავდა,
ოხრავდა,
კვნესოდა,
და ჟამიდანჟამ,
მიდიო, ჩემო მანუჩარ, მიდიო,
წამოიძახებდა.
გული დამეთუთქა. შემეცოდა.
ერთი პირობა, გავალვიძებ-მეთქი. ვიფიქრე, რათა დამეცხრო, გამენელებინა, დამეშოშმინებინა, შემდეგ უფრო მშვიდი ძილისათვის რომ მიეცა თავი.
მაგრამ, საბედნიეროდ, უმალ მივხვდი, თუ რაოდენ მძიმე, გამოუსყიდავ დანაშაულს ჩავიდენდი ამით.
ის ხომ ამ დროს, ვინ იცის, რა ლამაზ სიზმარს ხედავდა.
მერე დიდხანს დავცქეროდი, მოუსვენრად მძინარეს, და. ასე მეგონა, მეც ვლანდავდი ჩემი ბალღის იმ საოცარ ზმანებას:
ზევით — მცხუნვარე მზე ბღღვრიალებდა, და უამრავი კოცონი ენთო სპილენძისფერ ცაზე...
ქვევით — დიდი მწვანე მინდორი იყო...
და... იყო კიდევ კამარაშეკრული ლომი...
უშველებელი, ვეებერთელა...
მთელი თავისი ზვიადი, მრისხანე მშვენიერებით...
ლომს ფაფარი აშლოდა, ყალყზე ედგა და გააფთრებული, გრგვინვით მ-ქროდა იქით, საითკენაც, ალბათ, მტრის ბუნაგი ეგულებოდა...

1970 წ. ნოემბერი.

# მეკარე

## სერგო კოტრიკაძე
## და
## ოთარ გაბელია

1979 წლის საფეხბურთო სეზონში თბილისის „დინამოს“ მეკარემ ოთარ გაბელიამ დიდ წარმატებას მიაღწია:

მაღალტექნიკური, ტაქტიკურად მრავალფეროვანი თამაშით ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციის მიერ „ქვეყნის საუკეთესო მეკარისათვის“ ყოველწლიურად დაწესებული სპეციალური პრიზი დაისაკუთრა.

უსწრაფესი რეაქცია, ხელსაყრელი პოზიციის დროულად შერჩევის უნარი, ულამაზესი ელვისებური აკრობატული ნახტომები, უდრეკი ნებისყოფა და გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა,— აი, რამ განაპირობა ამ შესანიშნავი ქართველი სპორტსმენის დიდი წარმატება.

გარდა ყოველივე ამისა, თბილისის დინამოელთა მეკარეს ახასიათებს პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა და ფეხბურთისადმი, მშობლიური გუნდისადმი ფანატიკური ერთგულება და სიყვარული, რაც მისი მონაწილეობით გამართულ ყოველ მატჩში ასე თვალნათლივ მოჩანს ხოლმე ტრიბუნებიდან.

1979 წელს ოთარ გაბელიამ გაიმეორა თავისი სახელოვანი წინაპრის სერგო კოტრიკაძის 1962 წლის მიღწევა, როცა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ქართველი ფეხბურთელი პირველად აღიარეს ქვეყნის უძლიერეს მეკარედ.

ასე რომ:

1962 წელს — სერგო კოტრიკაძე,

17 წლის შემდეგ კი — ოთარ გაბელია.

საქართველოს პირველი გუნდის მეკარეთაგან სხვას არავის ღირსებია ესოდენ დიდი პატივი, — ეტარებინა საბჭოთა ქვეყნის № 1 კარის გუშაგის მრავალი დიდოსტატისთვისაც კი შესაშური, ამაოდ ნანატრი ტიტული.

## პირველი შეხვედრები

— როდის მოხდა შენი პირველი შეხვედრა ფეხბურთთან? — ვკითხე ერთხელ ჩემთან, გამომცემლობა „ხელოვნებაში", სტუმრად მოსულ ოთარ გაბელიას, უკვე სახელგანთქმულ ფეხბურთელს, ჩვენი ქვეყნის № 1 მეკარეს.

— ნამდვილ, დიდ ფეხბურთთან, თუ ეზოში, ქუჩაში გამართულ ორგოლობანას? — შეკითხვაზე შეკითხვით მიპასუხებს თბილისის „დინამოს" კარის გუშაგი და იმ ლამაზი სახის ნაკვთებზე ძლივს შესამჩნევი ირიბი ღიმილი ეფინება.

— მე არც ერთი მაქვს მხედველობაში, არც მეორე.

— მაშ? — ახლა უკვე გაკვირვებით შემომცქერის ოთარი.

— პირველად როდის მოპკარი-მეთქი ყური ფეხბურთის არსებობას ამ ქვეყანაზე, — ვუზუსტებ შეკითხვას მე.

ოთარს ახლა ფართო, გაშლილი ღიმილი დასთამაშებს.

მერე ის ღიმილი თანდათან უჩინარდება, სხივიან თვალებში ნაღვლი ისადგურებს, სახე იღუშება, იქუფრება და „დინამოს" მეკარე ფიქრში იძირება.

ერთხანს დუმს.

მერე მოგონებათა ჯარა აალაპარაკებს. ჯერ გაუბედავად. შემდეგ უფრო თამამად, და ჩემ წინ სტრიქონი გაჰყვება სტრიქონს დაუწერელ ქაღალდზე.

ეითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი...

გუშინ...

მას შემდეგ კი, აი, უკვე თვრამეტი წელი გაპარულა...

თვრამეტი წელი...

ჰო. ცხრაას სამოცდაორია...

ზეგდიდის საშუალო სკოლის მეორე კლასშია ცხრა წლის ბიჭი...

რა კარგი დრო იყო მაშინ, მამა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა...

ჰოდა, იმ საღამოს, გაკვეთილების სწავლას რომ მორჩა, მამა დაბრუნდა სამსახურიდან და ახალი ჟურნალ-გაზეთების მთელი დასტა მოიტანა...

განსაკუთრებით ერთმა ლამაზად აფერადებულმა ჟურნალმა მიიპყრო მისი ყურადღება...

ახლაც ინახავს იმ ჟურნალს...

«Спортивные игры»...

გარეკანის პირველი გვერდიდან იცქირებოდა...

შავ სპორტულ სვიტერში გამოწყობილს, დინამოელთა ტრადიციული „დ“ უმშვენებდა მკერდს...

ოდნავ ჩაღიმებული... ამაყი მზერა...

და იყო საოცრად ლამაზი ვაჟკაცი...

და საოცრად ჰგავდა მრავალგზის ნანახი უცხოური კოვბოური ფილმის გმირს...

და ასე ეგონა, ახლა საცაა ამოძრავდებოდა, ამოქმედდებოდა, იმ გარეკანიდან გადმოვიდოდა, რაშზე ამხედრდებოდა და შორეულ მხარეში გასწევდა მორიგ ხიფათიან თავგადასავალთან შესაყრელად...

ოდნავ ჩაღიმებული... ამაყი მზერა...

სერგო კოტრიკაძემ საქართველოს მეკარეთა შორის პირველმა მოიპოვა სეზონის საუკეთესო კარის გუშაგის წოდება და ჟურნალ „ოგონიოკის“ საპატიო პრიზი...

ოდნავ ჩაღიმებული... ამაყი მზერა...

აი, ახლა საცაა ამოძრავდებოდა, ამოქმედდებოდა, იმ გარეკანიდან გადმოვიდოდა, რაშზე ამხედრდებოდა და...

მამის ხმამ გამოარკვია:

— რას დაშტერებიხარ, მოგწონს განა!

და დაუმატა:

— ბიჭი ვარო, მაგან უნდა თქვას, შენ კი არა!

მაშინ, აბა, რას იფიქრებდა ონარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამბროსი გაბელია, — მისი უფროსი ეაჟი, ცხრა წლის ოთარიკო, ასე ჯადოშეკრულივით რომ დაშტერებოდა სახელგანთქმული ქართველი მეკარის პორტრეტს, — „ოგონიოკის“ სწორედ ამ პრიზს დაეუფლებოდა ჩვიდმეტი წლის შემდეგ...

ან თავად რა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, ცხოვრების გზაზე ეს ეწერა ჩვიდმეტი წლის შემდეგ... მაშინ აბკვარ დიდებაზე ოცნე-

ბა სად შეეძლო, როცა ფეხბურთი რა იყო, ისიც კი არ უწყოდა ხეიოიანად ცხრა წლის ბალღმა...

წეტავ რას იტყოდა ახლა მამა, ცოცხალი რომ ყოფილიყო...

რა იქნებოდა, მოსწრებოდა ამ ამბავს...

— და ჩემს ბალღობაში... კიდევ ერთი შეხვედრა ფეხბურთთან, — ამბობს ჩემი სტუმარი ნაღვლიანი ღიმილით და დასძენს,— მხოლოდ ცოტა უფრო მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ, ცხრაას სამოცდაოთხში. იმ დაუვიწყარ თვრამეტ ნოემბერს, როცა შოთა იამანიძის, მიხეილ მესხისა და სერგო კოტრიკაძის თაობამ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.

მერე ერთხანს დუმს „დინამოს“ მეკარე, ფიქრში წასული.

მერე კვლავ მოგონებათა ჯარა აალაპარაკებს, ჯერ ისევ გაუბედავად, შემდეგ უფრო თამამად, და ჩემ წინ ახალი სტრიქონები გამოებმება წელან დაწერილ სტრიქონებს.

უკვე თერთმეტი წლისა იყო...

კარგად ახსოვს. ,იმ დღეს, სამოცდაოთხის თვრამეტ ნოემბერს, დილიდანვე უჩვეულო მღელვარებას მოეცვა ყველა, მთელი ზუგდიდი ტაშკენტის გადამწყვეტი ორთაბრძოლის ძნელი მოლოდინით ცხოვრობდა...

მამას სამსახურში, საბჭოთა მეურნეობაში, ერთი ისეთი ჯადოსნური რადიომიმღები ედგა, რა გინდა და რა არ გინდა ტალღას რომ იჭერდა. ალბათ, ამიტომ იყო, თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მამამისის ამხანაგებმა მათს ოჯახში მოიყარეს თავი და მალე საბჭოთა მეურნეობისაკენ გასწიეს...

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამამ რადიორეპორტაჟის მოსასმენად ისიც თან წაიყვანა...

მერე დიდებთან ერთად იჯდა მამამისის კაბინეტში და ხან ეროსი მანჯგალაძის ფოლადისებური ხმა თანგავდა, ხანაც კოტე მახარაძის ცეცხლოვანი გადაცემა უფორიაქებდა სულს...

როცა დიქტორები სერგო კოტრიკაძეს მოიხსენიებდნენ ხოლმე ქებით, მამა გადმოხედავდა და ეტყოდა:

— ბიჭი ვარო, მაგან უნდა თქვას, შენ კი არა!

მაშინ, აბა რას იფიქრებდა ონარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამბროსი გაბელია, — მისი უფროსი ვაჟი, თერთმეტი წლის ოთარიკო, მის ჯადოსნურ რადიომიმღებს რომ მისჯდომოდა სმენად ქცეული, — სერგო კოტრიკაძეზე არაფრით ნაკლები ოსტა-

ტობით დაიცავდა „დინამოს“ კარს თხუთმეტი წლის შემდეგ...

ან თავად რა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, ცხოვრების გზაზე ეს ეწერა თხუთმეტი წლის შემდეგ... მაშინ ამგვარ დიდებაზე ოცნება სად შეეძლო, როცა ფეხბურთი რა იყო, ისიც კი არ უწყოდა ხეირიანად თერთმეტი წლის ბალღმა...

ნეტავ რას იტყოდა ახლა მამა, ცოცხალი რომ ყოფილიყო...

რა იქნებოდა, მოსწრებოდა ამ ამბავს...

— ალბათ, წარმოგიდგენიათ, რამდენს ვინერვიულებდით იმ საუამოს მამაჩემის ჯადოსნურ რადიომიმღებთან, — ამბობს ჩემი სტუმარი ნაღვლიანი ღიმილით და დასძენს, — მერე კი... მერე, რა თქმა უნდა, ყველამ უზომოდ გავიხარეთ ჩვენი ბიჭების ბრწყინვალე გამარჯვებით.

ასეთი იყო ოთარ გაბელიას პირველი შეხვედრები ფეხბურთთან, მომავალში მის დიდ, განუყრელ მეგობრად და ცხოვრების თანამგზავრად რომ იქცა.

## გივი სართანიას უეცარი არჩევანი

— იმავე წელს, თუ შეიძლება, ასე ითქვას, უშუალოდ შევეხე ფეხბურთს. — მეუბნება ოთარი.

— უშუალოდ შეეხე? — ვერ გავუგე ჩემს სტუმარს, თუ რა ძნიშვნელობით იხმარა ეს ორი სიტყვა.

— დიახ, უშუალოდ შევეხე. ამით იმის თქმა მინდა, ფეხბურთის თამაში დავიწყე-მეთქი.

ჯერ თავიანთი ეზოს თანატოლებში გარეულა თერთმეტი წლის ოთარი, მერე მეზობელი ეზოების ბიჭებთანაც დაუწყია თამაში და ზუგდიდში, ნინოშვილის ქუჩაზე, სადაც მათი ოჯახი ცხოვრობდა, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა, მალე გაუთქვამს „ჩაუკეტავი“ მარჯვენა გარემარბის სახელი.

— ისე კი, უნდა ვაღიარო, რომ იღბალი მქონია, — განაგრძობს ჩემი სტუმარი, — რაკი მეზობლებად გივი სართანია და ვასო ბუკია მარგუნა ბედმა. პირველი ფეხბურთის მსაჯი იყო, მეორე ჩვენი ქალაქის სტადიონის თანამშრომელი გახლდათ. ორივეს, რა თქმა უნდა, თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი და ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვენს ქუჩაზე ჭიანჭველასავით იმრავლეს მობურთალ-

მა ბიჭებმა და დილიდან საღამომდე ზოლოთის ბათქაბუთქი, ორგო-ლობანას ხმაური იკლებდა იქაურობას. გადაწყვიტეს, ნინოშვილის ქუჩის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი შეექმნათ.

გივი სართანიამ და ვასო ბუკიამ მარჯვენა გარემარბობა ოთარ გაბელიას უწილადეს უყოყმანოდ, ხოლო თავიანთ გუნდს „მთაწმინდა" შეარქვეს.

თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან „მთაწმინდამ", მართლაც, რომ მქუხარე სახელი გაითქვა ზუგდიდის ქუჩათა ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. სულ მალე ქალაქის ქუ-ჩათა ნაკრები გუნდების ჩემპიონატში გივი სართანიასა და ვასო ბუკიას აღსაზრდელებმა პირველი ადგილი დაიკავეს და დასავლეთ საქართველოს ქალაქების ქუჩათა ნაკრები გუნდების ზონალურ ტურნირზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

„მთაწმინდამ" ენერგიულად, დიდი პასუხისმგებლობით დაიწყო მზადება ზონალური ტურნირისათვის, ფოთში რომ უნდა გამარ-თულიყო. გივი სართანია და ვასო ბუკია თითქმის ყოველდღე რამ-დენიმე საათს ავარჯიშებდნენ თავიანთ ბიჭებს, რომელთა შორის იმ დროისათვის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ორნი:

მარჯვენა გარემარბი ოთარ გაბელია

და

მეკარე გოჩა შელია.

რა თქმა უნდა, იყვნენ სხვა ნიჭიერი ფეხბურთელებიც. მაგრამ ეს ორნი, გარემარბი და მეკარე, მთელი გუნდის იმედს წარმოად-გენდნენ, ზუგდიდის ნორჩთა ფეხბურთის ნამდვილი „ვარსკვლავე-ბი" იყვნენ.

და, აი, გუნდი ზონალური ტურნირისათვის შუა სამზადისში იყო, რომ უეცრად მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა, არც მწვრთნე-ლები, არც ფეხბურთელები, არც მათი გულშემატკივრები, — ნინო-შვილის ქუჩის მცხოვრებლები.

— დიახ, მოხდა ისეთი რამ, — ღიმილით იგონებს ოთარი, — რაც ჩვენი გუნდისათვის, არც მეტი, არც ნაკლები, ქუხილს ჰგავდა ულრუბლო, მოწმენდილ ცაზე.

„რა უნდა მომხდარიყო ასეთი"... — ვფიქრობ მე და ვეკითხები:

— ტრავმა ხომ არ მიიღე?

— მეე?

— ჰო.

— არა, მე არაფერი დამშავებია.

— მაშ, რა მოხდა?

— ყველაზე უარესი, რაც კი მაშინ შეიძლებოდა, დამართოდა გუნდს.

— მაინც?

— ჩვენი შეუცვლელი მეკარე, მთელი „მთაწმინდის“ იმედი გოჩა შელია სხვა ქალაქში გადაეიდა საცხოვრებლად და კარი ცარიელი, დაუცველი დაგვრჩა.

გოჩა შელიას გუნდიდან წასვლის მეორე დღესვე გიეი სართანიამ და ვასო ბუკიამ სასწრაფოდ შეკრიბეს თავიანთი ფუტბალისტელები, რათა დაუყოვნებლივ, ოპერატიულად გადაეწყვიტათ მათ წინაშე მოულოდნელად წამოჭრილი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება — მეკარის საკითხი.

— მე მგონი, აქ ბევრი ფიქრი არ არის საჭირო, სხვა ქუჩის გუნდიდან უნდა მოვიწვიოთ ვინმე, — თქვა ვასო ბუკიამ და გამომცდელად მიაშტერდა გიეი სართანიას, რომელიც უფროსი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა.

გიეი სართანია კი დუმდა და სათითაოდ აკვირდებოდა გუნდის წევრებს, მარჯვენა მცველიდან დაწყებული, მარცხენა გარემარბით დამთავრებული.

„აქედან რომელი გამოდგება მეკარედ?..“ — ეს ერთი კითხვა უტრიალებდა გონებაში უფროს მწვრთნელს.

„რაღას ყოყმანობს... განა არ იცის, რომ სხვა ქუჩიდან უნდა მოვიწვიოთ ვინმე?..“ — ფიქრობდა უმცროსი მწვრთნელი.

„ისეთი სახით გვათვალიერებს, თითქოს რომელიმე ჩვენთაგანიდან აპირებდეს მეკარის არჩევას“... — ფიქრობდა ოთარი.

გიეი სართანიამ უცებ ოთარ გაბელიაზე შეაჩერა მზერა.

„ბიჭოს... მგონი, ვიპოვე გამოსავალი... ამ ბავშვს ისეთი მონაცემები აქვს, კარში თუ დაიწყო ვარჯიში, თვით გოჩა შელიას აჯობოს იქნებ“... — გაუელვა უფროს მწვრთნელს.

„მე რას დამაშტერდა... ზე ხომ არ მიპირებს კარში დაყენებას?.. არა, თუ იმიტომ მიყურებს, რომ“... — მაგრამ ფიქრიც არ დასცალდა „მთაწმინდის“ მარჯვენა გარემარბს, რადგან იმავე წამს გაიგონა უფროსი მწვრთნელის ხმა, ახლა მისთვის ჭექა-ქუხილივით რომ გაისმა:

— კარში შენ დადგები, გაბელიავ!

მერე უფროსი მწვრთნელის სიტყვებით თავზარდაცემული ოთარი ხედავდა ვასო ბუკიას განცვიფრებულ სახეს, გივი სართანიასაკენ რომ იყო მიპყრობილი:

— რა დროს ხუმრობაა, გივი... ახლა მეკარე უნდა ვიპოვოთ, მეკარე!

გივი სართანია კი ისევ თავის „ჩაუკეტავ“ მარჯვენა გარემარბს მიშტერებოდა გაქვავებული სახით, ზედ ურყევი გადაწყვეტილება რომ ეწერა:

— მე არ ვხუმრობ, ვასო... მეკარე ნაპოვნია, კარში გაბელია დადგება.

— კი მაგრამ... მაგ ბიჭს თუ კარში დააყენებ, ბურთს ვილა გაიტანს? — „გადარჩენის“ უკანასკნელი იმედივით მოესმა ოთარს ვასო ბუკიას სიტყვები.

მაგრამ შემდეგ წამს ჯერ ისევ სახტად დარჩენილი, თავზარდაცემული ოთარი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო:

— ეგ არაფერი... ბურთს სხვები გაიტანენ, კარში კი გაბელია დადგება.

ასეთი იყო გივი სართანიას უეცარი, ურყევი არჩევანი.

გარშემო მსხდარი „მთაწმინდელი“ ბიჭები ისე მისჩერებოდნენ თვალდათვალ მეკარედ ქცეულ თავიანთ „ჩაუკეტავ“ მარჯვენა გარემარბს, თავიანთ შეტევათა ლიდერს, თითქოს მას პირველად ხედავენო.

თვალდათვალ მეკარედ ქცეული მარჯვენა გარემარბი კი თავჩაღუნული იჯდა, დარდით მოცული, და ერთ შავ ფიქრს აეტანა მხოლოდ. — ნეტავ რა დაეშავე გივი სართანიას, ასე დაუნდობლად რომ გამწირაო.

## „მ ე კ ა რ ე“

დაღვრემილი, ყურებჩამოყრილი, ლამის ზეზეურად გათავებული მიუყვებოდა ოთარი საღამოს ბინდში გახვეულ ნაცნობ ქუჩებსა და შესახვევებს. შინისაკენ მილასლასებდა. უთქმელი ბოღმა რკინის სალტესავით მოსჭეროდა ყელზე, ცხელი ცრემლები უთუთქავდა თვალებს.

და მთელს ამ გზაზე მხოლოდ ის ერთი შავი ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას, ეწვერილებდა გულს, უფორიაქებდა გონებას, მხოლოდ ის ერთი შავი ფიქრი:

ნეტავ რა დავეშავე გივი სართანიას, ასე დაუნდობლად რომ გამწირაო.

იმ შავმა ფიქრმა მხოლოდ მაშინ მიატოვა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ოთარი, როცა ქალაქის კინოთეატრს გაუსწორდა და ორმა გაჩახჩახებულმა სარეკლამო ვიტრინამ შეაჭყიტა ცრემლიან თვალებში.

ოთარი შედგა, სანახევროდ ძილ-ბურანში მყოფივით დაბნევით დააცქერდა განათებულ აფიშებს.

„მხატვრული ფილმი „მეკარე" — იუწყებოდნენ ცენტრალური რეკლამა და სარეკლამო ვიტრინები.

„მეკარე"...

„მეკარე"...

„მეკარე"...

ჰო, ყველგან მხოლოდ ერთი სიტყვა — „მეკარე" და მეტი არაფერი.

„ჰმ, მოდი, და გაიგე ახლა, რას ნიშნავს ეს „მეკარე"... შეიძლება, მართლა ფეხბურთზეა, ფეხბურთის მეკარეზე... შეიძლება, სკოლის, სასტუმროს, საავადმყოფოს, რა ვიცი, რესტორნის, მეკარეზეა... ჩვენი მეზობელი მარტოხელა ბებია ნიკიფორეც ხომ მეკარეა, მეკარედ მუშაობს საავადმყოფოში... თუ ეს ფილმი მართლა ფეხბურთზეა, ფეხბურთის მეკარეზე, რა თქმა უნდა, შევალ და ვნახავ, მაგრამ თუ სკოლის, სასტუმროს, საავადმყოფოს, ან, რა ვიცი, რესტორნის მეკარეზეა, მაშინ, ქუდი რომ შემოვდონ...

სალაროში შეყო თავი.

— დეიდა, ვკი მეტყვით, რაზეა ეს ფილმი?

— რაზეა და თქვენ რომ ძალიან გიყვართ, პატარა ბიჭებს, იმაზეა, ფეხბურთელებზე, მეტი რაზე უნდა იყოს.

— ფეხბურთელებზე?

— ჰო, ფეხბურთელებზეა... შედი, შვილო, აიღე ბილეთი, მოგეწონება.

„ფეხბურთელებზე ყოფილა, თანაც ფეხბურთის მეკარეზე, გივი სართანიამაც ხომ მხოლოდ ეს გაიმეტა ჩემთვის, კარში დგომა. და ამიტომ, რომ არ შევიდე კინოში, არ ვნახო ეს ფილმი, არ შეიძლე-

ბა. თუმცა სულაც არ ვარ კინოსა და თეატრის გუნებაზე... თან ეს ფილმი კარგად დამანახვებს, ღირს თუ არა, საერთოდ, მეკარეობა... თუ დავრწმუნდი, რომ ღირს, ვიყელი გუნდში და ვითამაშებ... თუ არ ღირს... ჰო, თუ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არ ღირს. წავიდნენ უჩემოდ ფოთში, ფეხის მიმდგმელი ალარ ვარ მე გივი სართანიასთან... ერთი სიტყვით, ამ სურათის ნახვის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი“...

— დეიდა, მომეცით ერთი ბილეთი.

...ოთარი სულგანაბული მისჩერებოდა მაცდურად აციმციმებულ ეკრანს. ერთი უბრალო ვოლგისპირელი ჭაბუკის საინტერესო თავგადასავალს რომ უამბობდა მაყურებლებით სავსე დარბაზს.

...დინჯად მოაგორებს ტალღებს ფოლადისფერი გოლიათი, ზღვასავით უკიდეგანო ვოლგა.

„რამხელა მდინარე ყოფილა, მთლად ჩვენს ენგურსა და ცხენისწყალს არ ჰგავს?...“ — ჩაეცინა გუნებაში ოთარს.

...ნაპირთან პატარა გემის მსგავსი დიდი კატარღა დგას.

კატარღის ვრცელ გემბანზე საზამთროების მთა აღმართულა.

საზამთროების მთასთან მოზვერივით ვაუკაცი ტრიალებს, მეზღვაურის ზოლებიანი მაისური რომ აცვია: იგი წამდაუწუმ წელში იხრება და უმალ ისევ სწორდება, სათითაოდ იღებს ხელში საზამთროს და ნაპირისაკენ ბურთივით ისვრის.

იხრება, იღებს ხელში საზამთროს, სწორდება და ნაპირისაკენ ბურთივით ისვრის.

იხრება, იღებს ხელში საზამთროს, სწორდება და ნაპირისაკენ ბურთივით ისვრის.

იხრება. სწორდება და ბურთივით ისვრის.

იხრება. სწორდება და ბურთივით ისვრის.

იხრება, სწორდება და ბურთივით ისვრის.

და ასე შემდეგ.

და ასე შემდეგ.

შეუსვენებლად.

ნაპირზე მაღალი, ტანადი ლამაზი ჭაბუკი დგას. იგი თავისკენ მფრინავ საზამთროებს მოხერხებულად იჭერს და იქვე ფრთხილად ალაგებს ქვიშიან მიწაზე.

იჭერს და ალაგებს ქვიშიან მიწაზე.

იჭერს და ალაგებს ქვიშიან მიწაზე.

მაგრამ, აი, ერთ-ერთი საზამთრო მისგან საკმაოდ მ�-შორებით გამოფრინდა კატარღის გემბანიდან.

ჭაბუკი არ დაიბნა — უმალ მიწას მოსწყდა, ფრინველივით ლაღად გაფრინდა და სწორედ მაშინ, როცა მიწას უნდა დასცდომოდა საზამთრო, მისწვდა, ხელები მარწუხებივით ჩასჭიდა, მკერდზე მიიკრა და იმავე წამს ქვიშაზე გაიშოტა.

— ყოჩაღ, ანტონ, შენგან ნამდვილი საფეხბურთო მეკარე დადგება! — აღტაცებით შესძახა კატარღის გემბანზე მოზვერივით ვაუკაცმა, მეზღვაურის ზოლებიანი მაისური რომ ეცვა, და მორიგ საზამთროს დასწვდა.

„ასე ჩვენი გოჩა შელიაც ვერ დაიჭერდა ბურთს, სად ჰქონდა იმას ასეთი ნახტომები“... — გაიფიქრა ოთარმა, რომელსაც წელანდელი უსიამოვნო განცდები თითქმის მთლიანად განელებოდა და ახლა უკვე სრული გატაცებით მისჩერებოდა მაცდურად მოციმციმე ეკრანზე გათამაშებულ მოქმედებას.

...კატარღის გემბანიდან საზამთროების ამ თავისებურ გადმოტვირთვას არანაკლები გატაცებით მისჩერებიან ორნი, რომლებიც იქვე, შორიახლო, ნაპირზე დგანან. ერთი მაღალია, პირხმელი, ტყავის ქურთუკი აცვია, მეორე — დაბალი, ჩასუქებული, ოდნავ ღიპიანი, ფართოფარფლებიანი ჭილის ქუდი ხურავს, მზისაგან რომ უჩრდილავს ჭორფლიან სახეს.

კატარღიდან კვლავ გრძელდება საზამთროების გამოფრენა. ზოგი საზამთრო პირდაპირ ნაპირზე მდგარი ჭაბუკისაკენ მოფრინავს, ზოგი კი ზემოთხვევით თუ განზრახ ოდნავ ან საკმაოდ განზე.

მაგრამ ნაპირზე მდგარი ჭაბუკი პირდაპირ მისკენ გამოფრენილ საზამთროებს თუ იოლად ეუფლება, მისგან ოდნავ ან საკმაოდ განზე გამოსროლილ საზამთროებს სხარტი ნახტომებით იჭერს.

— ყოჩაღ, ანტონ, შენ გვარად კანდიდოვი კი არა, ზამორა უნდა იყო! — არ ცხრება კატარღის გემბანზე მოზვერივით ვაუკაცი, მეზღვაურის ზოლებიანი მაისური რომ აცვია და დაუღალავად, შეუსვენებლად დასტრიალებს საზამთროების მთას, — აქ, პროვინციაში, მტვირთავად კი არ უნდა მუშაობდე, მოსკოვის „დინამოში“ უნდა იყო მეკარედ.

ნაპირზე მდგარი მაღალი, ტყავისქურთუკიანი, და დაბალი, ჭილისქუდიანი, დაუფარავი აღტაცებით გასცქერიან მაღალ, ტანად

ლამაზ ჭაბუკს ანტონ კანდიდოვს, კატარღიდან გამოფრენილ არც ერთ საზამთროს მიწაზე გასკდომა რომ არ აცალა.

— მგონი, ნამდვილ ტალანტს მივაგენით, — უთხრა მაღალმა, ტყავისქურთუკიანმა, დაბალს, ჭილისქუდიანს.

— ნამდვილ ტალანტს კი არა, არნახულ ტალანტს, ჭეშმარიტ ფენომენს, — უპასუხა დაბალმა. ჭილისქუდიანმა, — მაგ ბიჭის ხელიდან გაშვება არამც და არამც არ შეიძლება.

— ჰო, არამც და არამც, — ამბობს მაღალი, ტყავისქურთუკიანი, — განტვირთავენ თუ არა კატარღას, მაშინვე უნდა მოველაპარაკოთ მაგ ბიჭს.

— და ჰაიდა მოსკოვისაკენ, — ხელების ფშვნეტით დასძენს დაბალი, ჭილისქუდიანი.

— შენ ის თქვი, გვარ-სახელიც რომ დიდებული აქვს, — უმატებს მაღალი, ტყავისქურთუკიანი.

— აბა, — ნეტარებით სავსე ღიმილი დასთამაშებს სახეზე დაბალს, ჭილისქუდიანს, — მართლაც, დიდებულად იყოლრებს, მოსკოვის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მეკარე ანტონ კანდიდოვი.

„რა იქნებოდა, ეგ ბიჭი მაგ ტყავისქურთუკიანსა და ჭილისქუდიანს კი არ აღმოეჩინათ, გივი სართანიასა და ვასო ბუკიას ეპოვათ... მაშინ ხომ ჩემი მეკარეობაც აღარავის დასჭირდებოდა და ის უბედურებაც ამცდებოდა, დღეს რომ დამატყდა თავს“... — ისევ იმ თითქმის განელებულმა უსიამოვნო განწყობილებამ დაუპირა დამარტოხელება ოთარს.

მაგრამ კადრი კადრს მოჰყვა, მოქმედებაც თავისი გზით განვითარდა მაცდურად აციმციმებულ ეკრანზე და ოთარიც ისევ მიუნდო მთელი თავისი არსებით იმ ერთი უბრალო ვოლგისპირელი ჭაბუკის საინტერესო თავგადასავალს.

ის მაღალი, ტყავისქურთუკიანი, და დაბალი, ჭილისქუდიანი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელები გამოდგნენ.

და ანტონ კანდიდოვიც, ჯერ ისევ გუშინ კატარღის ყველასთვის უცნობი მტვირთავი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში მოსკოვის „დინამოში“ ჩაირიცხა .სათადარიგო მეკარედ.

კადრი კადრს მისდევს, მოქმედება მოქმედებას.

და, აი, ანტონ კანდიდოვი უკვე მოსკოვის „დინამოს“ ძირითა-

დი, შეუცვლელი მეკარეა, მთელს კავშირში სახელგანთქმული სპორტსმენი.

და, აი, იწყება... იწყება, მაგრამ რა იწყება, თვალი ვერ ინატრებს უკეთესს:

მატჩები...

მატჩები...

მატჩები...

ოთარი სკამზე ველარ ჩერდება, ბორგავს, ცქმუტავს, წრიალებს, მალიმალ წამოხტება, რაღაცას შესძახებს და ისევ დაჯდება. მაგრამ ვაი ამ დაჯდომას, ბორგავს, ცქმუტავს, წრიალებს.

დედა, რა ბურთებს იღებს კანდიდოვი!

აი, ძელის ძირიდან დააძრო ბურთი!

აი, „ცხრიანიდანაც“ ჩამოხსნა ბურთი!

აი, ვიღაცას ცხვირწინ ააცალა ბურთი!

აი, თერთმეტმეტრიანიც აიღო!

კიდევ აიღო თერთმეტმეტრიანი!

კიდევ!

კიდევ!

დედა, რა ბურთებს იღებს კანდიდოვი!

არა, გოჩა შელია ნამდვილად ვერ აიღებდა ასეთ ბურთებს!

და ბორგავს, ცქმუტავს, წრიალებს ოთარი.

მაგრამ...

უცებ...

რა ხდება?..

ირინდება,

ინაბება,

იტვრინება

ოთარი...

ტანში ერუანტელი უვლის,

უცნაური ცახცახი ეუფლება...

ჩაბნელებულ დარბაზში საოცარი მელოდია იღვრება, ხოლო იქ, მაცდურად აციმციმებულ ეკრანზე, ანტონ კანდიდოვი, უკვე საბჭოთა ნაკრების მეკარე, უცხოელ პროფესიონალებთან სასტიკი ორთაბრძოლისათვის ემზადება:

Эй, вратарь, готовься к бою,
часовым ты поставлен у ворот,

ты представь, что за тобою
полоса пограничная идет.

Чтобы тело и душа
были молоды,
были молоды,
были молоды,

ты не бойся ни жары
и ни холода,
закаляйся,
как сталь!

და უცხოელი პროფესიონალებისთვისაც აუღებელი რჩება ანტონ კანდიდოვის კარი.

მერე გაზეთები, ჟურნალები, — ანტონ კანდიდოვის ნაირ-ნაირი სურათებით აჭრელებული.

და მთელს ამ გოლიათ საბჭოთა ქვეყანაში ყველას პირზე აკერია: კანდიდოვი... კანდიდოვი... კანდიდოვი...

ჰო, ჯერ ისევ გუშინ ერთი უბრალო ვოლგისპირელი ჭაბუკი, კატარლის ყველასათვის უცნობი მტვირთავი — მთელს საბჭოეთში სახელგანთქმული სპორტსმენი გახდა.

ფილმი მთავრდება.

დარბაზში სინათლე ინთება.

ხალხი გასასვლელისაკენ მიიჩქარის.

მხოლოდ ოთარი ზის თავის სკამზე უძრავად, გარინდებული, განაბული, გატვრენილი, ისევ უელის ქრუანტელი, ისევ ცახცახებს ხურვებაშეყრილივით, რადგან კვლავ იღვრება დარბაზში ის საოცარი მელოდია:

Эй, вратарь, готовься к бою,
часовым ты поставлен у ворот,
ты представь, что за тобою
полоса пограничная идет.

და უცებ ისეთი ფიქრი დაეუფლება ოთარს, საკუთარი თავის რომ შერცხვება:

„მაპატიე... მაპატიე ჩემი სულმოკლეობა, გივი სართანიავ... ან მეკარე უნდა ვიყო, ანდა არაფერი... ან მეკარე უნდა ვიყო, ანდა არაფერი“...

მერე შინისაკენ მიიჩქაროდა ოთარი, ხალისიანად მიჰყვებოდა

მკრთალად განათებულ ქუჩებსა და შესახვევებს და თან იმ წელანდელ საოცარ მელოდიას იმეორებდა სტვენით:

Чтобы тело и душа
были молоды,
были молоды,
были молоды,

ты не бойся ни жары
и ни холода,
закаляйся,
как сталь!

## პირველი პრიზი

— „მეკარემ“ ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა,— იგონებს ოთარ გაბელია, — რომ ჩემი ახალი საფეხბურთო ამპლუისადმი იმ პირველმა საოცრად მძაფრმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ სრული მეტამორფოზა განიცადა. მეორე დღეს ჩვენი გუნდის ვარჯიშზე მეკარის სამუხლეებით, ტყავის ხელთათმანებითა და კარის გუშაგისათვის მაშინ ჯერ კიდევ ტრადიციული ბუკლეს კეპით დიდი ხალისით მივედი. ხოლო როცა სავარჯიშოდ კარში ჩავდექი და პირველი ბურთები დამირტყეს თანაგუნდელებმა, რა დაგიმალოთ და ჩემი თავი შორეული ვოლგისპირეთიდან დედაქალაქში ჩასული ჯერ ისევ უწრთობი, ნედლი ანტონ კანდიდოვი მეგონა.

გივი სართანიასა და ვასო ბუკიას ხელმძღვანელობით „მთაწმინდა“ დიდი მონდომებითა და ენერგიით განაგრძობდა სამზადისს ფოთის ზონალური ტურნირისათვის. ვარჯიშს ვარჯიში მოსდევდა და ოთარ გაბელიაც სწრაფად ეუფლებოდა საფეხბურთო მეკარის ოსტატობის ანბანს. ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ „მთაწმინდისა“ და ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „მთაწმინდის“ მეკარემ ოთარ გაბელიამ. მან ამ შეხვედრაში, გარდა იმისა, რომ, საერთოდ, მშვენივრად ითამაშა, ორი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმაც მოიგერია, ერთი — დაბლა კუთხეში, მეორე კი — მაღლა კუთხეში, როცა ლამის „ცხრიანიდან“ უკუაგდო ძლიერად დარტყმული ბურთი.

გივი სართანია გულთმისანი ყოფილაო, ფიქრობდა ოთარი, როცა იგი, უსაზღვრო სიხარულით გაბრუებული, მოედნიდან ხელში აყვანილი გამოჰყავდათ გამარჯვებულ თანაგუნდელებს, როგორც მატჩის გმირი.

ხოლო როცა, ცხრაას სამოცდახუთის შემოდგომაზე, ფოთში გამართულ შეჯიბრებაზე „მთაწმინდამ“ პირველი ადგილი აიღო, მისმა მეკარემ, თორმეტი წლის ოთარ გაბელიამ კი ზონალური ტურნირის საუკეთესო კარის გუშაგისათვის დაწესებული პრიზი. ქართული სურა, მოიპოვა, — გივი სართანიამ ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ჩემს ყველაზე დიდ დამსახურებად ის მიმაჩნია, რომ მარჯვენა გარემარბი მეკარედ ვაქციეო.

მერე იმ კორესპონდენტმა ისიც ჰკითხა:

როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებთო თქვენს მეკარეს?

„მთაწმინდის“ უფროსი მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო:

ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი და თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი, უთუოდ უძლიერესი მეკარე იქნებაო თავის დროზე მთელს კავშირში ოთარ გაბელია.

მაშინ, ალბათ, კვეხნად და ტრაბახად თუ ჩაუთვალა ეს თამამი განცხადება იმ კორესპონდენტმა გივი სართანიას.

## ზუგდიდის სპორტსკოლიდან თბილისის „დინამომდე“

„მთაწმინდამ“ ცხრაას სამოცდაშვიდ წლამდე იარსება.

ცხრაას სამოცდაშვიდში ნინოშვილის ქუჩის გუნდის წამყვანი მოთამაშეები ზუგდიდის სპორტსკოლაში მიიღეს, სადაც საკმაოდ ძლიერი მოზარდთა საფეხბურთო კოლექტივი ჩამოყალიბდა გამოცდილი მწვრთნელის ალიოშა დიდიშვილის ხელმძღვანელობით.

„დიდიშვილის დიდი გუნდი“, როგორც უწოდებდნენ მას იმ ხანებში, და რომლის კარსაც იცავდა ოთარ გაბელია, სამი წლის მანძილზე უცვლელი წარმატებით გამოდიოდა არა მარტო ზუგდიდის, არამედ დასავლეთ საქართველოს ქალაქების სტადიონებზე.

სპორტსკოლაში გატარებულმა სამმა წელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოზარდი ფეხბურთელების, მათ შორის ყოფილი „მთაწმინდელის“ ოთარ გაბელიას ტექნიკურ წრთობას.

ამიტომაც იყო, რომ ცხრაას სამოცდაათში ჩვიდმეტი წლის ოთარ გაბელია და რამდენიმე სხვა სპორტსკოლელი ზუგდიდის „დინამოს“ მწვრთნელმა ჯუმბერ ჩუხუამ უყოყმანოდ ჩარიცხა თავის გუნდში, რომელიც მაშინ საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა.

ცხრაას სამოცდათორმეტიდან ოთარ გაბელია უკვე ჩვენი ქვეყნის მეორე ლიგის გუნდში სოხუმის „დინამოშია“, სადაც მისი შემდგომი დოსტატებისათვის ბევრი რამ გააკეთა მწვრთნელმა იური გრამატიკოპულომ, ერთ დროს თბილისის „დინამოს“ პოპულარულმა გარემარბმა.

ახლა კი სიტყვა დავუთმოთ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ანატოლ ნორაკიძეს:

— ოთარ გაბელია ქუთაისის „ტორპედოში“, რომლის კარს მაშინ თეიმურაზ გრძელიშვილი იცავდა, 1974 წელს მოვიდა. სოხუმელმა კოლეგებმა ძალიან მიქეს მათი გუნდის ახალგაზრდა მეკარე, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, ჩვენც აეიღეთ და იგი უყოყმანოდ გადმოვიყვანეთ ავტოქარხნელთა კოლექტივში. ოთარმა სწრაფად დაიკავა ძირითადი მეკარის ადგილი და პირველსავე სეზონში მხოლოდ ხუთჯერ არ გამოგვიყვანია სათამაშოდ, ისიც ტრავმის გამო. შემდგომ, 1975—1976 წლების სეზონში, მან კვლავაც წარმატებით განაგრძო „ტორპედოს“ კარის დაცვა და პირველი ლიგის გუნდების მეკარეთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

— 1977 წლის აპრილიან გაზაფხულზე ჩვენი გუნდის ერთ-ერთ საკონტროლო მატჩს, — იგონებს ოთარი, — თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი დაესწრო. იმავე დღეს გადაწყდა რამდენიმე ტორპედოელის ბედი, მათ შორის ჩემიც. თბილისის „დინამოში“ გადაყვანილთა სიაში ვიყავით: ნიჭიერი ცენტრფორვარდი და „ტორპედოს“ პირველი ბომბარდირი რამაზ შენგელია, უაღრესად ტექნიკური მცველი თამაზ კოსტავა, ქუთაისელთა დაცვის სული და გული თენგიზ სულაქველიძე, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, ტექნიკური მიზეზების გამო ერთი წლის დაგვი-

ანებით გადმოიყვანეს დედაქალაქის გუნდში, და მე. ვერ აგიწერთ, თუ რა სიხარული განვიცადეთ მე, რამაზმა და თამაზმა. როცა გავიგეთ, რომ იმ დღიდან უკვე თბილისის დინამოელები ვიყავით.

## „ოგონიოკის" ლაურეატი

ოთარ გაბელიას სპორტული ცხოვრების შემდგომი გზა ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი.

ბევრს, ალბათ, დღესაც ახსოვს მისი პირველი მატჩი თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. ეს იყო 1977 წლის 22 ივნისს, როცა აქ, ჩვენს დიდებულ სტადიონზე, ბაქოს „ნეფთჩის" ვმასპინძლობდით. სტუმართა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის ბანიშევსკის საჯარიმო მოედანზე წაქცევისათვის მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა ოთარ გაბელიას კარში. ბაქოელმა აბასოვმა უნაკლოდ დაარტყა და თბილისელებმა პირველი ტაიმი წააგეს — 0:1. მეორე ტაიმში ქართველმა დინამოელებმა მეტოქეთა კარში ზედიზედ ოთხი ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი აღარც ერთი არ მიუღიათ, რაც მათი ახალგაზრდა მეკარის უდავო დამსახურებაც იყო.

ამავე წელს ოთარ გაბელიამ გუნდის მიერ ჩატარებული მატჩების ნახევარი ითამაშა და თანაგუნდელებთან ერთად მიიღო მეორე პრიზიორის ვერცხლის მედალი.

1978 წლის საკავშირო ჩემპიონატში ოთარ გაბელია სულ ცხრაჯერ გამოვიდა ძირითად შემადგენლობაში და, ცხადია, ჩემპიონის დიდი ოქროს მედალი არ ერგო. სამაგიეროდ, დუბლიორთა ასპარეზობაში, სადაც აგრეთვე თბილისელებმა იზეიმეს გამარჯვება, მცირე ოქროს მედალი მოიპოვა სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად.

მაგრამ იმან, რაც მოხდა 1979 წლის საკავშირო ჩემპიონატში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ყველასთვის მოულოდნელი იყო:

ოთარ გაბელია ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა თავიდან ბოლომდე. ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მან მთელ რიგ მატჩებში დიდოსტატურად ითამაშა და ფეხბურთის სპეციალისტთა და მოყვარულთა საერთო აღიარება ჰპოვა.

ქართველმა მეკარემ განუმეორებელი ელვარებით ითამაშა საერთაშორისო შეხვედრებშიც, კერძოდ, ევროპის ჩემპიონთა თასზე გამართულ მატჩებში.

ინგლისის ჩემპიონთან, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ „ლივერპულთან" შეხვედრების შემდეგ, ქართველი დინამოელების გამარჯვებით რომ დასრულდა, ბრიტანეთის პრესა აღნიშნავდა:

„თბილისის „დინამოს" მეკარე ოთარ გაბელია ნამდვილი ჯადოქარია. მან სამუდამოდ დაამახსოვრა თავი ინგლისელ გულშემატკივრებს, როგორც საერთაშორისო კლასის დიდოსტატმა".

„ლივერპულის" მწვრთნელებმა თბილისის „დინამოს" კარის გუშაგისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში „დიდებული მეკარე" — ოთარ გაბელიას „კავკასიური აფთარი" უწოდეს, რომელსაც, როგორც ისინი წერდნენ, „ძალუძს ყოვლად ფანტასტიკური ბურთების აღება".

1979 წლის საფეხბურთო სეზონში მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის ოთარ გაბელიას გადაეცა ჟურნალ „ოგონიოკის" ყოველწლიური პრიზი „ქვეყნის საუკეთესო მეკარეს".

## მეკარის გმირობა

წინა თავში „ოგონიოკის" ლაურეატი", კი არ დამავიწყდა. შეგნებულად, განზრახ არაფერი ვთქვი თბილისის „დინამოს" მიერ საბჭოთა კავშირის თასის მეორედ მოპოვებასა და ქართული ფეხბურთის ამ დიდ გამარჯვებაში ოთარ გაბელიას წვლილის შესახებ. შეგნებულად და განზრახ იმიტომ, რომ ჩემი ნარკვევის დასასრულისათვის შემომენახა ჩვენს შესანიშნავ მეკარეზე ის ყველაზე დიდი სათქმელი. ჰო, დასასრულისათვის შემოვინახე, უფრო სწორად, დასასრულის გასალამაზებლად, როგორც ქართულ სუფრაზე სულ ბოლოსათვის შემოინახავს ხოლმე გამოცდილი, წინდახედული თამადა ყველაზე ძვირფას სათქმელს, ყველაზე სანუკვარ, საყვარელ სადღეგრძელოს.

„მეკარის გმირობა" ჩემი ნარკვევის ბოლო თავია, მაგრამ იგი რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება, რადგან ერთ, უქვეთავებო თავში როგორღაც შეუძლებლად მომეჩვენა იმ დიდი სათქმელის თქმა, რაც ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ თავისი სწორუპოვარი

შემართებით თავპირზე საყრელად დაიმსახურა ცხრაას სამოცდაცხრამეტი წლის თერთმეტი აგვისტოს შიშნარევი მღელვარებითა და ელდასავით უეცარი სიხარულით დამუხტულ იმ დაუვიწყარ საღამოს.

## ლაპარაკობენ შვიდი ფინალის მონაწილენი

1979 წლის საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ დიდხანს, ძალიან დიდხანს მოიგონებენ მაწ ფეხბურთის მოყვარულნი. თასის ყოველი გათამაშება, თასის გათამაშების ყოველი ფინალური მატჩი განუმეორებელია, რადგან მასში ბრძოლა ყოვლად უკომპრომისოა, უშეღავათო. სათასო ორთაბრძოლის კანონმდებლობა ხომ ფრეს არ ცნობს, ან ერთმა მხარემ უნდა გაიმარჯვოს, ან მეორემ.

თბილისის დინამოელები შვიდჯერ მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში. ხუთჯერ — დამარცხების სიმწარე განიცადეს, ორჯერ — გამარჯვების სიხარული.

ყური დავუგდოთ ამ შვიდი ფინალური მატჩის მონაწილეებს.

1936 წელი. მოგვითხრობს მიხეილ ბერძენიშვილი:

— საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი შედგა 28 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. ჩვენი მეტოქე იყო დედაქალაქის „ლოკომოტივი“. ორთაბრძოლა ძალზე შეუპოვარი გამოდგა. თითქოს არ უნდა წაგვეგო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მოსკოველთა მიერ პირველ ტაიმში გატანილ ორ გოლს ვერაფრით ვერ ვუპასუხეთ მეორე ტაიმში, მიუხედავად ჩვენი გამუდმებული იერიშისა.

1937 წელი. ლაპარაკობს გრიგოლ გაგუა:

— ჩვენ წარმატებით გავიარეთ გზა ფინალისაკენ, მაგრამ, აი, ფინალი კი არ გამოგვივიდა რიგიანი. მოსკოვის დინამოელები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ — 2:5. ამის შემდეგ ასეთი დიდი სხვაობით აღარასოდეს წაუგიათ თბილისის დინამოელებს ფინალური მატჩი.

1946 წელი. სიტყვას ვაძლევთ იბრაგიმ სარჯველაძეს:

— ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ამ უძნელეს, უმძიმეს ფინა-

ლურ მატჩს, სადაც მოსკოვის „სპარტაკს“ შევხვდით. პირველ წარ-მატებას მოსკოველებმა მიაღწიეს, შემდეგ ავთანდილ ღოღობერი-ძემ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო გიორგი ანთაძემ წინ გაიყვანა თა-ვისი გუნდი. პირველი ტაიმის დასასრულს გიორგი გლაზკოვმა შეძ-ლო ანგარიშის გათანაბრება — 2:2. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩის ისტორიაში პირველად დაინიშნა დამატებითი დრო. გადამ-წყვეტი გოლი სპარტაკელმა ოლეგ ტიმაკოვმა გაიტანა.

1960 წელი. იგონებს თენგიზ მელაშვილი:

— ორთაბრძოლა მოსკოვის „ტორპედოსთან“ გაგრძელდა 120 წუთს და მიმდინარეობდა „ლუჟნიკის“ სტადიონის მოყინულ მინ-დორზე. ტორპედოელთა სამ გოლს სამი გოლით ვუპასუხეთ, ერთ-ერთი ბურთი მე გავიტანე. დაინიშნა დამატებითი დრო, რომლის დამთავრებასაც 20 წამი აკლდა, რომ ბედმა მოსკოველებს გაუ-ღიმა — 3:4.

1970 წელი. მოგვითხრობს მურთაზ ხურცილავა:

— ფინალში თამაში ძალზე საპასუხისმგებლოა. აი, სწორედ აქ ვლინდება ფეხბურთელის ყველა თვისება, ავიც და კარგიც. ფი-ნალში ყველაფერია მოსალოდნელი, ეს კი მისი მონაწილეებისაგან ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს. ჩვენი გუნდი მედგ-რად იბრძოდა ორივე ტაიმის მანძილზე, მაგრამ დიდი ხნის ოცნე-ბას აღსრულება არც ამჯერად ეწერა. დავმარცხდით და თასი მოს-კოველ თანაკლუბელებს ერგოთ — 1:2.

1976 წელი. ლაპარაკობს მანუჩარ მაჩაიძე:

— ბოლოს და ბოლოს, მეექვსე ცდაზე, ქართველმა ფეხბურ-თელებმა შევძელით ამ ერთ-ერთი უძნელესი საფეხბურთო მწვერ-ვალის დაპყრობა. მახსოვს, როგორი თავგანწირვით იბრძოდა თბი-ლისის „დინამოს“ ყოველი წევრი, რა დიდი სურვილი გვქონდა გა-მარჯვებისა, და გავიმარჯვეთ კიდეც. დავამარცხეთ ჩვენი ღირსე-ული მეტოქე ერევნის „არარატი“ — 3:0.

1979 წელი. სიტყვას ვაძლევთ ოთარ გაბელიას:

— რომ ვთქვა, თითქოს დარწმუნებულნი ვიყავით თბილისში

ბროლის თასის მეორედ ჩამოტანაში, არ იქნება სწორი. მაგრამ სპარტაკიადაზე მოსკოველებთან დამარცხებისათვის რევანშის, მართლაც, შესაშური გრძნობა დაგვეუფლა. პირადად მე, არ დაგიმალავთ, მაქსიმენკოვის ჯავრი მჭირდა, სპარტაკიადის ფინალში ხომ ორივე ბურთი მან შემიგდო. მოვლენები კი სულ სხვაგვარად განვითარდა და მოხდა ისე, მაქსიმენკოვის ჯავრი მის თანაგუნდელ ვალერი გაზაევზე ვიყარე. მატჩის დაწყებამდე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ საქმე, შეიძლება, „პენალტების“ სერიამდეც მისულიყო, და ამ აზრს შეგუებული ვიყავი. მაგრამ მიახლოებული წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ეს რაოდენ მძიმე გამოცდა იყო მეკარისათვის. მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ იმ უმძიმეს წუთებში არ დავალალატე ჩემი თანაგუნდელები.

## ლაბარაკობენ

### ფეხვიდე ფინალის მონაწილენი

გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა. მატჩი დამთავრდა. თამაში მოგებულია. უზომოდ ბედნიერი, გაოფლილი, ღაქანცული თბილისელი ფეხბურთელები სარბენი ბილიკებისაკენ მიეშართებიან. აქ მათ გადასცემენ საბჭოთა კავშირის ბროლის თასს. აქედანვე, მაყურებელთა ოვაციით კიდევ უფრო აღგზნებულები, შეკრავენ სტადიონზე საპატიო წრეს. მაგრამ ეს ყველაფერი იქნება შემდეგ. ახლა კი ისინი მეგობრების, ამხანაგების, მაყურებლებისა და, როგორც ყოველთვის, ფოტოკორესპონდენტების გაურღვეველ ალყაში ექცევიან. ერთი მხრივ, — ხვევნა-კოცნა, მილოცვები; მეორე მხრივ, — გამარჯვებულთა მღელვარებით დამუხტული პირველი სიტყვები. პირველად წარმოთქმული სიტყვები მატჩის დამთავრების უმალ.

თ ე ნ გ ი ზ  ს ულ ა ქ ვ ე ლ ი ძ ე: გაბელია... გაბელია... ოჰ, ეს გაბელია.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე  ჩ ი ვ ა ძ ე: ღმერთმა ააშენოს ოთარ გაბელია.

შ ო თ ა  ხ ი ნ ჩ ა გ ა შ ვ ი ლ ი: რა გნებავთ?.. ინტერვიუ?.. გაბელიას მიმართეთ.

დ ა ვ ი თ  მ უ ჯ ი რ ი:  სიტყვები... სიტყვები არ მყოფნის ოთარის სადიდებლად.

ნ უ გ ზ ა რ  კ ა კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი:  მზად ვარ, ვითამაშო მეხუთე ტაიმიც, თუკი კარში გაბელია იდგება.

ვ ი ტ ა ლ ი  დ ა რ ა ს ე ლ ი ა:  ოთარიკო!.. ოთარიკო!.. გენაცვალე, ოთარიკო!

მ ა ნ უ ჩ ა რ  მ ა ჩ ა ი ძ ე:  ვის გამოვყოფ?.. ოთარ გაბელიას... დიდი მადლობა მას.

ვ ა ხ ტ ა ნ გ  ქ ო რ ი ძ ე:  ეს თასი გაბელიამ თავის ოჯახში უნდა დაიდგას.

დ ა ვ ი თ  ყ ი ფ ი ა ნ ი:  ყველა თანაბრად ინაწილებს გამარჯვებას. პირველ რიგში, კი ოთარ გაბელია.

ვ ლ ა დ ი მ ე რ  გ უ ცა ე ვ ი:  ეჰ, გაბელია რომ არა...

გ ო ჩ ა  მ ა ჩ ა ი ძ ე:  როგორც იტყვიან, მატჩი მეკარემ მოიგო.

რ ა მ ა ზ  შ ე ნ გ ე ლ ი ა:  ტუჩები დამიკდა გაბელიას კოცნით.

## „თბილისი. „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს“

ამ მისამართით უამრავი წერილი მოვიდა საქართველოს ყველა კუთხიდან.

წერდნენ სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის ადამიანები:

„ვარ შინაგან საქმეთა სამსახურის კაპიტანი. ვეწევი მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეს, თუმცა რა არის ეს იმასთან, რაც ტელევიზორის ეკრანზე ვნახე 11 აგვისტოს: ქართველმა ფეხბურთელებმა გვიჩვენეთ დიდი ვაჟკაცობა, ბრძოლისუნარიანობა, შემართება და უდრეკი ნებისყოფა. დიდი მადლობა თქვენ, დიდი მადლობა ოთარ გაბელიას“.

„სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე კი გამოგიტყდებით, ღაპალუპით მცვიოდა ცრემლები, სიხარულის ცრემლები, როცა თქვენი შესანიშნავი მეკარე სხარტი ნახტომებით იგერიებდა თერთმეტმეტრიანებს“.

„ყოველი თქვენგანი შესანიშნავი იყო, მაგრამ გვინდა, განსაკუთრებით გამოვყოთ მეკარე ოთარ გაბელია, რომელმაც უმაგა-

ლითო სიმამაცე გამოიჩინა ამ თამაშში და გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეუძლებელი ჩანდა“.

აი, ერთი დეპეშაც:

„ძვირფასო ბიჭებო, გკოცნით ყველას, ვკოცნით ოთარ გაბელიას, იგი ნამდვილი გმირია“.

### 1979 წლის 10 აგვისტო

მოსკოვი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის დროებითი ადგილსამყოფელი ფინალური მატჩის წინ.

ხვალინდელ ორთაბრძოლაზე ფიქრსა და საზრუნავში სწრაფად დაილია დღე, თვალსა და ხელს შუა გაიპარა საღამოც და, აი, შეუმჩნევლად მოახლოებულა შუაღამე.

ვეებერთელა შენობაში უკვე სრული სიჩუმე გამეფებულა, ჩამიჩუმიც კი აღარსად ისმის. აღარსად ჩანან ჩვენი ყოჩაღი ბიჭები და მათი გონიერი დამრიგებლები, მთელი დღე მოუსვენრად, შფოთიანად რომ დაბორიალებდნენ ხვალინდელი გენერალური ბრძოლის ძნელ მოლოდინში. ახლა ისინი აქ, ამ სართულზე, ამ გრძელი, ფართო დერეფნის გაყოლებით განლაგებულ მყუდრო ოთახებში. ძილსა და მოსვენებას მისცემიან ძლიერ, გამოცდილ მეტოქესთან შერკინების წინ.

ჰო, ძილსა და მოსვენებას მისცემიან...

თუმცა, ვინ იცის... ზოგი, ალბათ... საწოლზე კი წევს, მაგრამ ძილდაკარგული, ჯერ ისევ ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებია უაზროდ ფანჯრების მიღმა დაშვებულ მოსკოვური შუაღამის შავ ფარდას.

სართულის მორიგემ, სათნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა გრძელ, ფართო დერეფანში შუქი გამორთო და ისევ მწვანე ნათურით მკრთალად განათებულ პატარა მაგიდას მიუჯდა.

ახლა უკვე ჩაბნელებული გრძელი, ფართო დერეფნის ფანჯრებიდან როგორღაც უფრო გამოკვეთილად, მკაფიოდ გამოჩნდა ელნათურების უნაპირო ოკეანეში დაძირული გოლიათი დედაქალაქი.

ჰო:

გარეთ — გიგანტი ქალაქის გაუთავებელი ჩირაღდნების იდუმალი ბდღვრიალი,

შიგნით კი, შენობაში, — სიჩუმე და სიბნელე, მხოლოდ ჩაბნელებული დერეფნის ერთ კუთხეში მკრთალად ანთებული მწვანე ნათურა სართულის მორიგისა, ხოლო გაყოლებით, მყუდრო ოთახებში, ჩვენი ყოჩაღი ბიჭებისა და მათი გონიერი დამრიგებლების ლამის თეთრად გათენებული ღამე ან, უკეთეს შემთხვევაში, ფხიზელი, შფოთიანი ძილი.

პირდაპირ, აი, იმ ოთახში, ჩვენი კარის გუშაგებს სძინავთ. აქ რამდენიმე დღეა ერთად ცხოვრობენ ოთარ გაბელია და დავით გოგია.

დავით გოგია...

„ჩვენი, საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო, გამოცდილი მეკარე, — უნებურად მაგონდება ოთარ გაბელიას სიტყვები, ერთხელ, გამომცემლობაში ყოფნის დროს, რომ მითხრა, — მე მისგან, დავით გოგიასაგან, რომელიც ჩემი „დინამოში“ მოსვლის პირველი დღიდანვე უანგაროდ, გულითადად მიზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას, სულ მოკლე ხანში ბევრი ისეთი აუცილებელი ტექნიკური თუ ტაქტიკური ელემენტი შევიძინე, რომელთა შესწავლასა და დაუფლებასაც, ალბათ, წლები დასჭირდებოდა“.

— სათასო ციებ-ცხელებით სავსე იმ მღელვარე დღეებშიც მუდამ ერთად ვიყავით მე და დავითი, ერთ ოთახშიც კი ვცხოვრობდით, — იგონებს ოთარი, — მახსოვს, ძალიან ვღელავდი, დავითი კი ერთთავად მამშვიდებდა. მეუბნებოდა, აუცილებლად უნდა დაწყნარდეო, რადგან მეკარე ხარ და, უპირველეს ყოვლისა, მეკარეს მოეთხოვება სიმშვიდე და სიმტკიცეო, შენ თუ ნერვები გიმტყუნებენ, ბიჭებმა რაც უნდა მაგრად ითამაშონ, ჩათვალე, რომ ხვალ ფინალი წაგებულიაო. და მაშინ, დავითის ამგვარ დარიგებას რომ ვისმენდი, უნებურად მაგონდებოდა ჩემი ბავშვობისდროინდელი მწვრთნელის გივი სართანიას სიტყვები: „გახსოვდეს, მეკარე გუნდის № 1 მოთამაშეა. მისი ერთი ტექნიკური ან ტაქტიკური შეცდომა, პატარა უყურადღებობა, სულ მცირე დაუდევრობაც კი გუნდს გოლის ფასად უჯდება. რას იზამ, საფეხბურთო მინდორზე დასაბამიდან ასე დაკანონებულა: თავდასხმელების შეცდომას ნახევარმცველები უვნებელყოფენ: თუ ნახევარმცველები მოტყუვდნენ, საქმეში მცველები ჩაერევიან და მინდვრის შუაგულში დარღვეულ რგოლებს ხელმეორედ შეადუღაბებენ: თუ მცველებს აერიათ ანგარიში, მათ დასახმარებლად მეკარე მიიჩქარის, მაგრამ

თუ მეკარე მოტყუვდა... წამხდარ საქმეს ვეღარავინ უშველის... გოლი გარდუვალია".

— ბოლოს, დამშვიდდი იმ საღამოს, თუ თეთრად გაათენე ის ღამე? — ვეკითხები ჩემი ნარკვევის გმირს.

— არა, ღამე თეთრად არ გამითენებია, — მიპასუხებს ოთარი,— მაგრამ ფინალური მატჩის წინა საღამოს კი ჩემმა მღელვარებამ ზენიტს მიაღწია. იყო ხოლმე წუთები, რომ ვიჯექი ჩემს ოთახში, ან ბოლთას ვცემდი გრძელ, ფართო დერეფანში და ციებიანივით ვძაგძაგებდი.

— მოსკოვის „დინამო" შენთვის უცხო ხილი არ იყო, არაერთხელ გითამაშია მისი თავდამსხმელების წინააღმდეგ, თანაც არცთუ ისე წარუმატებლად. მაშ, კერძოდ, მაინც რა იყო, ამ შემთხვევაში, შენი ამგვარი მღელვარების უმთავრესი წყარო?

ძირითადად სამი შავი ფიქრი ასაზრდოებდა ფინალური მატჩისწინა იმ საღამოს და იმ ღამეს თბილისის „დინამოს" კარის გუშაგის უზომო მღელვარებას, სამი შავი ფიქრი!

პირველი შავი ფიქრი ის იყო, რომ ბიჭები ძალზე გადაღლილები იყვნენ, მათ ხომ ექვს დღეში სამი უმძიმესი, მეტად პასუხსაგები მატჩის ჩატარება მოუწიათ: ხუთ აგვისტოს სპარტაკიადის ფინალში მოსკოვის ნაკრებთან, რვა აგვისტოს საკავშირო ჩემპიონატის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან" და, აჰა, საკავშირო თასის გათამაშების ფინალური ორთაბრძოლა მოსკოვის „დინამოსთან" ხვალ, თერთმეტ აგვისტოს. სამი უმძიმესი, მეტად პასუხსაგები მატჩი ექვს დღეში! მეტისმეტი ხომ არ არის, გაუძლებენ ფინალს?

მეორე შავი ფიქრი ის იყო, რომ თბილისის დინამოელები, აი, უკვე თვეზე მეტია მოწყვეტილები არიან მშობლიურ ქალაქს, მშობლიურ სახლ-კარს, საკუთარ საწვრთნელ ბაზას... ხვალინდელი მატჩი, სპარტაკიადის გამო, ზედიზედ მეცხრე იქნება მოსკოვში. მეტისმეტი ხომ არ არის, გაუძლებენ ფინალს?

მესამე შავი ფიქრი ყველაზე შავი ფიქრი იყო ამ სამ შავ ფიქრს შორის, იგი ყველაზე მეტად უმძიმებდა გულს, ერთთავად უტრიალებდა გონებაში და ასე ეგონა, მის ყოველ უჯრედს უშხამავდა:

ერთი უსიამოვნო სათასო ტრადიცია უკვე დაირღვა ცხრაას სამოცდათექვსმეტ წელს, მაგრამ... მაგრამ მაშინ ხომ ერევნის „არარატი" დაამარცხეს ფინალში და არა მოსკოვის რომელიმე გუნდი. ჰო, მეორე უსიამოვნო სათასო ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს,

ჯერ ისევ ძალაშია — ხეთი ფინალური მატჩი ჰქონდათ თბილისის დინამოელებს მოსკოვის გუნდებთან და ხუთივეჯერ, ამის გამო იყო თუ იმისა, დამარცხდნენ.

...იგი გულალმა იწვა საწოლზე და ამ სამი შავი ფიქრის ტყვეობაში ჩავარდნილი, სიჩუმესა და სიბნელეში უაზროდ მიშტერებოდა ჭერზე დაკიდებულ ჩამქრალ ჭაღს.

მერე იმ სამივე შავმა ფიქრმა ერთხანს თითქოს ძიაპოვა. ძოასვენა,. იმ ჩამქრალ ჭაღსაც გამოსტაცა მზერა და სინამდვილეს დაუბრუნდა.

„ნეტავ ახლა რა დროა“.. — გაიფიქრა.

წამოიწია და ტუმბოზე დადებულ მაჯის საათს დააცქერდა:

როგორ, თორმეტს?... ჰო, თორმეტს თითქმის ალარაფერი აკლდა.

„უყურე ერთი, რამოდენა დრო გასულა“...

— ბოლოს და ბოლოს. თეთრად ხომ არ უნდა გავათენო ეს ღამე? — ჩაილაპარაკა, თავის თავზე გულმოსულმა. და ის იყო გადაწყვიტა. ნაცადი ხერხისათვის მიემართა. გუნებაში თვლა დაეწყო თვალის მოსატყუებლად, რომ ახლა მეზობელმა საწოლმა მიიქცია მისი ყურადღება.

იქიდან მშვიდი, თანაბარი სუნთქვა ისმოდა.

„დავითი უკვე შუა ძილშია... ალბათ. ხვებსაც მასსავით მშვიდად სძინავთ და ახლა ჩვენებიდანაც არავინ შემეყრება, არავინ დაჰტუქსავს. რატომ არ გაინავსო. კიდეკ ერთხელ რომ გაეიარ-გამოვიარო იმ დერეფანში... ჰო, ავდგები, გავივლ-გამოვიარ... შეიძლება მერე უფრო იოლად დამეძინოს“...

წამოდგა. სპორტული პიჟამო ჩაიცვა.

ღია ფანჯარას მიუახლოვდა ფეხაკრეფით — ახლა მთავარია, დავითს არ გაეღვიძოს, თორემ დატუქსვა მაშინ ნახე!

ჯერ უკაცურ ქუჩას გააყოლა თვალი. შემდეგ ცას მიაშტერდა.

ამინდს დარიანი პირი არ უჩანდა, საავდროდ შეეკრა შუბლი — ჯანღითა და თქეშით დატენილი რუხი ღრუბლები პირქეშად დასცქეროდნენ ჩაძინებულ ქალაქს.

— ესღა გვაკლდა... ამაღამ თუ წვიმამ დასცხო და ხვალაც გაება. აქ რომ იცის ხოლმე. ისე, კარგი დახლი დაგვიდგება, — ჯავრიანად ჩაილაპარაკა და ფანჯარას მოსცილდა.

დიდი სიფრთხილით გამოიხურა კარი — ახლა მთავარია, დავითს არ გაეღვიძოს, თორემ დატუქსვა მაშინ ნახე!

მაგრამ გაუყვა თუ არა ჩაბნელებულ გრძელ, ფართო დერეფანს, იმის მაგივრად, ცოტა დამშვიდებულიყო, სხვა საგნებზე გადაეტანა ყურადღება, აი, თუნდაც იმ მწვანე ნათურაზე, დერეფნის ერთ-ერთ კუთხეში რომ ციმციმებდა, — ისევ მიეახლა იმ სამ შავ ფიქრს შორის ის ყველაზე შავი ფიქრი:

ერთი უსიამოვნო სათასო ტრადიცია უკვე დაირღვა ცხრაას სამოცდათექვსმეტ წელს, მაგრამ... მაშინ ხომ ერევნის „არარატი" დაამარცხეს ფინალში და არა მოსკოვის რომელიმე გუნდი. ჰო, მეორე სასიამოვნო სათასო ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს, ჯერ ისევ ძალაშია — ხუთი ფინალური მატჩი ჰქონდათ თბილისის დინამოელებს მოსკოვის გუნდებთან და ხუთივეჯერ, ამის გამო იყო თუ იმისა, დამარცხდნენ.

ჰო, დამარცხდნენ...

დამარცხდნენ...

დამარცხდნენ...

ხუთივეჯერ დამარცხდნენ მოსკოვის გუნდებთან იმ ხუთ ნავსიან ფინალში...

ამ შავ ფიქრში წასული, ისე მიადგა სართულის მორიგის პატარა მაგიდას, ზედ მკრთალად განათებული მწვანე ნათურა რომ ციმციმებდა, ვერც კი გაიგო.

მორიგემ, სათნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა, თვლემას თავი დააღწია და გაკვირვებით შეხედა ფეხბურთელს, თავზე რომ დასდგომოდა ასასივით.

— როგორ... თქვენ... ახლა... ააქ?

ოთარი უხერხულად შეიშმუშნა:

— დიახ... მე...

— კი მაგრამ... უკვე შუაღამეა და... რატომ არ გძინავთ?

ოთარმა არაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

— ხვალ მძიმე მატჩი მოგელით, — განაგრძობდა სართულის მორიგე, — და თუ რიგიანად არ დაისვენეთ, არ გამოიძინეთ, როგორც საჭიროა, იცოდეთ, გაგიჭირდებათ კარის დაცვა.

„მძიმე მატჩი მომელის, გამიჭირდება კარის დაცვა... — გაიფიქრა ოთარმა და უნებურად ნაღვლიანად გაეღიმა, — ჰოდა, მეც სწორედ ეგ მიფრთხობს ძილსა და მოსვენებას, შე კაი ქალო"...

— რატომ იღიმებით, — იწყინა სართულის მორიგემ, — განა მართალს არ გეუბნებით?

— არა... მე... მაგიტომ არა... — დაიბნა ოთარი.

— ახლა თქვენმა მწვრთნელებმა რომ დაგინახონ, ამ შუაღამისას აქ დგახართ, კარგა მაგრად დაგტუქსავდნენ.

მაგრამ ოთარი მას ყურს აღარ უგდებდა, ისევ ფიქრში იყო წასული.

„მძიმე მატჩი მომელის... მძიმე მატჩი მომელის“... — უტრიალებდა გონებაში.

მერე უცებ ჰკითხა:

— თქვენი პროგნოზი?

— რა პროგნოზი... რის შესახებ? — ახლა უკვე სართულის მორიგე დაიბნა.

— ხვალინდელ მატჩზე.

— რა დროს პროგნოზებია... წადით, დაიძინეთ, თორემ ხვალ გაგიჭირდებათ თამაში.

—არა, მაინც?

— ხომ გითხარით, მძიმე მატჩი მოგელით-მეთქი.

— უფრო კონკრეტული პროგნოზი, — ისეთი სიჯიუტით ჩაეძია ოთარი, თითქოს ამ სათნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალის პასუხზე ყოფილიყოს დამოკიდებული ხვალინდელი მატჩის ბედი.

— ესე იგი თქვენ მეკითხებით, ხვალ ვინ მოიგებს?

— დიახ.

— სართულის მორიგეს უეცარმა თბილმა ღიმილმა გაუნათა სახე:

— რასაკვირველია, თბილისის „დინამო“.

— თქვენ ამას გულწრფელად ამბობთ?

— რა თქმა უნდა, გულწრფელად და ამაში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება.

— როგორ, ასე დარწმუნებული ხართ? — ჰკითხა ოთარმა და იგრძნო, იმედისა და სიმშვიდის სითბოთი თანდათან როგორ ივსებოდა მთელი მისი არსება.

— დიახ, დარწმუნებული ვარ, რადგან თქვენი გუნდი ბევრად უფრო ტექნიკურად, ტაქტიკურად ბევრად უფრო მრავალფეროვნად, და თუ შეიძლება ასე ითქვას, ბევრად უფრო რბილად. თამაშობს, ვიდრე მოსკოვის „დინამო“, რომლის ძალისმიერი, ერთ-

ნაირი, დაშტამპული თამაში, მაპატიეთ და, უკვე ყელში ამოგვიდა მოსკოველ გულშემატკივრებს.

ოთარი უსმენდა და გრძნობდა, იმედისა და სიმშვიდის სითბოთი თანდათან როგორ ივსებოდა მთელი მისი არსება.

— უფრო მეტიც, — გატაცებით განაგრძობდა ახალგაზრდა ქალი, — თქვენი გუნდი ამჟამად საუკეთესოა მთელს კავშირში. მერე, რა დიდებული ფეხბურთელები გყავთ, მანუჩარი, ყიფიანი, გუცაევი, შეხგელია... ძალიან მიყვარს შენგელია... რა მკვირცხლია, რა მოძრავი და ვერცხლისწყალივით დაუდეგარი... უცებ ოქროს თევზივით დაგისხლტება ხელიდან და მორჩა, გათავდა, გოლი!

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, — ფრთხილად შეაპარა ოთარმა, — თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი ჩანხართ.

— როგორც იტყვიან, ცოდვა გამხელილი ჯობს. — გულიანად გაეცინა ახალგაზრდა ქალს, — უნდა ვაღიაროო, რომ გამოიცანით.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ მოსკოველი ხართ?

— ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც სწორედ ამ შეკითხვას მისვამენ ხოლმე, ამას მისაყვედურებენ, მოსკოველი ხარ და თბილისელებს კი ემხრობიო. დიახ, მოსკოველი ვარ, ნამდვილი მოსკოველი, აქ დაბადებული, აქ გაზრდილი, და ჩემი ქალაქიც ყველა ქალაქს მირჩევნია ამ ქვეყანაზე, მაგრამ... მაგრამ მაინც თბილისის „დინამოს“ დიდი გულშემატკივარი ვარ და... რა ვქნა... რა ვქნა, თუ თქვენი გუნდი ყველა ჩვენებურ და საზღვარგარეთულ გუნდზე მეტად მომწონს. თქვენ, ქართველებს, როგორღაც განსაკუთრებით გიხდებათ ფეხბურთის თამაში, ცეცხლოვანი, ტემპერამენტიანი, საოცრად ვაჟკაცური და ლამაზი თამაში იცით.

ოთარი იმედისა და სიმშვიდის სითბოთი ავსილიყო და სმენად ქცეული, ჯადოშეკრულივით მისჩერებოდა ახალგაზრდა ქალს.

სართულის მორიგემ ერთხანს იყურა. მერე ოცნებით სავსე ღიმილი გადაიფინა სათნო სახეზე და დასძინა:

— არა, არ შეიძლება, ხვალ თქვენმა საოცრად ვაჟკაცურმა და ლამაზმა თამაშის მანერამ გამარჯვება არ იზეიმოს. წავიდა, მოკვდა ის დრო, როცა რაღაც ფსიქოლოგიური ბარიერისა თუ სხვა საეჭვო მანქანების წყალობით ზოგჯერ მოგებულ ფინალებს აგებდით ხოლმე მოსკოვის გუნდებთან.

მერე ოთარი თავისი ოთახისაკენ მიიჩქაროდა, მშვიდი და იმედიანი, მხნე და შემართებული, ხოლო ჩაბნელებული გრძელი, ფარ-

თო დერეფნის იმ კუთხიდან, სადაც პატარა მაგიდა იდგა და ზედ მწვანე ნათურა ციმციმებდა, მოესმოდა:

— იცოდეთ, ხვალ მოსკოველი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა თქვენს მხარეზე იქნება, თუ თქვენებურად ითამაშებთ და ცეცხლოვანი, ქარიშხლიანი ქართული ცეკვისმაგვარ საფეხბურთო სპექტაკლს გამართავთ „ლუჟნიკის“ ნამდვილ ფეხბურთს დანატრებული ტრიბუნების წინ.

„ხვალ მოსკოველი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა თქვენს მხარეზე იქნება... ხვალ მოსკოველი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა თქვენს მხარეზე იქნება“... — ახალგაზრდა ქალის ეს სიტყვები უტრიალებდა გონებაში, თავის ოთახში რომ შევიდა და ფრთხილად გამოიხურა კარი.

ჰო, ფრთხილად, უხმაუროდ — ახლა მთავარია, დავითს არ გაეღვიძოს, თორემ დატუქსვა მაშინ ნახე!

წამოწვა, გულაღმა გაიშოტა საწოლზე, თვალები მილულა და ისევ მიეძალა ფიქრი:

„არა, შეიძლება მხარიც დაგვიჭირონ, მაგრამ მოსკოველი გულშემატკივრები საჩვენო ამინდს მაინც ვერ შექმნიან ტრიბუნებზე... მთავარია, ჩვენებურები მრავლად იყვნენ სტადიონზე, და, ალბათ, იქნებიან კიდეც, რა ღმერთი გაუწყრებათ... ჰო, ნამდვილად მრავლად იქნებიან და არ დაგვაკლდება ტრიბუნების მხარდაჭერა“...

და აქ უნებურად ერთი ქართველი სპორტული ჟურნალისტის სტრიქონები გაახსენდა, ოდესღაც რომელიღაც გაზეთში წაკითხული:

„მახსენდება სკანდირება „დინამოს“ თაობაზე ამტყდარი კამათი. ამ სახელწოდების ბევრი გუნდია საბჭოთა კავშირში და ეს ზოგჯერ უხერხულობას ქმნისო. მოსკოვში ამისმაგვარი არაფერი მომხდარა. ვინც კი თუნდაც ერთხელ მაინც დასწრებია თბილისელთა თამაშს უცხო სტადიონზე, დაუფიქრებლად გეტყვით: ჩვენების „დინამო“ უფრო ბოხია, უფრო ომახიანი და არავითარ გაუგებრობასა და ორაზროვნებას არ იწვევს — გინდა დაელური ეცეკვოს ქართველ კაცსო“.

„ჰო, ნამდვილად მრავლად იქნებიან ჩვენებურები და არ დაგვაკლდება ტრიბუნების მხარდაჭერა... და გრგვინვასავით არაერთხელ გადაუვლის „ლუჟნიკის“ სტადიონს ის ბოხი და ომახიანი „დინამო“— „დინამო“... ის ბოხი და ომახიანი... ის ბოხი და ომახიანი“...

ამ ფიქრში იყო, რომ ჩათვლიმა, ჩაეძინა...

სიზმარში ნახა:

თავისი ორი-წლის იმედი და სიხარული — გია...

რეზინის ბურთს იატაკზე გააგორებდა, თავადაც გაგორდებოდა იატაკზე და წამოიძახებდა: აი, ასე თამაშობსო მამა!..

მერე იმ სიზმარს მეორე სიზმარი გადაება, სწორედ ისე, როგორც კინოფილმში კადრი შეცვლის კადრს:

ზუგდიდის სტადიონზე ტრიბუნები ბობოქრობდნენ ნორჩ ფეხბურთელთა დიდი ორთაბრძოლის მოლოდინში...

გივი სართანია და ვასო ბუკია უკანასკნელ დარიგებას აძლევდნენ გუნდის ბიჭებს მინდორზე გასვლის წინ...

— მაქსიმენკოვს უფრთხილდი, გაზაევს თვალი არ მოაშორო,— ეუბნებოდა მას გივი სართანია, და უკვირდა, საშინლად უკვირდა, რომ იქ, ზუგდიდში, მაშინ, თავისი ბავშვობის იმ შორეულ დღეებში, მის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა მაქსიმენკოვსაც და გაზაევსაც, ხვალინდელი ფინალისტის მოსკოვის „დინამოს“ ყველაზე საჩიფათო თავდამსხმელებს...

„საიდან, რა ეშმაკის მანქანებით გაჩნდნენ აქ, ზუგდიდში, მთელი თხუთმეტი წლით ადრე მაქსიმენკოვიც და გაზაევიც?..“ — უტრიალებდა გონებაში და ვერაფრის დიდებით ვერ ამოეხსნა ეს სასწაული...

მერე „მთაწმინდელები“ მინდორზე გამოდიოდნენ საბრძოლველად და ტრიბუნების გუგუნში მაინც მკაფიოდ ჩაესმოდა ის საოცარი მელოდია, მას, თითქოს მარჯვენა გარემარბად დაბადებულს, სამუდამოდ რომ შეაყვარა მეკარის კეპი, ხელთათმანები და სამუხლეები უზრუნველი ბავშვობის იმ შორეულ დღეს:

Эй, вратарь, готовься к бою,
часовым ты поставлен у ворот,
ты представь, что за тобою
полоса пограничная идет.

Чтобы тело и душа
были молоды,
были молоды
были молоды

ты не бойся ни жары
и ни холода,
закаляйся,
как сталь!

ფინალური შეხვედრა რომ უშეღავათო, დაძაბული, ნერვიული იქნებოდა, წინასწარ იცოდა ყველამ. მოლოდინი გამართლდა კიდეც. მიუხედავად იმისა, მეტოქეები ჩინებულად იცნობდნენ ერთმანეთს, მატჩი მაინც დაზვერვით დაიწყო. ფეხბურთელები ფრთხილად მოქმედებდნენ, მთელს მოედანზე ფეხდაფეხ დასდევდნენ ერთიმეორეს.

თბილისელებმა თავიანთი ტაქტიკა კონტრშეტევაზე ააგეს და ოთხი ნახევარმცველიც ამიტომ გამოიყვანეს. მხოლოდ მანუჩარ მაჩაიძე იყო წაწეული ოდნავ წინ, მაგრამ როცა, მალე, აშკარა გახდა, მოსკოველები მოედნის ცენტრში რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ, თბილისელთა კაპიტანმა უკან დაიხია. და მაინც სამხრეთელებმა ამჯერად ვერ მოახერხეს თავიანთი მთავარი კოზირის გაშოყენება, — ბურთის დაჭერა. მოსკოველებმა კი თანდათან უფრო გამიზნული მოქმედება დაიწყეს და საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს.

ამას ციფრებიც გამოხატავს. ასე, მაგალითად, პირველ ტაიმში გაპელიას კარში ათჯერ დაარტყეს, გონტარის კარში კი ხუთჯერ. მოსკოველებმა ორჯერ მიაწოდეს კუთხური, თბილისელებმა კი ერთხელ. მოსკოველებმა ხუთი სახიფათო მომენტი შექმნეს, ერთ შემთხვევაში გაზაევმა ბურთიც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. თბილისელების ეპიზოდური შეტევები კი მხოლოდ ერთხელ იყო სახიფათო, როცა საჯარიმო მოედანზე კარგად ითამაშა რამაზ შენგელიამ, ხოლო მასპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა ბურთს მკლავით შეუცვალა მიმართულება, რასაც მსაჯმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

პირველი ტაიმის ბოლო თხუთმეტი წუთი უკვე მოსკოველთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს. ოცდამეათე წუთზე ტოლსტიხის დარტყმული ბურთი ძელს ხვდება. ოცდამეცხრამეტე წუთზე კოლესოვმა ხელსაყრელი პოზიციიდან დააცილა ბურთი კარს. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ოთარ გაბელიამ.

მეორე ტაიმში თბილისელთა რიგებში ორი ცვლილება მოხდა. ქორიძის მაგივრად გამოვიდა ყიფიანი, ხოლო ტრავმირებული მუჯირი კაკილაშვილმა შეცვალა. ამით ძალთა გარკვეული გადაჯგუფება მოხდა, რამაც განაახლა ჩვენი გუნდის ტაქტიკური მონახაზიც.

მინდორზე ახლა უკვე ოთხი თბილისელი თავდამსხმელი იყო, რომელთაგანაც ყიფიანი და კაკილაშვილი ინსაიდების ძველებურ მოვალეობას ასრულებდნენ. დანარჩენი ორნი, გუცაევი და შენგელია, შეტევის წინა ხაზზე იყვნენ წაწეულნი.

აქედან მოყოლებული, თამაშის სადავეებს თბილისელები ეუფლებიან. ისინი განუწყვეტლივ უტევენ:

ვიტალი დარასელიას დარტყმული ბურთი მცირე მანძილით სცდება მოსკოველთა კარს...

მასპინძელთა მეკარე გონტარი დიდი გაჭირვებით იგერიებს მანუჩარ ბაჩაიძისა და ვლადიმერ გუცაევის დარტყმებს...

სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება ვლადიმერ გუცაევი...

სულ უფრო და უფრო ხშირად მონაწილეობს შეტევაში თენგიზ სულაქველიძე...

საერთოდ, მეორე ტაიმი ჩემპიონმა ბევრად უკეთესად ჩაატარა.

უფრო მძაფრად, მიზანსწრაფულად, სახიფათოდ მოქმედებდა თავდასხმა.

გაცილებით ორგანიზებულად, გონივრულად თამაშობდა ნახევარდაცვა, დაცვა, განსაკუთრებით კი მეკარე ოთარ გაბელია, რომელიც შეუდარებელი იყო.

მეორე ტაიმს ახლა ციფრების ენით გადავხედოთ:

გაბელიას კარში რვაჯერ დაარტყეს. გონტარის კარში კი თორმეტჯერ. მოსკოველებმა სამჯერ მოაწოდეს კუთხური, თბილისელებმა კი ოთხჯერ.

და მაინც შეხვედრის ძირითად ოთხმოცდაათ წუთში მეტოქეებმა ბურთის გატანა ვერ მოახერხეს. ორი დამატებითი თხუთმეტწუთიანი ტაიმიც მთელი მატჩის ლოგიკური გაგრძელება გამოდგა. თბილისელები უშედეგოდ უტევდნენ ოცდაათი წუთის მანძილზე.

ასე რომ, ას ოცმა წუთმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული.

ფრე — 0:0.

ინიშნება თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია.

დიახ, „პენალტების" სერია!

ორსაათიანი უშედეგო ორთაბრძოლის საფასური!

როცა, როგორც ერთი სპორტული ჟურნალისტი წერდა, კაცმა არ იცის, რა უფრო ძნელია, დარტყმა თუ დარტყმის მოლოდინში კარის ხაზზე დგომა.

### „პენალტების“ სერიის მოლოდინში

გაზეთ „ლელოს“ 1979 წლის 14 აგვისტოს ნომერი თითქმის მთლიანად მიეძღვნა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ საბჭოთა კავშირის თასის მეორედ მოპოვებას. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ქართველი სპორტსმენების ამ კიდევ ერთი დიდი გამარჯვების ამსახველი წერილები, რეპორტაჟები, მრავალი ფოტომასალა.

გაზეთის ამ საინტერესო ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს შორის ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ერთმა ფოტოსურათმა, რომელსაც ასეთი ლაკონიური ტექსტი ახლავს:

„პენალტების“ სერიის მოლოდინში“.

კიდევ ერთელ გადავხედოთ ამ ფოტოსურათს:

დამთავრდა ოთხი ტაიმი, ორსაათიანი ორთაბრძოლა, დამთავრდა იგი უშედეგოდ და, აი, გამარჯვებულის, ამ შემთხვევაში, კი თასის მფლობელის, გამოსავლინებლად დაინიშნა „პენალტების“ სერია.

მინდორზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ შეუპოვარი ორთაბრძოლა იყო გაჩაღებული, მყუდროება დამკვიდრებულა. ჩვენი ნაბრძოლ-ნაომარი, დაღლილ-დაქანცული ბიჭები კი იქვე, ბალახზე, წამოწოლილან და სულს ითქვამენ, უკანასკნელ ძალებს იკრებენ თავიანთი ნებისყოფის, ვაჟკაცობის კიდევ ერთი, ყველაზე მკაცრი გამოცდის წინ.

აი, ისინიც. მარჯვნიდან მარცხნივ:

დ ა ვ ი თ  ყ ი ფ ი ა ნ ი:

სადღაც ირიბად გაჰქცევია ნაღვლიანი, ფიქრიანი მზერა...

ვინ იცის, ახლა სად არის ფიქრით... იქნებ თბილისშიც, ვერაზე, მშობლიურ უბანში... სადაც ფეხი და ენა აიდგა, დავაჟკაცდა და უყოყმანოდ დაადგა დიდი ფეხბურთის ძალზე საინტერესო, მაგრამ ძნელად გასავლელ გზას... სადაც მას ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს, რომლებიც დღეს, სალამოს, ისევ შეიკრიბებიან კიროვის პარკის გრილ ხეივნებში და, ალბათ, გათენებამდე არ დაიშ-

ლებიან, აღგზნებულები იმსჯელებენ დღევანდელ მატჩზე, ქება-დიდებას არ დაიშურებენ მისთვის და მისი თანაგუნდელებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებენ, მაგრამ... მაგრამ თუ დამარცხ-დებიან, მაშინ... მაშინ...

თბილისელ თავდამსხმელს სადღაც ირიბად გაჰქცევია ნაღვლი-ანი, ფიქრიანი მზერა...

შ ო თ ა ხ ი ნ ჩ ა გ ა შ ვ ი ლ ი:

ჩაფიქრებული მიშტერებია ოთარ გაბელიას, რომელიც სათადა-რიგო მეკარესთან იური მამინაშვილთან ერთად მის პირდაპირ, ოდნავ მოშორებით ზის.

აბა, შენ იცი... შენ იცი, ოთარ... ახლა შენზეა დამოკიდებული ბევრი რამ.. ცოტა ხნის შემდეგ მთელი თბილისი, მთელი საქარ-თველო შენ მოგაშტერდება მუდარითა და იმედით და იმ იმედს ნუ გაუცრუებ ჩვენს ხალხს...

თ ე ნ გ ი ზ ს უ ლ ა ქ ვ ე ლ ი ძ ე:

სახეგანათებული, პირდაპირ იცქირება, ოდნავ მაღლა, ტრიბუ-ნებისაკენ, სადაც, ალბათ, არ ცხრება ბოხი და ომახიანი „დინამო“-„დინამო“.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩ ი ვ ა ძ ე:

ყველაზე მხნედ და მშვიდად იგი გამოიყურება. იცინის, ხუმ-რობს, ცდილობს, გაამხიარულოს თანაგუნდელები, ჭმუნვა და მღელვარება შემოხსნას მეგობრებს. იცინის, ხუმრობს, მაგრამ ამა-ოდ, ვერავის გადასდო თავისი განწყობილება, იმდენად დიდია მღელვარება „პენალტების“ სერიის მოლოდინში.

ვ ი ტ ა ლ ი დ ა რ ა ს ე ლ ი ა და ნ უ გ ზ ა რ კ ა კ ი ლ ა შ ვ ი-ლ ი:

ძნელია რაიმე ამოიკითხოს კაცმა მათს სახეზე, დიდი გადაღლი-ლობისაგან როგორღაც გულგრილი გამომეტყველება რომ მიუღიათ.

რ ა მ ა ზ შ ე ნ გ ე ლ ი ა:

ამ ღიმილიან, პირმოცინარ ბიჭსაც მოღრუბვლია სახე, თუმცა ძლივს შესამჩნევი, საიდუმლოებით სავსე ღიმილი მაინც შეჰპარვია. ჩანს, აქ კი არ არის, იქ არის მთელი თავისი არსებით, იქ, იმ სა-ვარდო, და სამაისო მშობლიურ ქალაქში, სადაც ყოველი ქუთათუ-რი მისი თავგადადებული გულშემატკივარია, ყოველი ქუთათური დღეს მისი წარმატების სურვილით ცხოვრობს.

ოთარ გაბელია:

კიდევ ცოტა ხანი...

და იგი მატჩის გმირი გახდება, მატჩის ერთპიროვნული გმირი.

და საბჭოთა კავშირის ბროლის თასს თბილისის „დინამოს“ სახელთან ერთად სიმბოლურად დაერქმევა მისი სახელიც.

და მის სახელს სასოებით წარმოთქვამს კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, საქართველოს ხალხი.

და მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ფეხბურთის დიდებით მოსილ მატიანეში.

მაგრამ ეს ყველაფერი იქნება შემდეგ...

სულ ცოტა ხნის შემდეგ...

ახლა კი იგი ბალახზე ზის და როგორც გარესამყაროსაგან გამოთიშული, როგორღაც უაზროდ მისჩერებია სათადარიგო მეკარეს იური მამინაშვილს, მუხლებზე რომ დაუჩოქებია მის წინ, თითქოს რაღაცას ევედრებაო.

— სანამ მსაჯის სასტვენი „პენალტების“ სერიის შესასრულებლად გვიხმობდა, — იგონებს ოთარი, — იური მამინაშვილი ერთი წუთითაც არ შომშორებია. ჩვენი ახალგაზრდა მეკარე ყოველ-ხაირად ცდილობდა, დავემშვიდებინე, გავემხნევებინე, გამარჯვების რწმენა განემტკიცებინა ჩემთვის. რჩევით, აბა, რა რჩევა უნდა მოეცა ჯერ კიდევ გამოუცდელ მეკარეს, მაგრამ იმდენი საალერსო, გამამხნევებელი სიტყვა მითხრა, რომ იმ ახალი მკაცრი გამოცდის წინ მღელვარებით გათანგული, დიდი ადამიანური სითბოთი ამავსო. თუმცა, სიმართლე ვითხრათ, თან მას ვუსმენდი, თანაც ფიქრით სულ სხვაგან ვიყავი. იმ წუთებში თერთმეტმეტრიანებით შეჯიბრების დაწყების ძნელ მოლოდინში, რატომღაც ერთთავად თვალწინ მედგა ზუგდიდი, ჩვენი იქაური სტადიონი, ის ჩემი დაუვიწყარი პირველი მწვრთნელები გივი სართანია და ვასო ბუკია. ერთი პირობა ფიქრებმა ისე წამიღეს, ასე მეჭონა, ჩემ წინ იური მამინაშვილი კი არა, გივი სართანია ჩაჩოქებულიყო მუხლებზე და იური მამინაშვილის გამამხნევებელ სიტყვებს კი არა, გივი სართანიას საქმიან შეგონებას ვისმენდი.

მაგრამ, აი, გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა, მოედანზე რომ უხმობდა ფეხბურთელებს „პენალტების“ სერიის შესასრულებლად, და იმავე წამს იური მამინაშვილიც გაეცალა ოთარ გაბელიას, გივი სართანიას ჩვენებაც.

ტრიბუნებზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მოსპარეზენი უკვე თავ-თავის ადგილზე იდგნენ და მზად იყვნენ თერთმეტმეტრიანების დასარტყმელად და მოსაგერიებლად.

## კვლავ უაიმი

მსაჯის სტუპარის უბის წიგნის ფურცელზე ათი გვარი წერია, ხუთი მოსკოველი ფეხბურთელის, ხუთი თბილისელი დინამოელის. საფეხბურთო კანონმდებლობის მიხედვით, მათ თითო თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა უნდა შეასრულონ.

მოსკოველ „პენალტისტებს“ შორის დასახელებულნი არიან:

მახოვიკოვი,

მაქსიმენკოვი,

პეტრუშინი,

პავლენკო,

ბუბნოვი.

თბილისელ „პენალტისტთა“ ხუთეული ასე გამოიყურება:

ყიფიანი,

გუცაევი,

ჩივაძე,

დარასელია,

შენგელია.

მაგრამ თუ ამ ორი ხუთეულის „საპენალტე ჭაპანწყვეტაც“ ფუჭი გამოდგება, თუ ეს ათგზის დარტყმული თერთმეტმეტრიანიც ვერ გამოავლენს გამარჯვებულ მხარეს, — „პენალტისტთა“ სია გაგრძელდება, გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ერთ-ერთი დარტყმა იმ საბოლოო ბადეს არ შეარხევს.

მაშ, ასე, ფეხბურთელები მზად არიან.

„პენალტების“ სერია დაიწყო.

იწყებენ თბილისელები.

ყიფიანი — გონტარი:

დარტყმა ზუსტია, მაგრამ არანაკლებ ზუსტი და დროულია გონტარის ნახტომი — 0:0.

მახოვიკოვი — გაბელია:

უძლიერესი დარტყმა მარცხენა კუთხეში, გაბელია ბრწყინვალე ნახტომით ეუფლება ბურთს — 0:0.

გუცაევი — გონტარი:

დარტყმა, გონტარი კვლავ ადგილზეა — 0:0.

მაქსიმენკოვი — გაბელია:

დარტყმა, ბურთი ბადეშია — 0:1.

ჩივაძე — გონტარი:

ნავსი გატყდა, არის! — 1:1.

პეტრუშინი — გაბელია:

ბურთი კვლავ კუთხეში მიფრინავს, მაგრამ მეკარის თავგაწწირული ნახტომი უღობავს მას გზას — 1:1.

დარასელია — გონტარი:

დარტყმა უნაკლოა — 2:1.

პავლენკო — გაბელია:

ამჯერად მეკარემ ვერაფერი გააწყო — 2:2.

შენგელია — გონტარი:

გრძელი გამორბენი, დარტყმა, მეკარე არც შერხეულა — 3:2.

ბუბნოვი — გაბელია:

ძლიერ, ზუსტ დარტყმას ვერც ახლა მოუხერხა რაიმე გაბელიამ — 3:3.

ამრიგად, ვერც ხუთ-ხუთმა „პენალტმა" უშველა საქმეს.

ახლა „პენალტების" სერია იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ერთ-ერთი დარტყმა იმ სანუკვარ ბადეს არ შეარხევს.

მხოლოდ ახლა მწერთნელებმა კი არა, თავად ფეხბურთელებმა უნდა გადაწყვიტონ იქვე, მინდორზე, ვინ მივა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის ნიშნულთან.

## ბანარჯვება

მატჩის შემდეგ გასახდელში მანუჩარ მაჩაიძემ თქვა:

— ხუთნიდა დავრჩით. მე ოფიციალურ მატჩში არასოდეს დამირტყამს „პენალტი". შოთა ხინჩაგაშვილი ისე ღელავდა, რომ, საერთოდ, გაგვერიდა. გოჩას კუნთი ჰქონდა დაჭიმული. თენგიზ სულაქველიძემ ცივი უარი თქვა, ჩემს სიცოცხლეში არ დამირტყამს „პენალტი". ნუგზარ კაკილაშვილს კი ამოდენა პასუხისმგებლო-

ბა ვერ დავაკისრეთ, ახალგაზრდა ფეხბურთელს საამისო გამოცდილება არ ჰქონდა. რა გაეწყობოდა, ისევ მე უნდა დამერტყა.

მანუჩარ მაჩაიძე — გონტარი:

ნელი გამორბენი, დარტყმა, მეკარე მარჯვენა კუთხისაკენ გადახტა, ბურთი კი მარცხენა კუთხიდან შეფრინდა ბადეში — 4:3.

ტოლსტიხი — გაბელია:

კვლავ გათანაბრდა ანგარიში — 4:4.

ახლა ისევ თბილისელების ჯერია.

მანუჩარი ძალით აყენებს ბალახზე მჯდარ სულაქველიძეს. თენგიზი ისე მიდის „პენალტის" ნიშნულისაკენ, უკან რჩება ფეხები.

მაგრამ მისი გამტყუნება არ შეიძლება:

ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ახლა მას მისჩერებია მთელი გუნდი, ტრიბუნები, ტელევიზორებთან განაბული, სუნთქვაშეკრული თბილისი, მშობლიური ქუთაისი, მთელი საქართველო.

ჰო, მილიონობით თვალი მისჩერებია მას, თეთრ ნიშნულსა და და იმ თეთრ ნიშნულზე გაყინულ ბურთს.

სულაქველიძე — გონტარი:

ნელა დაიძრა თბილისელი. მერე უცებ მოუმატა სიჩქარეს, დარტყმა, არის! — 5:4.

მოსკოვის „დინამოს" ბანაკში პანიკაა — ფეხბურთელები ღელავენ, რაღაცაზე ცხარედ ეკამათებიან ერთმანეთს, მათი მორიგი „პენალტისტი" კი არა და არ ჩანს.

რა ხდება?

ჰოოო, აი, თურმე რა!

ახლა გაზაევის რიგი ყოფილა, მან უნდა დაარტყას „პენალტი", ის ცივ უარზეა, თავი გამანებეთ, არ შემიძლია, რიგიანად ვერ დავარტყამ, დავაღალატებო გუნდს.

მაგრამ თანაგუნდელები არ ეხსნებიან, „პენალტის" ნიშნულისაკენ უბიძგებენ ხელს და, ბოლოს, მღელვარებისაგან ხელფეხშეკრული თავდამსხმელი იძულებულია, დამორჩილდეს კოლექტივის ნებასურვილს.

იგი უხალისოდ, გაუბედავად მიემართება „პენალტის" ნიშნულისაკენ.

... გაზაევი „პენალტის" ნიშნულთან იდგა.

მან ჯერ მაისური გაისწორა, მერე ერთი ორჯერ თმაზე გადაისვა

ხელი, შემდეგ ნიშნულზე ბურთის გასწორებას შეუდგა აუჩქარებლად.

აჭიანურებდა... აშკარად აჭიანურებდა დარტყმას...

აქ, ჯობს, ოთარ გაბელიას მოვუსმინოთ:

— ამით, ჩანს, ორ კურდღელს იჭერდა. თან დროს იგებდა საკუთარი თავის დასამშვიდებლად, თან ცდილობდა, წონასწორობიდან გამოვეყვანე დარტყმის მოლოდინში, როცა წამები წუთებს ემსგავსებიან. ბოლოს, როგორც იყო, ბურთი გაასწორა და გამორბენისათვის უკან დაიხია. ერთხანს უძრავად იდგა, მერე ნელ-ნელა დაიძრა. იმ მომენტში მე მხოლოდ ბურთს ვხედავდი და მეტოქის ამოძრავებულ ფეხებს. ამ დროს ტანით ოდნავ ცრუ მოძრაობა გავაკეთე ჩემგან მარცხნივ, გაზაევმა კი, რომელსაც ეგონა, რომ მომატყუა, ჩემგან მარჯვნივ დაარტყა საშუალო ძალით, მაგრამ მე მარჯვნივ გადავხტი ჩემი მეტოქისათვის სრულიად მოულოდნელად.

— ბურთი რომ მოვიგერიე, — განაგრძობს მეკარე, — უმალ ტრიბუნების გერგვინვა-ქუხილი მომესმა და უნებურად მსაჯს სტუპარს შევხედე. მან ხელები გადააჯვარედინა ორაზროვნად, რაც, მისი ეს ექსტიკულაცია, რატომლაც დარტყმის განმეორების მინიშნებად მივიჩნიე თავდაპირველად. მაგრამ იმწამსვე, როცა მსაჯმა ზურგი შემაქცია და მინდვრის შუაგულისაკენ გაეშურა, ჩემთვის ნათელი გახდა, მატჩი დამთავრებული იყო.

* * *

შემდეგ წამს, იმის მაგივრად, გამარჯვების სიხარულს ზეაეტაცა, მის ტკბილ ბურანში გახვეულიყო და მოესვენა. მთელი თავისი არსებით მოესვენა ესოდენ დიდი, წარმოუდგენელი ფიზიკური და სულიერი დაძაბულობის შემდეგ...

უეცრად...

შიშისა თუ სიფრთხილის გამახვილებული გრძნობა დაეუფლა...

რადგან შენიშნა:

მისკენ მოქროდა მთელი გუნდი, ფეხბურთელები, მწვრთნელები...

ისინი თავის თავს აღარ ჰგავდნენ, შეშლილებს დაძსგავსებოდნენ

და ელვის სისწრაფით უახლოვდებოდნენ ხელების ქნევით, ველური ყიჟინით...

და უცებ მოეჩვენა, მეგობრები, ამხანაგები კი არ მოისწრაფოდნენ მისკენ მის გულში ჩასაკრავად, მის მოსაალერსებლად, მასთან ერთად რომ გადაიტანეს ორსაათიანი ორთაბრძოლის სიმძიმე, არამედ რომელიღაც გაშმაგებული ურდო უახლოვდებოდა, რომელიც საცაა დაეწეოდა და დათრგუნავდა, გააცამტვერებდა.

უნებურად მიწაზე დაეცა, მთელი ტანით მოიკუნტა და თავზე წაიფარა ხელები.

იწვა მიწაზე ნაბრძოლ-ნაომარი, დაღლილ-დაქანცული, ამდენი განსაცდელით ტანჯულ-წამებული, ამ დიდი გამარჯვებისათვის ჯვარზე გაკრული კაცი, ესმოდა, გუგუნით როგორ იმეორებდნენ მის სახელს ტრიბუნები, და ფიქრობდა, რომ ახლა საცაა დააცხრებოდა ის გაშმაგებული ურდო და გათელავდა, გაწეწავდა.

1880 წ. აპრილი.

# მახსოვთ გიგი ნოდია? თავები?

## 1

გიგი ნოდია!

ტექნიკურად დახვეწილი, ტაქტიკურად მრავალფეროვანი, მკვეთრად გამოხატული პოზიციური ყაიდის ცენტრფორვარდი.

რა საოცრად იცოდა ხოლმე „გახსნა“...

თითქოს წინასწარ ჰვრეტდა მეტოქეთა კარისაკენ მიმავალ მოსალოდნელ „დერეფნებსა“ თუ „საცალფეხო ბილიკებს“...

ჰო, ჰქონდა ძალზე გამახვილებული გუმანი კარის აღებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პოზიციის „აღმოჩენისა“.

ხოლო ეს „აღმოჩენა“ მუდამ იყო მაყურებლისათვის სასიამოვნოდ მოულოდნელი სიურპრიზი, მეტოქეთა დაცვისათვის კი ელდასავით უეცარი, გაუთვალისწინებელი, თითქოს როგორღაც ალოგიკურიც, როგორც ქუხილი უღრუბლო, მოწმენდილ ცაზე.

ამიტომაც გახდა იგი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი, ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე ბომბარდირი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, მაშინ, როცა ბუნებამ მისთვის არც გამოსარჩევი, თვალში საცემი ფიზიკური მონაცემები გაიმეტა, არც განსაკუთრებული, ორიგინალური დრიბლინგისა თუ ელვისებური, თავბრუდამხვევი ფინტების უნარი.

ეს ტანმორჩილი, მხრებში ოდნავ აწურული ბიჭი — ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდების მცველთა და მეკარეთა მუდმივი შიშისა თუ სიფრთხილის, მუდმივი „ზრუნვის“ საგანი იყო თითქმის ათწლეულის მანძილზე, ვიდრე თბილისის „დინამოელთა“ „ცბიერი ცენტრფორვარდის“ გვარ-სახელი, როგორც მას უწოდებდნენ მწვრთნელები, არ ტოვებდა წლის საუკეთესო ბომბარდირთა სიებს.

თუ „ასგოლიანთა კლუბის“ ყველა დროის ქართველ ბომბარდირთა სიას გადავხედავთ, ასეთ სურათს დავინახავთ:

1. ავთანდილ ღოღობერიძე — 134 გოლი,
2. ზაურ კალოევი — 131 გოლი,
3. ბორის პაიჭაძე — 125 გოლი,
4. სლავა მეტრეველი — 113 გოლი,
5. გივი ნოდია — 110 გოლი.

„ასგოლიანთა კლუბის წესდებით, როგორც ცნობილია, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის გოლები, რომლებიც გატანილია საკავშირო ჩემპიონატებზე, საკავშირო თასის გათამაშებებსა და ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებზე. გივი ნოდიამ თავის მიერ გატანილი 110 გოლიდან: 93 ბურთი გაიტანა საკავშირო ჩემპიონატებზე. 7 ბურთი — საკავშირო თასის გათამაშებაზე, 10 ბურთი — ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებზე.

ქართველმა ბომბარდირმა 21-ჯერ ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს უძლიერესი ეროვნული ნაკრები გუნდების წინააღმდეგ და ამ 21 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

იგი საკავშირო ჩემპიონატების 4 ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

1970 წელს იყო საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტი და მეორე ხარისხის დიპლომი დაისაკუთრა.

1970 წელს მოიპოვა „საუკეთესო ბომბარდირის“ პრიზი.

5-ჯერ შეიყვანეს „33 საუკეთესოს“ სიაში.

საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის მინიჭებული აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

1978 წლიდან თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელია.

## 2

არიან, ვთქვათ, მწერლები, რომლებიც „ჩანან“.

მაგრამ ისეთი მწერლებიც არიან, მაინცდამაინც რომ „არ ჩანან“.

ასეა ფეხბურთშიც, ტყავის ბურთის ოსტატთა შორის.

ზოგიერთი ფეხბურთელი „ჩანს“, ჩვენი თვალთახედვის არეშია, საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია მუდამ, ზოგიერთი ფეხბურთელი კი „უჩინარია“, იმ „ხილული“, „წარმოჩინებული“, ოსტატების ჩრდილქვეშ არის მოქცეული, თუმცა თავის წილ დიდ საქმეს მაინც ასრულებს გუნდში.

„ხილული“, „წარმოჩინებული“ ოსტატების ჩრდილქვეშ მყოფი „უჩინარი“ ფეხბურთელი იყო გივი ნოდიაც.

თუმცა, სხვა „უჩინარი“ მოთამაშეებისაგან განსხვავებით, — „ჩანდა“ კიდეც ხანდახან, ძალზე გამოკვეთილადაც, ძალზე მკაფიოდაც, რელიეფურად, ლამის ბრწყინავდა, კაშკაშებდა თვალის მომჭრელად, როგორც პირველი სიდიადის ვარსკვლავი. ხოლო ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა შეტევა თუ იერიში თავის კულმინაციურ წერტილს მიუახლოვდებოდა — გოლი მომწიფდებოდა და საცაა კარის ბადეში უნდა აფართხალებულიყო მის ფეხს ტყვიასავით მოწყვეტილი ბურთი.

ისეც მომხდარა, — ერთი ორჯერ თუ მოხვედრია თვალში ხალხით გაჭედილ ტრიბუნებს მთელი მატჩის მანძილზე, თითქოს მიიძინაო, თითქოს გამოითიშაო თამაშიდან, და, აი, სწორედ მაშინ გაუტანია ერთი კი არა, ორი კი არა, სამი გოლი და ის ძნელად შესასრულებლი „ჰეთ-თრიკი“ ისეთი სიმსუბუქითა თუ სილაღით შეუსრულებია, ვითომც აქ არაფერიაო.

ჩვენი ქვეყნის ერთი ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი ამბობდა, გივი ნოდიას თამაში ზედმიწევნით ჰგავსო ნიანგის ნადირობას, როცა ეს საშიში მტაცებელი გაინაბება, გაირინდება, გაიტვრინება, თავს მოიმკვდარუნებს, რათა შემდგომ წამს იფეთქოს, კარმარა შეკრას და სატევარივით ბასრი კბილების მომაკვდინებელ რკალში მოაქციოს მოტყუებული მსხვერპლი.

სამოციანი წლების დამლევის და სამოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის საუკეთესო საბჭოთა მცველები და მეკარეები სხვადასხვა დროს მიცემულ ინტერვიუებში ერთხმად აღნიშნავდნენ:

რომ გივი ნოდია, ეს „ვერაგი, დაუნდობელი თბილისელი“, ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო თავდამსხმელია:

რომ გივი ნოდია არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებს სულ

მცირე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომასაც კი — საკმაოა წამიერი შეყოვნება, წამიერი უყურადღებობა თუ დაუდევრობა, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ბურთი ისე აფართხალდება ბადეში;

რომ გივი ნოდია სრულიადაც არ გრძნობს შებორკილად თავს მეტოქეთა სტადიონებზე, ანუ უცხო მინდვრებზე, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველ ფეხბურთელთა დიდი უმრავლესობისათვის, იგი თანაბრად საშიშია როგორც შინ, ასევე გარეთ, რამდენადაც. როგორც სპორტსმენი, აბსოლუტურად არის მოკლებული სტუმრის მოკრძალებასა თუ მასპინძლის სტუმართმოყვარეობას;

რომ, უფრო მეტიც, გივი ნოდია ხშირად უცხო მინდვრებზე უფრო საშიშია, ვიდრე შინ, საკუთარ მოედანზე, როცა, როგორც თავად ამბობს, ძალზე მომთხოვნი და საფეხბურთო ვარსკვლავების სუუხვით განებივრებული თბილისელი გულშემატკივრების თვალთახედვის არეში იმყოფება.

ამაზე მეტყველებს ის საგულისხმო ფაქტიც, რომ გივი ნოდიამ თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე სულ გატანილი 110 გოლიდან 40-ზე მეტი, ანუ ერთ მესამედზე მეტი, მეტოქეთა მინდვრებზე გაიტანა.

მაგრამ სადაც არ უნდა ეთამაშა გივი ნოდიას, „საკუთარი სახლის“ მყუდრო „კედლებს“ შორის თუ „უცხო ოჯახის“ მიუჩვეველ პირობებში, იგი ყველაზე საშიში, ყველაზე სახიფათო მაშინ ხდებოდა, როცა, როგორც დილეტანტი გულშემატკივრები ამბობდნენ ხოლმე, „ვერ თამაშობდა“, „პასიურობდა“, „ჩრდილში იმყოფებოდა ერთთავად“, „არ ჩანდა“, ხოლო იმ ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტის ლექსიკონი რომ ვიხმაროთ, „ნიანგის ნადირობას ეწეოდა“.

ოო, აი, სწორედ მაშინ უნდა გენახათ გივი ნოდია!

და სწორედ მაშინ დარწმუნდებოდით, რომ იგი მხოლოდ უბრალო მობურთაველ კი არ იყო დაბადებული, რომლის ოსტატობა, როგორც წესი, სხვადასხვა ეფექტური ფინტისა თუ თვითმიზნური, მაყურებელთა თავშესაქცევად გამიზნული, ლამის საცირკო ტრიუკის გამოყენებით განისაზღვრება, არამედ ტაქტიკურად ღრმად მოაზროვნე ფორვარდადაც გახლდათ მოვლენილი, ვისი ყოველი

გადაადგილებაც მოედანზე, თუნდაც ბურთით, თუნდაც უბურთოდ, მიაცალ წინასწარ საფიქრებულ გონიერულ ქვეტექსტს ითავსებდა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა, ამ საოცრად ორიგინალური ხელწერის ქართველი ცენტრფორვარდისათვის ერთი ძალზე დამახასიათებელი, ნიშანდობლივი, ტიპიური მატჩი გავიხსენო.

## 3

სამოცდაათიანი წლების დასაწყისია, კერძოდ, რომელი წელი, არ მახსოვს.

მოსკოვის რომელიღაც გუნდს ვეთამაშებით, პირველობის გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, მე მგონი, ცსკას ან „სპარტაკს", და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის დამრეც ტრიბუნებზეც ნემსი არსად ჩავარდება.

ჩემი თვალთა ხედვისა და გულისყურის ცენტრშია, რა თქმა უნდა, ის შეუპოვარი, უშეღავათო ორთაბრძოლა, რომელიც მწვანე მინდორზეა გაჩაღებული, და ჩემს გვერდით მჯდარი მამა-შვილი, საოცარი სიმწვავით რომ განიცდის მატჩის უმთავრეს თუ უმნიშვნელო პერიპეტიებს:

მამა — ორმოცდათ წელს იქნება მიღწეული, შვილი — ასე ათითორმეტი წლის ბიჭია

ჩეენები უტევენ, — მამა ხდება დასაბმელი:

— დაარტყი!.. დაარტყი!.. დაარტყი!..

ჩვეხებს უტევენ, — შვილს ძისდის გული ზეზეურად:

— არ დაარტყმევინოთ!.. არ დაარტყმევინოთ!.. არ დაარტყმევინოთ!..

ერთხანს თანაბარ ბრძოლაში, ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობს მატჩი, მერე თანდათან გამოიკვეთა თბილისელთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა.

სულ უფრო გაბედულად მიიწევენ წინ, მტკიცედ, დამაჯერებლად ეუფლებიან მინდვრის შუაგულს ნახევარმცველები კახი ასათიანი და მანუჩარ მანაიძე...

სულ უფრო ხშირად შედიან საჯარიმო მოედანზე, სწრაფად, სახიფათოდ უტევენ მეტოქეთა კარს თავდამსხმელები დავით ყიფიანი და ალადიმერ გუცაევი...

თბილისელთა უპირატესობა ფართო შეტევაში გადაიზარდა, ახლა ეკვე მთელი გუნდი გადადის იერიშზე.

მიუხედავად მასპინძელთა ხანგრძლივი შტურმისა, ჯერჯერობით „არ ჩანს“ გივი ნოდია.

აქა-იქ გაისმის უკმაყოფილო გულშემატკივართა სტვენა და ალშფოთების შეძახილები თბილისელთა ცენტრფორვარდის მიმართ— მისგან მეტ აქტიურობასა და აგრესიულობას მოითხოვენ.

უკმაყოფილებას გამოთქვამს ჩემს გვერდით მჯდარი ბიჭუნას მამაც.

— ნეტავ ვიცოდე, რატომ არ ცვლის მწვრთნელი ნოდიას! — იძახის მამა, — ნუთუ ვერ ხედავს, რომ არაფრის გამკეთებელია დღეს!

— ჩოხელო, გამოცვალე ნოდია! — კატეგორიულად მოითხოვს მწვრთნელისაგან თმახუჭუჭა ჭაბუკი, ჩემ წინ რომ ზის, უმალ პირში იტაცა თითი და მოკლე, წყვეტილი სტვენა გამოსცა.

— ნოდია სპოლია! — უკანიდან იძახის კიდევ ვიღაც.

— ჰო, ეგრე, — ახლა უკვე კმაყოფილებით ამბობს მამა, — გაიგოს ჩოხელმა, რომ ჩვენ მასზე ნაკლებად არ გვესმის ფეხბურთი.

— ნოდია რომელია, მამა? — ეკითხება შვილი და გაფართოებული თვალებით დაეძებს ზოგიერთი მაყურებლის უკმაყოფილების ობიექტს.

— აი, ის, შვილო, ათი ნომერი, წინ და უკან რომ დაძუნძულებს უაზროდ.

— მერე, მაგის მაგივრად ვინ უნდა ათამაშოს ჩოხელმა, მამა? — აღარ ეშვება შვილი.

— ოღონდ კი ეგ გაიყვანოს მინდვრიდან და ვინც უნდა, ის ათამაშოს.

ამასობაში თბილისელთა შტურმი გრძელდება.

აი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი ერთად შეიჭრნენ საჯარიმო მოედანზე და აირია მონასტერი მოსკოველთა კართან.

დარტყმა!

დარტყმა!

კიდევ დარტყმა!

— არის!.. არის!.. — გვრგვინავენ ტრიბუნები.

— გოლია!.. გოლია!.. — გაჰკივის მამა.

— ვაშა�ა! — ღრიალებს ჩემ წინ მჯდარი თმახუჭუჭა ჭაბუკი.
— ვინ გაიტანა, მამა? — ეკითხება შვილი.
მამა დუმს, თვალს არიდებს შვილს.
ბავშვი კი არ ეხსნება:
— ბურთი ვინ გაიტანა-მეთქი, მამა?
მამა უკვე იძულებულია, უპასუხოს, და შეცბუნებული, ბორძიკით ეუბნება:
— ნო... ნო.. ნოდიამ, შვილო.
— უყურე შენ, — გაკვირვებით ამბობს ბავშვი.
თბილისელთა შეტევა გრძელდება.
კვლავ მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე ტრიალებს ბურთი.
ყიფიანი მოულოდნელად ურტყამს კარში.
მეკარე იგერიებს ბურთს.
კიდევ დარტყმა!
— არის!.. არის!.. — გრგვინავენ ტრიბუნები.
— გოლია!.. გოლია!.. — გაჰკივის მამა.
— ვაშაიაა! — ღრიალებს ჩემ წინ მჯდარი თმახუჭუჭა ჭაბუკი.
— ვინ გაიტანა, მამა? — ეკითხება შვილი.
მამა დუმს, თვალს არიდებს შვილს.
ბავშვი კი არ ეხსნება:
— ბურთი ვინ გაიტანა-მეთქი, მამა?
მამა უკვე იძულებულია, უპასუხოს, და შეცბუნებული, ბორძიკით ეუბნება:
— ნო... ნო... ნოდიამ, შვილო.
— უყურე შენ, — გაკვირვებით ამბობს ბავშვი.
მეორე გოლმა სტუმრები საბოლოოდ გატეხა.
თბილისელები ახლა უკვე „დასახლდნენ“ მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე.
კუთხური ცვლის კუთხურს, საჯარიმო დარტყმა — საჯარიმო დარტყმას.
გაუთავებლად იქმნება საგოლე მომენტები.
აი, მანუჩარ მაჩაიძის უძლიერესმა დარტყმამ შეაზანზარა ძელი...
აი, დავით ყიფიანს ფეხიდან ააცალა ბურთი მეკარემ...
აი, მურთაზ ხურცილავას მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი სულ ოდნავ ასცდა კარს...

აი. ისევ დიდი ორომტრიალი და არეულობაა 'მოსკოველთა კაოთახ.

ეცებ...

დარტყმა!

— აბის!.. აბის!.. — გრგვინავენ ტრიბუნები.

— გოლია!.. გოლია!. — გაჰკივის მამა.

— ვაშაააა! — ღრიალებს ჩემ წინ მჯდარი თმახუჭუჭა ჭაბუკი.

— ვინ გაიტანა, მამა? — ეკითხება შვილი.

მამა დუმს, თვალს არიდებს შვილს.

ბავშვი კი არ ეხსნება:

— ბურთი ვინ გაიტანა-მეთქი, მამა?

მამა უკვე იძულებულია, უპასუხოს, და შეცბუნებული, ბორძიკით ეუბნება.

— არ ვიცი, შვილო... იმ აბეულობაში ვერ დავინახე და... იტყვის, გამოაცხადებს, ალბათ, დიქტორი, ვინც... ვინც გაიტანა ბურთი.

— ვერც თქვენ შენიშნეთ, ბიძია? — ახლა მე მეკითხება ბავშვი.

— ვერა... ვერც მე შევნიშნე, — ვცრუობ მე, არ მსურს, მამა-მისი გავაწბილო.

— ყურადღება, — გაისმა ეთერში დიქტორის ხმა.

— აი, ახლა იტყვის, ვინც გაიტანა გოლი, — ვამბობ მე.

— ჰო, ახლა იტყვის, — ამბობს ბავშვი.

მამამისს შევხედე — ალმური გადასდიოდა სახეზე.

— ოცდამეთხუთმეტე წუთზე, — ამბობდა დიქტორი, — გოლი მოსკოველთა კარში გაიტანა გივი ნოდიამ.

ტრიბუნები გაბმულმა ოვაციამ შეძრა.

— უყურე შენ, — ამბობს ბავშვი და გაკვირვებით შესცქერის მამას, რომელსაც ალმური გადასდის სახეზე.

— მალადეც ნოდია, — ამბობს ჩემ წინ მჯდარი ომახუჭუჭა ჭაბუკი, სულ ცოტა ხნის წინ იმავე ნოდიას მიხდურიდან გაძევებას რომ მოითხოვდა კატეგორიულად.

— უყურე შენ, — ისევ ამბობს ბავშვი და ახლა თმახუჭუჭა ჭაბუკს შესცქერის გაკვირვებით.

დიქტორი კი ამ დროს განაგრძობს:

— ამრიგად, გივი ნოდიამ სამი ბურთი გაიტანა ერთ მატჩში და შეასრულა „ჰეთ-თრიკი". გარდა ამისა, ეს არის თბილისელი ცენტრფორვარდის მეთხუთმეტე გოლი მიმდინარე ჩემპიონატში, რითაც

იგი სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბოშბარდირთა სიას.

— ეყურე შენ, -- იმეორებს ბავშვი და ახლა რატომღაც მე შემომცქეროს, — თურმე მაგარი ყოფილა ნოდია.

-- ჰო, — ვაბობ მე, — გივი ნოდია ნამდვილი სპორტსმენია, ნაღდი მებრძოლი, და ეს კარგად დაიხსომე.

ბაბანისმა, ალბური რომ გადასდიოდა სახეზე, ცერად შემომხედა.

— მერე, ვინ თქვა, — ეტიფრად მომიბრუნდა თმახვეულა პაპეკი, — რომ სესტია ნოდია.

— ეყურე შენ. — კიდევ ერთხელ თქვა ბავშვმა და კვლავ თმახვეულა პაპეკს ბიაჩერდა გაკვირვებით.

1960 წ. ოქტომბერი

**მ ი ნ ა წ ე რ ი:**

როცა ამ ნარკვევს უკანასკნელი წერტილი დავუმიზნე, სადღაც გულში დამწყდა, რომ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული ზღვა მასალა გამოუყენებელი დამრჩა.

და, აი, ახლაც, როცა გივი ნოდიას ამბავზე კარგა ხანია დამთავრებულია მუშაობა და იგი ლითონის სტრიქონებად ჩამოიასხა, — ჩვენს საწერ მაგიდაზე ჯერ კიდევ გაშლილი, უკვე სიყვითლეშეპარული საბჭოური თუ უცხოური ჟურნალ-გაზეთები ისე შემომცქეროან, თითქოს მეუბნებიან: შე კაი კაცო, თუ არც ახლა გაგიხდიდი შენწედ, მაშინ რისთვისღა გვაგროვებდი და გვინახავდი წლების მანძილზე.

მაგრამ, აბა, რა უნდა მეპასუხა, რადგან, როგორც იტყვიან, საქმემ ისე მოიტანა, ანუ კალამი ისე წამიყვანა, მათი შემწეობა არც კი გაახსენებია იმ ათეულად გვერდზე.

ახლა კი, ვიდრე ამ მინაწერსაც დავუმიზნებდე უკანასკნელ წერტილს, მინდა, თითო-ოროლა სიტყვა მაინც ვათქმევინო სიყვითლეშეპარულ ფურცლებს.

მაშ, ასე, ყურადღება:

ინგლისური გაზეთი „გარდიანი" - „თბილისელებს საუკეთესო

მოთამაშეები ჰყავთ. გივი ნოდია ფეხბურთის ნამდვილი ჯადოქარია".

ჰოლანდიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „ტვენტეს" მწვრთნელი ე. კონი — „ბრწყინვალე იყო ცენტრფორვარდი ნოდია. მინდორზე გამოსვლამდე შთაბეჭდილებას არ ახდენდა, მაგრამ რა ყოფილა თამაშში! ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია".

საბერძნეთის ცნობილი . საფეხბურთო მსაჯი გ. პაპავასილიუ — „ნოდიამ გამაოცა. უჭკვიანესი თავდამსხმელია. სიმართლე გითხრათ, ასეთი ფორვარდი, საერთოდ, ცოტაა. ეტკბებოდი მისი მახვილი და აზრიანი თამაშით".

უკრაინული გაზეთი „სპორტივნა გაზეტა" — „ჩვენი ქვეყნის ყველა დროის არც ერთ სახელგანთქმულ ბომბარდირს 23 წლის ასაკში არ გაუტანია თითქმის ექვსი ათეული ბურთი, რამდენიც ამაევე ასაკში აქვს გატანილი თბილისელთა ნიჭიერ ცენტრფორვარდს გივი ნოდიას".

პოპულარული საბჭოთა საფეხბურთო მიმომხილველი ო. კუჩერენკო — „თამაშის წინ თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ცენტრფორვარდი გივი ნოდია არავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ტანმორჩილი და მხრებში ოდნავ აწურული, იგი, თავისი ათლეტური თანაგუნდელებისაგან განსხვავებით, როგორღაც ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩება. მაგრამ, აი, იწყება თამაში, ჩაღდება ორთაბრძოლა, და გივი ნოდია თვალდათვალ გარდაიქმნება ხოლმე ძალზე სწრაფ, უაღრესად აგრესიულ თავდამსხმელად, რომელსაც, რაც მთავარია, საოცრად აქვს გამახვილებული ყველაზე ხელსაყრელი პოზიციის შერჩევის გუმანი. ხოლო ეს ყველაფერი იმით მთავრდება, რომ სტადიონებზე ხშირად გაისმის დიქტორის საზეიმო ხმა:

— გოლი გაიტანა გივი ნოდიამ!"

# „დინამოს“ მეკარე

## მსოლოდ ფაქტები

დაიბადა 1951 წლის 18 ნოემბერს.

სიმაღლე — 184 სმ., წონა — 76 კგ.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას.

ჰყავს ოჯახი. — მეუღლე, ორი ვაჟი.

ფეხბურთის თამაში დაიწყო 1964 წელს თბილისის 35-ე საშუალო საფეხბურთო სკოლაში გამოცდილი მწვრთნელი-პედაგოგის, მრავალი შესანიშნავი ფეხბურთელის აღმზრდელის ფარვიზ ჭელიძის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით.

საფეხბურთო სკოლის დამთავრების შემდეგ ორიოდე სეზონი ითამაშა პირველი ლიგის გუნდში თბილისის „ლოკომოტივში“ — შუამარბად, რაც მისი უცვლელი ამპლუა გახდა.

1971 წლიდან თბილისის „დინამოშია“.

ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივის ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა იმავე წლის 18 მაისს.

იმ დღიდან მონაწილეობა მიიღო:

საკავშირო ჩემპიონატების 250-ზე მეტ მატჩში,

საკავშირო თასის გათამაშებათა 30-ზე მეტ შეხვედრასა

და

60-ზე მეტ ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზობაში.

ამრიგად, სულ თითქმის 350-მდე ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, როგორც თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ.

ამ მატჩებში ქართველ დინამოელთა შეტევის აღიარებულმა ლიდერმა შესაშური შედეგიანობა გვიჩვენა:

მარტო საკავშირო ჩემპიონატების კალენდარულ მატჩებში დღეისათვის 80-მდე გოლი გაიტანა.

ხოლო თუ ამას დავუმატებთ საკავშირო თასის გათამაშებებსა და ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში გატანილ გოლებს, მივიღებთ მეტად სოლიდურ ციფრს, რამაც ბომბარდირთა „ასგოლიანთა კლუბის“ ძნელად გასახსნელი კარი გაუღო დიდოსტატს.

და კიდევ რამდენიმე ფაქტი:

საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონია და ოქროს მედლის მფლობელი,

საბჭოთა კავშირის თასის 1976 და 1979 წლების გათამაშებათა გამარჯვებულია და თასის მფლობელის პირველი ხარისხის დიპლომით ორგზის დაჯილდოებული,

საკავშირო ჩემპიონატების ხუთგზის პრიზიორია, — ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედლის მფლობელი,

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირის ფინალისტია და ვერცხლის მედლის მფლობელი,

20-ზე მეტჯერ ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის რიგებში,

ხუთგზის შეიყვანეს „33 საუკეთესოს“ სიაში,

1977 წელს აღიარეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო, № 1 ფეხბურთელად,

1981 წელს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი და ამ მიღწევისათვის მიენიჭა სპორტის დამსახურებელი ოსტატის წოდება.

ვინ დგას ამ შიშველი ფაქტების, მშრალი სტატისტიკის მიღმა? — ჩვენი ქვეყნის პოპულარული ფეხბურთელი დავით ყიფიანი, რომლის თამაშის ხელწერა თანაბრად ხიბლავს ყველა ასაკისა თუ გემოვნების მაყურებელს.

რა იმალება ამ შიშველი ფაქტების, მშრალი სტატისტიკის მიღმა? — ბურთის ფლობის ფილიგრანული ოსტატობა, მოედნის ყოველი კუთხის, ყოველი კუნჭულის, თვითეული თანაგუნდელის მოძრაობა-გადაადგილების გამუდმებული ყოფნა თვალთახედვის არეში, საოცრად ელეგანტური თავდამსხმელის ღრმა საფეხბურთო ინტელექტით აღბეჭდილი თამაში და ურთულესი, შორს გამიზნული ტაქტიკური აზროვნება.

კერძოდ?

უფრო კონკრეტულად?

მივყვეთ თანმიმდევრულად და თბილისის „დინამოს“ შუამარ-ბის თამაშის ძირითადი თავისებურებანი კიდევ ერთხელ გავიხსე-ნოთ.

## დაცვის გარღვევის უმთავრესი იარაღი

დავით ყიფიანი, როგორც უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძლ-ერესი გუნდის მაღალტექნიკური ფორვარდი, ჩინებულად ფლობს დაცვის გარღვევის რადიკალურ საშუალებებს:

ცრუ მოძრაობას უბურთოდ,

ცრუ მოძრაობას ბურთით, ანუ, როგორც ამ ილეთს უწოდებენ, ფინტს,

და

დრიბლინგს, როცა, რაც არ უნდა სწრაფად გარბოდეს ფეხბურ-თელი, ბურთი ყოველთვის მხოლოდ ნახევარი მეტრით თუ მიგო-რავს წინ, თითქოს მის ნაბიჯებს უწყობსო ფეხს.

როცა დავით ყიფიანი გარღვევაზე მიდის და მეტოქეთა მცვე-ლებს ავიწროებს, დაცვაში ბზაობის გაჩენის ყველა ზემოაღნიშ-ნული საშუალება ხშირად ერთად იყრის ხოლმე თავს. ჰო, ერთად იყრის თავს ცრუ მოძრაობაც, ბურთით იქნება თუ უბურთოდ, დრიბლინგიც და ტექნიკური არსენალის მრავალი წვრილმანიც, რომელთა ცალკე მოხსენიება აქ საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რა-გან ისინი, ის წვრილმანი ტექნიკური ელემენტები, მხოლოდ მაშინ იძენენ გარკვეულ მნიშვნელობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან საჭირო ეფექტისა და შედეგის მომტანნი, თუ ერთ კონად შეიკვრე-ბიან გუნდის მორიგი ქარიშხლიანი შეტევის ჟამს.

და, აი, სწორედ მაშინ არის დიდებული სანახაკი დინამოელთა შუამარბის!

სწორედ მაშინ მოგვრით ჰეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას მი-სი ფილიგრანული ხელოვნება, ამავე დროს საოცრად სადა, ზომი-ერი, ეკონომიური, ყოველგვარი ეფექტებისაგან დაზღვეული და მხოლოდ ერთიანი, საბოლოო, კონკრეტული მიზნის მისაღწევად დამუხტულ-გამიზნული.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ახლაც ჩვენი ულამაზესი სტადიონის დამრეც ტრიბუნებზე სხედხართ და პროექტორების ბრიალა თვალებით განათებულ მწვანე მინდორს მისჩერებიხართ გატაცებით, სადაც შეუპოვარი, უშეღავათო ორთაბრძოლაა გაჩაღებული.

მაშ, ასე, ყურადღება:

დავით ყიფიანმა ამჯერად თბილისელთა მორიგი კონტრშეტევის წინა ხაზზე მიიღო ბურთი. მის წინ მხოლოდ შეტოქეთა მოთამაშენი იმყოფებოდნენ, ერთი სტოპერი და ორი განაპირა მცველი. ასე რომ, შეტევის განვითარება რომელიმე პარტნიორის შემწეობით შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ ისინი, ყველანი, მისგან საკმაოდ მოშორებით იმყოფებოდნენ, ღრმა ზურგში, თავიანთი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. ამიტომ დავითმა ყველაფერი, დაცვის გარღვევის მთელი სირთულე, თავის თავზე აიღო უყოყმანოდ. მიიღო თუ არა ბურთი, მოედნის ცენტრალური რკალი გადაკვეთა და მასთან შესარკინებლად წამოსული სტოპერისაკენ გაბედულად აიღო გეზი. სტოპერმა ის იყო რაღაც ილეთის ჩატარება დაუპირა ბურთის წასართმევად, რომ თბილისელმა უეცრად ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი საოცარი სისწრაფით, ასევე სწრაფად აუარა გვერდი თავის უკვე დაბნეულ მეურვეს, ბურთს ისევ დაეუფლა და საჯარიმო მოედნისაკენ იწყო წინსვლა კვლავ დიდი სისწრაფით. განაპირა მცველებმა უმალ მიატოვეს თავ-თავიანთი სათამაშო უბნები და საჯარიმო მოედნის მისასვლელთან გადაუკრეს გზა გარღვევაზე წამოსულ მასპინძელთა შუამარბს. თითქოს ელოდაო მათს ასეთ მანევრს, დავითმა, ისე, რომ სისწრაფე არ შეუნელებია, დრიბლინგისა და ცრუ მოძრაობათა უნარიანი შერწყმით უკან მოიტოვა ორივე მცველი და ის იყო საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, ახლა კარიდან გამოსულმა მეკარემ გადაუღობა გზა. მეკარის წინ გამოსვლამ იმდენად შეამცირა დარტყმის არე, კარისაკენ ბურთის გაგზავნა სარისკო გახდა. და, აი, სწორედ მაშინ, როცა ოდნავ შეყოვნებულ ფორვარდს ფეხებში უნდა ჩავარდნოდა მეკარე და ბურთი აერთვა, დავითმა შენიშნა, მარცხენა ფრთიდან ქარიგით როგორ შემოიჭრა საჯარიმო მოედნის თავისუფალ ზონაში რამაზ შენგელია. შუამარბმაც არ დააყოვნა — პასი მარცხნივ და შენგელიას ისღა დარჩა, ცარიელ, მეკარისაგან დაუცველ კარში შეეგორებინა ბურთი.

## ᲙᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲒᲘᲡ
## ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

— დავით ყიფიანი უნაკლოდ ფლობს უეცარ, მოწყვეტილ დარტყმებს კარში, — ერთხმად აღნიშნავენ ფეხბურთის სპეციალისტები, სპორტული ჟურნალისტები და დასძენენ, — ისინი როგორღაც მოულოდნელი, ამოუცნობი ვერაგობით გამოირჩევიან და ძალზე ძნელად ასაღები თუ მოსაგერიებელია თვით ყველაზე გამოცდილ მეკარეთათვისაც კი.

დავით ყიფიანის მოწყვეტილ დარტყმებზე ამავე აზრისანი არიან თვით ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეკარეები: დასაევი, პილგუი, გონტარი, რომენსკი, ასტაპოვსკი და სხვები.

— როცა ყიფიანი ფეხზე მოირგებს ხოლმე ბურთს კარში დასარტყ�, — ამბობენ ისინი, — სულ იმის შიშნარევ მოლოდინში ვართ, ვაითუ ის თავისი მოწყვეტილი დარტყმა გამოუვიდესო.

— ეს ეგრეთ წოდებული „მოწყვეტილი დარტყმა“ იმით ხასიათდება, უფრო სწორად, იმით გამოირჩევა სხვა ხასიათის დარტყმებისაგან, — ამბობს მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე რენატ დასაევი, — რომ დარტყმული ბურთი ელვისებური, როგორღაც თვალშეუვლები სისწრაფით ფარავს ხოლმე გზას კარისაკენ. თუ მისი შესრულება ზედმიწევნით ზუსტია, რა შორი მანძილიდანაც არ უნდა იყოს განხორციელებული, დარტყმა და ბურთის მიზანში მოხვედრა ერთია.

წარსულში სახელგანთქმული მეკარე, ამჟამად ცნობილი სპორტული ფოტოჟურნალისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსეი ხომიჩი ხუმრობით ამბობს:

— მოწყვეტილად დარტყმული ბურთი იმას ნიშნავს, რომ საიდანაც არ უნდა დაგირტყან, თუ ზუსტია, ტკაპ და ბადეშია, თვალსაც კი ვერ შეასწრებ, ვერ მიადევნებ მის ელვისებურ მოგზაურობას, მის გაელვებას კარის ბადისაკენ.

მართლაც, ტკაპ და ბადეშია!

ფეხბურთელი, როგორც წესი, ამგვარი ტიპის დარტყმებს ფეხის თხემით ახორციელებს, თან დარტყმების შემდეგ მაღლა სწევს მოქნეულ ფეხს, თითქოს მასაც თან ატანსო კარისაკენ ტყვიასავით გაფრენილ ბურთს. რა თქმა უნდა, მოწყვეტილი დარტყმების სრულყოფილად შესრულებას სხვა რამაც განაპირობებს, კერძოდ, ფეხ-

ბურთელის მონაცემები, წმინდა წყლის ფიზიკური ნიშანთვისებები, მაგალითად, ფეხის მოყვანილობა, მუხლის ძალა და ასე შემდეგ.

ამგვარად დარტყმულ ბურთებზე კარის გუშაგის რეაგირების, რეაქციის შესაძლებლობა ძალზე მცირეა, უფრო სწორად, მინიმუმამდე დადის. ასეთ შემთხვევაში, მეკარეთა „ხსნა" მხოლოდ ის არის, რომ იმ ფეხბურთელთა რიცხვი, რომელნიც ასეთი სახის დარტყმებს სრულყოფილად ფლობენ, ძალზე მცირეა. უფრო მეტიც, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში თითებზე თუ ჩამოითვლება მოწყვეტილი დარტყმების დიდოსტატთა გვარები.

ამ დიდოსტატთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ორმოციანი წლების მოსკოვის „დინამოს" მარჯვენა შუამარბი ვასილ კარცევი. იგი თავისი მოწყვეტილი დარტყმებით, მოძრავ თუ გაჩერებულ ბურთზე, შიშის ზარს სცემდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მეკარეებს.

მოსკოვის დინამოელთა მიერ 1945 წლის შემოდგომაზე ინგლისში ჩატარებული ძლევამოსილი ტურნეს შემდეგ ბრიტანული პრესა აღნიშნავდა:

„საბჭოთა გუნდის თავდამსხმელთაგან განსაკუთრებით გვინდა, გამოვყოთ ვასილ კარცევი, რომელიც თავისი უზუსტესი, მოწყვეტილი დარტყმებით მოგვაგონებს ჩვენს სახელგანთქმულ თანამემამულეს, კარში დარტყმების შეუდარებელ ოსტატს ჰორაციო კარტერს".

მოწყვეტილ დარტყმას ჩინებულად ფლობდა მოსკოვის არმიელთა გუნდის ლეგენდარული ცენტრფორვარდი გრიგოლ ფედოტოვი, რომლის სახელსაც ატარებს საბჭოთა ბომბარდირთა „ასგოლიანთა კლუბი".

მოწყვეტილი დარტყმის ოსტატები იყვნენ ავრეთვე მოსკოვის „დინამოს" ხახევარმცველი ლეონიდ სოლოვიოვი, მოსკოვის „ტორპედოს" ცენტრფორვარდი ალექსანდრე პონომარიოვი, მოსკოვის ცდკას მარჯვენა გარემარბი ალექსეი გრინინი, მოსკოვის „სპარტაკის" მარცხენა გარემარბი ანატოლი ილინი, თბილისის „დინამოს" მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი და სხვები.

მოწყვეტილ დარტყმას გაჩერებულ ბურთზე ბრწყინვალედ ასრულებდა თბილისის „დინამოს" წარსულში ცნობილი თავდამსხმელი სპარტაკ ჯეჯელავა.

დავით ყიფიანმა თაეის მიერ ოფიციალურ მატჩებში ვატანილი, „ასგოლიანთა კლუბში“ ჩასათვლელი ასზე მეტი გოლიდან მრავალი ბურთი სწორედ მოწყვეტილი დარტყმით გაახვია მეტოქეთა კარის ბადეში. საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ.

ის ერთი ეპიზოდი, რომელიც ბრწყინვალე მოწყვეტილი დარტყმით დაგვირგვინდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელიწადი გვაშორებს მას, არა და არ იშლება ჩემს მეხსიერებაში.

ის ეპიზოდი ერთხელ დავით ყიფიანსაც გავახსენე.

ერთხანს ვერ მიხვდა, რომელ გოლზე ვეუბნებოდი, მერე კი, როცა გაიხსენა, გაკვირვებით შემომხედა:

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ის თამაში წავაგეთ?

— დიახ, წავაგეთ, — დავუდასტურე მე.

— თანაც... თანაც, თუ არ ვცდები... დიდი ანგარიშით, — კვლავ გაკვირვება ეწერა სახეზე დავითს.

— ჰო, დიდი ანგარიშით წავაგეთ.

— 1:5, ხომ?

— არა, — შევუსწორე მე, — 1:4.

— მერე?.. — კიდევ უფრო გაიკვირვა დავითმა, — რა არის იმ დიდი ანგარიშით წაგებულ მატჩში სასიამოვნოდ გასახსენებელი?

— გოლი, — მივუგე მე.

— გოლი?

— ჰო, ერთადერთი გოლი, რომელიც დავით ყიფიანმა კაიტანა.

დავითი როგორღაც უხერხულად შეიშმუშნა, მერე ხელი ჩაიქნია და მოკრძალებით ჩაილაპარაკა:

— ჰო, გოლს... გოლს თითქოს არა უპირდა რა.

ჰმ, არა უპირდა რაო?!

ეს იყო ბრწყინვალე გოლი, — დახვეწილი, სანიმუშო მოწყვეტილი დარტყმით შესრულებული.

მოსკოვში, „ლუჟნიკის“ სტადიონზე, მეორე ტაიმის ოცდამეთხუთმეტე წუთი მიმდინარეობდა. ჩვენები აგებდნენ ადგილობრივ „დინამოსთან“ — 0:4. „მშრალი“ ანგარიშისაგან თავის დასაღწევად თბილისელებმა ამჯერად გააფთრებით შეუტიეს მასპინძლებს. მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე მოთამაშეთა დიდ თავშეყრასა და არეულობაში მანუჩარ მაჩაიძე დაეუფლა ბურთს და უძლიერესი

დარტყმით გაგზავნა პილგუის კარში. ბურთი მოხვდა კარის ძელს და საჯაჭოიმო მოედნის გარეთ უკუიქცა.

და, აი, სწორედ აქ მიესწრო უკუქცეულ ბურთს დავით ყიფიანმა.

არამცთუ არ დაამუშავა, წამითაც არ შეაჩერა.

პირდაპირ, ყოველგვარი შემზადების გარეშე, შეაგება მარჯვენა ფეხის თხემი.

ბურთმა ერთი გაიელვა და მოსკოველთა კარის ბადეში აფართხალდა მარჯვენა მაღლა კუთხეში.

ეს იყო ბრწყინვალე გოლი, — დახვეწილი, სანიმუშო მოწყვეტილი დარტყმით შესრულებული.

სტადიონიდან რომ ვბრუნდებოდით მოსკოვში ჩასული თბილისელი გულშემატკივრები; თითქოს აღარც კი ვგრძნობდით დიდი ახგარიშით დამარცხების მთელ სიმწარეს, — იმდენად ეფექტური იყო ფარდის დაშვების წინ დავით ყიფიანის მიერ გატანილი ის დაუვიწყარი გოლი.

## იერიშის განვითარების უმთავრესი იარაღი

უკან დაწეული შუამარბი, — ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზების დამაკავშირებელი, შემადუღაბებელი რგოლი; ნახევარდაცვის მიერ წამოწყებულ იერიშში მწვავე, მოულოდნელ გაგრძელებათა შემტანი და შეტევის გადამწყვეტ-დამაგვირგვინებელ ფაზაში გადამრთავი; თავდასხმის გამთამაშებელი, წარმართველი პულტი; გრძელი და მოკლე პასებით მთელს გუნდში კოლექტიური თამაშის დამამკვიდრებელი და სულისჩამდგმელი, — ასეთია დავით ყიფიანის თამაშის არსი, მისი სათამაშო ამპლუა.

და თუ ქართული ფეხბურთის ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ, ამ მხრივ, თამაშის სტილის თვალსაზრისით, დავით ყიფიანს წინამორბედი არ ჰყავს. იგი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, უწინამორბედო ფეხბურთელია, ანუ ახლებური სათამაშო სტილის, ფართო მასშტაბის კოლექტიურ მოქმედებათა დამამკვიდრებელი და ფუძემდებელია, ჩვენს ეროვნულ ფეხბურთში, რომელიც ათწლეულთა მანძილზე უფრო მეტად ინდივიდუალურ საშუალებთა აფეთქებებით იყო გამორჩეული.

მაგრამ თუ წინამორბედი არ ჰყავს დავით ყიფიანს, სამაგიეროდ, მრავალი გამგრძელებელი და მიმბაძველი ეყოლება, ალბათ. თბილისის „დინამოს“ ძირითად და დუბლიორთა შემადგენლობაში უკვე გამოჩნდნენ მისი ყაიდის ფეხბურთელები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ შორს არიან ტექნიკური თუ ტაქტიკური სრულყოფისაგან, მათ ჯერ კიდევ დიდად მართებთ ფიზიკური მომზადების საერთო დონის ამაღლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოთ დავით ყიფიანის სათამაშო სტილის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშან-თვისებად გრძელი და მოკლე პასებით გუნდში ფართო მასშტაბის კოლექტიური მოქმედების გაშლა და დამკვიდრება მივიჩნიეთ. ჰო, უზუსტესი მრავალი ქვეტექსტის შემცველი გრძელი და მოკლე პასები მისი სათამაშო. სტილის გვირგვინია, მისი, როგორც უკან დაწეული გამთამაშებელი შუამარბის, ყველაზე მრისხანე იარაღია. დავით ყიფიანი ძირითადად ამ იარაღით ახერხებს ასე ღიბლიანად და ფეხბედნიერად ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზების ერთმანეთთან დაკავშირება-შედუღაბებას, იერიშში მწეავე, მოულოდნელ გაგრძელებათა შეტანასა თუ შეტევის გადამწყვეტ, დამაგვირგვინებელ ფაზაში გადართვას, თავდასხმის მოქმედების თავის ნება-სურვილზე წარმართვას.

როცა დავით ყიფიანი, რომელსაც სულ უმნიშვნელო სათამაშო სიტუაციაც კი არ გამოეპარება მოედანზე. აფთიაქის სასწორის სიზუსტით ფანტავს ხოლმე თანაგუნდელებს შორის თავის გრძელ და მოკლე პასებს, ასე გგონია, ამ ყოვლისდამნახავ შუამარბს ზურგზეც თვალები აქვს გამოსხმული.

საილუსტრაციოდ, რა თქმა უნდა, კვლავ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ როგორც ზემოთ, აქაც ისევ მხოლოდ ერთი ეპიზოდის გახსენებით დავკმაყოფილდებით.

ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის საკავშირო ჩემპიონატი, თბილისის „დინამოს“ სტადიონი, მინდვრის მფლობელები ოდესის „ჩერნომორეცს“ ხვდებიან.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე მასპინძლებმა ენერგიულად შეუტიეს სტუმრებს და ისინი თავიანთ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს.

აი, კიდევ ერთი იერიში:

დავით ყიფიანმა მინდვრის შუაგულში მიიღო ბურთი და უმალ შენიშნა თავისი თანაგუნდელის რამაზ შენგელიას ზედმიწევნით ნაც-

ნობი, მრავალმნიშვნელოვანი მოძრაობა მეტოქეთა საჯარიმო მოედნის მისასვლელთან, რაც ორი ოდესელი მეურვისაგან თავის დაღწევის ენერგიულ ცდასა და ბურთის დაუყოვნებელი მიწოდების კატეგორიულ მოთხოვნაზე მიანიშნებდა.

დავითმა წამითაც არ დააყოვნა — გრძელი, ოდნავ ტრაექტორიული ხასიათის პასი განახორციელა მეურვეებისაგან „გასახსნელად" მკვეთრად ამოქმედებული თავისი ცენტრფორვარდის სათამაშო ზონისაკენ.

სანამ ბურთი ჰაერში მოგზაურობდა და მისამართს მიაღწევდა, შენგელიამ რიტმულად, ანუ პასის სიჩქარის გათვალისწინებით, ესე იგი ისე, რომ თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო, გადაასწრო თავის მეურვეებს, „გაიხსნა" და თერთმეტმეტრიანი დარტყმის ნიშნულთან რომ შეხვდა ბურთს, მეკარესთან პირისპირ მყოფმა, დაუბრკოლებლად გაგზავნა იგი ბადეში.

როგორც ვთქვით, მაგალითისათვის სხვა ეპიზოდის მოტანა არ გვსურდა, მაგრამ აქ უნებურად გაგვახსენდა კიდევ ერთი გოლი, რამაზ შენგელიას მიერ გატანილი, რაც კვლავ დავით ყიფიანის დროული, ზუსტი და ამჯერად, თუ შეიძლება, ასე ითქვას, მანევრული, პასის შედეგი იყო.

იმავე საფეხბურთო სეზონში აქ, თბილისში, ჩვენი „დინამო" იტალიის ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ კლუბს „ნაპოლს" ხვდებოდა ევროპის ტურნირის რანგით, — უეფას თასზე.

ეს მატჩი თბილისელებმა ბრწყინვალე სტილით მოიგეს — 2:0.

დინამოელთა ერთ-ერთი იერიშის დროს, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა გახსნილი ანგარიში, დავით ყიფიანი დრიბლინგით მიუახლოვდა იტალიელთა საჯარიმო მოედნის კუთხეს და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს აქედან პირდაპირ კარში აპირებდა დარტყმას. მოიქნია კიდეც ფეხი ბურთზე დასარტყმელად, მაგრამ უცებ მოქნევის სიჩქარე მკვეთრად შეანელა და ყველასთვის მოულოდნელად გრძელი განივი პასი განახორციელა საჯარიმო მოედნის საწინააღმდეგო კუთხის მისასვლელთან მყოფი შენგელიას მიმართულებით. შუამარბის დასარტყმელად მოქნეული ფეხის უეცარმა ცრუ მოძრაობამ არეულობა შეიტანა მეტოქეთა რიგებში, მეკარემ და მცველებმა უმალ მოსალოდნელი დარტყმის მიმართულებით შეიცვალეს პოზიცია, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო — შენგელიამ ზუსტი პასი რომ მიიღო პარტნიორისაგან, დაახლოებით

თვრამეტი-ოცი მეტრიდან შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი „ნაპოლის“ კარის მარჯვენა მაღლა კუთხეში, რომლის ზონაც დაუცველი აღმოჩნდა დავით ყიფიანის ცრუ მოძრაობით მოტყუებული მეკარის მიერ — 1:0.

## პოპულარობა

დავით ყიფიანმა თბილისის „დინამოში“ თამაშის ათი წლის მანძილზე პოპულარობა მოიპოვა ფეხბურთის მილიონობით თაყვანისმცემელთა შორის. ეს პოპულარობა კი იმდენად დიდია, რომ თავის ყოველგვარ დადგენილ თუ დაუდგენელ ნორმებს სცილდება.

„დინამოს“ შუამარბის დიდ პოპულარობასთან დაკავშირებით, მინდა, ორიოდე შემთხვევა გიამბოთ.

მოსკოვში, „ლუჟნიკის“ სტადიონზე, თბილისის „დინამომ“ საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი ჩაატარა ადგილობრივ არმიელებთან.

ქართველმა ფეხბურთელებმა თამაში შესანიშნავად წარმართეს და საკმაოდ დამაჯერებლადაც დაამარცხეს ტიტულოვანი მეტოქე.

ამ გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა დავით ყიფიანმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე დიდებულად ითამაშა, ძალზე ეფექტური გოლის თანაავტორადაც მოგვეელინა და თავადაც გაიტანა ულამაზესი ბურთი.

მატჩის დამთავრების შემდეგ, როგორც ყოველთვის, სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან კიდევ დიდხანს იდგა გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი.

ისინი იმდღეანდელ მატჩს არჩევდნენ და ერთ დიდ სჯა-ბაასში იყვნენ.

წარამარა ისმოდა:

— ცსკა!

—„დინამო“!

— ასტაპოვსკი!

— მაჩაიძე!

— ყიფიანი!

ყველაზე ხშირად კი ყიფიანს ახსენებდნენ — ის სომ იმ მატჩის გმირი იყო.

მერე გულშემატკივრებს მაღალმა, სიმპათიური გარეგნობის ელეგანტურმა ახალგაზრდა კაცმა ჩაუარა, რომელსაც პატარა სპორტული ჩემოდანი ეჭირა. იგი სტადიონიდან გამოვიდა და დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მეტროპოლიტენის სადგურისაკენ გაემართა.

გულშემატკივრები ისე იყვნენ გართულნი საუბრით, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ანდა, რა მოხდა ისეთი — ვიღაცამ ჩაიარა, მორჩა და გათავდა.

მხოლოდ ერთმა, დაბალი ტანის ჩოფურა გულშემატკივარმა უნებურად გააყოლა თვალი და უმალ შეეცვალა სახე.

— Глянь, ребята, а вот и Кипиани! — წამოიძახა მან, და ათი, ოცი, ოცდაათი თავი ერთბაშად შებრუნდა სხვადასხვა მიმართულებით.

— Вот там, прямо, к метро направляется, — დააზუსტა ჩოფურამ, და გულშემატკივართა ჯგუფს ჩურჩულმა გადაუარა:

— Он самый...

— Ух, какой стройный...

— Ну и техника...

— А голова-то как у него работает...

— Да, вот это футболист...

— А посмотришь, прямо-таки на артиста смахивает...

— А вдруг это не он? — უცებ ეჭვი შეიტანა ვიღაცამ.

— Что значит не он, — იწყინა ჩოფურამ, — что я, слепой, что ли.

— Больно культурно выглядит, — თვალდათვალ იზრდებოდა ეჭვი, — как-то не похож он на футболиста.

— Да не Кипиани он, — უცებ დაისვა დიაგნოზიც, — просто-напросто какой-то грузинский парень, и все.

— Ах, вот как! — წყენით წამოიძახა ჩოფურამ, უმალ მოწყდა ადგილიდან და მეტროპოლიტენის სადგურის შესასვლელთან დაეწია იმას, ვინც, მისი სიტყვით, ნამდვილად ყიფიანი იყო.

მერე გულშემატკივრები ცუდად დაფარული შურით გასცქეროდნენ ერთმანეთთან ღიმილით მოსაუბრე ჩოფურასა და იმას, ვინც, მისი სიტყვით, ნამდვილად ყიფიანი იყო.

მერე გულშემატკივრებმა შურითაც და უკვე განცვიფრებითაც შენიშნეს, რომ ჩოფურა აღარ ხუმრობდა, თავისი სიმართლის დამამტკიცებელ დოკუმენტს ქმნიდა — თბილისის „დინამოსა“ და

ცსკას იმდღევანდელი მატჩის პროგრამა და ავტოკალამი გაუწოდა იმას, ვინც, მისი სიტყვით, ნამდვილად ყიფიანი იყო.

მერე გულშემატკივრები იმასაც ხედავდნენ ამჯერად დაუფარავი ცნობისმოყვარეობით, რომ ის, ვინც, ჩოფურას სიტყვით, ნამდვილად ყიფიანი იყო, რაღაცას წერდა პროგრამაზე ერთხანს.

მერე ისიც დაინახეს, როგორ დაუბრუნა იმან, ვინც, ჩოფურას სიტყვით, ნამდვილად ყიფიანი იყო, პროგრამა და ავტოკალამი ჩოფურას, თან ხელიც როგორ ჩამოართვა, დაემშვიდობა, და ხალხის ნაკადთან ერთად გაუჩინარდა მეტროპოლიტენის სადგურში.

მერე სიხარულით თვალებგაბრწყინებული ჩოფურა აღფრთოვანებული გულშემატკივრების რკალში იდგა, ხოლო იმდღევანდელი მატჩის პროგრამა ხელიდან ხელში გადადიოდა დაუსრულებლად.

პროგრამის პირველ გვერდზე გაკრული ხელით ეწერა:

«Объективным московским болельщикам — Давид Кипиани».

— Ну, хватит рассматривать, — ამაყად თქვა ჩოფურამ, — верните обратно.

— Нет, браток, так не пойдет, — შეუვალი ტონით განაცხადა ერთმა ხანშიშესულმა გულშემატკივარმა, რომელიც, აქ, ეტყობა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, — этот исторический документик я сам буду хранить в своем архиве.

მერე ავტოგრაფიანი პროგრამა უბეში ჩაიდო და ასევე დინჯად დასძინა:

— Ведь такие уникальные мастера, как Кипиани, что ни говори, не так уж часто появляются на небосклоне нашего советского футбола.

* * *

ამ შემთხვევასაც მოსკოვში შევესწარი და... ალბათ, არასოდეს დამავიწყდება.

სასტუმრო „მოსკოვის“ ვესტიბიულში ეტრიალებდი.

ჩემს შორიახლო ქალ-ვაჟი იდგა, თან ბავშვი ახლდათ. ეტყობა, ცოლ-ქმარი იყო.

ჩემსა და იმ ქალ-ვაჟს შორის ვილაც ტანადმა ლამაზმა ახალგაზრდა კაცმა ჩაიარა. შევატყვე, ქართველი იყო.

უცებ ის ვაჟი, ბავშვიან ქალს რომ ახლდა, და ის ქართველი დიდი მოწიწებით მიესალმნენ ერთმანეთს.

— Кто это? — ჰკითხა ქალმა ვაჟს და ჩაცლილს თვალი გააყოლა.

— Что, не узнала? — თითქოს, გაკვირვებით ჩაიცაპარაკა ვაჟმა.

— Нет... — ცოტა არ იყოს, დაიბნა ქალი და ახლა უკვე დაუფარავი ცნობისმოყვარეობით გაუმეორა შეკითხვა, — Кто это?

ვაჟი როგორღაც გაიჯგიმა და საიდუმლოებით სავსე ღიმილი აიფარა:

— Догадайся.

— Понятия не имею, — კვლავ დაბნევით ჩაილაპარაკა ქალმა და დაუმატა, — только вот по лицу заметила, что, наверно, из грузин.

Ерунда, это не трудно было заметить, — ჯიუტად თქვა ვაჟმა, — главное здесь — угадать, кто же это был.

— Ну, скажи, ну... — შეეხვეწა ქალი.

— Догадайся.

— Ну, Витя, ну...

— Ладно, скажу, — უცებ მოტყდა ვაჟი, მაგრამ კიდევ უფრო გაიჯგიმა, — Кипиани.

— Кто? — იკითხა ქალმა და სიწითლემ გადაკრა სახეზე, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მისვედრით კი მიხვდა, ვინც უხსენეს. მაგრამ ეს როგორღაც ერთბაშად ვერ აღიქვა, იმდენად მოულოდნელი გამოდგა მისთვის ამ გვარის ვაგონება.

— Ки-пи-ани, — ახლა უკვე დამარცვლით გაიმეორა ვაჟმა, რომელიც ისე გაჯგიმულიყო, თითქოს მხედარიუფროსი და თავისი ჯარების პარადს იღებსო. .

— Это что в тбилисском «Динамо»? — დაიწყო ქალმა, მაგრამ ვაჟმა გააწყვეტინა:

— Тот самый...

— И ты его, оказывается, так близко знаешь? ახლა უკვე გაკვირვება სჭარბობდა ქალის სახეზე.

— Конечно.

— Почему же не познакомила меня с ним? საყვედურით აღმოხდა ქალს.

ვაჟმა დარდიმანდულად მიუგო:

— Он часто бывает в Москве. Как-нибудь в следующий раз.

ამით ვამთავრებ უცნობი ქალ-ვაჟის დიალოგს. ხოლო მკითხველის საყურადღებოდ ვიტყვი, რომ ის ტანადი ლამაზი ახალგაზრდა კაცი ქართველი კი გახლდათ ნამდვილად, მაგრამ სრულიადაც არ იყო დავით ყიფიანი, რაც, რა თქმა უნდა, ჩემზე არანაკლებ უწყოდა იმ ვაჟმაც. ცნობილ ფეხბურთელთან ნაცნობ-მეგობრობით რომ ტრაბახობდა ქალთან.

და კიდევ ერთი შემთხვევა, — ამჯერად აქ, თბილისში:

რუსეთის შორეული ქალაქიდან მეგობარი კაცი, მესტუმრა, ჟურნალისტი.

სურდა, რაღაც დაეწერა ჩვენს ქვეყანაზე.

პირველად იყო საქართველოში და მეც ყურადღება არ დავაკელი.

დავათვალიერებინე თბილისი, მცხეთა, მყავდა გორში, კახეთში...

მოიხიბლა ხილულითა და გაგონილით.

საქართველოდან გამგზავრების წინადღით მითხრა:

— ამდენი რამ ვნახე, ლამის ნახევარი საქართველო მოვიარე, და ის კი, ვინც ჩემთვის, შეიძლება, ყველაზე მეტად საინტერესო იყო თქვენში, უნახავი მრჩება.

— ვინ არის ასეთი, ვინ გყავს მხედველობაში? — დაინტერესდი მე.

— მხოლოდ ტელეეკრანზე თუ მინახავს, — განაგრძობდა ჩემი სტუმარი, — საქართველოსაკენ რომ მოვემგზავრებოდი, ვფიქრობდი, ახლა კი ნამდვილად მომეცემოდა საშუალება, ერთხელ მაინც

სტადიონის ტრიბუნებიდან მეხილა ეს კაცი. უფრო მეტიც, იმედი მქონდა, პირადადაც გამაცნობდნენ ქართველები. მაგრამ, აი, ვტოვებ საქართველოს და ეს ჩემი ყველაზე სანუკვარი სურვილი კი ვერ იყო და ვერ ავისრულე.

— ყიფიანი ხომ არ გყავდა მხედველობაში?

— დიახ, ყიფიანზე მოგახსენებ, დავით ყიფიანზე, ჩემს ყველაზე საყვარელ ფეხბურთელზე.

შევწუხდი — არ ვიცოდი, რა მეღონა, რით დავხმარებოდი ამ კაცს. საქმე ის იყო, რომ ჩემი სტუმრის საქართველოში ყოფნის დღეებში თბილისის „დინამო" ესპანეთში იმყოფებოდა, დიდ საერთაშორისო ტურნირზე, ხოლო მათს სახელგანთქმულ შუამარბს გრენადის ულამაზეს სტადიონებზე გაჰქონდა გოლები.

ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მხოლოდ ერთიღა მოვახერხე — სასწრაფოდ მოვინახულე ჩვენი სპორტული ფოტორეპორტიორები და მეორე დღესვე ჩემს ძვირფას სტუმარს დავით ყიფიანის უნიკალური ფოტოსურათების მთელი თაიგული მივართვი სახსოვრად.

... მატარებელი რომ დაიძრა, ჩემი სტუმარი ქართველი ფორვარდას სურათს მიქნეევდა ღია სარკმლიდან.

## დიდოსტატის თამაშის ეჭო

დავით ყიფიანის მაღალტექნიკურმა, ტაქტიკურად მრავალფეროვანმა თამაშმა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა საფეხბურთო სამყაროში. ქართველი ფორვარდის ოსტატობას ღირსეული შეფასება მიეცა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. საბჭოთა თუ საზღვარგარეთელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ქება-დიდება არ დაიშურეს ჩვენი დროის ამ გამოჩენილი სპორტსმენისათვის.

1977 წელს, როცა თბილისის „დინამო" მეორე ადგილზე გავიდა საკავშირო ჩემპიონატზე, ხოლო დავით ყიფიანი იმ სეზონის № 1 ფეხბურთელად აღიარეს ჩვენს ქვეყანაში. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგეი სალნიკოვი ყოველკვირეულ გაზეთ „ნედელიაში" წერდა:

„რაც შეეხება დავით ყიფიანს, მე მას ვუწოდებ „ფეხბურთის

დიზაინერს“, რითაც მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ამ მკაფიოდ უნივერსალური ფეხბურთელის თამაშის საოცრად ლამაზ და მშვენიერ სტილს“.

საინტერესო შეფასება მისცა ქართველ ფეხბურთელებს ლეგენდარულმა საბჭოთა სპორტსმენმა, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდისა და მოსკოვის „დინამოს“ განუმეორებელმა, დიდხანს შეუცვლელმა მეკარემ ლევ იაშინმა:

„თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს საფეხბურთო ხელოვნების შედევრები შეუქმნიათ. ასეა დღესაც. მახსოვს, ჩემს გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მურთაზ ხურცილავასთან და სლავა მეტრეველთან ერთად სრულიად ახალგაზრდა მანუჩარ მაჩაიძეც მივიწვიე. მანუჩარი დღესაც გუნდის სული და გულია, ყოველთვის შემართული, თავგანწირული და ბოლომდე მებრძოლი. ხოლო დავით ყიფიანი, ჩემი აზრით, დღეს ყველაზე ნათელი ფიგურაა საბჭოთა ფეხბურთში. მას ვერავის ვერ შეადარებ. მოაზროვნე, განუმეორებელი ხელწერის მქონე ყიფიანი მშვენივრად ხედავს პარტნიორებს და ურთულეს პრობლემებს ჭრის მწვანე მინდორზე“.

ბევრი რამ დაიწერა და ითქვა დავით ყიფიანის შესახებ საზღვარგარეთაც.

— „შესანიშნავია ტექნიკური ყიფიანი“, — აღნიშნავდა გერმანული ჟურნალი „ფუტბოლ ვოჩე“.

„ყიფიანი განუმეორებელია — იგი ასრულებს წამყვან როლს „დინამოს“ უკლებლივ ყველა კომბინაციაში“, — აცხადებდა ინგლისური გაზეთი „გარდიანი“.

„ოო, რა საშიში და ვერაგი ყოფილა ყიფიანი! რა ეშმაკურად მოჰპარა ბურთი გამოცდილ ფაკეტის და რა ელდასავით უეცარი გოლი გაიტანა „ინტერის“ კარში!“ — წერდა იტალიური პრესა თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული კლუბის „ინტერნაციონალეს“ დამარცხების მეორე დღეს.

დასავლეთ გერმანიის არაერთგზის ჩემპიონის „ჰამბურგის“ უფროსმა მწვრთნელმა ზებეცმა თქვა:

„მე ვიცოდი, რომ ყიფიანი და მაჩაიძე ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, ითამაშონ საკუთარი სურვილის მიხედვით, მაშინაც კი, როცა მათ პერსონალური მეურვეები ჰყავთ. მაგრამ თუ მათ თავისუფლებას მისცემ, — უბედურება აო აგცდება“.

1979 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამომ“ ორი მატჩის ჯამით ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა ბრიტანული ფეხბურთის აღიარებულ ლიდერზე, მთელს საფეხბურთო სამყაროში სახელგანთქმულ „ლივერპულზე“, რომლის გაურღვეველი მცველები, მოტორივით მომუშავე ნახევარმცველები და მრისხანე ფორვარდები ლამის უძლეველებად იყვნენ მიჩნეულნი მრავალი წლის მანძილზე.

მაშინ ბევრი რამ დაიწერა ქართველი ფეხბურთელების დიდებულ ოსტატობაზე როგორც საბჭოთა პრესაში, ასევე საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში. თბილისელი დინამოელების ქება-დიდებით იყო აჭრელებული ინგლისის პრესა. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება ხვდა წილად მანუჩარ მაჩაიძისა და დავით ყიფიანის თამაშს.

ინგლისური გაზეთი „გარდიანი“ წერდა:

„ინტელიგენტური, ელეგანტური დავით ყიფიანი, რომელიც ძალიან მოგვაგონებდა ლევ ტოლსტოის დროის არისტოკრატს, საოცრად ძრავალფეროვანი, დახვეწილი ტექნიკის წყალობით, ისე თავისუფლად დანავარდობდა „ლივერპულის“ ნაცად მებრძოლებს შორის, თითქოს საფეხბურთო მინდორზე კი არ იბრძვის, თავის საგვარეულო მამულში სეირნობსო“.

ერთი ესპანელი რეპორტიორი, რომელიც ქართველი და ინგლისელი ფეხბურთელების მატჩს დაესწრო ლივერპულში, წერდა:

„ამ დაუვიწყარი ასპარეზობის მონაწილეთაგან, მინდა, განსაკუთრებით გამოვყო დინამოელი დავით ყიფიანი. მე მომხიბლა მისმა ბეშმარიტად დიდოსტატურმა, რაინდულმა თამაშმა. არ დამავიწყდება ქართველ ფეხბურთელის წმინდა სამხრეთული გარეგნობაც, მოძრაობა, მანერები. იგი მომაგონებდა შუა საუკუნეთა ესპანელ იდალგოს. ასე მეგონა, ეს გასაოცარი ყიფიანი საცაა გიტარასაც მოიმარჯვებდა და ციყვარულის სერენადას უმღერებდა სტადიონის ტრიბუნებზე განაბულ, მისი თამაშით მონუსხულ ლივერპულელ მზეთუნახავებს“.

და ქართველი ფეხბურთელი დავით ყიფიანი, იმ შორეულ ლივერპულში ზოგს ლევ ტოლსტოის დროის არისტოკრატს რომ მოაგონებდა, ზოგს კიდევ შუა საუკუნეთა ესპანელ იდალგოს, — პოეტების ინტერესის საგანიც გახდა.

ქართველმა პოეტმა ზაურ ბოლქვაძემ საახალწლო სალაღობო ლექსი უძღვნა დავით ყიფიანს:

ექსტრაკლასის ოსტატი ხარ!
— გთხოვ, ამაზე არ ვიდავოთ!
შენმა მწვრთნელმა მონრეალში
რა თქვა მაინც, რა მინდათ?!
მეტოქეთა მეკარეებს
რაც მოუვა, დავუთაო, —
ყველა შენი ფეხითა და
ყველა შენი თავითაო!

ცნობილმა უზბეკმა პოეტმა, უზბეკეთის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა რაიმ ფარდახიმ ასე უმღერა ქართველ ფეხბურთელს:

Вновь стадион
восторженно гудит,
Когда играешь ты
в одно касанье
И в сетку мяч красиво
так летит,
И диктор объявляет:
Кипиани!
Твой точный пас
повсюду знаменит,
В игре всегда ты полон
жажды гола.
Сын Грузии,
стремительный Давид
Стал гордостью
советского футбола

საბჭოთა სპორტსმენის პატრიოტული სულისკვეთება, მისი მაღალი მორალური თვისებები, — ასეთია თემა ცნობილი საბჭოთა პოეტის ევგენი ევტუშენკოს ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსისა, რომელიც დავით ყიფიანს მიეძღვნა.

ეს ლექსიც:

## ЛУЧШИЙ ГОЛ КИПИАНИ

О грузинской гордости спросите
Президента клуба «Кардифф-сити», —
Может быть, он скажет пару слов.
После матча в Кардиффе с «Динамо»
был коктейль.
Над краешком дивана

Кисточкой качала шапка свана,
Гордая, поверх других голов.
Президент к Давиду Кипиани
Подошел и начал излиянье.
«Мистер Кипиани, вы звезда...
Думают прекрасно ваши ноги.
Велики ли в Грузии налоги?
Вы не пьете? Это что, всегда?»
Президент был футболистом бывшим
И поляком бывшим, не забывшим
Уездной шляхетский гонор он.
Говоря о спорте, о талантах,
Сделал он манжетою в бриллиантах
В свой карман обдуманный нырок.
«Вас игра, как вижу, утомила?
Но ведь вы борец за дело мира —
Вы ногами беретесь за мир.
А с валютой как у вас — не тяжко?
Вот пятифунтовая бумажка.
Это от меня — как сувенир...»
Кипиани —
вроде против правил —
Взял бумажку,
медленно расправил,
Посмотрел с улыбкою на свет,
И сказал без чувства злости, мести:
«Водяные знаки все на месте,
а вот знака дружбы что-то нет.
В Грузии мы с дружеским значеньем
Даним все гостям,
за исключеньем
Матерей, отцов, детей и жен.
А вот деньги даним лишь на свадьбы...
Я —
как это вежливей сказать бы? —
Сувениром вашим поражен.
Взятка?
Но—я должен вам признаться —
Есть у нас товарищ Шеварднадзе, —
Он ведет со взятками борьбу.
Если бы он к вам приехал в Кардифф,
Взяточников местных инфаркция, —
Вылететь бы вам пришлось в трубу!
Чтобы оплатить вам часть восторгов,
На бумажке ставлю свой автограф.
Возвращаю. Пейте лучше джин.
Что-то, я гляжу, вам неуютно?
У грузин есть твердая валюта —
Гордость неразменная грузин».
Так я видел под рукоплесканья
Лучший гол, забитый Кипиани
Головою в шапке у стола.
Гол был самый чистый, без изъяна.
Гол был самый чистый, без изъяна.
Кисточка, как видно, помогла...

და. ბოლოს, დიდოსტატის თამაშის ყველაზე მძლავრი, შორეული ექო:

ბულგარეთის გაზეთმა „სოფიისკიე ნოვოსტიმ“ ამას წინათ გამოაქვეყნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ინგლისელი კევინ კიგანის იდეალური გუნდი, რომელიც მან შეადგინა ამჟამად მოქმედ ფეხბურთელთაგან, ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენელთა თხოვნით. გუნდში შეეიდნენ მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებთანაც კევინ კიგანს უშუალოდ კონტაქტი ჰქონია მინდორზე.

აი, ეს გუნდიც, კევინ კიგანის მსოფლიოს იდეალური ნაკრები:

კლემენსი (ინგლისი),
კალეი (გფრ),
კროლი (ჰოლანდია),
პეცეი (ავსტრია),
პლატინი (საფრანგეთი),
სარა (ავსტრია),
სიმონსენი (დანია),
კემპესი (არგენტინა),
როსი (იტალია).
კრანკლი (ავსტრია),
დავით ყიფიანი (სსრ კავშირი).

## ასე დაიწყო..

— საოცრად მომხიბლავი, გულქართული და სულნათელი კაცი იყო დათო ყიფიანი, — მითხრა ერთხელ, ფეხბურთზე საუბრის დროს, ერთმა ჩემმა მეგობარმა მხატვარმა.

— რას ჰქვია იყო? — გაკვირვებით გავაწყვეტინე მე, — განა ახლა აღარ არის?

— ვერ გამიგე, — გაეცინა ჩემს მეგობარს, — მე ფეხბურთელზე კი არა, მამამისზე მოგახსენებ, იმასაც დათო ერქვა, დავითი.

და უკვე ნაღვლიანი სახით განაგრძო:

— უეცრად და ძალზე ნაადრევად წავიდა ჩვენგან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი. თავის დროზე ფეხბურთსაც

თამაშობდა „მედიკის“ გუნდში, თამაშობდა დიდი გატაცებით. იყო მშვენიერი ნახევარმცველი და სპორტის ამ სახეობის თავგადადებული, დაუღალავი ენთუზიასტი.

— გარეგნობითაც მიმზიდველი, საინტერესო. ვაჟკაცი იყო დათო ყიფიანი, — დაუმატა ჩემმა მეგობარმა, — ერთი პირობა მისი დახატვაც კი მინდოდა, მსურდა, მისი შუქიანი თვალები, ვაჟკაცური გაძოხედვა ტილოზე გადამეტანა და ლამაზი ასალგაზრდა ქართველი კაცის პორტრეტი შემექმნა. მაგრამ ჩემი შემოქმედებითი ინტერესის ობიექტთან ვერაფერს გავხდი, ერთხელაც ვერ შემოვიტყუე ჩემს სახელოსნოში. ჩემი ფუნჯისაგან თავის დასაღწევად ხან რა მოიმიზეზა, ხან რა. ბოლოს, ეტყობა, ძალიან რომ გავუწყალე გული, მითხრა, მე, აბა, რა ჩასაკარტიჩკებელი კაცი მნახე, რომელი კონრად ფეიდტი ან ბორის პაიჭაძე მე ვარო. ეს საზოგადოებრივად ძალზე აქტიური კაცი ამავე დროს საოცრად მოკრძალებული, მორიდებული, თავმდაბალი პიროვნება იყო.

— ის ერთი შეხვედრა დათო ყიფიანთან განსაკუთრებით დამახსომდა, — თქვა, ბოლოს, ჩემმა მეგობარმა, — რუსთაველის პროსპექტზე შეკეყარე საღამოხანს. ერთხანს ქუჩაში ვსაუბრობდით, მერე თვალით მანიშნა რესტორანზე, აქ რას ვუდგავართ, შევიდეთ, ვიჭუკჭუკოთ, ჩვენი ბავშვობა-ახალგაზრდობა გავიხსენოთო. შევედით, გვიან ღამემდე ვისხედით. ბოლოს, ჩვენს ოჯახებზეც ჩამოვაგდეთ სიტყვა, ცოლ-შვილი ვუდღეგრძელეთ ერთმანეთს. უცებ დათომ ღიმილით შემომხედა და მითხრა, იცი, ჩემმა ბიჭმა ფეხბურთის თამაში დაიწყოო, იძახის, გინდა თუ არა ფეხბურთელი უნდა გამოვიდეო. ეს როგორღაც ისეთი გადამდები სიხარულით თქვა, ამას რომ ამბობდა, ისე ჰქონდა ის შუქიანი თვალები გაბრწყინებული, მისმა საზეიმო განწყობილებამ უმალ ჩემზეც გადმოინაცვლა. არც შეიძლებოდა, დათო ყიფიანის სიხარულითა თუ მწუხარებით არ გეცხოვრა, რადგან თავად იყო ხოლმე საოცარი მოზიარე ამხანაგ-მეგობრების სიხარულისაც და მწუხარებისაც. იგი შესანიშნავი ექიმი იყო, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა გამოცდილი მკურნალი, და როცა რომელიმე მის ახლობელსა თუ ახლობლის ახლობელს საიმისოდ ან, საერთოდ, საექიმო-საწამლედ წაუგიდოდა საქმე, ზედ გადაეგებოდა, ჭირს მოსჭამდა, თავს ანაცვალებდა. ასე რომ, რაკი იმ საღამოს მისმა სიხარულმა მეც შემიპყრო, უმალ ვკითხე, სად

თამაშობს-მეთქი შენი ბიჭი. ფარვიზ ჭელიძე ხომ გაგიგონია, — მომიგო, — იმასთან ვარჯიშობსო ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლაში.

• • •

ფარვიზ ჭელიძემ ფეხბურთის თამაში 1938 წელს დაიწყო — ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში გამოცდილი სპეციალისტის ასირ გალპერინის ხელმძღვანელობით.

1943 წლის ზამთარში გაიწვიეს ჯარში. ახალგაზრდა არტილერისტი მამაცურად იბრძოდა ჯერ გერმანელი ფაშისტების, ხოლო შემდეგ იაპონელი მილიტარისტების წინააღმდეგ უკრაინის, ბელორუსიისა და შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზე.

ომის დამთავრების შემდეგ ფარვიზი უბრუნდება საყვარელ სპორტს — ფეხბურთს, თამაშობს სხვადასხვა სამხედრო ნაწილის გუნდებში მარჯვენა შუამარბად.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციისთანავე, 1950 წლიდან, მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრაზე — ფეხბურთის განხრით. 1958 წლიდან კი პარალელურად 35-ე საფეხბურთო სკოლაშიც მუშაობს მწვრთნელ-პედაგოგად. აქ, ამ სპორტულ სასწავლებელში, მოხდა ფარვიზ ჭელიძის, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღმზრდელის, დახვეწა-ჩამოყალიბება.

მისი ამ სკოლაში მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბავშვთა გუნდებმა, რომლებსაც იგი წვრთნიდა და ამზადებდა, ორჯერ მოიპოვეს რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული, ხოლო ასევე ორჯერ საკავშირო სპარტაკიადაზეც გაიმარჯვეს.

1970 წლიდან ფარვიზ ჭელიძე საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებში მუშაობს უფროს მწვრთნელად. სხვადასხვა წლებში მისი ხელმძღვანელობით ტყიბულის „მეშახტემ“, თელავის „ნადიკვარმა“, რუსთავის „მეტალურგმა“ და თბილისის „სპარტაკმა“ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სარბიელზე.

მაგრამ ფარვიზ ჭელიძის ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ის არის, რომ მან, დამწყები და ახალგაზრდა ფეხბურთელების უდა-

ვოდ ნიჭიერმა დამრიგებელმა, არა ერთი და ორი შესანიშნავი ოსტატი აღუზარდა ქართულ ფეხბურთს.

ამის დასადასტურებლად იმ ერთი დიდი ,ფეხბურთელის გვარსახელის დასახელებაც კმარა:

დავით ყიფიანი!

* *

ფარვიზ ჭელიძე იგონებს:

— 1963—1964 წლებში, საიმედო მონაცემების მქონე მოზარდი ფეხბურთელების პოვნის მიზნით, თბილისისა და მისი გარეუბნების სტადიონების, სპორტული მოედნებისა თუ ეზოების ხშირი სტუმარი ვიყავი. ერთხელ, საღამოხანს, თბილისის 53-ე საშუალო სკოლაშიც შევიარე. ბედმა გამიღიმა, რადგან სწორედ იმ დროს სკოლის ეზოში ორგოლობანა გაეჩაღებინათ მოსწავლეებს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეშვიდე და მერვე კლასის გუნდები. სულ ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ყურადღების ცენტრში მოექცა ერთი მაღალი, ტანთხელი სიმპათიური ბიჭუნა, მეშვიდეკლასელთა თავდამსხმელი, რომელიც მსუბუქად დარბოდა, მახვილგონივრულად აწვდიდა ბურთს პარტნიორებს, იოლად უვლიდა გვერდს თავისზე უფროს მეტოქეებს და ძალზე ძლიერად ურტყამდა კარში. ის თამაში მეშვიდეკლასელებმა მოიგეს, ხოლო მათმა ტექნიკურმა თავდამსხმელმა სამი ლამაზი გოლი გაიტანა. თამაშის დამთავრებისთანავე იმ ბიჭუნას მივაშურე და განზე გავიხმე.

მწვრთნელსა და იმ მობურთავე ბიჭუნას შორის ასეთი საუბარი გამართულა:

— სად ისწავლე, ბიჭო, ასეთი კარგი თამაში?

— ეზოში.

— რა გქვია?

— დათო.

— რა გვარი ხარ?

— ყიფიანი.

— სად მუშაობენ შენი მშობლები?

— მამაც ექიმია, დედაც.

— მამაშენსაც დათო ხომ არ ჰქვია შენსავით?

ბიჭუნას გაეცინა:

— თქვენ საიდან იცით?

— შენ ის მითხარი, გამოვიცანი თუ არა?

ბიჭუნას ისევ გაეცინა:

— დიახ, გამოიცანით... მხოლოდ ზოგიერთი დავითსაც ეძახის მამას.

— ეგ არაფერი... რომ გაიზრდები, შენც დავითს დაგიძახებს ზოგიერთი და სტადიონზეც დიდი ამბით გამოგაცხადებს ხოლმე დიქტორი, დავით ყიფიანიო.

ბიჭუნა სახტად დარჩა:

— მე... მე გამომაცხადებენ სტადიონზე?

— ჰო, შენ... მხოლოდ საამისოდ საჭიროა, კარგად ისწავლო და ჩვენს საფეხბურთო სკოლაშიც სისტემატურად იარო საკარჯიშოდ.

ბიჭუნამ დაუფარავი სინანულით წარმოთქვა:

— მერე, დედაჩემი და ბებიაჩემი გამომიშვებენ?

— მამაშენი ხომ გამოგიშვებს?

— მამაჩემი კი, მას მოსწონს ფეხბურთს რომ ვთამაშობ, მაგრამ... დედაჩემი და ბებიაჩემი...

ფარვიზ ჭელიძე იგონებს:

— დათო ყიფიანს კარგად ვიცნობდი. უფრო მეტიც. წლების მანძილზე მეგობრული ურთიერთობაც კი მაკავშირებდა მასთან. ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს, ერთად განვიცდიდით ქართული ფეხბურთის აღმავლობითა თუ დროებითი დაქვეითებით გამოწვეულ სიხარულსა და მწუხარებას. დათოს ოჯახსაც ახლოს ვიცნობდი, მეუღლეს, ქალბატონ ციალას, ქალბატონი ციალას დედას, ქალბატონ ქეთევანს, შაგრამ მისი ვაჟიშვილი თუ ასე კარგად თამაშობდა ფეხბურთს, ასე იყო გატაცებული სპორტის ამ სახეობით, ეს კი არ ვიცოდი და მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა ჩემთვისაც და უმცროსი დათოსთვისაც იმ იღბლიან დღეს სრულიად შემთხვევით ვეწვიე 53-ე საშუალო სკოლას. უმცროსი დათოს თამაშით მიღებული შთაბეჭდილება მეორე დღეს უფროს დათოს გავუზიარე და ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებაც გავანდე, თავისი ვაჟი 35-ე საფეხბურთო სკოლაში მოეყვანა სავარჯიშოდ. მიუხედავად ქალების, ქალბატონი ციალასა და ქალბატონი ქეთევანის, საკმაოდ შეუპოვარი წინააღმდეგობისა, მე და უფროსმა დათომ მაინც ჩვენი გავიტანეთ, უმცროსმა დათომ, ანუ დათუნიამ, როგორც მას ეძახდნენ, 1964 წლის შემოდგომაზე 35-ე საფეხბურთო სკოლის კარი შეაღო.

* * *

უმცროს დათო ყიფიანს ფეხბურთელისათვის საჭირო ფიზიკური ძომზადება აკლდა, ხოლო მისი თამაშის ტექნიკურ მხარეს, ანუ ბურთის ფლობის ხელოვნებას, ჯერ კიდევ საკმაო დახვეწა-გამდიდრება სჭირდებოდა. რაც შეეხება დათოს ტაქტიკურ მხარეს, იგი, ეს პ.ტარა ბიჭი, უკვე გამოცდილი, დაბრძენებული ოსტატის შთაბეჭდილებას ტოვებდა, შესანიშნავად ხედავდა მოედანს, თითქოს წინასწარ ჭვრეტდა პარტნიორების მოსალოდნელ გადაადგილებას და მათ არაჩვეულებრივი სიზუსტითა და მახვილგონივრულად აწვდიდა ხოლმე ბურთს მისთვის ჯერ კიდევ ძალზე დიდი, მიუჩვეველი მასშტაბის საფეხბურთო მინდვრის მთელ სიგრძე-სიგანეზე. ამიტომ მისმა მწვრთნელმა-პედაგოგმა ფარვიზ ჭელიძემ უმთავრესი ყურადღება დამწყები ფეხბურთელის ნაკლოვანი მხარეების ლიკვიდაციაზე, ფიზიკური ძომზადების ამაღლებასა და ტექნიკის დახვეწა-გამდიდრებაზე, გადაიტანა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იგი თავისი მოწაფის შედარებით ძლიერი მხარის, ტაქტიკური აზროვნების, შემდგომ განვითარებაზეც ზრუნავდა.

დათო ყიფიანის დაოსტატებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 35-ე სკოლის 14- 15 წლის ასაკის ფეხბურთელებისაგან შედგენილი გუნდის „აისის" ტურნეს ესტონეთში 1966 წლის ზაფხულში. „აისმა", რომლის მწვრთნელიც იყო ფარვიზ ჭელიძე. ხოლო ცენტრალური თავდამსხმელი — დათო ყიფიანი, ესტონეთში ოთხი მატჩი გამართა რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდებთან და ოთხივე შეხვედრა მოიგო.

— სამი მატჩი ტალინში გავმართეთ, ხოლო ერთი — პიარნუში, — მიამბობს ფარვიზ ჭელიძე, — დათომ ოთხივე შეხვედრაში ჩინებულად ითამაშა უფროსი ასაკის ფეხბურთელების წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ, ამჯერად საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მომავალში დიდი ფეხბურთელი იქნებოდა.

* * *

ფარვიზ ჭელიძე:

— 1968 წლის ზაფხულში, როცა დათო ყიფიანმა 35-ე სკოლა დაამთავრა და ახალგაზრდა ფეხბურთელი თბილისის „დინამოს"

დუბლიორთა შემადგენლობაში მიიწვიეს სათამაშოდ. ჩემი მისია ნაკლები შეგირდის მიმართ დამთავრებულად მივიჩნიე და ახალი „ეარსკვლავების“ საძებნელად განვეწყვე.

მაგრამ ჩემი ვარაუდი ნაადრევი გამოდგა.

ერთხელ, იმავე წლის ზაფხულის მიწურულს, ჭავჭავაძის პროსპექტზე, იქ, სადაც უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსია, დათო ყიფიანს შევეყარე.

ტროტუარის კიდეზე იდგა. ვეება ჭადრის ქვეშ, და მანქანათა უწყვეტ ქარავანს უაზროდ მიაყოლებდა თვალს.

შეეხედე თუ არა, არ მომეწონა ის ჩემი ნაშეგირდალი.

სადღა ჰქონდა ის თავისი, ჩვეულებრივ, ულრეტლო, მიწმენდილი, ნათელი ნირ-იერი!

ის მხნე, ხალისიანი, თითქოს ოდნავ გამომწვეული გამოხედვა!

ის სიკეთით, ღიმილით სავსე მზიანი თვალები!

დაღვრემილი, ხელჩაქნეული, ყურებჩამოყრილი ჩანდა.

ერთხანს, სანამ კარგა არ მივუახლოედი, ვერ შემამჩნია, ისე იყო გართული იმ თავისი, ეტყობა, შავი, ფიქრებით.

მერე, როცა შემნიშნა, შეცბა, უხერხულად შეიშმუშნა, არ იცოდა, სად წაეღო ხელები.

— აქ რას დამდგარხარ, ბიჭო, შეყვარებულს ხომ არ ელი? — ხუმრობით ვკითხე მე, იქნებ ცოტა გამოიდარობს-მეთქი.

უღიმღამოდ გამიღიმა:

— არა, ფარეიზ მასწ... ვდგავარ ასე, ტყუილად.

— კი მაგრამ... ზეგ, მგონი, თამაში გაქვთ დუბლებს და რატომ შეკრებაზე არ ხარ?

ისევ გამიღიმა უღიმღამოდ და თითქოს მზერას მარიდებსო, განზე გაიხედა:

— გამიშვეს.

ერთბაშად ვერ მივუხვდი:

— რას ჰქვია გაგიშვეს, ერთი დღით?

ახლა უკვე ძირს დახარა თვალები დამნაშავესავით, სიწითლემ გადაკრა სახეზე:

— არა... სულ გამიშვეს, ფარეიზ მასწ.

ელდა მეცა:

— რატომ, ბიჭო?!. რა დაგიწუნეს?!

ძირს ჰქონდა დახრილი თვალები, სიწითლე არ სცილდებოდა სახიდან:

— რა ვიცი... ასე მითხრა მწვრთნელმა, ფიზიკურად სუსტი ხარო, „დინამოში“ ვერ ითამაშებო, საქართველოს პირველობაზე ბევრი გუნდია და თუ მაინცადამაინც გინდა თამაში, რომელიმე გუნდში ითამაშეო.

სისხლი მომაწვა ყელში:

— მაინც სად გირჩია თამაში?

— ასე თქვა, თუ გუნდები გეშორა, რუსთავი აგერ არის და რამდენიც გინდა, ითამაშეო „მეტალურგში“.

გული დამეწვა — ხმა აეკრა, ცრემლი შევნიშნე.

იმავე საღამოს შინ დავიბარე.

მოვიდა. ბევრი ვისაუბრეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გარკვეული გადაწყვეტილება მივიღეთ.

მეორე დღესვე მე და უმცროსმა დათომ ჩვენი გადაწყვეტილება უფროს დათოს გავუზიარეთ.

დაგვეთანხმა, აზრი მოგვიწონა.

და დათო ყიფიანმა დაიწყო ვარჯიში თბილისის „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში კვლავ ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით.

* * *

დათომ მთელი წელიწადი ბეჯითად ივარჯიშა „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში, მერე კი გული აიყარა იქაურობაზე და ხან მამამისს, უფროს დათოს, შესჩივლებდა ხოლმე, ხანაც „ფარვიზ მასწს“, დიდების, ნამდვილ გუნდში მინდაო თამაში.

ეს ბუნებრივიც იყო — ტექნიკურად, ტაქტიკურად, ფიზიკურად უკვე საკმაოდ საფუძვლიანად მომზადებულ თვრამეტი წლის ჭაბუკს, ცხადია, დიდი საფეხბურთო სარბიელისაკენ გაუწევდა გული.

— დავსხედით მაშინ მე და უფროსი დათო, — იგონებს ფარვიზ ჭელიძე, — ვიფიქრეთ, ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, პირველი ლიგის გუნდში თბილისის „ლოკომოტივში“ მიგვეყვანა ბიჭი. ასეც მოვიქეცით. და მაშინ კი მე და უმცროსი დათო, როგორც შეგირდი

და მასწავლებელი. უკვე სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს. ჩემი ხანგრძლივი სამწვრთნელო-პედაგოგიური მუშაობის მანძილზე ასობით მოზარდს გაუვლია ჩემს ხელში, მაგრამ ისეთი გულთბილი, გულისხმიერი მოწაფე, როგორიც იყო დათო, მე არ მყოლია. არ მახსოვს, ვინმესთან, თანატოლთან თუ თავისზე უფროსთან, რაიმე უსიამოვნება ან კონფლიქტი ჰქონოდეს, თუნდაც, უბრალოდ, სიტყვიერიც კი. საოცრად თავაზიანი, ზრდილი უმაწვილი იყო. ამავე დროს იგი მუდამ ცდილობდა, მიებაძა თავისი მწვრთნელებისათვის, ესწავლებინა უმცროსებისათვის, გაეზიარებინა მათთვის თავისი გამოცდილება.

1969—1971 წლებში დავით ყიფიანი დიდი წარმატებით თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში", რომელსაც მაშინ ნოდარ ახალკაცი წვრთნიდა.

1971 წელს კი იგი მეორედ, მაგრამ ახლა უკვე მტკიცედ და საბოლოოდ მიიწვიეს თბილისის „დინამოში", ამჯერად ძირითად შემადგენლობაში, და დავით ყიფიანი გაბედულად ამოუდგა მხარში ტყავის ბურთის დიდოსტატებს:

რევაზ ძოძუაშვილს,
მურთაზ ხურცილავას,
გივი ნოდიას,
მანუჩარ მაჩაიძეს.

1981 წ. ივლისი.

# და ისევ რამაზ შენგელია...

1979 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ჩემი ნარკვევი „№ 1 ფეხბურთელი", რომელიც თბილისის „დინამოს" მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ოცდაერთი წლის ცენტრალური თავდამსხმელის რამაზ შენგელიას ფართო სპორტულ საზოგადოებაზე გასვლასა და მის პირველ დიდ წარმატებებზე მოუთხრობდა მკითხველს.

ნიჭიერი ფეხბურთელის ის პირველი წარმატებანი კი, მართლაც, დიდი იყო — „დინამოს" სახელგანთქმულ კოლექტივში თამაშის პირველსავე სეზონში „33 საუკეთესოს" სიაში მოხვდა, ხოლო შემდგომ 1978 წელს საბჭოთა კავშირის № 1 ფეხბურთელად აღიარეს.

ნარკვევის მოცულობა ასე თაბახ-ნახევარი იქნებოდა, არც კი, და ერთმა ჩემმა მეგობარმა კაცმა, პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა, იმ ჩემს მცირე ნაკალმარს რომ გადაავლო თვალი, საყვედურით მითხრა:

— ცოტა მეტი დაგეწერა, რა იქნებოდა. ნუთუ ეგ სასწაული ბიჭი უფრო დიდი წიგნის ღირსი არ არის.

მე თავი ვიმართლე:

— ბიჭო, ახლა ამაზე მეტი, აბა, რა უნდა დამეწერა, ჯერ ხომ მხოლოდ ორი წელია უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

პროფესიით ექიმი, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკური გულშემატკივარი მაინც არ გატყდა:

— მერე, რა მოხდა, რომ სულ ორიოდე სეზონია, რაც ოსტატებში გამოდის. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ოცდაერთი წლისას სხვას ვის ღირსებია ჩვენი ქვეყნის ნომერი პირველი ფეხბურთელის საინუკვარი ტიტული?

ეს, მართლაც, თავისებური, ძალზე ორიგინალური რეკორ-

დია, — ეთქვი მე, — ასეთი სპორტსმენი, გეთანხმები, უფრო ვრცელ ნარკვევს, უფრო დიდ წიგნს იმსახურებს.

— მერე, დაგეწერა, შე კაი კაცო, ის ვრცელი ნარკვევი, ის დიდი წიგნი, ვინ გიშლიდა ხელს.

და პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა დაუმატა:

— მომავალში მაინც დაწერე.

— ვინ გითხრა, რომ არ დავწერ, — ეთქვი მე, — რამაზ შენგელიას უფრო დიდ მომავალში ღრმად დარწმუნებულმა, აკი მკითხველსაც მივეცი ამისი პირობა.

— სად?.. როდის?

— როგორ თუ სად და როდის, ჩემს წიგნში, „№ 1 ფეხბურთელში", სიმცირე რომ დასდე ბრალად.

— როგორღაც... როგორღაც არ მახსოვს, — დაფიქრებით თქვა პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა, — ვერ გამიხსენებია, რას შეპირდი მკითხველს...სად წერია იქ ასეთი რამ?

— რაკი არ გახსოვს, გაგახსენებ.

წიგნის კარადის თაროდან „№ 1 ფეხბურთელი" გადმოვიღე, რომლის შავი ფერის გარეკანზეც მეტოქეთა კარისაკენ ბურთით მთელი სისწრაფით გაჭრილი ფეხბურთელი იყო გამოსახული.

პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა მრავალგზის წაკითხული, ლამის ზეპირად დასწავლილი მომცრო წიგნის კარგად ნაცნობ გარეკანს რომ შეავლო თვალი, მაინც ვერ შეიკავა თავი, ღიმილიანი მზერით მიუალერსა საყვარელი ფეხბურთელის გამოსახულებას და აღტაცებით წამოიძახა:

— არა, ერთი შეხედე, რა პეწი აქვს ამ ბიჭს, რა ცინცხალი მოძრაობა, ნაღდი სპორტსმენია, ნამდვილი დიდოსტატი!

— დაიცა, ხელს ნუ მიშლი, ახლავე წაგიკითხავ იმ ადგილს, — ლაგამი ამოვდე მის უადგილო აღტაცებას და წიგნის ბოლო გვერდი გადავშალე, — აბა, დამიგდე ყური.

— ვერაფრით ვერ გამიხსენებია, რას შეპირდი მკითხველს, — ისევ დაფიქრებით ჩაილაპარაკა მან, — ზეპირად ვიცი ეგ წიგნი და საოცარია, რატომ არ...

— ახლავე გაგახსენებ, — გავაწყვეტინე მე, — აი, ვკითხულობ:

„მე კი, სანამ ჩემი ფალავანი უკიდეგანო სპორტულ სამყაროს უყურო შორეულ ვარსკვლავებს მისწვდება და ახალ გამარჯვებებს მოუტანს თავის საყვარელ, მშობლიურ გუნდს, — ამ ნარკვევს დროებით აქ დავუსვამ წერტილს.

ჰო, მხოლოდ დროებით“...

— გესმის? დროებით-მეთქი, დროებით, — შევწყვიტე კითხვა და პროფესიით ექიმს, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურ გულშემატკივარს მივაჩერდი გამომცდელად თუ ნიშნის ძოგებით, — ესე იგი საკმაოდ ნათელი ქვეტექსტით ვეუბნები მკითხველს, კვლავ დავუბრუნდები-მეთქი ამ თემას.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! — წამოიძახა პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა, — მეც მანდ ვარ, აიღე და დაწერე, კიდევ დაწერე!

— მაგრამ... — ვთქვი მე.

— რა მაგრამ?

— ერთი პირობით, — განვაგრძე მე, — თუ უახლოეს წლებში მკვეთრად აიმაღლებს ოსტატობას და ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, რაშიც როგორც ჩემს წიგნშიც ვამბობ, ღრმად ვარ დარწმუნებული.

— თუ ასეა, ხვალ სიტყვა ისევ შენზეა, — თქვა პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა, — ვნახოთ, როგორი ვაჟკაცობითაც შეასრულებ პირობას.

— რატომ მხოლოდ მე?

— მაშ?

— რამაზ შენგელიაც. მთავარი, როგორც გითხარი, მაინც ის არის, როგორ ითამაშებს უახლოეს წლებში შენი და ჩემი საყვარელი ფეხბურთელი. აბა, დამიგდე ყური, აკი „№ 1 ფეხბურთელშიც“ ამას ვამბობ. წელან სად გავჩერდი?.. ჰო:

— ამ ნარკვევს დროებით აქ დავუსვამ წერტილს.

ჰო, მხოლოდ დროებით...

მანამდე კი...

შენ იცი და შენმა ბიჭობამ, რამაზ!“

— აბა, ჰე, — თქვა პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით

რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა, — შენ იცი და შენმა შენგელიამ.

— აბა, ჰე, — ვთქვი მე, — ახლა ყველაფერი დროს მივანდოთ.

ჰო, დროს მივანდეთ და იმ დრომაც, ყველაზე მკაცრმა და პირუთვნელმა მსაჯულმა ყოვლისა, თქვა თავისი მართალი სიტყვა:

ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის აგერ მომდევნო სამ საფეხბურთო სეზონში ოამაზ შენგელიას ტექნიკური ოსტატობა, ტაქტიკური თვალთახედვა და ფიზიკური მომზადება ერთი სამად თუ არა, ერთი ორად მაინც გაიზარდა.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა მისი ცრუ მოძრაობა,

სრულყოფილი სახე მიიღო „გახსნამ", ანუ თავისუფალ პოზიციებზე დროულად გასვლამ, რაც უბურთოდ თამაშის შედეგია და რასაც იგი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასრულებს,

საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გამოიწრთო მისი ფიზიკური მონაცემები, — მონაცემები თანამედროვე, მკაცრი ტოტალური ფეხბურთის სათამაშოდ დაბადებული კაცისა.

განელილი ოთხი ჩემპიონატის შედეგად რამაზ შენგელია ოთხჯერ იყო შეყვანილი სეზონის „33 საუკეთესოს" სიაში. წლევანდელ ცხრაას ოთხმოცდაერთის სეზონშიც, თუ მის ამჟამინდელ მიღწევებს გავითვალისწინებთ, ეჭვგარეშეა, მეხუთედ დაასახელებენ ჩვენი ქვეყნის ოცდაცამეტ საუკეთესო ფეხბურთელს შორის. ხუთი ჩემპიონატის შედეგად ხუთჯერვე „33 საუკეთესოს" რიგებში ყოფნა — რამაზ შენგელიას მეორე მნიშვნელოვანი რეკორდია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მისი პირველი მნიშვნელოვანი რეკორდი კი ის არის, ზემოთ რომ ითქვა, — ოცდაერთი წლის ასაკში გახდა საბჭოთა კავშირის № 1 ფეხბურთელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკორდი დაამყარა ამ შესანიშნავმა ქართველმა ცენტრფორვარდმა — ოცდაოთხი წლის ასაკში იმდენი ბურთი გაიტანა, რომ წლეულს თუ არა, მომავალ წელს მაინც ყველა საბჭოთა თავდამსხმელისათვის სანუკვარ და საოცნებო ასგოლიან ზღვარს გადააბიჯებს. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ მხოლოდ იმ გოლებს, რომლებიც „ასგოლიანთა კლუბის" ცნობილი წესდებით არის გათვალისწინებული.

ყველა ზემოთქმულის შედეგად თბილისის „დინამოს“ ცენტრ-ფორვარდს ამ ხუთი საფეხბურთო სეზონის მანძილზე მრავალგზის დაუბომბავი არ დარჩენია საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის არც ერთი გუნდის კარი.

რამაზ შენგელიას მიერ დარტყმული ბურთები გახვეულან აგრეთვე მთელს ევროპასა და მსოფლიოში სახელგანთქმული:

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების,
უნგრეთის ნაკრების,
შვეციის ნაკრების,
ბულგარეთის ნაკრების,
თურქეთის ნაკრების,
ინგლისის „ლივერპულის“,
ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“,
დასავლეთ გერმანიის „ჰერტას“,
„იტალიის „ნაპოლის“,
შვეიცარიის „გრასჰოპერსის“,
იუგოსლავიის „პარტიზანის“,
არგენტინის „ბოკა ხუნიორსის“
დასავლეთ გერმანიის „ბაიერნის“
მადრიდის „რეალისა“
და სხვათა კარის ბადეში.

რამაზ შენგელიას მაღალტექნიკურმა, ტაქტიკურად მრავალფეროვანმა თამაშმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ცნობილი ქართველი მწერალი გურამ ფანჯიკიძე დიუსელდორფში იმყოფებოდა თბილისის „დინამოსა“ და იენის „კარლ ცაისის“ გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის ფინალურ მატჩზე დასასწრებად, როგორც გაზეთ „კომუნისტის“, სპეციალური კორესპონდენტი. მასთან ოფიციალურ საუბარში ჩვენმა სასიქადულო დავით ყიფიანმა განაცხადა:

„რამაზ შენგელიაზე ძალზე მაღალი აზრისა ვარ. აქვს შესანიშნავი ინტუიცია. რომ იცოდეთ, როგორ მიგებს ხოლმე, რას ეპირება... მე მჯერა, რომ იგი კიდევ მოუმატებს თამაშს. ახლა ასე მიზანდასახული ცენტრალური თავდამსხმელი .საბჭოთა ფეხბურთში არ მეგულება... მე მომწონს კარის აღების შენგელიასეული ეინი. ყოველი ბურთის გატანა მისთვის უზარმაზარი ბედნიერებაა...

... რამაზ შენგელიამ ფინალში „კარლ ცაისთან“ ისე უნდა ითა-

მამოს, როგორც გუშინ ჰოლანდიელებთან ითამაშა. ბოლო ოცი წუთის მანძილზე თუ მაინც გავტეხეთ მოწინააღმდეგე, ეს რამაზის დიდი დამსახურება იყო. მისმა აქტიურმა და მაღალტექნიკურმა ფეხბურთმა, სწრაფმა და სწორმა მანევრირებამ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა ჰოლანდიელებს".

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" 1981 წლის ივლისში წერდა:

„ზედიზედ ექვსი მატჩია უგოლოდ არ ტოვებს მინდოლის თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი რამაზ შენგელია, ამასთან, ორ უკანასკნელ თამაშში ერევნის „არარატთან" ორ-ორი ბურთი გაიტანა. სულ მეხუთე სეზონია გამოდის იგი უმაღლეს ლიგაში და უკვე 54 გოლის ავტორია. ეს ძალზე მაღალი მაჩვენებელია ჩვენს ფეხბურთში.

შენგელია — ტიპიური თანამედროვე ფორვარდია. იგი სწრაფი, ენერგიული და შეუპოვარია. მეტოქეთა მცველებით გარემოცული, ისე გრძნობს თავს საჯარიმო მოედანზე, როგორც თევზი წყალში. რამაზი უმალ ერკვევა ყველაზე რთულ სიტუაციებში და ზუსტად ურტყამს კარში, რა უხერხულ პოზიციაშიც კი არ უნდა იმყოფებოდეს. ჭეშმარიტი სპორტსმენის კიდევ ერთი ძვირფასი თვისება აქვს შენგელიას — არავითარ რეაგირებას არ ახდენს მეტოქეთა უხეშ გამოხდომებზე და უშიშრად განაგრძობს ბრძოლას ყველგან და ყოველთვის".

თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" 1981 წლის 8 აგვისტოს კალენდარული მატჩის მოსკოვური პროგრამა „ლუჟნიკის" სტადიონზე მოსულ 100 ათას მაყურებელს ამცნობდა:

„რამაზ შენგელიას უმაღლესი სნაიპერული ხელოვნება ძალზე იშვიათი მოვლენაა არა მარტო ჩვენში, არამედ, საერთოდ, ნაელს ევროპულ ფეხბურთშიც".

• • •

— მეტი რაღა გინდა, არ ვიცი, — მითხრა იმ ჩემმა მეგობარმა კაცმა, პროფესიით ექიმმა, ხოლო მოწოდებით რამაზ შენგელიას იმთავითვე ფანატიკურმა გულშემატკივარმა და მისთვის სამი წლის წინ მიცემული პირობა გამახსენა, — ახლა სიტყვა შენზეა, აიღე და დაწერე ერთი მოზრდილი, ბარაქიანი წიგნი იმ ჩვენს საყვარელ

ფეხბურთელზე, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილ. სახელგანთქმულ სპორტსმენზე.

მეც, აბა, რალა მეთქმოდა, ავიღე და წერას შევუდექი.

მაგრამ...

ორიოდე აბზაცი რომ გამოვაცხვე და პირველი გვერდი თითქმის შევავსე სტრიქონებით, — მივხვდი, „ბარაქიანი“ წიგნის დაწერა მაინც ნაადრევი იქნებოდა თბილისელ ცენტრფორვარდზე. მას ხომ წინ სპორტული ცხოვრების ჯერ კიდევ საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი და, ვინ იცის, დიდების რომელ მწვერვალზე შედგამდა ფეხს იმ გზის უკანასკნელ სწორზე.

ამიტომ „ბარაქიანი“ წიგნის დაწერა ისევ შორი მომავლისათვის გადავდე და იმ მომცრო პირველი წიგნიდან იმ შორი მომავლის „ბარაქიან“ წიგნამდე — ამჯერად ეს პატარა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, „შუალედური“, ნარკვევი ვაკმარე რამაზ შენგელიას.

1981 წ. სექტემბერი.

**მ ი ნ ა წ ე რ ი:**

რამაზ შენგელიაზე დაწერილ ჩემს ნარკვევებს ასე დაებედა — მინაწერიც უნდა ახლდეს თან.

მაინც რატომ ხდება ასე?

ჩემი აზრით, მიზეზი ერთია:

თბილისის „დინამოს“ ცენტრფორვარდი ყოველ სეზონში იმდენ სპორტულ წარმატებას აღწევს, იმდენ საფეხბურთო რეკორდს ამყარებს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება, კალამი მიადევნო ყოველივე ამას ერთ ნარკვევში. მაგალითად, დავამთავრებ ნარკვევს, წერტილს დავუსვამ უკანასკნელ სტრიქონს. ჩავუშვებ ასაწყობად სტამბაში და... აი, კიდევ ერთი წარმატება, კიდევ ერთი მიღწევა რამაზ შენგელიასი. მერე, გავა დრო. ისევ დავწერ ნარკვევს, ნარკვევს ჩემს საყვარელ ფეხბურთელზე, ჩავუშვებ სტამბაში და... აი, კიდევ ერთი წარმატება, კიდევ ერთი მიღწევა რამაზ შენგელიასი. ასეთ შემთხვევაში კი, რათა მოძველებული არ იყოს, ფაქტობრივი თვალსაზრისით სრულყოფილი გახდეს ნარკვევი, ავტორის საშველად კვლავ და კვლავ მინაწერი მოდის.

და, აი, ახლაც, როცა ჩემი ეს ნარკვევი უკვე ლითონის სტრიქონებად ისხმებოდა სტამბაში, რამაზ შენგელიას ახალმა გამარჯვებებმა კვლავ მომთხოვეს მინაწერი.

ქართველ ფეხბურთელს ჭეშმარიტად ფეხბედნიერი შემოდგომა დაუდგა — 23 გატანილი ბურთით 1981 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის № 1 ბომბარდირი გახდა, რისთვისაც გაზეთ „ტრუდისა“ და გაზეთ „ნედელიას“ მიერ საუკეთესო საფეხბურთო სნაიპერისათვის დაწესებული ტრადიციული პრიზები მოიპოვა. მათ შორის „ბროლის ბურთიც“.

გარდა ამისა, თბილისელი ბომბარდირი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდშიც მიიწვიეს, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიო პირველობის რამდენიმე შესარჩევი მატჩი ჩაატარა ჩეხოსლოვაკიის, თურქეთისა, უელსის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან უმაღლეს პროფესიულ დონეზე.

რამაზ შენგელიას საშემოდგომო გამოსვლებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. საბჭოთა თუ საზღვარგარეთული პრესა თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ცენტრფორვარდის სურათებითა და ქება-დიდებით იყო აჭრელებული.

აი, ისინიც:

მოსკოვის დინამოელი ვ. გაზაევი — „მე ვარჩევდი ისეთ პარტნიორს, როგორიც თბილისელი შენგელიაა“.

მოსკოვის სპარტაკელი ს. როდიონოვი — „ვინ მიმაჩნია ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელებად? დაცვაში ჩივაძე, თავდასხმაში ბლოხინი და შენგელია“.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავდამსხმელი ვ. პოგორელოვი — „ვის მინდა, ვგავდე? რა თქმა უნდა, შენგელიას“.

კიევის დინამოელი ლ. ბურიაკი — „ურთიერთმოქმედება ისეთი კლასის მოთამაშესთან, როგორიც შენგელიაა, ჩვენთვის, ნაკრების ფეხბურთელებისათვის, დიდი ბედნიერებაა“.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ი. ვენგლოში — „საბჭოთა ნაკრები ქების ღირსია, შეუდარებელია შენგელია“.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ზ. ნეხოდა — „ოო, ეს ჭაბუკი (შენგელია) ნამდვილი ვარსკვლავია!“

საფრანგეთის „ბასტიის“ მოთამაშე ო. მილა — „შენგელია ევროპული კლასის ვარსკვლავია“.

გაზეთი „პრავდა" — „კ. ბესკოვი თავისი გუნდის მოთამაშეებიდან განსაკუთრებით გამოყოფს რ. შენგელიას, აღნიშნავს მის ელვარე თამაშს".

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" — „რამაზ შენგელიას მიერ ჩეხოსლოვაკიელთა გუნდის კარში გატანილმა ორმა გოლმა საბჭოთა კავშირის ნაკრები ერთპიროვნული ლიდერი გახადა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ევროპულ საკვალიფიკაციო ჯგუფში".

გაზეთი „ტრუდი" — ცნობილი სპორტული ჟურნალისტის იური ვანიატის წერილი „ეს მწვავე ფორვარდი" ეძღვნება რამაზ შენგელიას, როგორც 1981 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის № 1 ბომბარდირს. მასში გადმოცემულია ქართველი ცენტრფორვარდის მოკლე სპორტული ბიოგრაფია, ხოლო, ბოლოს, ნათქვამია:

„ასეთია ეს მეტოქეთა კართან ჭეშმარიტად გააფთრებული და მოუხელთებელი ფორვარდი.

ეს ის მოთამაშეა, რომელშიც ილბლიანად არის შერწყმული ბობროვისებური, ფედოტოვისებური, პონომარიოვისებური გასაოცარი „ალღო და გუმანი გოლისა". რამაზ შენგელია, მაღალტექნიკური და მანევრული, რომელსაც ძალუძს ყოვლად მოულოდნელი გოლების გატანა. წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო, თვალსაჩინო ფიგურას სამამულო ფეხბურთში.

ვფიქრობთ, რომ რამაზი კვლავ არაერთხელ მოუტანს სიხარულს ფეხბურთის ჭეშმარიტ შემფასებლებს ულამაზესი გოლების გატანის თავისი სწორუპოვარი ხელოვნებით.

ყოჩაღ, რამაზ!"

გაზეთი „ზარია ვოსტოკა" — „შენგელია — ეს არის გოლი!"

ჩეხოსლოვაკიური გაზეთი „რუდე პრავო" — წერილში სათაურით „რამაზ შენგელიასთან, ვერაფერს გავხდით", წერს: „საბჭოთა გუნდის ნამდვილი მშვენება იყო ორი ფორვარდი — ბლოხინი და შენგელია. ორი ასეთი სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელი ძნელად თუ მოიძებნება დღეს ევროპის რომელიმე ნაკრებში".

ჩეხოსლოვაკიური გაზეთი „პრავდა" — „მთავარი დამკვრელი ძალა იყო შენგელია, სწორედ ამ 24 წლის ფეხბურთელმა მოუტანა გამარჯვება საბჭოთა გუნდს".

ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი" — „შენგელია საერთაშორისო კლასის დიდი ფეხბურთელია".

გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი" — ადგილობრივი ჟურნალისტი

ქალის ძალზე გულთბილ, საინტერესო წერილში „რამაზის ბედნიერი წელიწადი", რომელიც მსოფლიოს დიდ ფეხბურთელებზე უცხოელი სპორტული მიმომხილველების მიერ დაწერილ, რეკლამური ხასიათის სტატია-რეპორტაჟს მოგვაგონებს, სადაც აღწერილია ხოლმე ტყავის ბურთის დიდოსტატთა კულისებსიქითა, „შინაური", სენსაციურად გახმაურებული - ნიშან-თვისებები, ვკითხულობთ:

„ფეხბურთელებს ჟურნალისტები სდებენ მსჯავრს, ჟურნალისტებს გულშემატკივრები, მათ სურთ არა მარტო იმის გაგება, რაც საჭიროა, არამედ იმისაც, რაც კი შესაძლებელია. ჩემი მეზობელი ბიჭუნა, ლაბის აკვნიდანვე ფეხბურთის გულშემატკივარი, ერთთავად მომაბეზრებლად მეკითხებოდა ერთსა და იმავეს, რა ფერის თმა და თვალები აქვსო რამაზ შენგელიას, თითქოს ეს გოლების გატანაში ეხმარებოდეს მის კერპს. ჩვენ, ქალები, ზოგჯერ ვერაფერს ეუგებთ ჭეშმარიტ გულშემატკივრებს. მათთვის, უფრო კი ახალგაზრდებისათვის, თურმე საჭირო ყოფილა, დაუმტკიცონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, საკუთარ თავს, რომ ჩვენი ფეხბურთელები მათსავით ჩვეულებრივი ბიჭები არიან, რომ მათ ისეთივე თვალები, თმა, ლიმილი, გატაცებანი აქვთ, როგორც ყველას. ეს საჭიროა იმისთვის, რათა ირწმუნონ, — თუ შეძლებ თავის შეკავებას ყოველივე იმისგან, რისგანაც შესწევს თავის შეკავების უნარი თვითეულ ჭეშმარიტ სპორტსმენს, თუ დასძლევ ყოველივე იმას, რისი დაძლევაც ესოდენ იოლია სპორტსმენთათვის. მაშინ რეალური, სრულიად რეალური ხდება, იყო ისეთივე, როგორიც ისინი არიან, ნამდვილი სპორტსმენები.

რამაზს. მიუხედავად თავისი „თითქმის 25" წლისა, ჯერ კიდევ შემორჩა ბავშვური უშუალობა და გულწრფელობა. მას დაუსრულებლად შეუძლია მოულოდნელი ამბებით სავსე სათავგადასავლო ფილმების ცქერა... უყვარს ნაყინი. გულწრფელად უკვირს: „განა შეიძლება, ნორმალურ ადამიანს არ უყვარდეს იგი?" უყვარს წითელი ფერი, იმიტომ, რომ ის მიმზიდველია, და იმიტომაც, რომ ის სადღესასწაულო განწყობილებას უქმნის. უყვარს ზღვა, იტალიური მუსიკა, შემოდგომა, მშობლიური ქუთაისი. უყვარს ქართველი გულშემატკივრები, რომელთაც უწოდებს „ყველაზე სამართლიანებს ევროპაში". მაგრამ ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე — უყვარს ფეხბურთი. რამაზისათვის ყოველივე არსებობს — ფეხბურთის მიზ-

ნით, ყოველივე არსებობს — ფეხბურთის გამო. ყოველივე არსებობს — ფეხბურთისათვის".

და, ბოლოს, როცა ამ მინაწერსაც ვამთავრებდი და ის იყო ჩემი ამ ნარკვევისათვის უკანასკნელი წერტილი უნდა დამესვა, რამაზმა კიდევ ერთხელ ააფორიაქა ფეხბურთის გულშემატკივართა სამყარო. ხრლო მე კვლავ უზომო სიხარულით ამივსო გული—ჩემი ფალავანი სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად, 1981 წლის საფეხბურთო სეზონის მიხედვით. მეორედ გახდა ჩვენი ქვეყნის № 1 ფეხბურთელი, რასაც, ანუ ამ საპატიო ტიტულის ორგზის მოპოვებას, ა მ ა ს ა კ შ ი, ტყავის ბურთის ჯერ არც ერთი დიდოსტატი არ ღირსებია ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

აი, ეს კი უკვე, მგონი, ძალზე დიდი ხნის მოუხსნელი რეკორდია ქართველ ფეხბურთელთა მომავალი თაობებისათვის.

ამავე დროს რამაზ შენგელია დაასახელებულ იქნა წლის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენთა ათეულში, სადაც მესამე საფეხური დაიკავა — ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ანატოლ კარპოვისა და სახელგანთქმული ჰოკეისტის ვლადისლავ ტრეტიაკის შემდეგ.

მაგრამ ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ ეს დიდი წარმატებაც არ იკმარა და სპორტული დიდების კიდევ ორი მაღალი ზღუდე გადალახა. ჯერ ერთი, — რამაზ შენგელია კიეველ ოლეგ ბლოხინთან და თბილისელ ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად შევიდა ევროპის 1981 წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში, რომელიც განისაზღვრება ყოველკვირეულ „ფრანს ფუტბოლის" მიერ წამყვანი სპორტული მიმომხილველების გამოკითხვის შედეგად. მეორეც, — ესპანეთის ჟურნალმა „დონბალონმა" მსოფლიოს ყველაზე თვალსაჩინო სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგად დაასახელა მსოფლიოს ხუთი უძლიერესი ფეხბურთელი. აი, ისინიც: 1. ბრაზილიელი ზიკო, 2. დასავლეთგერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე, 3. შოტლანდიელი ჯონ უარკი, 4. არგენტინელი დიეგო მარადონა, 5. თბილისელი რამაზ შენგელია.

მართლაც, რომ ბედნიერი გამოდგა 1981 წელი რამაზისათვის!

ამდენი წარმატება, ამდენი მიღწევა, ამდენი ჯილდო, რა დიდი ღირსება!

და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში, ერთ სეზონში!

•

როგორც იყო, ამ თითქოს გაუთავებელ მინაწერსაც მოვრჩი და იგი დასაბეჭდად უნდა მიმეცა მემანქანისათვის, რომ...

უეცრად...

ჩემმა ფალავანმა, ჩემმა რამაზმა, არ შემოაღო ჩემი ბინის კარი?!

ჩვენი გულთბილი, შინაურული საუბარი ერთობ ტრადიციული შეკითხვით დამთავრდა:

— რა ფიქრებითა და ოცნებებით ეგებები ახალ 1982 წელს, როგორია შენი უახლოესი გეგმები?

ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელი იქ თავისი ბავშვურად გულწრფელი ღიმილით იღიმება:

— საბჭოთა ნაკრების წარმატებით გამოსვლა 1982 წლის მსოფლიო პირველობაზე, ჩემი მშობლიური კლუბის თბილისის „დინამოს“ მიერ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებათა პირნათლად დამთავრება.

რამაზი მცირე ხანს დადუმდა და შემდეგ დაუმატა:

— და, რაღა თქმა უნდა, რაც შეიძლება ჰეტი გოლის გატანა... ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩემი პროფესიაა.

ჩვენ რაღა დაგვრჩენია, — ვუსურვოთ შესანიშნავ ქართველ სპორტსმენს ყველა ამ სურვილის განხორციელება ქართული და მთელი საბჭოთა ფეხბურთის მაღალი პრესტიჟის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

1981 წ. 4 თებერვალი

# სარჩევი


ეზოდან — დიდი ფეხბურთის მოედნებზე 3
რეპორტაჟი კიევიდან 8
ფეხბურთის მესაიდუმლე 17
დაუწერელი წერილი 22
„დიდი ურეგვაელები" . . . . . 25
ქართველი დინამოელები — 1978 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები 47
№ 1 ფეხბურთელი 53
დიდი მანუჩარი 76
მეკარე . . . 117
გახსოვთ გივი ნოდიას თამაში? . 159
„დინამოს" შუამარბი . 169
და ისევ რამაზ შენგელია . 198